

K 9.13 891
3



გ. ჭალულავა
მხატვრობის სახის
პონტიქისათვეს
ძველ ქართულ
პროფესი

3

განვითარება



გრივერ ფარულავა

მინისტრის
სამინისტრო

მხატვრული სახის პუნქტისათვის ქველ ქართულ პროგამი

რედაქტორი პროფ. ლ. შენაგავი



გამოიცემულია „განათლება“
თბილისი — 1982

8СГ09(003)+8СГ09-3



8Г1
83 ГР1
899.962.109—3
ფ 303

წინამდებარე წიგნს იმ ლიტერატურული ქმნილებების მხატვრულ-ესთეტიკურ საშუალოში შეცვავართ, რომელთაც ჩვენი ახალგაზრდობა ჯერ საშუალო, შერეკი უმაღლეს სასწავლებელში ეცნობა. დაკვირვების ძარითადი საგანია მხატვრული სახის არსი, პოეტური ჟანრიაზის ბუნება, ადამიანის შინაგან განცდათა გამოსახვის საშუალებები ძველ ქართულ პროზაში.

წიგნი სარგებლობას მოუტანს მოსწავლე ახალგაზრდობასა და მასწავლებლებს.

რეცენზენტები: პროფ. პ. გამორილია
დოკ. ლ. გრიგოლაშვილი



60501—066

П _____ 161—82 © გამომცემლობა „განათლება“, 1982
M—602(08)—82

ა 0 6 ა 0 1 გ მ ა

ყურადღება სასულიერო ლიტერატურისადმი ეროვნულ კულტურასთან დამოკიდებულების მიუცილებელ ნაწილადაა მიჩნეული დღეს. რადგან ყველა ხალხი თავისი სულის საუკეთესო ნაწილს ამზეურებს პოეზიაში, თითოეული პერიოდი თუ დარგი ლიტერატურის ისტორიისა ფასეულია. იგი შშვენიერის გაგების ამა თუ იმ ასპექტს წარმოგვიდგენს. ავტორიტეტული თვალსაზრისის თანახმად, „ახალი ევროპული ლიტერატურა, რომლის განვითარების შედეგად XVIII—XIX სს. მიჯნაზე წარმოიქმნება თანამედროვე ტიპი ლიტერატურისა, თავის დასაწყისს დაახლოებით ჩვენი ერის პირველი ათასწლეულის ნახევრიდან იღებს. თუმცა უკანასკნელ ხანებში ტრადიციად იქცა, ძირები და არსი ახალი ლიტერატურისა მოიძებნოს აღორძინების ეპოქაში... მაშინ, როცა რენესანსიც შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც შინაარსობრივი განვითარება იმისა, რაც უკვე იყო შექმნილი. ამიტომ ჩვენ გულდასმით უნდა გვაანალიზოთ ტიპი ლიტერატურული სტრუქტურისა, შუა საუკუნეების დასაწყისში რომ ჩამოყალიბდა¹. ლიტერატურული სტრუქტურის ქრისტიანულ ტიპს მხოლოდ თანამედროვე ესთეტიკური მოთხოვნის დაკმაყოფილებას ვერ წავუყენებთ. „ისტორიული დამსახურება ფასდება არა იმის მიხედვით, თუ რა არ მოუციათ ისტორიულ მოღვაწეებს თანამედროვე მოთხოვნებთან შედარებით, არამედ იმის მიხედვით, თუ რა მოგვცეს ახალი თავიანთ წინამორბედებთან შედარებით“². ქრისტიანულმა ხელოვნებამ კი (როგორც ამას თავის აღილას ვაჩვენებთ) ბევრი რამ საგულისხმო და ფასეული მოგვცა. ქართულ სინამდვილეში ამ ხელოვნებას წარმოადგენს სვეტი-

¹ Теория литературы (Основные проблемы в историческом освещении. Образ, метод, характер), Институт мировой литературы им. А. М. Горького, кн. I, М., 1962, стр. 216.

² ვ. ა. ლენინი, თხ., ტ. 9, გვ. 217.

ცხოველი და კუმურდო, ბეთანიის, ყინწვისის და უბისის ფრესკები, ჯვარცმული ფიგურები იშხნის, ზარზმისა და მარტოლის ფერო-შეცდლობისა, ქორალი „შენ ხარ ვენახი“... იმავე რიგში დჯს იყონ ცურტაველის „შუშანიკის წამება“, იოანე საბანისძეს ცურტაველის „შემოწერა“ ვილობა“, გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ და გიორგი მცირის „ცხოვრება გიორგი ათონელისა“, ნინოს ცხოვრება, პიმნები იოანე მტბევარისა, მიქელ მოდრეკილისა და სხვათა. მათ-ში ძალუმადაა გაცხადებული სულიერი ფიზიონომია ქართველი ხალ-ხისა. „...უძველესი, საეკლესიო-სასულიერო სტილის მწერლობა, — ამბობს აკად. ქ. კეკელიძე, — ისეთივე ორგანული ნაწილია ჩვენი ლიტერატურის საერთო მდინარისა, როგორც საერო, ის პირველი, აუცილებელი საფეხურია ჩვენი ლიტერატურული კიბისა, ამასთა-ნავე ისეთივე რეფლექსი გარკვეულ ხანაში გაბატონებული კლასის ფსიქო-იდეოლოგიისა და ესთეტიკურ-მხატვრული გემოვნებისა, რო-გორც საერო მწერლობა თავისი ეპოქისა“³.

ლიტერატურული მოდელი, რაც ქართულმა სასულიერო მწერლობამ შექმნა, თავისებურია, სათანადო მსოფლალქმის სკეცი-ფიკით გაშუალებული. მაგრამ ძირითადი სტრუქტურული პლანი, სადაც ეს თავისებურებანი იყრიან თავს, მხატვრულია. იგი მოვლენის გრძნობადი სილამაზის იქეთ იმზირება, სილრმისეულ, შინაგან შვენიერებას ესწრაფების: აქედან გამომდინარე, გრძნობადი სინამ-დვილის დეფორმაციას ახდენს თავისი მიზნის კვალობაზე. „რელი-გიური მსოფლგაგება მხატვრული მეტყველების განვითარებას კი არ აფერხებდა, არამედ თავისი იდეალების შესაბამის, გარკვეული მნიშვნელობის მხატვრულ ხერხთა ფორმებს ძებნიდა. რელიგიური მსოფლშეგრძნებით აღქმული ქვეყანა ყალიბდებოდა თავის ესთე-ტიკურ სისტემაში, რომლის პირველი ცნება იყო ღმერთი — ხილა-მაზისა და სიყვარულის სიმბოლო. მრიგად, თუ მონასტრული ას-კეტიზმის პრინციპი შვენიერების უარყოფაში ხედავდა ღმერთ-თან მისვლის გზას, რელიგიური მსოფლგაგება ქვეყნის შემეცნებას შინაგანად მის სილამაზეში ახორციელებდა, რადგან სილამაზე თვი-თონ იყო ღმერთის სუბსტანცია“⁴.

3 ქ. კეკელიძე, ეტიკები, II, 1945, გვ. 3.

4 გ. იმედაშვილი, ქართული კალასიკური საგალობლის პოეტური შეტე-ველების ზოგი საკითხი. კრებ. ქ. კეკელიძის დაბადების 80 წლისთავის აღსანიშნა-ვად, 1959, გვ. 150.

ჩვენი ყურადღების საგანი ეს თავისებური „ესთეტიკური სისტემა“ იქნება. მაგრამ მხატვრული სახის ბუნების თავისებურების დადგენას ქართულ ჰაგიოგრაფიაში აქვს ნათელი და ლოგიკური მუზეუმის ზანი: გამოკვეთოს ამ ნაკადის ორგანული თანაზიარობა მატერიუმური თულ მწერლობასთან, ამ თავდაპირველი ძირების ნაყოფიერება თხუთმეტსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე.

მხატვრული სახე კი ამა თუ იმ ხალხის ესთეტიკური მსოფლალების ძირითადი გამომავლინებელია. მაქს ვერლი ამბობს: „როგორც ჰეშმარიტად მიუცილებელი ელემენტი კულტურული ადამიანური არსებობისა, მხატვრული სახის პრობლემა ლრმად მსჭვალავს ნებისმიერი ენობრივი და ნებისმიერი მხატვრული გამოსახვის პრობლემათა სფეროს და საბოლოო ანგარიშით ეხება ადამიანის ყოფიერებას — როგორც ინდივიდუალურს, ისე კოლექტიურს, როგორც არსებით ნაწილში, ისე მის ისტორიულ განვითარებაში საერთოდ“⁵. გამოვდივართ რა მხატვრული სახის, როგორც ეპოქის ამრეკლავის, ამ ზოგადი გაეგბიდან, თან ვფიქრობთ, რომ მხატვრული სტილი თავისთვად არის მომენტი ეროვნული ხასიათისა. ეს აზრი მეგზურად წავიმძლვარეთ ქართული ჰაგიოგრაფიის ძეგლებზე დაკვირვებისას. ამის შემდეგ კი ძნელი არ იყო იმ დასკვნამდე მისვლა, რომ საჭიროა რალაც „ერთი თვალი“ ქართული ჰაგიოგრაფიის, ფრესკების, ოქრომჭედლობის, არქიტექტურის, საგალობელთა ესთეტიკური ბუნების უკეთ აღსაჭმელად.

ჩვენ არ ვილაპარაკებთ ჰაგიოგრაფიული ძეგლების მხატვრული ენის შესახებ. თემის ინტერესების მიღმა დევს სფერო პოეტური სინტაქსისა და ტრაპებისა — ეპიოეტი, მეტაფორა, შედარება და ა. შ. „...ამ პარაწა სახეებში როდია შეფარული ჰეშმარიტი ძალა ხელოვნებისა. შეიძლება ნაწარმოები თითქმის არ შეიცავდეს მეტაფორას, და ამავე დროს წარმოადგენდეს ერთ გიგანტურ სახეს, მხატვრულ ბირთვად შეკრულს ხასიათებისაგან, გარემოებათაგან და ა. შ. ...ტროპი, უაღრესად „სიტყვიერი“ სახის ეს წარმომადგენელი, ძალზე შეკუმშულია, ერთმნიშვნელოვანია. მხატვრულ აზრს — აქტიური და თავისთვადი სიცოცხლისათვის გარდუვლად ესაჭიროება რალაც სხვა. ...მხატვრულ აზრს „თავისი თავის გამოსავლინებლად“ ძალუძს მოიპოვოს უფრო მსხვილი ერთეულები — ხელოვნება.

ბის სახეები⁶. ქართული ჰაგიოგრაფიის მხატვრული სინაზილი-დან ჩვენ ამ „მსხვილ ერთეულებს“ გამოვყოფთ, წარმოვაზნებუნებას ისეთი „დიდი“ მხატვრული სახეებისა, როგორუცაა შემდებარება და სულის მოძრაობა, სიუკეტი, ხასიათები და გრაფიკულობები ერთანაგანი ხილვანი.

ყოველი მხატვრული ანალიზისათვის ამოსავალია ნაწარმოების თვითქმარობა, როცა ობიექტურ და სუბიექტურ სინამდვილესთან (ცხოვრებასა და ხელოვანთან) მისი დამაკავშირებელი ხაზები ჩანან და განიცდებიან არა როგორც ამ ქმნილების გარეთ გასული ფესვები, არამედ, როგორც მისი შინაგანი მომენტები⁷. ქართულ ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებებშიც ჩვენ ყურადღებას ვაპყრობთ ამ თვითქმარისებულებას, როცა მოხსნილ-გადამუშავებულად განიცდება ისტორიულ და მწერლის სინამდვილესთან დამაკავშირებელი ფესვები ნაწარმოებისა. მიუხედავად ამისა, რაგინდ თვითქმარიც არ უნდა იყოს მხატვრული ქმნილება, მისი სრულფასოვანი ესთეტიკური აღქმა შეუძლებელია ისტორიული სინამდვილისა და მწერლის პიროვნებისაგან იზოლირებულად. მსჯელობა ქართული ჰაგიოგრაფიის პოეტიკის საკითხებზე ხერხდება დღეს, როცა შეგვიძლია დავემყაროთ ქართული ისტორიულ-ფილოლოგიური მეცნიერების სოლიდურ მონაპოვართ. ეპოქა, ბიოგრაფია მწერლისა, ლიტერატურული წყაროები, ენა, თანადროული ხელოვნება, სოციოლოგია და ფსიქოლოგიური პირობები, — აი, არასრული ნუსხა იმ ისტორიულ-ლიტერატურული წანამდვრებისა, რომელთაც ვიშველიებდით. ლიტერატურის ისტორია, როგორც ამბობენ, პრინციპულად კი არ განსხვავდება პოეტიკისაგან, არამედ საგნის განხილვის სიბრტყით. მხატვრულ ნაწარმოებზე მთლიანად ვრცელდება ის, რაც კარლ იას-პერსმა თქვა ადამიანურ არსებობაზე საერთოდ: „ყოველი ცდა ისტორიაზე ამაღლებისა გარდაიქცევა სიცრუედ, როცა ჩვენ ვცილდებით მას. უმთავრესი პარადოქსი ჩვენი არსებობისა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ სამყაროზე ამაღლება ძალგვიძს მხოლოდ მა-

⁶ Теория литературы, кн. I, стр. 93, 97. ნაშროვში ძირითადად ემყარებით მხატვრული სახის იმ გაზრებას, რომელიც ამ კოლექტურ მონოგრაფიაშია მოცემული სამამულო და უცხოური მეცნიერების უკანასკნელ მონაპოვართა შექმნებით.

⁷ 6. ჭავჭავაძე, ესთეტიკური საგნის ბუნებისათვის, 1965, გვ. 82.

ჭინ, როცა ვცხოვრობთ სამყაროში, და ეს პარადოქსი მეორედია
ისტორიულ ცნობიერებაში, რომელიც მაღლდება ისტორიაზე”⁸.

ძეელი რუსული მწერლობის აღიარებული მკვლევარი დირქისპენზე ამ
ჩოვი ერთგან ამბობს: „ლიტერატურათმცოდნე უნდა ფლობდეს უსრიალეს
თეტიკური ათვისების მაქსიმალურ უნარს, და ერთდროულად მაქ-
სიმალურ უნარს თავისი ესთეტიკური ემოციების სხვებისთვის გა-
დაცემისა. ამ თვალსაზრისით, ლიტერატურის ისტორია არა მხო-
ლოდ მეცნიერებაა, არამედ ხელოვნებაც, და ლიტერატურის შემეც-
ნება არის არა მარტო მეცნიერული შემეცნება, არამედ მხატვრუ-
ლიც”⁹. ჩვენ ამ მოთხოვნის ერთგულებას ვცდილობდით.

⁸. Jaspers Karl, Vom Ursprung und Ziel der Geschichte, Zürich 1949, s. 16.

⁹ Д. С. Лихачев, Об эстетическом изучении памятников культуры прошлого, «Вопросы литературы», 1936., № 3, стр. 11.

პირველი თავი

პრისტიანული ხელოვნების ძირითადი პრიციპები

(შესავალი)

ადამიანისა და ღმერთის, რეალურისა და იდეალურის ქრისტიანული გაგება იყო რეაქცია ამ მომენტთა ურთიერთმიმართების ბუნებაზე, როგორც იყი ანტიკურ სამყაროში ესმოდათ. კლასიკური ანტიკურობის ხანაში კი სულიერის, იდეალურის სამკვიდროდ მიწიერ-მატერიალური, გრძნობადი არსებობა მიიჩნეოდა. ამის შესაბამისად, კლასიკური ხელოვნება „...გვაძლევს ყველაზე სრულ ურთიერთშერწყმას სულიერი და გრძნობადი უშუალო არსებობისა, როგორც მათს შესატყვისობას“¹. ან, როგორც მეორეგანაა ნათქვამი: „კლასიკურ ხელოვნებას ესმის თავისუფალი სულიერობა, როგორც განსაზღვრული ინდივიდუალობა და ჰეროტს ამ უკანასკნელს უშუალოდ მის სხეულებრივ არსებობაში...“². აქ სულიერობა ქმნის საფუძველს და პრინციპს შინაარსისა, ხოლო ბუნებრივი მოვლენა მიწიერ-გრძნობად არსებობაში — ფორმას. რეალურისა და იდეალურის ამ იგივეობაში საფუძველი და განმსაზღვრელია რეალური. მატერიალური არსებობა, ცოცხალი სხეული აქ თვითონ აფუძნებს თავის თავს და როგორც კრიტერიუმი ყველაფრისა, არ საჭიროებს არავითარ სხვა კრიტერიუმს თავისი თავისათვის. „ამისდაკვალად, აქ სხეულებრივ-ცხოვრებისეული სტიქია თავის თავს ამკვიდრებს. იგი თავისი თავისათვის მიზანიცაა და საშუალებაც, იგი თავისი თავისათვის იდეალიცაა და სინამდვილეც. იგი თავიდან ბოლომდე ერთიანად „იდეალურია“ და თავიდან ბოლომდე „რეალურია“³. აქედან გამომ-

1 Гегель, Лекции по эстетике, Соч., т. XII, М., 1938, стр. 83.

2 Гегель, Лекции по эстетике, Соч., т. XIII, М., 1940, стр. 12.

3 А. Ф. Лосев, История античной эстетики, М., 1963, стр. 60.

დიხარე, ანტიკურმა სამყარომ კატეგორია იდეალისა არ იცოდა. ამ იცოდა, იმ აზრით, რომ თანადროულობაში განთვენილი ჰარმონიიდან აშოდიოდა. სრულიად არ ფიქრობდნენ, რომ იგი უველგან ჭრაშენული სეულად იპოვნებოდა, მაგრამ აქ, ამქვეყნიურ სინამდვილეში პასუხისმას ეს ციპულად მისაწვდომი კი იყო⁴. ზოგადი, ღვთაებრივი, იდეალური უდრიდა კერძოს, ადამიანურს, რეალურს, ოლონდ რაფინირებულს, განწმენდილს უველა იმ ნაელისაგან, რაც მხოლოდ გრძნობად არსებობაშე, შემთხვევითსა და სასრულოზე მიუთითებდა. ტველი ბერძნული აზროვნება კაცობრიობის ლამაზსა და ნორმალურ ბავშვობას გამოხატავდა, როცა ამ ლოგიკის ემყარებოდა — ლამაზ სხეულში ლამაზი სულია („ნორმალური ბავშვები იყვნენ ბერძნები“⁵).

ეს ზოგადფილოსოფიური საწყისი ხელოვნებაში საყოველთაოსა და კერძოს, ზოგადისა და ინდივიდუალურის იგივეობაში გამოიხატა. ანტიკურ ლიტერატურაში გმირი ორი თვალსაზრისით არ განიხილება. საზოგადოებრივი და პირადული ადამიანის სახეში უშუალოდ ემთხვევა ერთმანეთს, წარმოადგენს არა შეერთებას, არამედ განუსხვავებლობას. ზოგადისა და ინდივიდუალურის დიალექტიკური გამთლიანების პრობლემა აქ არ დგას, ისინი იგივეობრივი არიან თავიდანვე⁶.

ეს გულუბრყვილო ჰარმონია დაარღვია ქრისტიანობამ; სამყარო „ამ ქვეყნად“ და „იმ ქვეყნად“, სინამდვილედ და იდეალად გათიშა. როგორც მარქსი ამბობს, „...მიწიერი საფუძველი თვის თავს შორდება და დამოუკიდებელი სამეფოს სახით ღრუბლებში ყარდება“. ეს გათიშვა კი „...შეიძლება აიხსნას სწორედ ამ მიწიერი საფუძვლის თვითგათიშვითა და თვითწინააღმდეგობით“⁷. გაცნობიერებული იქნა, რომ წინააღმდეგობა არსებობს ადამიანის შიგნით, ცხოვრების შიგნით: „აზრი, რომელმაც თავდაყირა დააყენა ანტიკურობისალოგიკა, იმაში მდგომარეობდა, რომ მონა ადამიანია, ხოლო, შესაბამისად, ადამიანი არის მონა ღვთისა“. რამდენადაც ღმერთი სულ-

4 Теория литературы (Основные проблемы в историческом освещении), кн. I (Образ, метод, характер), М., 1962, стр. 213. შემდგომ დავასახელებთ შემოქმედით — Теория литературы, кн...

5 К. Маркс, К критике политической экономии. Маркс, Энгельс, Ленин об искусстве, М., 1957, стр. 17.

6 Теория литературы, кн. I, стр. 328—347.

7 თეზისები ფოიერბახის შესახებ, კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული ნაწილები, 1950, გვ. 485.

შია, ადამიანი თავისი სინდისის მორჩილია; მრავალი ბატონი წაც-
ვლად, — ერთი „უფალი“, რომლის წინაშე ყველა თანასაზორა.
„მთავარია ახალი გაგება ადამიანისა და ღმერთისა, როგორც უსა-
რულობათა (მიკროკოსმოსი და მაკროკოსმოსი), და შექმნაუზმირაში-
რი (დამოუკიდებლად საზოგადოებისა, ფენისა, წოდებისა, ძღვომა-
რეობისა და ა. შ.) მიმართება (ღმერთკაცი და ღმერთი, რომელიც
ადამიანში ცხოვრობს). რომაული განმსჯელი გონებისათვის ყვე-
ლაფერი ეს ჩანდა გროვად შეუსაბამობათა: „ჯვარს აცვეს გლახა-
კი ჩამოფლეთილი და მერე უცბად ილმოჩნდა, რომ იგი ღმერ-
თია“⁸. მიწიერ, ხორციელ, ამქვეყნიურ სიგლახაეჭი თავსდება და
ცოცხლობს სულიერი, მშვენიერი, იდეალური, — აი, რა დაამ-
კვიდრა ქრისტიანობამ. ეს კი იყო დიდი აღმოჩენა ანტიკურობასთან
შედარებით

ძველი ბერძენისათვის სრულიად უცხო იყო მსჯელობისა და
ადამიანის აღქმის ეს ლოგიკა, რომელსაც პავლე მოციქულის ეპის-
ტოლეში (2, კორინთელთა, 6, 7—10) ვხვდებით: „სიტყვთა ჭეშმა-
რიტებისამთა, ძალითა ღმრთისამთა, საჭურველითა მით სიმართლი-
სამთა მარჯუნისამთა და მარცხენისამთა;

დიდებითა და გინებითა, გმობითა და ქებითა, ვითარცა მაც-
თურნი და ჭეშმარიტნი;

ვითარცა უცნაურნი და საცნაურნი, ვითარცა მოსიკუდიდნი,
და აპა ესერა ცხოველ ვართ, ვითარცა სწავლულნი და არა სიკუდი-
ლადნი;

ვითარცა მწუხარენი, და მარადის გვხარის; ვითარცა გლახაკ-
ნი, და მრავალთა განვამდიდრებთ; ვითარცა არარად გუაქუს, და ყო-
ველივე გუაქუს“.

ნეტარი ავგუსტინე ამბობს: „ღმერთს არ შეუქმნია აჩც ერ-
თი — არ ვამბობ, ანგელოზი — მაგრამ ადამიანი, რომლის შესახე-
ბაც არ უწყოდეს, რომ ბოროტი იქნება იგი, ისევე, როგორც ღმერ-
თმა ადრიდანვე უწყისის, რაგვარ კეთილ მიზანთათვის იქნებიან კაც-
ნი მისგან წინასწარგანჩინებულნი, — და ასე, — ჯაჭვი საუკუნეთა,
ვითარცა ულამაზესი პოემა, შეამკო ერთგვარ ანტითეზათაგან“⁹.

წინააღმდევობის ამ სულითაა აღბეჭდილი ქრისტიანული

8 Теория литературы, кн. I, стр. 214.

9 О граде Божием, IX, 18. Избранные сочинения Блаженного Августина, М., 1786.

შსოფლალქმა, სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობანი, მოელის
საზოგადოებრივი ცხოვრება¹⁰.

• ზოგადი და კერძო, ღვთაებრივი და მიწიერი ცნობების გადასახლები დაპირისპირებული ერთმანეთთან ქრისტიანი მოწამის მხედვების სახეში და ხელოვნებაც მათი მორიგებისა და „მთლიანობის“ თავი-სებურ გადაწყვეტას გვაძლევს.

ქრისტიანული ხელოვნება „...მოხსნის იდეისა და რეალობის დასრულებულ მთლიანობას და კვლავ უბრუნდება, თუმცა უმაღლეს პლანში, განსხვავებასა და დაპირისპირებას ამ ორი მხარისა“,— ამბობს ჰეგელი. შემდეგ ფილოსოფოსი აზუსტებს თავის აზრს. კლასიკურმა ხელოვნებამ მოვცა ყველაფერი, რის მოცემაც ძალუძს ხელოვნებას, რომლის იდეალიც გრძნობად-მატერიალურ სინამდვილეს ემთხვევა მთლიანად. „მაგრამ ამ შერწყმისას სინამდვილეში სული არ არის თავისი ჟეშმარიტი ცნების შესაბამისად წარმოდგენილი, ვინაიდან სული არის უსასრულო სუბიექტურობა იდეისა, რომელსაც, ატარებს რა აბსოლუტურად შინაგან ხასიათს, არ ძალუძს ამ სახით თავისუფლად გაიშალოს, ადექვატური ფორმა მიიღოს მანამდე, სანამ ჩაეტილია სხეულებრივ ფორმაში, განვენილია უკანასკნელში, როგორც თავისი არსებობის ადექვატურ ფორმაში“¹ ქრისტიანული ხელოვნება უარს ამბობს „...კლასიკური ხელოვნების განუყოფელ მთლიანობაზე, რამდენადაც მან მოიპოვა შინაარსი, რომელიც გამოდის საზღვრებიდან კლასიკური ხელოვნების ფორმისა და გამოხატვის მისეული საშუალებებისა“. ანტიკურ ხელოვნებაში „კონკრეტული შინაარსი არის თავის თავში მთლიანობა ადამიანური და ლეთაებრივი ბუნებისა, მთლიანობა, რომელიც სწორედ იმიტომ, რომ იგი მხოლოდ უშუალოდ და თავის თავში არსებობს, ადექვატურ გამოვლინებას აღწევს უშუალოდ და გრძნობადი სახით. ბერძნული ღმერთი გულუბრყვილო ჭვრეტისა და გრძნობადი წარმოდგენისათვის არსებობს“¹¹. ამისდაკვალად, ანტიკური ეპოსისა და ღრამის პერსონაჟთა ძალა და არის გრძნობადი სინამდვილის ფაქტების, საგნებისა და ამბების სფერო-

¹¹ Гегель, Лекции по эстетике. Сочин., т. XII, стр. 83—84.

ში ასევე გარეგნულ-ფაქტობრივად მიმართულ ორნისტუშებში ვლინდება და მათი სულიერი ფასეულობა მხოლოდ იმ შინაგანი იმპულსების პირდაპირპირპირციულად გამოიხატება, დრუებულებულია, რაც ამ გრძნობად ქმედებაში ჩანს ან იგულისხმება ჰიროლიტიკულურობა. სუბიექტის სუბიექტურობა თავის თავთან მიმართებაში დახშულია ამგვარი შეხრისათვის.

4 ქრისტიანული პოეზიის გმირის სახეში კი ღვთაებრივი და ადამიანური მხარე თავის თავში და უშუალოდ კი არ ერწყმის, არა-მედ უპირისპირდება ერთმანეთს და მხოლოდ იდეალშია მორიგებული ბრძოლისა და წინააღმდეგობის გზით; ამდენად იგი შევნებული მთლიანობაა (და არა განუსხვავებლობა). აქედან გამომდინარე, „ჟეშმარიტ სტიქიას ამ შინაარსის რეალობისათვის ახლა უკვე წარმოადგენს არა გრძნობადი, უშუალო არსებობა სულიერისა, სხეულებრივი ადამიანური სახე, არამედ თავის თავადი შინაგანი ცხოვრება. აი რატომ ხდება, რომ, რამდენადაც ქრისტიანული რელიგია მიდის წარმოადგენამდე ღმერთისა, როგორც სულისა და არა როგორც ინდივიდუალური კერძო სულისა, არამედ აბსოლუტური სულისა, რამდენადაც იგი ღმერთს სულსა და ჟეშმარიტებაში წარმოიდგენს, ამიტომ მიბრუნდა იგი წარმოსახვის გრძნობადობიდან შინაგანი სულიერი ცხოვრებისაენ¹². მატერიალური სინამდვილიდან, საგანთა, ამბავთა, გარეგნულ სიტუაციათა სფეროდან ქრისტიანულ ხელოვნებას ყურადღება ადამიანის სულის შიგნით მიმდინარე პროცესებზე გადააქვს უშუალოდ. *

ანტიკურობის საპირისპირო სულიერი, იდეალური ქრისტიანულ ესთეტიკაში ხორციელებასა და ადექვატურ გამოვლინებას თავის შიგნით ექვებს და არა რეალურ-მიწიერში. „სულს, რომელსაც პრინციპად აქვს თავის თავთან ადექვატურობა, თავისი ცნებისა და თავისი რეალობის მთლიანობა, ძალუს იპოვოს თავისი შესაბამისი არსებობა მარტო თავის მშობლიურ, საკუთარ სულიერ სამყაროში გრძნობისა, გულისა და, საერთოდ, შინაგანი ცხოვრებისა. ამის წყალობით სული შეიგნებს, რომ იგი, როგორც სული, ფლობს თავის სხვა არ სებობას თავის თავში და თავისავე შიგნით; და მხოლოდ ამის კვალობაზე იგი ტკბება თავისი უსასრულობით და თავისუფლებით¹³. სფერო გრძნობებისა, გულისა, შინაგანი ცხოვრების ინ-

¹² Гегель, Лекции по эстетике, Сочин., т. XII, стр. 84—85.

¹³ Гегель, Лекции по эстетике, Сочин., т. XIII, стр. 88. ამ ციტატით

ტრიმურობისა ქმნის მარტვილის მხატვრული სახის განმსაზღვრულ ჭინაარსს. იმის შეგნება, რომ ფაქტებთან, საგნებთან და, საერთოდ, სასრულო ემპირიულ სინამდვილესთან ამ საგანძურის ელემენტები მხოლოდ შემთხვევითა და დროებითა გადაბმული, ანიჭებული ჟურნალის ეტის თავისუფლებას და ტკბობას თავისი უსასრულობით. 

დავ პლატონი მიუთითებდა, რომ წვერში არსებული ღვთაებრივი საწყისის ლტოლვა თავისი თავის უკვდავყოფისაკენ შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ, როგორც სულის მიმართება თავის თავთან და სრული შეცნობა თავისი ბუნებისა სულისაგან (სახელმწიფო, წიგნი VII).

ჰეგელი, რომელიც ქრისტიანული შუა საუკუნეების ხელოვნებას საერთოდ „რომანტიკულს“ უწოდებს, ხოლო მის უპირველეს გამოხატულებად გაანალიზებული აქვს „რელიგიური სფერო რომანტიკული ხელოვნებისა“ (ტ. XIII), ამბობს: „ჰეშმარიტ შინაარსს რომანტიკულისა ქმნის აბსოლუტური შინაგანი ცხოვრება, ხოლო შესაბამის ფორმას — სულიერი სუბიექტურობა, რომელიც წვდება თავის დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას“¹⁴. აქედან გამომდინარე, ქრისტიანული დედალის ომქმელი სუბიექტიც განსხვავებულია ანტიკური ხელოვნების ომქმელი სუბიექტისაგან. მოწამის სახე ჰავიოგრაფიულ ნაწარმოებში თუ ბიზანტიურ ფრესკებზე გრძნობადი კვრეტისათვის არაა გათვალისწინებული. მათი ავტორები ორიენტაციას იღებენ ომქმელის შინაგან ცხოვრებაზე, გულზე, გრძნობისა და ინტიმის შეუფერხებელ ომაფრენაზე, ლირიკული ექსტაზის ისეთ ინტენსივობაზე, რომელიც ადვილად შლის საზღვარს ესთეტიკურ საგანხა და ამ საგნის ომქმელ სუბიექტს შორის. * „სულს სწყურია ხელოვნება, რათა სრულად ფლობდეს თავის თავს“¹⁵. ფრამოსახვის აქ ხილული სამყარო ევიშროება. მხატვრული სახე ბიძგს იძლევა „...ხილულიდან უხილავისაკენ,

ისევე, როგორც ჰეგელის ფილოსოფიაში, საერთოდ (ბიბლიაშიც, ეკლესიის მამების უძველეს თხზულებებში), ერთმანეთისაგან მაცრადა გარჩეული „დუხ“ და „დუშა“. პირველი იგივეა, რაც ცნება „აბსოლუტური სულისა“ ძეგლთან ან „პირველმიზეზისა“ თეოლოგიაში, რომელზეც პავლე ამბობს: „უფალი სულ არს“ (2, კორინ. 3, 17). აი, ეს „სულ“ თავის შესაბამის არსებობას, — ამბობს ჰეგელი, — პოულობს მისოვეს „მშობლიურ“ სულიერ სამყაროში ადამიანისა. ამ უკანასკნელს ძველ ქართულში „სამშეინველი“ ეწოდებოდა.

14 Гегель, Лекции по эстетике, Сочин. т. XIII, стр. 89.

15 მაქს კომერციის სიტყვები მოგვაქვს მ. ვერლის წიგნიდან — Общее литературоведение, М., 1957, стр. 84.

გრძნობადიდან ზეგრძნობადისკენ აღმასვლისათვის“. ფრესკაზე ეს იმაში გამოიხატება, რომ „ფორმები იძენენ კრისტალურ ნასიათს, ფერწერულ გამზრებას ცვლის ხაზობრივი, პლასტიკურულ უფლებობა და ხაზგასმული სიერცობლიობა აღიღის უთმობერ ცალკეულ გეგებას“¹⁶. ქართულ ქრისტიანულ ხელოვნებაში ამ ახალ ზოგადესთვე ტიკურ ტენდენციას სანიმუშოდ გამოხატავს, მაგალითად, ჰედური ხატი ზარზმიდან, რომელზედაც უფლის ფერისცვალებაა გამოსახული (IX ს.). აკად. გ. ჩუბინაშვილი მის თაობაზე წერს: „ზარზმის ფერისცვალების ხატის ფიგურები არა მხოლოდ ყოველგვარ პლასტიკურობას და მოცულობას არიან მოკლებულნი, არამედ უბრალოდ სუსტ რელიეფსაც კი. ჩვენს წინაშე საკუთრივ ხაზობრივი ნახატი... ამგვარად, გამოკვეთილად მოხაზულია ფიგურის კონტური, ფიგურის მთელი შიგნითა მხატვრობა მოცემულია ხშირი ხაზობრივი გამქაფიონებით ტანსაცმლის ნაოჭებისა; თვით სახეები ფიგურებისა შესრულებული იყო უბრალოდ საღებავებით, ე. ი. პრინციპულად უარყოფნენ პლასტიკურობას“¹⁷.

სწორედ მისი გამო, რომ ქრისტიანული პოეზიის ძირითად შინაარსს ქმნის „მზარდი საყოველთაობა და დაუცხრომლად მოქმედი სილრე სულისა“, ყველაზე შესაბამის ფორმად მას ევლინება გრძნობათა ინტენსიური მოძრაობა, ღალადისი ინტიმურობისა და, საერთოდ, ლირიკული ექსტაზი. ლირიზმი აქ ის ფორმა, ის ტონია, რომელიც „...როგორც ერთგვარი საყოველთაო არომატი სულისა, აღვსებს თვით სახვითი ხელოვნების ნაწარმოებებსაც კი, ვინაიდან აქ გონს და სულს ყველა თავისი ქმნილებით სურს ისაუბროს გონთან და სულთან“¹⁸ (აქ „დუ“ და „დუშა“ ერთმანეთის გვერდითაა და პირველისათვის ვიუენებთ — „გონს“).

როგორც ნ. დიმიტრიევა განმარტავს, „ასეთი ხელოვნების სახეებში ფიზიკურ სილამაზეს არ შეიძლებოდა არ დაეხია უკანა პლანზე და არ გადასულიყო თავის საპირისპირო მდგომარეობაშიც კი. დადგა დრო სხვა სილამაზის ძიებისა, რომელიც აღმული და გამოხატული იქნებოდა სხვაგვარიდ“. ამ ხელოვ-

¹⁶ Лазарев В. Н., Византийская эстетика, История византийской живописи, т. I, М., 1947, стр. 28, 37.

¹⁷ Г. Н. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство (Текст), Тбилиси, 1959, стр. 37—38.

¹⁸ Гегель, Лекции по эстетике, Сочин. т. XIII, стр. 97. ანალოგიური აზრი იხ. Теория литературы, кн. I, стр. 215.

ნებისათვის „...უცხოა ის სიყვარული ნატურალური, ნორმალური ფორმების სილამაზისადმი, ის სწრაფვა ცხოვრებისეულობისაკენ რომელიც ასე დამახასიათებელია ანტიკური სამყაროსათვეს კურჯული ამ ჯობინებდა შთაგონებული ექსტაზის გეგუშემრთველა ხატვას ულამაზო, გალეულ სხეულში“. წარმოდგენაც კი ლამაზი გარეგნობისა, ლამაზი სხეულისა „...გარეულ ღისპროპორციულობასა და დეფორმაციას უკავშირდება. ეს თვალსაჩინოა არა მარტო გორტიაში, არამედ აგრეთვე, მაგალითად, ბიზანტიურ ხელოვნებაში: სახეები პაწაწინა ტუჩებით, გაზვიადებულად ვიწრო ცხვირით და ძალიან დიდი თვალებით, წაგრძელებული, წვრილი, მოხრილი ფიგურები“¹⁹.

•შვენიერებაზე უარი კი არ უთქვამთ, ესთეტიკა კი არ მოუსპიათ, „დადგა დრო სხვა სილამაზის ძეგბისა“. ახალმა დრომ სილამაზის ახალი გაგება მოიტანა, მნიშვნელოვანწილად ლრმა და ისეთი სფეროების მწვდომელი, რომელიც მისი გზით და მის შემდეგ გახდა ნაწილი დამიანურობის ცნებისა. „ესთეტიკა შუა საუკუნეებში არ შეუმუსრავს ქრისტიანულ მორალურ წინააღმდეგმედებას... საქმე ეხებოდა არა უბრალოდ ბრძოლას შუასაუკუნეობრივ აზრსა და ესთეტიკას შორის, არამედ ახალ განსაზღვრებათა შექმნას, უფრო ნატიფ სხვაობათა დადგენას“. წინარე მხატვრული ტრადიციები ახალ ნიადაგზე იქნა გადმოტანილი და არა საერთოდ უარყოფილი და დანგრეული. „ხელოვნების პოლიგეტებმა მოხერხებულად „გაძარცვეს მტრები“ თავიანთი საკუთარი მიზნებისათვის, ე. ი. თავიანთი ინტერესებისათვის გამოიყენეს წარმართული ძეელი ეპოქის კულტურა და ამით გარკვეული საზომით შემოინახეს კლასიკური ხელოვნება ეკლესიის ჭრებევეშ, თუმცა ახალი სახით“²⁰. ამ ახალ ხელოვნებაში წინარე ეპოქის მიერ შექმნილი „...ობიექტურად ფასეული არ რჩება გაუგრძელებლად, თუმცა არაფერი არ განახლდება იმ სახით, რა სახითაც ერთ დროს არსებობდა. განვითარება სულიერი კულტურისა წარმოადგენს დალექტიკურ პროცესს, უარყოფისა და მემკვიდრეობის, უკუგდებისა და განგრძობის მთლიანობაში. არამეცნიერულად უნდა მივიჩნიოთ ცდები, გაგებულ იქნეს მხატვრული კულტურა ფეოდალური ფორმაციისა — უზარმაზარი

¹⁹ Искусство феодальной эпохи. Основы марксистско-ленинской эстетики, М., 1960, стр. 264.

²⁰ К. Гилберт, Г. Кун, История эстетики, М., 1960, стр. 147. იხ. აგრეთვე М. Дворжак, Очерки по искусству средневековья, стр. 72.

და ისტორიულად უცილობელი ეპოქისა ხალხთა ცხოვრებუში — როგორც სრული დაცემა, რეგრესი მონათმფლობელური კულტურასთან შედარებით. ხელოვნებას მთლიანად, მისი წევმატებული დენციებით, საერთოდ არ შეუძლია არსებობა, თუ კარგად არ წერას ცხოვრებისეულ სიმართლეს: ისტორია არ უშვებს ასე „არამწარმოებლურ დანახარჯს“²¹.

ქველი ბერძენი ხელოვანის ბავშვურად გულუბრყვილო მზერა მშვენიერს, სულიერს მხოლოდ მატერიალურში, მიწიერში, სხეულში ეძებს. ლესინგს მოაქვს ერთი ქველი ეპიგრამატისტის სიტყვები მახინჭი გარეგნობის კაცის შესახებ: „ვინ მოისურვებს დაგხატოს შენ, როცა დასანახავად ეზარები ყველას“, — და ასე ახასიათებს ანტიკურ ესთეტიკურ ნორმას: „გონიერი ბერძენი განუწესებდა მას (ხელოვნებას, გ. ფ.) უფრო ვიწრო საზღვრებს (ახალ დროსთან შედარებით, გ. ფ.) და ამოცანად უსახავდა მას მხოლოდ მშვენიერ სხეულთა განსახიერებას. ბერძენი ხელოვანი არაფერს გამოსახვადა, გარდა სილამაზისა... ბერძენი ხელოვანის ნამუშევარში მომხიბვლელი უნდა ყოფილიყო სრულყოფილობა თვითონ საგნისა“²². მაგრამ ბუნებრივად ისმება კითხვა: „რა არის სხეული, რომელიც გამოხატავს არა რაიმეს ზესხეულებრივს, არამედ სწორედ თავის თავს?.. და მაშინ ვლებულობთ, რომ სილამაზე ისაა, რაც ვლინდება სხეულებრივსავე თავისებურებებში თვით სხეულისა, ე. ი. მისი ნაწილების ჰარმონიაში, მისი სტრუქტურის სიმეტრიაში... სულ სხვა რამეს ვპოულობთ ჩვენ, მაგალითად, შუა საუკუნეების იკონოგრაფიასა ან არქიტექტურაში, სადაც გარეგნული მატერიალურობა გაგამოხატავს სრულიად არა თავის თავს, არამედ რაღაც სულიერს, რაც სხეულზე მაღლა დგას და მასში პოულობს თავის მხოლოდ მიახლოებოთ გამოხატულებას. ამისდავვალად, ობიექტური განუყოფლობა სხეულის სილამაზისა თვით სხეულისაგან, როცა შინაგანი შინაარსი მაინც დამაინც ისევ იმავე სხეულად გვევლინება, არის არსებითი თავისებურება ანტიკური სილამაზისა“²³. მატერიალურ გარემოზე ზემოქმედების, ობიექტურ მოვლენებში მონაწილეობის და ფაქტობრივი ღვაწლის პირდაპირ-პროპორციულია ანტიკური ლიტერატურის გმირის სულიერი მინა-

21 Основы марксистско-ленинской эстетики, стр. 256.

22 Лаокоон (или о границах живописи и поэзии), М., 1957, стр. 80.

23 А. Ф. Лосев, История античной эстетики, стр. 93.

არსი. სულის თავისთავადი მოძრაობა, მისი შინაგანი ცხოვრება უა-
ვის სიხარულითა და ტკივილებით ქრისტიანობამ აღმოაჩინა და მასა,
როგორც პრინციპს, არ იცნობს ანტიკური ხელოვნება, რომელიც უკუ-
„...ყველაზე ნაკლებად ღრმავდება ფსიქოლოგიაში, განსაზღვრული უკუ-
ლის შინაგან ცხოვრებაში“²⁴. „ანტიფსიქოლოგიზმი“ მიაჩინა ლო-
სევს ანტიკური ესთეტიკის ერთ თავისებურებად.

ქრისტიანული ხელოვნება „ამჯობინებდა შთაგონებული ექს-
ტაზის გამოხატვას ულამაზო, გალეულ სხეულში“. მომენტი „შთა-
გონებული ექსტაზისა“, დაბადული შინაგანი ცხოვრებისა ქმნის აქ
ისეთი ხასიათის შინაარსს, რომელიც ყველაზე ნაკლებად შეიძლება
დაუკავშირდეს რეალურ-მიწიერი ასებობის მომხიბვლელობასა და
კმაყოფილებას, სხეულებრივი სილამაზის ყვავილოვნებას, ხოლო
ყველაზე აღვილად გაუწვდის ხელს მატერიალურად უსრულსა და
ფიზიკურად ნაკლელევანს, როგორც შინაგანად შესატყვის ფორ-
მას თავისი თავისა. აი რატომ დაუკავშირდა სილამაზის ახალი გაგე-
ბა გარკვეულ დისპროპორციულობასა და დეფორმაციას (გარეგნუ-
ლი სილამაზის გაგებაც). ჰეგელი ამბობს: „ქლასიკურ სილამაზესთან
შედარებით ულამაზო აქ გამოდის, როგორც უცილობელი მომენტი
ყველა მიმართებაში“²⁵.

კ ე შედეგად ვლებულობთ იმას, რომ, მაგალითად, მარტვილის
მხატვრულ სახეში ჰავიოგრაფი ძირითადად ორიენტაციას გმირის
სულის მოძრაობაზე იღებს, მის შინაგან განცდებზე გვესაუბრება;
ინტიმი, ღალადისი, სასოება, ლოცვა, გოდება, მოლოდინი, ნატვრა,
ხმოვანება სულის უფავიზები სიმისა, საგნობრივ რეალობად ქცი-
ული ფიქრები, აი ის ასპარეზი ძირითადად, სადაც იხარჯება მოწ-
ამის შინაგანი ენერგია და რითაც მის იდეალურ ძლევამოსილებას
ვეზიარებით (სხვა ასპარეზზე მოქმედებენ აქილევსი და ოდისევსი,
ანტიგონე და ოიდიპოსი). როგორ იქცევა ამ შემთხვევაში სახვითი
ხელოვნება, მან ხომ ყველაფერი გრძნობად-მატერიალურში უნდა
გამოსახოს? ბიზანტიურ ფერწერაში, ამბობს ლაზარევი, „თავი, რო-
გორც ცენტრი სულიერი გამომხატველობისა; ხდება დომინანტი
ფიგურისა, იმორჩილებს რა ყველა დანარჩენ ნაწილს. სხეული
მთლიანად გადადის მეორე პლანზე, გადაიქცევა რა თითქმის უწო-
ნად სიდიდედ, რომელიც იმალება მიღმა ტანსაბურავის თხელი ნა-

24 იქვე, გვ. 210.

25 Гегель, Лекции по эстетике, Сочин. т. XIII, стр. 106.

აჭებისა, რომლის ხაზობრივი რიტმიკა განცენებულ, ისაციონის დრო
 ხასიათს ამჟღავნებს. იმავე განსაკუთრებულ როლს, რასაც ანტიკუ-
 ქანდაკებაში თამაშობს ტორსი, ბიზანტიურ ხატზე უმიზუსტყოფის უკუ-
 ვი²⁶. თავის კომპოზიციაში კი აქცენტირებულია მაღალი შუბლი და
 ხაზგასმულად ფართო თვალები, სადაც კონცენტრირებულია ძირი-
 თაღი სულიერი შინაარსი. თვალები ის სარქმელია, რომლითაც ვი-
 ყურებით გმირის სულში და რომლითაც, მეორე მხრივ, გმირის ში-
 ნაგანი სამყარო აშუქებს. ყურადღება ექცევა კიდურების, განსა-
 კუთრებით მტევანის დამუშავებას. წაგრძელებული ხელის თითე-
 ბის ნერვული უსტიკულაცია რთულ შინაგან ცხოვრებაზე მიუთი-
 თებს. ძველ ქართულ ხელოვნებაში ასე წარმოგვიდგებიან დავთ
 გარეჭის, ბეთანიის და უბისის ფრესკების წმინდანები, იშხნის,
 ბრეთის, მარტვილის ჭედურ ნიმუშებზე გამოსახული ფიგურები
 ჯვარცმულისა. იშხნის ჯვარცმის შესახებ გ. ჩუბინაშვილი ამბობს:
სწორედ ექსპრესია, გამომხატველობითობა გვევლინება დომი-
 ნანტად იმ შთაბეჭდილებაში, რასაც ეს ფიგურა ოძრავს, და გან-
 საკუთრებით მისი თავი, როგორც ეს სერთოლა დამახასიათებელი
 აგრეთვე აღრეული შუასაუკუნების დასავლეთ ევროპული ხე-
 ლოვნებისათვის. ...უმთავრესი და, ასე ვთქვათ, დამაგვირგვინებელი
 ყველაფრისა — ესაა სახე ჯვარცმულისა. თავი დახურული და ჩაუ-
 კენილი თვალებით გამახვილებულ სახეზე, რომელიც სავსეა მწუხა-
 რებით, გადატანილი ტანგვით, მოქანცულობით, და თითქოს მოსვე-
 ნების წინათგრძნობით შეჩერებულა. მსუბუქი დახრა თავისა მხო-
 ლოდ ავსებს ამ შთაბეჭდილებას. ამგვარად, ხელოვანს იტაცებდა
 განსახიერება არა ფიზიკური წამებისა, არამედ სულიერი ტანგვი-
 სა²⁷. განსაკუთრებით ხაზგასასმელია უკანასკნელი გარემოება: ხე-
 ლოვანს იტაცებს არა ფიზიკური წამება, არამედ სულიერი ტანგვა-
 ქრისტიანული ხელოვნების გმირი. უპირვე-
 ლეს ყოვლისა, სულიერი არსებაა წინააღმდეგ
 ანტიკური გმირისა. რომელიც, უპირველეს
 ყოვლისა, ინდივიდუმია, რომლის ქმედებაში
 ფარულად ცხოვრობს სულიერი შინაარსი (პო-
 ეტური მზერა არ გამოყოფს მას).

²⁶ Византийская эстетика, История византийской живописи, т. I, стр. 32.

²⁷ Г. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, стр. 59—60.

ამის შემდეგ ბუნებრივად ისმება კითხვა: რაზე გვესაუბრებდან
ქრისტიანული ხელოვნების ჯვარცმული ფიგურები, ანთებულ ზუღა-
ზე მეტყველი გალეული სხეულები, ულამაზოდ დაძაბული კიდურ-
ები და ნერვიულად მახვილი სახეები, რა კონკრეტული ურთისესობა
დევს ფრესკების, ჰავიოვრაფიულ მარტვილობათა და საეკლესიო
საგალობლების გმირთა ტრაგიულ ექსტაზში?

მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის ღრმად ანალიტიკური პასუ-
ხი ამ კითხვაზე ასეთია: „აქ, რა თქმა უნდა, იგულისხ-
მებოდა რაღაც უფრო ფართო, ვიდრე საეკ-
ლესიო ასკეტიზმის უბრალო გადაღება გა-
მომსახულობითი ფორმების ენაზე. ეკლესიუ-
რობის პირობით ჩარჩობში სტიქიურად იყო გამოხატული წინააღ-
მდეგობა სიმდიდრის, კეთილდღეობის, ძალაუფლების სამყაროსა
და მწერალების, სიღატაის, ტანგვის სამყაროს შორის. ეს სამყარო,
რომელიც ანტიურობის ხანაში ხელოვნების ყურადღების გარეშე
რჩებოდა და მას მხოლოდ კვარცხლბეკად ემსახურებოდა, ტალღად
მოაწყდა ხელოვნებაში და დამსხვრია შშვენიერი, მაგრამ მაინც
შეზღუდული ჰარმონია. მან თან მოიტანა „ბარბარო-
სული“, „ველური“ ფორმები: ნათელი სამყარო კლასიკური ძეელი
დროისა, როგორც ჩანდა, დაიმარხა ამ ნაკადის ქვეშ“²⁸ (ხაზი ჩვე-
ნია, — გ. ფ.).

იმის უარყოფა კი არ შეიძლება, რომ ხელოვნება ეკლესიას ექ-
ვემდებარებოდა, მაგრამ დაქვემდებარების ფაქტი არაა გადამწყვი-
ტი ამ ხელოვნების ასახსნელად.

ამოსავალ მომენტად რელიგიისთან ხელოვნების კავშირს იმი-
ტომ ვერ ავიღებთ, რომ თვით რელიგიას, ისევე როგორც ხელოვნე-
ბას, აღმოაჩინდებათ უფრო ზოგადი მნიშვნელობის განმსაზღვრელი
ფაქტორი. „საჭიროა, შევეცადოთ გავიგოთ თვით
რელიგიასა და ხელოვნების განვირობებუ-
ლობა უფრო ზოგადი ისტორიული მიზეზე-
ბით. ეს ზოგადი მიზეზები გვიხსნიან ნამდვილ საერთოობას ცნო-
ბიერების განსხვავებული ფორმებისა, როგორადაც ეპოქის რელი-
გიური და მხატვრული ცნობიერებანი გვევლინებიან“²⁹. ფრიად სა-
ყურადღებო აზრია. თვით საფუძველი ქრისტიანული რელიგიისა
გარკვეულმა ისტორიულ-ქაზოგადოებრივმა მიზეზებმა შექმნეს; ამ

28 Основы марксистско-ленинской эстетики, стр. 264.

29 Основы марксистско-ленинской эстетики, стр. 259.

რელიგიის წარმოშობა და სიცოცხლე კონკრეტულ-ადამიანური, მმ-პულსებითაა ნაკვები. ბუნებრივია, იგივე შინაარსი არყოლისა ხელოვნებაში, უპირველეს ყოვლისა, იმავე ისტორიული ნიადაგისა-გან. თუ ამას გავითვალისწინებთ, ხელოვნების რელიგიური მიზანი ჩინობა „ფარაონურად“ აღარ წარმოგვიდგება.

ხოლო თავისი საფუძველსა და თავდაპირველ შეუძლვრევილ არ-
სებობაში ქრისტიანობას არ უარყოფია და ცოდვად და ორარაო-
ბად არ გვთუცხადებია მიწიერ-სხეულებრივი არსებობა. სამყაროს
ორ ნაწილად გაყოფაში ასკეტური თვალსაჩრისი არ იღო. გარკვე-
ვით მიუთითებენ, რომ „ქრისტიანობისათვის დამახასიათებელი გა-
ყოფა სამყაროსი „აქ“ და „იქ“ — თავდაპირველად მკვეთრ-კრიტი-
კულ და კონკრეტულ-სოციალურ შინაარსს ატარებდა, ვინაიდან იმ-
პერატორების რომი მისი ბარბაროსობით და ცივილიზაციისა და
ფუფუნების მწვერვალზე ადამიანის გადაგვარებით, მისი ცხოვრე-
ბით, რომელიც მოკლებული იყო იდეალს, რამე მაღალ მიზანს, აზ-
რსა და გამოსავალს, ნამდვილად იყო ასეთი „აქ“, რომელიც სრუ-
ლიად არ შეესაბამებოდა კაცობრიობის მოწოდებასა და არსს. უკა-
ლიად (მოწოდება და არსი კაცობრიობისა, — გ. ფ.) შეიძლე-
ბოდა მხოლოდ სულიერად წარმოდგენილიყო შინააგან ჭვრეტაში.
როგორც ბეჩავი, დამცირებული ადამიანის სულში ნატარები იდე-
ალი — „იქ“³⁹. *

ბიბლიური ქრისტიანობა მატერიალური სამყაროს გრძნობად
სინამდვილეს სახიერი ღმერთის ქმნილებად თვლის, რომელსაც შე-
მოქმედის სახიერების ნიშნები გააჩნია, და არა სატანის ნაყოფად.
ყველაფერი, რაც შექმნილია, მმბობს მოციქული პავლე, შექმნი-
ლია ქრისტეს მიერ და სახიერდება ქრისტეში: „რამეთუ მის მიერ
დაებადა ყოველივე ცათა შინა და ქუცყანასა ზედა, ხილულნი და
არა ხილულნი, ანუ თუ საყდარნი, ანუ თუ უფლებანი, გინა თუ
მთავრობანი, გინა თუ ხელმწიფებანი: ყოველივე მის მიერ და მის
მიმართ დაებადა. და იგი თვალი არს ყოველთა წინა, და ყოველივე
მის მიერ დამტკიცნა“ (კოლას. 1; 16, 17). ითანეს სახარებაში წე-
რია: „ყოველივე მის მიერ შეიქმნა, და თვნიერ მისა არცა
რად იქმნა, რაოდენი რად იქმნა“ (1, 3). დავითი მმბობს: „ყოველივე
სიბრძნით ჰქმენ; აღისხო ქუცყანად დაბადებულითა შენითა“ (ფსალ-
მუნი, 103, 24). იგივე პავლე გარკვევით მიუთითებს, რომ „ქუცყ-
ანა“

³⁰ Теория литературы, кн. I, стр. 214—215.

ნიერი ესე სახლი ჩუენი კორცისად“ არის „აღშენებული ღმრთისა
მიერ“ (2 კორინთ. 5, 1).

ამვე თვალსაზრისის იზიარებდნენ ეკლესიის მამებიც. 
(II ს.) ამბობს: „თავისი ძალებით ჩვენს გონიერას არ ძალუშემიჭმულია ეს
რატოს ღმერთი, როგორიც იგი არის, მაგრამ შეიძეგნებს მას ყო-
ველთა შექმნილთა მისთა საქმეთა სილამაზითა და სამყაროს
მშვენიერებით... მისი ძალა აღავსებს ყოველივეს ცაშიც და
მიწაზეც, როგორც ამას უფალიც იტყვის. ...წმინდა წერილის თა-
ნახმად, ღმერთმა შექმნა ყოველივე და შექმნილნი უყ-
ვარს“³¹. რასებობა, ყოფიერება არის „სიკეთე“, — აი, აზრი, რო-
მელსაც მრავალგზის უბრუნდება ფსევდო-დიონისე არეოპაგელი³².
ხოლო ავგუსტინე ხაზგასმით იტყვის: „ყველაფერი, რაც არსებობს
იმ საზომით, რომლითაც იგი არსებობს, წილნაყარია სიკეთეს-
თან“³³. როცა ყოველივე ამას ვითვალისწინებთ, აღარ გვიკვირს,
რომ ბიზანტიური ლიტერატურის პოეტიკისადმი მიძღვნილ წიგნში
ერთ თავს ასეთი საგულისხმო სათაური აქვს: „ყოფიერება როგორც
სრულქმნილება — სილამაზე როგორც ყოფიერება“. ავტორი ამ-
ბობს: „პირველი, რასაც ანგარიში უნდა გაუწიოს შუა საუკუნეების
მსოფლმხედველობის განვითარებელმა, ეს არის ჩვენთვის მოუ-
ლოდნელი შეხედულება ყოფიერებაზე როგორც უპირატესობაზე,
როგორც ყველა სრულქმნილების მთლიანობაზე, რაშიც ესთეტიკუ-
რი სრულქმნილებაც შედის“³⁴.

მეორე-მესამე საუკუნეთა ზღურბლზე კლიმენტი ალექსანდრი-
ელი, ეყვარება რა ქრისტიანულად გადამუშავებულ პლატონურ ეს-
თეტიკას, წამოაყენებს პრინციპს „კეშმარიტი სილამაზისა“. აქ გა-
ერთიანებულია პლატონისეული „სილამაზის იდეა“ და მშვენიერე-
ბა მატერიალური სინამდვილისა. ასეთი სრულქმნილი სილამაზით
აღმცენდა ღმერთმა მის მიერ შექმნილი გრძნობადი ქვეყანა, — გვას-
წავლის ქრისტიანი მოაზროვნე; ადამიანის სხეულიც ღვთაებრივი
შემოქმედების ნაყოფია და იგი „სილამაზისა და თანაზომიერების

31 Творения Оригена, О началах, Казань, 1899, стр. 17, 91, 129.

32 ვეტრე იბრიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), საღმრთოთა
სახელთათვები, IV, შრომები. გამოცემა ს. ენცემაშეკლისა, 1961.

33 J. P. Migne. Patrologia cursus completus. Series Latina. Paris. 34
col. 132.

34 С. С. Аверинцев, Поэтика ранневизантийской литературы, М.,
1977, стр. 37.

კანონების” მიხედვით შეიქმნა³⁵. იმავე ეპოქის მეორე ტოტი მომართული ტერტიულიანე, რომელიც თავის თანამედროვეთ მკაცრად აფრი-
თხილებდა, არ გატაცებულიყვნენ ფუფუნებითა და გრამიტულურ-
ლამაზით, მიუთითებდა ხორციელი საწყისის დიდ შემცვევებულშეს
ადამიანთათვის: „მეტყველებაც ხორციელების ერთ-ერთი ორგანოა;
ხელოვნებანიც ხორციელების წყალობით არსებობენ. მეცნიერებაც
და გენიაც დავალებულია მისგან; ხორციელების დახმარებით აღ-
რულდება ყოველგვარი სამუშაო, ყოველგვარი საქმიანობა და ყო-
ველგვარი სამსახური“³⁶. ამგვარად, ყოველგვარ სულთარ წარმატებას
მიწიერი არსება უცილობლად ამყარებს სხეულის სამსახურზე (მა-
შინაც, როცა უარყოფს და მაღლდება ამ უკანასკნელზე. ადამიანუ-
რი არსებობის ეს ანტიოქია, რომელზედაც ჩვენს დროში კარლ იას-
კერსი მიაჰყრობს ყურადღებას, როგორც ვხედავთ, აღრევეა ნაგრძ-
ნობი).

საქმე იმაშია, რომ პოზიტიური მიმართება მატერიალური სუბ-
სტანციისადმი ქრისტიანობის საფუძველშივე დევს. რელიგიურ სის-
ტემათა გრძელ ისტორიულ რიგში ~~ქრისტიანობაა~~ პირველი რელი-
გია, რომელმაც ღმერთი ჩვეულებრივი ადამიანიდან შობილად აღი-
ქვა, ჩვენივე მსგავსი ხორციელი არსებობით შემოსა, მიწიერ სინაშ-
დვილეში აცხოვრა და ჯვარცმულის ეკლის გვირვეინი ადამიანთა
ხელით დაადგა თავზე. პავლე მოციქული ქრისტეს შესახებ ამბობს:
„მას შინა დამკვიდრებულ არს ყოველივე სავსებად ღმრთებისაა
კორციელად“ (კოლასელთა. 2. 9). მოელი სისავსე ღვთაებრივი ბუ-
ნებისა, გონებით მიუწვდომელი არსი ლოგოსისა, ამ განმარტების
მიხედვით, სრულიად ეტევა სხეულში ადამიანისა. ნიკეა-კონსტანტი-
ნებოლოს სიმბოლოს ინტერპრეტაციით კი, ქრისტეს მოსვლა მიწა-
ზე არის არა უბრალოდ „ხორცშესხმა“, არამედ მაინცდამიანც „გან-
კაცება“. ამის თაობაზე საბჭოთა ლიტერატურათმცოდნების შემა-
ჯამებელ ნაშრომში ნათქვამია: „თავისი თავგანწირვით ადამიანები-
სათვის, ხორცშესხმით, ღმერთმა უსასრულო ფასეულობა მიანიჭა
თვითეულ ადამიანს, გაითანაბრა იგი თავისთან“³⁷. ადამიანთა მწყა-
ლობელი ღმერთის იდეა, ამბობს კორნელი კეპლიძე, „არის კუთ-
ნილება ქრისტიანობისა, რომელმაც ასეთი ლოზუნგი წამოაყენა:

³⁵ Clemens Alexandrinus (Werke), 3. Aufl., Bd 1=3. Berlin, 1960—1972. Plead. I., 65.

³⁶ J. P. Migne Patrologia cursus completus. Series Latina. 2, 581 B

³⁷ Теория литературы, кн. I, стр. 214.

„ლმერთი სიყვარული არს“ (იოან. IV, 8, 16), მან, ლმერთმან, უს-
აკეთ შეიყუარა სოფელი ესე, ვითარმედ ძეცა თვისი მხოლოდშობი-
ლი მისცა მას“ (იოან. III, 16), მისცა მის წინაშე დამნაშავე ჭარბული რეაქცია
რობას „მალხინებლად ცოდვათა“ მისთა, „რათა ცხონდნენ შესამიზე მეტე
ერ“ (I იოან. IV, 9—10). სხვა რელიგიურ სისტემებში სიყვარულით
აღსავსე ლვთაების, სახიერი ლვთის ადგილს იყავებს ან ბერძნ-რო-
მელთა განკუნებული სამართლიანობა, ან ებრაელთა „თვალი თვა-
ლისა წილ და კბილი კბილისა წილ“, ან აღმოსავლეთის მრისხანე
შეიხი, რომელიც ერთსადამავე დროს ბატონ-პატონიც არის და
ულმობელი მსაჯულიც თავისი ქვეშვერდომებისა (მაკმადიანო-
ბა)“³⁸.

ქრისტე მიწაზე მცხოვრებ ადამიანებზე შზრუნველად და ამ
ქვეყნის მოყვარედ მიაჩნდათ ძველ საქართველოშიც. ასე ფიქრობ-
დნენ ერის ყველაზე საუკეთესო შვილები. იოანე საბანისძე ამბობ-
და: „ყოვლისა მჟყრობელმან ლმერთმან და დიდად უხუმინ უფალ-
მან, რომელმან არა უგულებელს-ყო ურვად კაცთად და სიყუა-
რულისათვის კაცთადა ქალწულისაგან წმიდისა კორცნი
შეიმოსნა, წმიდითა მით კორცითა მისითა სამოთ-
ხოთ გამოვრდომილსა მას კაცსა, დაცემულსა, ზეცად ალუწოდა და
მიუწდომელსა მას საიდუმლოსა ღირს ყო. რომელ-იგი არა იყო, და
დაადგრა, რომელ-იგი იყო, დიდებად მაცხოვისა ჩუენისა იქსუ
ქრისტისა მას დამდაბლებასა ჩუენთვის“³⁹ (ხაზი ჩვე-
ნია — გ. ფ.). როგორც ვხედავთ, ხორციელი ბუნება იქ „წმიდადაა“
შერაცხილი. ბიბლია გვასწავლის: „კორცნი ეგვ თქუენნი ტაძარინი
თქუენ შორის სულისა წმიდისანი არიან“ (ვაკლე, I, კორინთ. 6, 19).

არა მხოლოდ ამქვეყნიური, იმქვეყნიური ასაებობაც ქრისტია-
ნობას ხორციელი ბუნებით აქვს წარმოდგენილი. უსხეულო არსე-
ბობა მარტო მამა ღმერთს, ძეს და სულიწმიდას მიეწერება. რას
ნიშნავს ადამიანის სიკვდილი, მერე მკვდრეთით აღდგომა, რა კვდე-
ბა სახელდობრ? — სხეული. მაშასადამე, აღდგება ის, რაც კვდება,
სხეული. განა ამას არ ამბობს მოციქული პავლე: „დაეთესვის კორ-
ცი მშვნვიერი და აღდგების კორცი სულიერი“ (1 კორინთ., 15 44).
„კორცი მშვნვიერი“, მიწაში დათესილი, ამზადებს და „აღმოაჩევი-

38 ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 11, 1958, გვ. 200.

39 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი : IV—
X სს), ილია აბულაძის რედაქტორი, 1963. გვ. 51. შემდგომ დავასახელებთ შემოკ-
ლებით: ძეგლები, 1....

ლებს“ ხორცს სულიერს, რომელიც ისევეა ჩვენი ზახლი „იქ“, ოღონდ სახლი ხელთუქმნელი და უხრწელი, როგორც სუსულია ღვთის მიერ აშენებული სახლი „აქ“, მიწაზე: „უკაფური ჩერჭები ესე სახლი ჩვენი კორცისად დაირღუს, აღშენებული არტიტუნია მიერ, მაქს ჩვენ სახლი კელით-უქმნელი, საუკუნოდ ცათა შინა“ (პავლე, 2, კორინთელთა, 5, 1). ორიგენი განმარტავს: „სხეული, რომლითაც ჩვენ ვისარგებლებთ უხრწელობისას, ძალმოსილობისა და დიდების ყამს, სხვა როდი იქნება, ვიდრე ის, რომლითაც ახლა ვსარგებლობთ დამცრობასა, ხრწნადობასა და უძლურებაში: არა-მედ იგივე სხეული, განთავისუფლებული უძლურებათაგან, რომელ-შიც იგი ახლა იმყოფება, შეიცვლება დიდების სახედ და გადაიქცე-ვა სულიერად, და, ამგვარად, ის, რაც იყო ჭურჭელი უსახელო ყო-ფისა, განწმენდის შემდგომ შეიქმნება ჭურჭლად ღირსებისა და სამ-ყოფელად ნეტარებისა“⁴⁰.

• ✎ ქრისტიანობა არ უარყოფს ამ ქვეყანას, მაგრამ მიიჩნევს, რომ მიწიერი ცხოვრების ბევრი მხარე თავის თავში შეიცავს შესაძლებ-ლობას იქცეს ჩვენს მტრად; გონების მკაცრ საწყისს დაუმორჩილე-ბელი მიწიერი ბუნება აზიანებს სულიერ ცხოვრებას. უმაღლეს ძლევამოსილებად სახარება იმას კი არ მიიჩნევს, საერთოდ აღიკვე-თო და მოაშთო ხორციელი სწრაფვანი, მოაკვდინო სხეული, გაექ-ცე მტერს, არამედ შეებრძოლო მას, დასძლიო წინააღმდეგობა, გონიერების მკაცრ კონტროლს დაუქვემდებარო ხორციე-ლი სურვილი, შენ იბატონო იმაზე, რაც შენზე ცდილობს გაბატო-ნებას. წინააღმდეგობა და ბრძოლა საუკეთესო „მესა“ და მდაბალ „მეს“ შორის, ამ ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვება ითვლება ყველაზე დიდ გამარჯვებად სახარებაში (და არა სხეულის დამახინ-ჭება და მოშთობა). წინააღმდეგობითა და ბრძოლით ისნება გზა ღმერთამდე ამაღლებისა. ამ შინაგან წინააღმდეგობასა და ბრძოლა-ში განცდილი ტანჯვაა ნათელმოსილი, ვინაიდან იგი აფორმებს ჭეშ-მარიტ პიროვნულ ცნობიერებას და სიყვარულს მოყვასისადმი: (და არა ტანჯვა სხეულის მოშთობისა, რაც არაფერს ქმედით არ ქნის). სიტყვა-სიტყვით არ უნდა გავიგოთ არც ეს ნათქვამი: „არა წინააღ-დგომად ბოროტისა...“. იგიც ოთხთავის ზოგად პათოსში უნდა განვიხილოთ. ლაპარაკია იმაზე, რომ ბოროტების გზით არ უნდა ვებრძოლოთ ბოროტებას, და არა, საერთოდ, არ ვებრძოლოთ (მა-

უნ გაუგებარი იქნება ითანეს გამოცხადების „მსგავსი ძისა კაცო-
სად“, რომელსაც აქვს „მახული ორპირი აღლესული“ და „შემუშავებუ-
ლი ბოროტებას; გაუგებარი იქნება წმინდა გიორგისა და „წმიდა მხე-
დართა“ ვრცელი ლიტერატურული ციკლი). ხორცის დასახლებულებული უ-
შეუთავსებელი უნდა ყოფილიყო სახარების სულთან, როგორც ბო-
როტების გზით ბოროტებასთან. ✓

მაინც რას კრძალავს ქრისტიანობა, რისგან განრიდებას მოუ-
წოდებს იგი?

ადამიანის სულოერი სიწმინდის ყველაზე საშიშ მტრად ამ ქვე-
ყანაზე ძიხეულია სიყვარული და სწრაფული ფულისავენ, თქრო-
ვეცხლისავენ; მიწიოდ სამარცვებათავენ, ფართო მნიშვნელობით. *

კაველა მათგანს სახარება აერთიანებს ერთი მტრის — მამოხას სა-
ნით. ისინი მტრად იქცევიან, როცა გაბატონდებიან ადამიანზე, ტი-
რანებად, მჩაგვრელებად გვაქცევენ. არც ერთი მიწიერი მოთხოვ-
ნილება თავისითავად არ ითვლება ბოროტებად, ზომიერების ფარგ-
ლებში მათი დაქმაყოფილება ბუნებრივადაა მიჩნეული. ბუნებრი-
ვად, და არა ცოდვად, ითვლება საჭმელისა და სასმელის მოთხოვ-
ნილება: „იცის მამამან თქუენმან რაა გიჯმს ამათ ყოველთაგანი.
...განიცადენით შროშანნი ველისანი, ვითარ იგი აღორძნდის! მიჰ-
ხედეთ მფრინველთა ცისათა... მამა თქუენი ზეცათა ზრდის მათ;
არა-მე თქუენ უფროოს უმჯობეს ხართა მფრინველთა?“ (მათე. 6,
32, 28, 26. იხ. აგრეთვე — ლუკა. 12, 27—30). გრიგოლ ნოსელი
ამბობს, რომ ქვეყანა, ზღვა, ცა, მცენარენი, „სიმდიდრე ყოველთა
დაბადებულთა“ ღმერთმა „...ესე ყოვლითურთ დაიუნგხეს კაცი-
სატვას უბესა შინა ქუეყანისასა“. ადამიანი უნდა „...იყოს კეთილთა
მათ ზედა უფალ, რათა გულისხმა-ყოს მოცემული იგი მისი, რომ-
ლითა იშუებდეს და ცნას ძალი შემოქმედისა თვესისაც“⁴¹. მამაკაცი-
სა და ქალის ურთიერთლტოლვა და შეულლება მიჩნეულია ღვთის
საქმედ და არა ეშმაკისა: „პატიოსან არს ქორწილი ყოვლითავე და
საწოლი შეუგინებელ“ * (ეპრაელთა. 13, 4); ან: „რომელი იგი
ღმერთმან შეაულლნა, კაცნი ნუ განაშორებნ“ (მათე. 19, 6). * მაგრამ
როგორც კი თავს ნებას მივცემთ, მივიღოთ უფრო მეტი, ვიდრე
გვეირდება და ზომიერების ფარგლებს გადავალთ, ის, რაც ბუნებ-
რივი იყო, იქცევა ბოროტებად, ცოდვად. ასე გადაიქცევა ჭამა-სმის

41 უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ეჭუსთა დღეთასა“
და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა „კაცისა ეგებულებისათვას“, გამოცემა ილია
აბელაძისა, 1964, გვ. 147.

მოთხოვნილება — გაუმაძლრობად, ქურდობად; ფულის სტანციება — ოქროს მოყვარეობად, მომხვეჭელობად, ტირაზიდ; ცენტრბრივი მოთხოვნილება — მრუშობად. ზემოთ მოტანილი კოდეტუტუტები მოციქულისა: „პატიოსან არს ქორწილი ყოვლით ყველა შეუგინებელ“, — ასე სრულდება: „ხოლო მეძავნი და მემრუშენი საჭნეს ღმერთმან“. • შემდგომი მუხლი კი გვაუწყებს: „ვეცხლის უყუარულ იყვენით სახითა, კმა-გვყავნ, რომელი-იგი გაქუნდეს“. როცა სულიერ სიკეთეს გულისთქმა ეჯახება, პირველს უნდა მოვუსმინოთ და მეორე ავლაგროთ, — აი, რა იგულისხმება მოციქულის სიტყვებში: „სულითა ვიდოდეთ და კორცთა გულის თქუმასა ნუ აღასრულებთ“ (გალატელთა, 5, 16). ეს დებულება აბსოლუტური მნიშვნელობით იქნა გააზრებული, თუმცა იქვეა განმარტებული რომ ავხორცულ გულისთქმათა შორის იგულისხმება: „სიძვანი, მრუშებანი, არაწმიდებანი, ბილწებანი“ (19).

~~☒~~ სახარება გაქცევას კი არ მოითხოვს ამ ქვეყნიდან, არამედ თავისი თავის მოყვარულობიდან გამომდინარე ინსტინქტთა ალკვეთას, თვითაღვევეთას და მოყვასის სიყვარულით აღვსებას. ეს კი სხვადასხვა რამეა. მოთხოვნა უკომპრომისოა და შინაგან სიმტკიცეზე ორიენტირებული: „უკუთუ თუალი შენი მარჯუნე გაცოუნებდეს შენ, აღმოილე იგი და განაგდე შენგან; და უკეთუ მარჯუნე კელი შენი გაცოუნებდეს შენ, მოიკუთ იგი და განაგდე შენგან“ (მათე, 5, 29, 30). ა. პარნაიი წერს ამის გამო: „ყოველგვარი გრძნობადი სწრაფვა, რომელიც გვბილწავს ჩვენ ან გვხდის მონებად ჩვენს გულისთქმათა, ჩანასახშივე უნდა იქნეს ჩაკლული, — და არა იმიტომ, რომ ღმერთს სიამოვნებს სახიჩრობა, არამედ იმიტომ, რომ სხვაგვარად ჩვენ ვერ შევძლებთ შევინარჩუნოთ საუკეთესო ნაწილი ჩვენი აჩსებობისა. ეს მკაცრი მცნებაა და მისი შესრულება შესაძლებელია არა საერთოდ ალკვეთის ფორმით, როგორც ამას ნერგვავენ ბერები და რომლის შემდეგაც ხშირად ყველაფერი ძველებურად რჩება, არამედ მხოლოდ ბრძოლისა და მამაცური განხეთქილების (ხორციელ ვნებასთან, — გ. ფ.), გზით, როცა ამას გადამწყვეტი წუთი მოითხოვს ჩვენგან“⁴².

* ~~☒~~ ყველაფერი, რასაც ადამიანისაგან ქრისტეს მოძღვრება მოითხოვს, დაკავშირებულია არა უძრაობასა და უმოქმედობასთან, —

42 Адольф Гарнак, Сущность христианства, С.-Петербург, 1907, стр. 63.

არამედ მოქმედებასთან, შეურიგებელ ბრძოლასთან, სიმტკიცუსთან
არა გაქცევა მამონასაგან — შეუპოვარი ბრძოლა მასთან, ბრძოლა
გამარჯვებამდე, — ამას გულისხმობს მაცდუნებელი მარჯვენაზე მუჭათული
ვეთა, ვერცხლის სიყვარულისაგან თავშეკავება, მრუშობის მულტიმედია
თქმათ ჩაკვლა, მოყვასის საკუთარი თავის თანაბრად სიყვარული.
მხოლოდ აქა საუნჯე. უკომპრომისო მოწოდება: „სადაცა არს სა-
უნჯე თქუენი, მუნცა იყო ფფლი თქუენი“ (მათგ. 6, 21).

ამოდიოდა რა სახარების არსის კეშმარიტი გავებიდან, ორიგ-
ნი ამბობდა: მოძრაობა და ქმედება უცილობელია ყოველი ცოცხალი
არსებისათვის; „მითუმეტეს გარდუვალია სულ მოძრაობდეს და რა-
იმეს აკეთებდეს გონიერი ცხოველი, ე. ი. ადამიანური ბუნება“.
როცა მას ვერ შეუცვნია თავისი თავი და ლირება, მთელ ყურად-
ღებას სხეულებრივი მოთხოვნილებისაკენ მიმართავს. „ხოლო თუ
ადამიანი ისეთია, რომ ცდილობს იზრუნოს რომელიმე საზოგადო-
ებრივ საქმეზე, იგი თავის ძალებს ან სახელმწიფოზე მეურვეობას
ახმარს, ან ზედამგომელთა მორჩილებას. ან ისეთ რაიმეს; რაც ყვე-
ლა შემთხვევაში შეიძლება გამოადგეს საზოგადოებას. ხოლო თუ
ადამიანი... სიბრძნისა და ცოდნის გზას მიუყვება, მაშინ უეჭველია,
თავისი სიბეჭითო მან იმგვარ მეცადინეობისკენ მიმართა, რომ გამო-
იყვლიოს კეშმარიტება და შეიცნოს საგანთა მიზეზები და საფუ-
ლილი“⁴³.

✓ როგორც ვხედავთ, ნორმად მიჩნეული იყო ქმედითი და არა
პასიური ცხოვრება. მხოლოდ ქმედითი ცხოვრებით, კეშმარიტები-
სათვის დაუღალავი გარებით მიიკვალება გზა ადამიანობიდან ღმერ-
თობისაკენ /იდეა თეოზისისა, ადამიანის განლრთობისა, ყველაზე
ნათლად წარმოაჩენს იმ სიმაღლეს, რომელზედაც ქრისტოლოგია
აყენებს ადამის შთამომავალთ⁴⁴. ხოლო კაცის ღმერთამდე ამაღლე-
ბის გზები ჯერ კიდევ ძველ ალთქმაშია დასახული, როცა უფალი
თავისი სახით ქმნის ადამიანს (შესაქმ. 1. 26, 27.). ამ აქტს ასე გან-
მარტივს ორიგენი: „მან თქვა: „ვქმნეთ კაცი ხატად ჩუენდა“, მაგ-
რამ დაიდუმა მსგავსებაზე. ამით იგი სხვას არაფერს აჩვენებს, თუ
არ იმას, რომ ლირსეულობა სახისა ადამიანმა მიიღო პირველქმნა-
დობის ეამს, სრულყოფილობა მსგავსებისა კი მიიღწევა ბოლოს;
ე. ი. ადამიანმა თვითონ უნდა მოიპოვოს იგი თავისი საკუთარი ბე-

⁴³ Творения, стр. 171.

⁴⁴ P. Bratsiotis. Die Lehre der Orthodoxer Kirche über die Theiosis des Menschen. Brussel. 1961.

ჭითი შრომით ღვთის შემსგავსების გზაზე, რამდენადაც შეცამლებლობა სრულყოფილობისა მას დასაწყისშივე აქვს ბოძებული სახის ღირსეულობით; სრულყოფილ მსგავსებას კი იგი უმრავლესობის ბოლოს საქმეთა ოლსრულების გზით⁴⁵.

მოციქულ იოანეს მიხედვით, ადამიანის ხელი პერსპექტიულად მიემართება ღმერთობისაკენ: „აშ შეილნი ღმრთისანი ვართ და არღმა გამოჩადნებულ ას, რა ყოფად ვართ. ვარნა ვიცით, რამეთუ უკეთუ გამოცხადნეს, მსგავს მისა ვიყვნეთ“ (I, იოანე. 3. 2.). სახარებაში ქრისტე მიუთითებს, რომ ადამიანის მიმსგავსება ღვთაებასთან არა მარტო მოხდება, არამედ მამა ღმერთთან სწორედ მისი (ძის) შუამდგომლობით განხორციელდება (იოანე. 17, 21, 24.). იქვე ადამიანებს მიემართება ძველი აღთქმისეული (იხ. მოსე. 21, 6; ფსალმ. 81. 6.), სიტყვები: „ღმერთი სამე ხართ“ (იოანე. 10. 34.).

~~ცხადია,~~ რომ „ადამიანის პრინციპული მიმსგავსება ღმერთთან ადამიანის სრულყოფილობის აღიარებაა, რასაც მხოლოდ ქრისტიანობა უშვებს“⁴⁶. ღმერთის ხორციელების (განკაცების) აქტით „...ადამიანი ხდება ყველა ხორციელ ასებათა შორის ღმერთთან ყველაზე ახლობელ ქმნილებად“⁴⁷. ეკლესიის ცნობილ მამას ათანასე ალექსანდრი ელს უთქვაშს: „ღვთაება-სიტყვა იქმნა კაცად, რათა ჩვენ ხელგვერივებოდეს განმრთობა“⁴⁸. ადამიანის ღმერთიმდე ამაღლებაზე საგანგებოდ უწერიათ ფსევდო-დიონისე არეოპაგელს („საღმრთო სახელთათვს“), გრიგოლ ნისელს („კაცისა აგებულებისათვს“, თავები: ბ, გ, დ, ე), იოანე ოქროპირსა და ეფრემ ასურს.

ცხადი ხდება, რომ ის, რასაც სახარება მოითხოვს ადამიანისაგან, არის უკომპრომისო მორალი და მიწიერ სიამოვნებასთან მიმართებაში მეტად ზომიერების ფარგლებში არ სცილდება. ქრისტიანულ მსოფლალებაში სულიერი საწყისი ნამდვილად უპირისიპირდება ხორციელს, მაგრამ წინააღმდეგობა აქ გულისხმობს ბრძოლას ხორციელი საწყისის სულიერისათვის დასამორჩილებლად, პირველის შეფარდებით მნიშვნელობას მეორის აბსოლუტურ მნიშვნელობასთან.

• ამგვარად, ადამიანის მატერიალური ბუნების ქრისტოლოგიური

45 Творения, стр. 291.

46 გ. იმედაშვილი, ვეფხისტყაოსანი და ქართული კულტურა, 1968, 83. 156.

47 В. Н. Лазарев, История византийской живописи, т. I, стр. 24.

48 მოგვაწვს ვ. ლაზარევის დასახელებული ნაშრომის მიხედვით, გვ. 24.

ინტერპრეტაცია ცხად ანტინომიზმს ემყარება; ჩვენი ხორციელო
არსებობა, „ტაძარი ჩუენ შორის სულისა წმიდისანი“, ცოდვებს ა-
წყისსაც შეიცავს და მკაცრ ზნეობრივ კონტროლს დაუქვემდებულება
ბლად სულიერი დაცემით გვემუქრება. მაგრამ „არ შეიძლება დაფუძნოს“ თანხმოთ ზოგიერთი ავტორის აზრს იმის შესახებ, რომ სულის მა-
ტერიალისთან „მკვეთრმა“ დაპირისპირებამ სხეულის უარყოფასთან
მივიყვანა, ხოლო იდეალი, რომელიც საფუძვლად ედო ქრისტია-
ნულ ესთეტიკასა და ხელოვნებას, იყო „მოშთობა სხეულისა“. ც

...იდეალი იყო არა „მოშთობა სხეულისა“ (ბერთა და განდევილთა
ცხოვრების მსგავს უკიდურესობებს სრულიად არ წაახალისებდნენ
ხოლმე ქრისტიანობის წამყვანი იდეოლოგები), არამედ „განშემენ-
და“, „გასხივოსნება“, და „ფერისცვალება მისი“⁴⁹.

„ აქედან იღებს სათავეს ქრისტიანთა სწრაფვა თავშეკავებისაკენ, უ-
ზომიერებისაკენ, ასკეტიზმისაკენ. ასე იქცევა სამყარო მართლმორ-
წმუნე ქრისტიანისათვის ბრძოლად. „სამყარო თქენი, — მიმარ-
თავს ტერტულიანე თანამოაზრებს, — არის ბრძოლა დევთან“. ც
ხოლო ამ ომის ყველაზე ძნელი ნაწილი ბრძოლა საკუთარ თავთან.
კლიმენტი ალექსანდრიელს უთქვამს: „ჩვენ ყველგან დავატარებთ
ჩვენს მტერს ჩვენსავე შიგნით... და თუ გარეგანი ბრძოლა აღვილად
მთავრდება, ბრძოლა ჩვენს სულში გრძელდება თვით სიკვდილაშ-
დე“⁵⁰. მაგრამ ასკეტური ხასიათის ამ ომისათვის სხეულის შეჭირ-
ვება და გრძნობად ლტოლვათა აღკვეთა თვითმიზანი და აბსტრაქ-
ტული ამოცანა როდია. როგორც პავლე მოციქული განმარტავს, ეს
არის ბრძოლა არა „სისხლთა მიმართ და კორცთა, არამედ მთავრო-
ბათა მიმართ და კელმწიფებათა, სოფლისა მცყრბელთა მიმართ ბნე-
ლისა მის საწუთოობისათა, სულთა მიმართ უკეთურებისათა, რო-
მელნი არიან ცასა ქუშე“ (ეფესელთა. 6. 12.). ხოლო მეორე საუ-
კუნის მოღვაწე ტატიანე იტყვის: „სამყარო მშვენივრობა მოწყო-
ბილი, მაგრამ სულელურია მისი პოლიტიკური წყობა“, რადგან ქე-
ბა-დიდებითა და ტაშით უმასპინძლდება უზნეოთა და უციცო, ხო-
ლო კეთილმოქმედთა და „სწავლულთ აწვალებს და სჯის“⁵¹. ირკვევა,
რომ ასკეტურ შემართებას თავის პრინციპულ საფუძვლად იდეო-

49 В. В. Бычков. Византийская эстетика. М., 1977, стр. 72—73.

50 ტერტულიანესა და კლიმენტი ალექსანდრიელის აზრები მოგვავს ხ. ავე-
რინცევის წიგნიდან — Психика ранневизантийской литературы, стр. 125.

51 I. P. Migne. Potrologiae cursus completus. Series graeca. 6.
849 A.

Лонгинури и да сопривалуро წანამძღვრები ედო და რამდენადაც ზენ-
ობრივი მრწამსის ერთგულება ამას საჭიროებდა, საზოგადოებრივის სა-
ცხადების შვილები მატერიალურ ინტერესებსაც იზუტავდნენ; რა-
კი თავთან ამგვარი დაპირისპირებით საზოგადოებრივ მოწყობებების
უპირისპირებოდნენ, ხორციელ სიამოვნებათადმი დამონაბულო
2 ამ კერპის არარაობას წარმოუჩენენ, თავის თავთან ეს ბრძოლა
გაგული იყო როგორც თანამონაწილეობა კოსმიურ ომში, ღვთა-
ებრივ ლაშქრობაში ღვთისმგმობელთა წინააღმდეგ. წარმოშობის-
1 თანავე ქრისტიანობა იყო „რელიგია პიროვნული ერთგულებისა,
ღვთისადმი მხედრული სამსახურისა“. აქედან გამომდინარე მოიაზ-
რებოდა მარხვა, როგორც „მეომრული გუშაგობა“ და ასკეზი, რო-
გორც „სამხედრო დისციპლინა“. „სახარებისეული წმინდა ისტო-
რია“ მსჯელობს არა უბრალოდ „კეთილსინდისიერებაზე“. არამედ
ერთგულებაზე (საგულისხმებელ ერთგულებაზე ღვთისადმი ერთ-
გულებაზე, რომელიც ადამიანისაგან მოითხოვდა) „ა. მალმომრეო-
ბისა და უზნეობის ატმოსფეროში იდეალდ ვერ ჩაითვლება ოდენ
„კეთილსინდისიერება“, გვასწავლის ისტორია ასკეტიზმისა, საჭი-
როა „მხედრული ერთგულება“ ვეშმარიტებისა, საკუთარ მიწიერ
ინტერესთა შეგნებული დამდაბლების საფაურად უნდა ავამაღლოთ
და ფასი დავდოთ იმას, რაც ასე დაუმდაბლებიათ.

X ამგვარად, როცა ქრისტიანული მსოფლშეგრძნების ასკეტურ
ელემენტები ვმსჯელობთ, საჭიროა მის ისტორიულ-საზოგადოებრივ
წანამძღვრებს ჩავწედეთ და ამ მოვლენის თვითმიზნურ-აბსტრაქ-
ტული უკიდურესობანი მის არსად არ გამოვაცხადოთ. ხოლო ისტო-
რია მრავალ მაგალითს გვაძლევს იმისა, რომ ამა თუ იმ მოღვაწის
ასკეტურ შემართებას სასარგებლო ნაყოფი მოუტანია, მებრძოლი
სული, რწმენა და იმედი გაუღვიძებია თანამედროვეთა შორის ძნელ-
ბედობის უამს. ასეთ მებრძოლ სულს, ბოროტებისათვის ქედმოუხ-
რელობის პათოსს თესავს უძველესი ქართული ჰაგიოგრაფიული
თხზულების გმირი შუშანიკი, როცა ნაგვემ სახეზე შემხმარ სისხლს
სიწმინდესავით დატარებს და წყლულზე დახვეულ მატლებს აჩვე-
ნებს იკვიბ ხუცესს; როცა ბორჯილთა ახსნაზე ამბობს უარს და რო-
ცა „სასთაულსა ზედა თავი არა მიღვის, გარნა ალიზი ერთი დაიდვის
სასთუნალ“. ის შემართება, რომლითაც შუშანიკი თავის ინდივიდუ-

ალურ იმპულსებს უპირისპირდება, უნდა გავიგოთ ისე, როგორც
მის თანადროულობას ესმოდა: ხორციელი სწრაფვა, თუ მისი მოდევა-
ნება უმაღლესს, საზოგადოებრივად უმნიშვნელოვანეს ფასეულო-
ბებს ამცირებს, უნდა აღვევეთოთ, უნდა დავიმორჩილოთ შემატებული
ჩვენს დამორჩილებას ცდილობს.

7 მეცნიერება საუკუნის დასაწყისშივე სირიაში იქმნება თხზულება—
„ცხოვრება ალექსი კაცისა ღმრთისა“, რომელიც მერე ბერძნულის
გზით მთელს ევროპაში ვრცელდება და საოცრად პოპულარული
ხდება (მეთე საუკუნიდან იგი საქართველოშიც ერთობ ცნობილი ნა-
წარმოებია). ამ თხზულების მთავარი გმირის ცხოვრება გამორჩეუ-
ლი ასკეტური რიგორიზმითა აღბეჭდილი და საქმეში ჩაუხედავ
თანამედროვე მჟითხველს აბნევს. ამის გამო ს. ავერინცევი ამბობს:
თუ ალექსის ქცევა შეაცირი აბსურდია, ეს არის პასუხი თვით ცხოვ-
რების აბსურდზე. შარავანდედი, რომელიც „ღმრთის კაცის“ თავს
ამჟობს, იფარავდა ღირსებას სიღარიბისა. შეგინძული და დამცი-
რებული გლახავი, რჩებოდა რა ფსკერზე ცხოვრებისა, რაღაც დრო-
ით მაინც აღარ ხედავდა ბრწყინვალებას ძლიერთა ამა ქვეყნისათა;
სულიერი ჰვრეტით მას შეეძლო მათთვის ზევიდან დაეხედა, შეეძ-
ლო მეტიც — შესცოდებოდა ისინი. „ლეგენდა. ალექსიზე, რომ-
ლის სიმკაცრე თანამედროვე მკითხველს ასე ხშირად ეჩვენება უაზ-
როდ და არაამამიანურად, უპასუხებდა ძალიან ღრმა სულიერ მო-
თხოვნებს უზარმაზარი ეპოქისა და სწორედ უბრალო ადამიანებში
სხვადასხვა ქვეყნისა გაუგონარ წარმატებას მიაღწია. ეს წარმატება
ათასწლეულზე დიღხანს გრძელდებოდა“⁵³.

χ მიუთითებენ, რომ აღრეული ეპოქის ქრისტიანებს არა მხო-
ლოდ სულიერი იდეალების კვალობაზე სჭირდებოდათ სხეულისად-
მი ასკეტური დამოკიდებულება, ფუფუნება-სილამაზისაგან განრი-
დება. მეორე-მესამე საუკუნეებში, ქრისტიანთა დევნილობის ამ
მძიმე პერიოდში, ახალი ეთიკურ-ესთეტიკური იდეალები ყალიბ-
დება; ქრისტიანი მოღვაწეები მამაცობის, გამძლეობის, ტანჯვათა
ატანის სულისკვეთებით წვრთნიან თავიანთ თავს. ხოლო ფუფუნე-
ბის, კველაფრის მოყირჭების ელინისტური ატმოსფერო, სულის
მომადუნებელი მისეული ნორმა „სილამაზისა“, რა თქმა უნდა, ამ-
გვარ წვრთნას ხელს ვერ შეუწყობდა. „მე არ ვიცი, — უთქვამს
ამის გამო ტერტულიანეს, — ძალუძს თუ არა წელებს, სამაჭურებს

53 ს. ავერინცევის დასახელებული ნაშრომი, გვ. 33.

შიჩვეულთ, ასწიონ სიმძიმე ბორვილთა. ვეჭვობ, რომ ფეხებს, ასე
ხშირად რომ აბრეშუმის წვივსაკრავებს ატარებენ, შეუძლოთ არა-
ნონ ტკივილი თოკისა, რომელსაც ისინი შეუბოჭავს. უშიშობ, რომ
თავი, ზურმუხტითა და ბრილიანტებით დაფარულობს კულტურული
დაიხევს უკან ხმლისაგან, რომელიც ყოველ საათს გვერდისა
ჩვენ“⁵⁴.

თუ ქრისტიანობის არსში ღრმად ჩავიხედავთ, მივხდებით,
რომ გრძნობადი სინამდვილისადმი ყურადღების უფრო მეტის ძა-
ლითა და კატეგორიულობით კონცენტრაცია შეუფერებელია ძის-
თვის. ქრისტიანობა იმით განდა მსოფლიო რელიგია და ადამიანთა
გულისა და გონების მბრძანებელი საუკუნეთა მანძილზე, რომ თვი-
თუელ შეგნებულ არსებაში აღძრა კითხვა, რომელიც ეხება არა საგ-
ნებს, არამედ ჩვენ, ადამიანის კეშმარიტ არსს: არის თუ არა მიზან-
შეწონილი, სიკეთედ და მთავარ ფასეულობად მივიჩნიოთ საკუთ-
რება, ოქრო-ვერცხლი, ნათესაური კავშირი, პატივი, მემკვიდრეო-
ბა, თანამდებობა?... ნამდვილ სიკეთედ გამოცხადდა შინაგანი სათ-
ნოება პიროვნებისა და სიკავრული მოყასისადმი. ამით ქრისტია-
ნობამ ხელი შეახო, გამოალვიდა და საზრდო მისცა ყველაზე ადა-
მიანურ ნერვს ადამიანში, ამალლდა გრძნობადი სინამდვილის ფასე-
ულობაზე. ეს ასპექტი ხაზგასმით აქვს წარმოჩინებული ენგელს: „ქ-
რისტიანობა შეეხო სიმს, რომელსაც უამრავი გული უნდა გამოხ-
მაურებოდა“. მსჯელობს რა ქრისტიანობამდელ და ქრისტიანობის
თანადროულ რელიგიურ სისტემებზე, ენგელი მიუთითებს, რომ
ყველა მათგანისათვის იყო დამახასიათებელი ისეთი მსხვერპლის
მიტანა ღვთაებისათვის, რომელიც მატერიალურ ფასეულობას შეი-
ცავდა. ქრისტიანობამ უარი თქვა ასეთ მსხვერპლშეწირვაზე, ამალ-
ლდა ყველა ეროვნულ საკულტო წეს-ჩვეულებაზე და პირველ მსო-
ფლიო რელიგიიდ იქცა. ადამიანის მოყვარული ღვთაების თვალში
ადამიანი მაღლდება არა რაიმე მიწიერი ფასეულობებს მსხვერპლად
შეწირვით, არამედ „თავისი საკუთარი გულის ღვთისათვის მიტანის
გზით“⁵⁵.

ჩვენ ზემოთ უკვე მოვიტანეთ კ. კეკელიძის სიტყვები, რომ
სხვა რელიგიურმა სისტემებმა არ იცის ცნება სახიერი ღვთაებისა,

54 მოგვაძეს ვ. ბიჩურეს მიხედვით — Византийская эстетика, стр. 73.

55 Бруно Бауер и первоначальное христианство. К. Марке и Ф. Энгельс, Сочинения, т. 19, М., 1961, стр. 314, 313, 308.

რომ ადამიანთა მოყვარული და მწყალობელი ღმერთის „იდეა ურის კუთვნილება ქრისტიანობისა, რომელმაც ასეთი ლოზუნგი წამოა-
ყენა: „ღმერთი სიყვარული არს“. იმ რელიგიაში, რომელიც ქადა-
გებს, რომ ღმერთმა „ესრეთ შეიყუარა სოფელი ესე, ვითა მართება
ძეცა მხოლოდშობილი მისცა მას“, იმავე „სოფლის“ მოძულება არ
შეიძლება პრინციპი იყოს. არ შეიძლება პრინციპი იყოს, ვინაიდან
ქრისტეს მოძღვრება წარმოადგენს „...ხარებას ღვთაებაზე სასოე-
ბისა, თავმდაბლობისა, ცოდვათა მიტევებისა და გულმოწყალებისა.
...შეკრული მთლიანობა, რომელსაც ქმნიან ისინი (აღნიშნული იდე-
ები, — გ. ფ.), არ დაუშვებს მინარევს რაიმეგვარი სხვა ნორმისა.
...არსებობს ღვთაებასთონ ისეთი შერწყმა, რომლის წინაშეც ყოველ-
გვარ საკითხს ასევზისა და ქვეყნიდან გაქცევის შესახებ აზრი ეკარ-
გება. ...ეს არის — თავისი თავის უარყოფა და სიყვარული⁵⁶. ჩვენ
უკვე განვმარტეთ, რომ ეს უარყოფა არის თვითაღვეთა, ჩაკვლა
იმ გრძნობად მიღრევილებათა, რომლებიც წაბილწვით გვემუქრები-
ან. სიყვარული კი არის — სიყვარული მოყვასისა და იმისა, ვინც
არის პირველმიზეზი ყოველი სათნოებისა. ეს არის გზა ღვთაები-
სადმი „საკუთარი გულის მიტანისა“, როგორც შესანიშნავად ამ-
ბობს ენგელის.

ეს რელიგიური მსოფლალქმა კი, მღალადებელი სასოებისა, თავ-
ძღაბლობისა, ცოდვათა მიტევებისა, გულმოწყალებისა, მოყვასის
სიყვარულისა, იშვა, როგორც ჩაქცია, როგორც განრიდება იმ სა-
ზოგადოებრივი ცხოვრებისაგან, რომელიც დაცარიელდა ყოველგვა-
რი ზნებრივი იდეალისაგან და სადაც ეგოისტურმა ინსტინქტებმა
შთანთქა ყოველგვარი სათნოება, თავმდაბლობა, გულმოწყალება და
სიყვარული მეორე ადამიანისადმი. ქრისტიანობა რომ ამ რეალურ-
საზოგადოებრივმა წანამძღვრებმა წარმოშვა და მის მსოფლალქმაში
რომ კონკრეტულ-სოციალური შინაარსია პრეკლილი, ეს ცხადადაა
ნაჩვენები ენგელის იმავე ნაშრომში. ენგელის საგანგებოდ ჩერდე-
ბა რომის იმპერიის პოლიტიკურ, სოციალურ, მორალურ ვითარე-
ბაზე ქრისტიანობის წინა ხანაში და მიუთითებს, რომ დაცემულო-
ბის საერთო ატმოსფეროში, საყოველთაო პათიისა და დემორალი-
ზაციის ვითარებაში წარმოიშვა წინააღმდეგობის მძაფრი სულისკვე-
თება, სწრაფვა ხსნისავენ. ასეთი ხსნა სულის სფეროში განხორ-
ციელდა; ნუგეში რელიგიური ფორმით მოგვევლინა და დაიპყრო

56 А. Гарнак, Сущность христианства, стр. 64, 62.

3. გ. ფარულავა

ადამიანთა გულები. ხასზგასმულია, რომ ქრისტიანთა, როგორც
რელიგია, წარმოიშვა საყოველთაო დაცუმის ატმოსფეროში, წარმო-
იშვა, როგორც პროტესტი, წინააღმდეგობა, სწრაფვარაში მომავალი-
დან განთავისუფლებისაკენ და, ამისდაკვალად, ყველაზე სუ-
ლისკვეთებას, „სიძულვილს მათი ცხოვრების პირობების წინააღ-
მდეგ“⁵⁷.

ჩვენ ზემოთ უკვე დავიმოწმეთ აზრი იმის შესახებ, რომ ქრის-
ტიანობა, როგორც რელიგია, განპირობებული იყო ზოგადი ისტო-
რიული მიზეზებით, რომ „ქრისტიანობისათვის დამახასიათებელი
გაყოფა სამყაროსი — „აქ“ და „იქ“ თავდაპირველად მკვეთრ-
კრიტიკულ და კონკრეტულ-სოციალურ შინა-
არსს ატარებდა“, და როგორც წინააღმდეგობა და სწრაფვა
განთავისუფლებისაკენ, იყო „ბენავი, დამცირებული ადამიანის
სულში ნატარები იდეალი“.

აქედან უკვე შეიძლება შეიკრას გაწყვეტილი ჯაჭვი ჩვენი
მსჯელობისა. ქრისტიანობის არსისა და ძირების მიმოხილვა ჩვენ
დავვეტირდა, რათა გაგერკვადა ქრისტიანული რელიგიისა და ხელოვ-
ნების განპირობებულობა ზოგადი ისტორიული წანამდლვრებით, ხო-
ლო ამის საშუალებით გვეპასუხა კითხვაზე — რას გამოხატავს წი-
ნააღმდეგობის ის სული, რომლითაც გაულენთილია მთელი ქრისტია-
ნული ხელოვნება, არის თუ არა მასში ადამიანურად საგულისხმო
შინაარსი?

ახლა ჩვენთვის საეჭვო აღარ უნდა იყოს, რომ ქრისტიანული
რელიგია, ისევე როგორც მისი შესაბამისი ესთეტიკური მსოფლაღ-
ებმა, არის პროდუქტი „უფრო ზოგადი ისტორიული მიზეზებისა“,
ამოზრდილია გარკვეულ საზოგადოებრივ-სოციალურ ნიადგზე და
თავის თავში არეკლავს ამ კონკრეტულ-ადამიანური შინაარსისადმი
მიმართებას. ✓

ახლა უფრო ადვილია ვუპასუხოთ მეორე, ძირითად კითხვას.
რაյი დაგრწმუნდით, რომ ქრისტიანობისათვის დამახასიათებელ გა-
ყოფაში სამყაროსი („აქ“ და „იქ“), წინააღმდეგობისა და შინაგანი
გათიშულობის იმ სულისკვეთებაში, რითაც ეს რელიგიაა გამსჭვა-
ლული თავის არსებით გამოვლინებაში, იდო „მკვეთრი-კრიტიკული

57 Бруно Бауер и первоначальное христианство. К Маркс и Ф. Энгельс, Сочин., т. 19, стр. 312—313.

და კონკრეტულ-სოციალური შინაარსი“, მით უფრო სარწმუნო ჩამო ერთხელ უკვე დამოწმებული აზრი საბჭოთა მეცნიერებისა, რომ წინააღმდეგობისა და დაპირისპირებულობის, შინაგანი გარემონტიზაცია ბის იმ საერთო პათოსში, რომლითაც სუნთქვას ქრისტიანული ძეგლები ლოვნება, „იგულისხმებოდა რაღაც უფრო ფართო, ვიდრე საეკლესიო ასკეტიზმის უბრალო გადაღება გამომსახველობითი ფორმების ენაზე. კელესიურობის პირობით ჩარჩოებში სტრიურად იყო გამოხატული წინააღმდეგობა სიმდიდრის, კეთილდღეობის, ძალაუფლების სამყაროსა და მწუხარების, სიღატავის, ტანჯვის სამყაროს შორის“. მისწრაფებებისა და განცდების ის წრე, რომელთაც თვალი მიაჰყოთ ქრისტიანულმა ხელოვნებამ, ადამიანური იმპულსებითაა ნაკვები. იქვე, საიდანაც ზემოთ მოტანილი თეზისი დავიმოწმეთ, კერთხულობთ: „ეს იყო, როგორც ჩანს, ის წრე განცდებისა, რომელიც წარმოიშვებოდა ფეოდალური წყობილების ძირითადი თავისებურებებით, მისთვის თანდაყოლილი წინააღმდეგობით ხალხის გაზრდილ თვითშეგნებასა და მისი ადამიანური ღირსების ფაქტიურად განუწყვეტილ დამკირებასა და შებღალვას შორის. განა ამაზე არ მოგვითხრობდა ხელოვნება? განა მითი ხუროს ვაუზე იქსორებე, რომელმაც დიდი ტანჯვა გადაიტანა ადამიანთაგან, ხელთ რომ ეპურათ ძალაუფლება, ამიტომ არ ედება საფუძვლად სახეობრივ წარმოდგენებს შუა საუკუნეების ხელოვნებისა? სახე წამებული, შეურაცხყოფილი ადამიანისა ცენტრალურია ამ ხელოვნებაში“⁵⁸ (ხაზი ჩვენია. — გ. ფ.) ხაზგასმულ სიტყვებს ფუნდამენტალური მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს, როგორც გასაღებს ქრისტიანული ხელოვნებისა.

აი, რაზე გვესაუბრებიან ქრისტიანული ტაძრების ნიშებიდან მზირალი ჯვარცმული ფიგურები, ახოვანი სულის გამომეტყველი გალეული სხეულები, ულამაზოდ დაძაბული კიდურები და ნერვულად მახვილი საჭებები; აი, რა კონკრეტული შინაარსი დევს ჰაგიოგრაფიულ მარტვილობათა და საეკლესიო საგალობლების გმირთა ტრაგიულ ექსტრაზში. ასეა ეს ქრისტიანული ხელოვნების საუკეთესო ძეგლებში, სადაც არც რწმენა და არც მხატვრული მსოფლალქმა არაა მოწყვეტილი თავის მასაზრდოებელ პირველწყაროებს, სადაც ქრისტიანობა გამოხატავს თავის ჰეშმარიტ არსს, უდრის თავის თავს.

ანტიკური საზოგადოების წევრად მონა არ ითვლებოდა. ოფიციალური გიაც და ხელოვნებაც თავისუფალ კლასებზე იყო ორიენტირებული. ფერდალური საზოგადოება კი ქმნის ისეთ იდეოლოგიზმის მარტინიუსი აკანონებს რა თფიციალურ მდგრამარეობას, ამავე ჭიშრის ასრულებულ ცის დაბალ კლასებზე ილებს: „ქრისტიანული რელიგია გაბატონებულ კლასებსაც ემსახურებოდა და ერთდროულად დაჩაგრულთა გრძნობებსაც ძლიერდა გამოსავალს, რამდენადაც მათი ტანჯვა, დამცირება და გაშირვება წარმოდგენილი იყო უკვე, როგორც რაღაც ამაღლებული, რომელიც მათ ლმერთებით ანათესავებდა“. ადამიანთა თანასწორობის იდეა, სრულიად უცხო ანტიკური სამყაროსათვის, თუმცა მისტიფიცირებული ფორმით, მავრამ მაინც არის აქ. „მხატვრული ცნობიერება ამ ეპოქისა, თუ ვილაპარაკებთ მის მთავარსა და განმსაზღვრელ ნიშნებზე, თავისი სულით, ემოციური არსებით ახლოს იყო სწორედ ხალხურ რწმენასთან“⁵⁹. ქრისტეს მოწამებრივ ღვაწლში თანაგრძნობას აღძრავდა ამ ხვედრის მსგავსება ჩაგრულთა და ბეჩავთა ტანჯვასთან; ღვთისმშობლის სიყვარულში იდო სიყვარული ადამიანთა შუამდგომელისა და ხელის აღმცყრბელისადმი. „როგორც რელიგია, ისე ხელოვნება ფერდალური ეპოქისა მიემართებოდა მასებს, „მდაბალთ“. ტყველა როდი იწოდებოდა გოტიკური ტაძრები „ბიბლიად უწიგნურთათვის“.

თუ შუა საუკუნეთა ხელოვნებაზეც შეიძლება აგრეთვე ითქვას, რაც მარქსმა თქვა რელიგიაზე, — რომ იგი არის „ჩაგრულ ქმნილებათა ამოოხვრა, უგულო ქვეყნის სული და გული“, მაშინ ეს გული გაცილებით უფრო ცოცხალი და თბილია, სისხლისა და ხორცისაგანაა შექმნილი; იგი განუყოფელია თავისი მიწიერი საწყისებიდან, თავისი რეალური ადამიანური არსისაგან“⁶⁰.

ანტიკური ხელოვნების გმირი სახელმწიფოებრივ, სამხედრო თუ სხვა საზოგადოებრივ სარბოელზე დასაქმებული, ძლევამოსილი და მონოლითური გმირია. ქრისტიანული ხელოვნების გმირის ასპარეზი მისივე შინაგანი ცხოვრებაა. იგი მოლიანად დრამატულ წინა-აღმდევობაშია მოქცეული. „თანამედროვე ავალსაზრისით ჩარიგულნაურ, ზოგჯერ აუტანელ ფორმაშიც არ უნდა იყოს ხორცესხმული ეს მწვავედ საგრძნობი დრამატიზმი ყოფიერებისა, შუა საუკუნეების ხელოვნებას უარს ვერ ვეტყვით რეალიზმზე, რამდენადაც მასში სი-

⁵⁹ Основы марксистско-ленинской эстетики, стр. 260—261.

⁶⁰ Основы марксистско-ленинской эстетики, стр. 263.

ნამდვილის რეალური წინააღმდეგობანია ასახული⁶¹. საილუსტრაცია როგორც დასახელებულია გოტიკური ხელოვნება: „აბსტრაქტულ-რეალური სიდიადე არ არის გოტიკურ ღმერთში. პლებერი, გლაზეური მოწყვეტული ტიალე, ექსტრატიური მქადაგებელი, მდიდარ ცოდვილებს ზრდასთან ერთა ლებს და კაცობრიობის ტანჯვათა შესახებ რომ მოთქვამს, — ასეთია იდეალური და ნამდვილად საყვარელი სახე, რომელიც ცხადად აშუქებს (ატანს) გოტიკური ხელოვნების ეკლესიურ გარეგნულ კონცეფციაში⁶².

წინააღმდეგობის, შენაგანი დრამატიზმის სული ქრისტიანული ღვთაების გავების საფუძველშივეა ჩადებული. ექვემდებარებული ღმერთი თავის სრულიად საპირისპირო არსებობამდე აღწევს — მიწიერი ხორცით იმოსება, კაცად იქცევა. ღმერთი, როგორც ნამდვილი ერთეული სუბიექტი, შედის თავის ღვთაებრივ სუბსტანციასთან განსხვავებულობისა და დაპირისპირებულობის მდგომარეობაში. სუბსტანციურად განუსაზღვრელი ღმერთი, დროისა და სიერცის განსაზღვრულობაში მოქცეული, ხდება წილადაყარი. ამ განსაზღვრულობიდან მომდინარე მოვლენებისა: დაბადება, შეგრძნებათა ცხოვრება, ცნობიერების მოძრაობა, ღმერთობასა და კაცობასთან დაკავშირებული ტკივილი გაორებისა. ჯვარცმის ეპიზოდში ეკვეცველი და ხმამალლა ღალადებს ამ ტკივილზე: „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რაისათვე დამიტევებ მე?“ (მათე, 27, 46). ამ ტკივილზე გამარჯვებით, გაორებაზე ამაღლებით აღწევს ქრისტე წიალს მშობლისა, უმაღლეს შერიგებას: „ტანჯვის კულტს ღვთაებრივი საწყისი აქვს ქრისტიანულ გაგებაში⁶³. ტკივილი თუ ტანჯვა, დაკავშირებული ბუნებრივ-მიწიერ არსებობასთან, ერთეულ სუბიექტურობასთან, უცილობელი გარდამავალი საფეხურია ღვთაებრივ სუბსტანციად ამაღლებისთვის. ქრისტიანული ღმერთის გაგება ნამდვილად დამყარებულია ამ ურთიერთსაპირისპირო მომენტების მორიგებისა და მთლიანობის ცდაზე. ამის-

61 იქვე, გვ. 263, 262.

62 გ. ი მ ე დ ა შ ვ ი ლ ი, „ველხისტყაოსანი და ქართული ეულტურა, გვ. 150. ღვთაება, როგორც ასეთი, არ ზეიმობს: იგი ნობათია და ნობათს არ იღებს. ადამია აქვს ძლევნი მას, ვინც ძლევნია“. იგი მაშინ ზეიმობს, როცა სწირავს თავს. ამისდაკავალად, ტანჯვა, სიკვდილი და ზეიმი ღვთაებისა, — ერთი და იგვევა. რელიგიური აზრის უკველვარი გალრმავებისას, როცა ღვთაება იქცევა მთელი ყოფიერების აპსილატურ საწყისად, იგი გარდავლად ხდება სიმბოლო ტანჯვისა და სიკვდილისა“. — Н. М. Бахтина. Эстетика словесного творчества. М., 1979, стр. 380.

დაკვალად, ქრისტიანულ ხელოვნებას ძალიან და-
დად აქვთ აღმეცდილი, როგორც ცენტრალური
ნერვი სტილისა, სწრაფვა ურთიერთურულის-
პირებულ მომენტთა გამთლიანების შემცირებულ
უსასრულობა ამ სწრაფვისა, როგორც პრინ-
ციპი. „ერთი მხრივ, მიწიერი სხეული და, საერთოდ, უძლუ-
რება ადამიანური ბუნებისა ამაღლებულია, ღირსეულ-ქმნილია იმისა,
რომ თვით ღმერთი გვევლინება ამ სხეულში; მაგრამ, მეორე მხრივ,
ეს ადამიანური და ხორციელი აღებულია აქ სწორედ, როგორც უარ-
ყოფითი (არათავისთავად, არამედ შეფარდებით სულიერთან, გ. ფ.)
და ნაჩვენებია მის ტანჯვაში...“. შინაგანი გათიშულობა და წინააღმდე-
ვობა ლოგიკური პრინციპი და ბუნებაა ადამიანის მხატვრული სახი-
სა ქრისტიანულ ესოუტიკურ აღქმაში. „საპირისპიროდ ამისა გრძნო-
ბადი მხარე კლასიკურ ხელოვნებაში არ მოკვდინდება და არ ქრება.
მაგრამ სამაგიკროდ არც აღდგება აბსოლუტურ სულიერობამდე.
ამიტომ კლასიკური ხელოვნება და მისი მშევნიერი რელიგია ვერ აქ-
მაყოფილებენ სულის სილრმეთა მოთხოვნებს“⁶³. ამ უკანასკნელ გა-
რემოებას გულისხმობდა მარქსი, როცა ძველ ბერძნებს „ბავშვებს“
უწოდებდა.

სხეული, რომელსაც მზერას მიაპყრობს ქრისტიანული მსოფლ-
ალქმა, თვალით საჭვრეტი კი არაა, არამედ შინაგანადაა შევრჩნობი-
ლი. „ეს არის სახე ტანჯული სხეულისა, წამებული სხეულისა,
ოლონდ, რომელშიც ცოცხლობს ისეთი „სისხლისმიერი“, „მშობლი-
ური“, „გულითადი“ სითბო ინტიმურობისა, რომელიც უცხოა ელინი
ათლეტის სტატუისებურად საჩვენებლად გამოდგმული სხეულისა-
თვის. „ოლიმპიური“ სიშიშვლის ბრწყინვალება თავის თავში ფა-
რავდა გარკვეულ უმართლობას. ეს უმართლობა გამუდმებით კომპენ-
სირდება, მაგრამ იმავდროულად ღრმავდება და მძაფრდება რეპრე-
ზენტრატიულ-სანახაობითი მომენტის სიქარბით“. ადამიანის ღირსების
ელინისტური წარმოდგენა „გულისხმობდა გარკვეულ უკარისობას
ინტიმურობისა, სილრმისა, საბოლოო კონკრეტულობისა“⁶⁴. ხოლო
ჰეგელი იტყვის: რამდენადც კონკრეტული არ უნდა იყოს თავის
თავში, კლასიკური ხელოვნება სულისათვის მაინც აბსტრაქტულ
მოვლენად რჩება, რადგან მის სტიქიას მოძრაობა კი არ წარმოადგენს,

63 Гегель, Лекции по эстетике, Сочин., т. XIII, стр. 105, 13.

64 С. Аверинцев, Поэтика ранневизантийской литературы, стр. 62.

არამედ ადამიანის უშფოთველი ჰარმონია, ის სიწყნარე თავის არა-
ლობაში, ის ბედნიერება, ის კმაყოფილება და მარადიული ნეტარებ,
„რომელგანც თვით უბედურებისა და წამების ეამსაც არ კარგაზენ და-
ჯერებულს, მშვიდს თვითქმაყოფილებას. კლასიკურმა ხელუანების თეატრი
ვერ მიაღწია სილრმემდე დაპირისპირებულთა, აბსოლუტურში რომ
აქვს საფუძველი, და ვერ მოარიგა ისინი“. ამისდაკვალად, კლასიკუ-
რი ხელოვნებისათვის უცხოა ამ დაპირისპირებასთან დაკავშირებული
ასპექტები: სუბიექტის შინაგანი გამძაფრებისა, ცოდვისა და ბორო-
ტებისა, ზნეობრივისა და აბსოლუტურ საწყისთან დაპირისპირებუ-
ლობისა, პიროვნების შინაგანი გაორებისა⁶⁵.

კლასიკური ხელოვნების ოლნიშნული შეზღუდულობის გასათ-
ვალისწინებლად საინტერესო მასალას ვპოულობთ ლესინგის წიგნ-
ში „ლაოკონი“. ქველი ბერძენი ხელოვანი, ამბობს ლესინგი, არ
იცნობდა ისეთ ვნებათა, ტანჯვათა გამოსახვას, როცა იკარგება და-
ხეეწილობა იმ ხაზებისა, რომლებიც ფიგურას გამოკვეთენ.
....წყნარ მდგომარეობაში სიმძაფრე და სასოწარევეთილება არ შე-
ურაცხსყოფს არცერთ მათს ნაწარმოებს. მე გვპედავ ვამტკიცო,
რომ ისინი არასოდეს გამოსახვდნენ ფურიებს.ხელოვანი ტანჯვას
გამოსახვდა მხოლოდ იმ საზომით, რა საზომითაც ამის ნებას იძ-
ლეოდა გრძნობა სილამაზისა და ლირსებისა⁶⁶. ხოლო ანტიკურ
სამყაროში, სადაც კერძო და ინდივიდუალური განურჩეველია (უდ-
რის) ზოგადისაგან, შინაგანი ბრძოლა და გაორება შეურაცხსყოფს
და ვერასგზით ვერ დაუკავშირდება სილამაზისა და ლირსების
გრძნობას. საუკეთესო მაგალითია თვით სკულპტურული ჭვეფი
„ლაოკონი“. სადაც ადამიანის მთელი სილამაზე და ლირსება გარე
მოვლენებთან ვაჟეკაცურ შერკინებასა და ასევე გარეგნულ-სხეუ-
ლებრივ ტკივილებზე უდრტვინველ ამალებაშია. გვანცვითრებს
ეს ქედუხრელობა და უდრტვინველი ამალებულობა, მაგრამ, რო-
გორც თვით ლესინგი იტყოდა, „განცვიფრება ცივი გრძნობაა“,
რომლის უმოძრაო მცველეტელობითობაში გამჭრალია სხვა უფრო
თბილი და ცოცხალი განცდა. ჩვენს გულსა და განცდას შინაგანად
არ ეახლოვება და ნაკლებ ეხმიანება განსაცდელი „ლაოკონის“ ფი-
გურებისა, როცა მამის სიმტკიცესა და თვითდაგურებულ გაწონას-
წორებულობას სრულიად ვერ შესძრავს ტანჯვა, უბედურება. თავის

65 Лекции по эстетике, Сочин., т. XIII, стр. 13—14.

66 Лессинг, Лаокоон, М., 1957, стр. 85, 86.

თავზე ძალდატანების გარეშე, უდრტვინველი სიმშვიდით ხელმიწან ბედისწერის დარტყმებს. ეს უშფოთველი სიმშვიდე, ინტვიდუალურის სრული დამორჩილება სუბსტანციურისადმი ჭრულებულების დანვე. დამორჩილებისა და შერიგების საკითხი აქტიურული მიზრველი განურჩეველია მეორისაგან, მექანიკურად უდრის მას. ქრისტიანული ხელოვნების მკვლევარი ვულფი ამბობს: „გამოხატვის საშუალებების სიმდიდრესთან ერთად, რომელსაც ფლობდა ელინისტურ-რომაული ხელოვნება, მას მაინც აკლდა ის ენა — გადმოეცა უშუალოდ სულიერი, როგორც დასაწყისიდანვე ეს გააქეთა ქრისტიანულმა ცნობიერებამ“⁶⁷.

¶ ქრისტიანული ხელოვნების იდეალი, „...როგორც სულიერი თავისუფლება და დამოუკიდებლობა, არ ნიშნავს შერიგებას, რომელიც სამყაროს ბუნებრივსა და სულიერ სინამდვილეში სახეზეა თავიდანვე, არამედ პირიქით, განახორციელებს თავის თავს, მხოლოდ როგორც ამალებას მისი უშუალო არსებობის სასრულობიდან მისსავე ჰეშმარიტებამდე. ამისათვის საჭიროა, რათა სული თავისი მოლიანობისა და დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად განცალკევდეს თავისი თავისაგან და დაუპირისპიროს თავისი თავი, როგორც სასრულობა ბუნებისა და სულისა, თავისავე თავს, როგორც ისეთს, რაიც უსასრულოა თავის შიგნით.

„...ამიტომ სულიერი შერიგება ჩვენ უნდა გავიგოთ და გამოვსახოთ, როგორც ქმედება, როგორც მოძრაობა სულისა, როგორც პროცესი, რომლის მსვლელობაში თავს იჩენს ძალ-ლონის დაძაბვა და ბრძოლა და არსებით მომენტად გვევლინება ტკივილი, სიკვდილი, მწუხარე გრძნობა არარაობისა, ტანჯვა სულისა და ხორცისა „⁶⁸ (ხაზი ჩვენია, — გ. ფ.). ორი გარემოებაა აქ განსაკუთრებით ხაყურადღებო. პირველი: კლასიკურისაგან განსხვავებით ქრისტიანული ხელოვნებისათვის იდეალი თავიდანვე სახეზე არა ბუნებრივსა და სულიერ სინამდვილეში, — იგი ბრძოლით, შინაგანი დაძაბვით, საკუთარ ტკივილებზე გამარჯვებით მოიპოვება. ეს არის იდეალი ქმედებისა, ბრძოლისა და არა

⁶⁷ Wulf Oskar, Altchristliche und byzantinische Kunst, I, Die altchristliche Kunst, Berlin, 1914, S. 2.

⁶⁸ Гегель, лекции по эстетике, Сочин., т. XIII, стр. 91—92.

უშფოთველი სიმშვიდისა და უძრავი ნეტარებისა, როგორც ერთი
შეხედვით შეიძლება მოგვეჩენოს ფრესკების კვრეტისა და პეგი-
ოგრაფიული ძეგლების წაკითხვისას. ეს ნიშანი ქრისტიანულ ხე-
ლოვნებაში თავს იჩენსარა მხოლოდ ქრისტეს სახეში, უკავშირო მიერ-
საერთოდ, მთელ კომპლექსში სახეობრივი წარმოდგენებისა, ეს სახე
ჩვენს წინაშე წარმოდგება, როგორც ანტიოქია მონათმფლობელუ-
რი ხელოვნების ცენტრალური სახისა — მოუწყვლელი, მთლიანი,
ფიზიკურად სრულყოფილი გმირისა, რომელიც წამების უმსაც არ
კარგავს თავის ჰარმონიულ წონასწორობასა და ლამაზ ძლიერებას.
ბერძნული კლასიკურობის ნებისმიერ ქანდაკებას გვერდში ამო-
ნებული კლასიკურობის ნებისმიერ ჯვარცმას, არ
გვუყენებთ რა შეა საუკუნეების ნებისმიერ ჯვარცმას, არ
შეიძლება უფრო ცხადად არ ვიგრძნოთ ძირეული სხვაობა ორი ეპოქის
ესთეტიკურ ძიებათა და იდეალთა კაცობრიობის ისტორიაში. ამა-
თანავე, არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ პირველი, თავ ას ი
წარუვალი ზოგადსაკაცობრიო მხიჭვნელობის
მაუხედავად, შექმნილია თავ ის უფალი კლა-
სის მიერ, როცა კლასი მონებისა განწირუ-
ლი იყო მუნჯობისათვის, ხოლო მეორე თა-
ვის თავში არაპირდაპირ გამოხატავდა ტრა-
გედიას დამცირებული ხალხისა ა. ⁶⁹ (ხაზი ჩვენია, —
გ. ფ.). ჰეგელის ციტატში ყურადღება უნდა მივაქციოთ მეორე გა-
რემობასაც: მთლიანობისა და თავისთავადობის მოსაპოვებლად
სული განცალევდება თავისი თავისაგან და ერთმანეთს უპირისპი-
რებს სასრულო და უსასრულო ასკერებს თავისივე თავისა. ესაა
სწრაფვა ურთიერთდაპირისპირებულ მომენტთა გამთლიანებისაკენ
და უსასრულობა ამ სწრაფვისა, როგორც პრინციპი. ქრისტია-
ნული შხატვრული სახის სტრუქტურაში ი ერთშა-
ნეთს ხვდებიან ურთიერთგამომრიცხველი და
ბუნებით საპირისპირო კომპონენტები. გათს
წინააღმდეგობასა და ურთიერთალოგიკურობა-
ში, გამთლიანებისაკენ სწრაფვის უსასრულობა-
შია ლოგიკა მხატვრული სახის ბუნებისა. გამთლი-
ანებისაკენ სწრაფვის უსასრულობა კი იმიტომაა ცენტრალური
ნერვი ამ ხელოვნების სტილისა, რომ სულის თავის თავთან შეგრი-
გება, თავისთავად, წმინდა სულიერივე აქტია და, როგორც ასეთი,
მხოლოდ აზრისა და ფილოსოფიისათვისაა მისწვდომი და არა ხე-

⁶⁹ Основы марксистско-ленинской эстетики, стр. 263.

ლოვნებისათვის, რომლის პრინციპი სწორედ განსხეულება და ყოველგვარი იდეის სახეში და ხატში გაცოცხლებაა; ხელფრენტული სახავს იმას, რის გამოსახვაც ძალუქს — სწრაფვას ჰმაუვარიყულს — თან ხორციელის გამთლიანებისაკენ, სულის თავის თავთან დაბრუნებისა და შერიგებისაკენ. აქ ადამიანი ჯერ კიდევ არაა სულიერად დასრულებული, ჯერ არ დამდგარა ლვთავებრივი საჭყისის პოთეოზის ხანა; აქამდე, ასე თუ ისე, მიუწვდება ხელი მხატვრულ წარმოსახვას. აქ ხელოვნება, როგორც ჰეგელი იტყვის, „თავიდანვე წინააღმდეგობათა მეუფებაშია მოქცეული. წინააღმდეგობა იმაში მდგომარეობს, რომ თავის თავში უსასრულო სუბიექტურობა, თავისთავად, გაუმთლიანებადია და გარეგნულ მასალასთან გაუმთლიანებელი უნდა დარჩეს. ეს ანტითეზისურობა ორივე ასპექტისა მათს თავისთავადობაში და შინაგანი ცხოვრების თავის თავში დაბრუნება შეადგენს შინაარსს რომანტიკულისა. შედიან რა ერთმანეთში, ასპექტები კვლავ შორდებიან ერთმანეთს განუწყვეტლივ, ვიდრე ბოლოს სრულიად გაითიშებოდნენ. ამით ისინი გვაჩვენებენ, რომ თავის აბსოლუტურ მთლიანობას უნდა ეძებდნენ სხვა უბანში და არა ხელოვნების სფეროში“⁷⁰. ეს სხვა სფერო აბსოლუტური მთლიანობისა, როგორც ვთქვით, არის აზრი, ფილოსოფია, სული. „მხატვრული ლიტერატურა ამ ეპოქისა მწიფდება სულიერ სინკრეტიზმში ქრისტიანობისა, რომელიც „წმინდა“ აზროვნებად გარდაქცევისაკენ მიიღწვის“⁷¹. ხელოვნებას უჭირს განასხეულოს ის შინაარსი, რასაც მას უდგენს ქრისტიანული მსოფლალქმა. ამით ჩვენ ახალსა და პრინციპულ საკითხს მივაღევით.

როგორც ქვემოთ (თავი მესამე) იქნება განმარტებული, ქველი ბერძნების წარმოდგენა ღმერთებზე, რაც მითოლოგიდან ხელოვნებისა გადატანილი, შეადგენს არა მხოლოდ ძირითადს, არამედ „ყველაზე უფრო შესატყვისს შინაარსს კლასიკური ხელოვნებისა“. ჰეგელი ამბობს: „ბერძნული რელიგია არის რელიგია თვით ხელოვნებისა, მაშინ როცა ვეიანდელი რომანტიკული ხელოვნება, რჩება რა ხელოვნებად, უკვე მიუთითებს ცნობიერ უკვე მის უფრო დიდი განვითარებული განალიზებული საკითხებისა“ (ინ. ტ. XIII).

70 Лекции по эстетике, Сочин., т. XIII, стр. 137. როგორც ერთხელ უკვე მივუთითეთ, ჰეგელი ქრისტიანული შეა საუკუნების ხელოვნებას საერთოდ „რომანტიკულს“ უწოდებს, ხოლო მის უპირველეს გამოხატულებად განალიზებული აქვს „რელიგიური სფერო რომანტიკული ხელოვნებისა“ (ინ. ტ. XIII).

71 Теория литературы, I, стр. 219.

მაღალ ფორმაზე, ვიდრე ამის წვდომა ძალუბს
ხელოვნებას⁷² (ხაზი ჩვენია. გ. ფ.).

ხელოვნება ტელ საბერძნეთში, როგორც ჰეგელი იტაქტურული „მისწვდა თავის საკუთარ ცნებას“. აյ ნაწარმოების იდეურისტიზმითა და სრულ პარმონიაშია ხორციელ-მიწიერ სინამდვილესთან. მატე-რიალურ-ამქვეყნიური არსებობა პირდაპირაა გადაჯაჭვული იდეას-თან, სუბსტანციასთან, რომლის გამომხატველადაც იგია დანიშნული. და პირიქით: იდეა და სუბსტანცია თავის სახეში (ფორმაში) მხოლოდ თავის თავს არეკლავს და პირდაპირპროპორციულია თა- ვისი განსხეულებისა, ზუსტად „ზის“ თავის ფორმაში. ქრისტია-ნობაში შვევნიერების იდეა, როგორც აბსოლუტური და თავისუფა- ლი სული, ვეღარ „ეტევა“ გარეგნულ-მატერიალურ ფორმაში. თა- ვის სრულ შესატყვისობას იგი თავისავე შიგნით, სულში ეძებს. „სილრმე შინაარსისა ხდება ძალიან მძლავრი. ...ლვთაებრივი საწყი- სი უნდა ამოსხლტეს ადამიანური სუბიექტურობიდან“⁷³. სულიე- რობა, რომელიც გმირის მხატვრული სახის შინაარსს შეადგენს, აյ ისეთი შინაარსისაა, რომ მას არ ძალუდს მთლიანად გამოხატოს თა- ვისი თავი ბუნებრივ ადამიანურ სახეში. აյ ჩვენ საქმე გვაქვს არა კერძო, ადამიანურ არსებასთან, არამედ სულიერ პიროვნებასთან, თავისუფალ სულიერობასთან. და როცა ხელოვნება ცდილობს თა- ვისუფალი სულიერობა გრძნობად-მიწიერ საბურველში გახვის, აწყდება შინააღმდეგობას — შინაარსი ვერ ეტევა ფორმაში, თით- ქოს გამოშვერილია გარსაბურველიდან. ქრისტიანული ხე- ლოვნება არის „გამოსვლა ხელოვნებისა თავისი თავისი თავიდან, გარდამეტება თავისი თავისი, თუმცა, ამასთანავე, ეს პროცესი ხორცი- ელდება მის საკუთარ უბანში და თვით ხელოვნების ფორმით“. ყურადსალებია, რომ თუმცა ხელოვნება აյ ცდილობს თავისი თავისა და შესაძლებლობე- ბის გარდამეტებას, მაგრამ თვით ეს პროცესი, ტენდენცია ხორცი- ელდება ხელოვნების სფეროში და „თვით ხელოვნების ფორმით“. შეიძლება მივიღოთ, რომ ტენდენცია შინაარსის ფორმაში ვერ და- ტევისა, ხელოვნების თავისი თავიდან გასვლისა არის ზოგადი ნიშა-

72 Лекции по эстетике, сочин., т. XIII, стр. 15.

73 Гегель, Лекции по эстетике, Сочин., т. XIV, стр. 35.

74 Гегель, Лекции по эстетике, Сочин., т. XII, стр. 85.

ნი ქრისტიანული მხატვრული სტილისა. რომ ქრისტიანული დღეა-
ლი მიემართება ისეთ აბსტრაქტულ შინაარსს, რომლის ალექსანდრუ-
სი წვდომა ხელვნების შესაძლებლობებს აღემატება. კულტურული დღე-
რებულია ეკლესიის მამათა ნაშრომებშიც. „შეუზეუშმუშეუკუშე-
თოო, — ამბობს გრიგოლ ნოსელი, — არა გამოხატულ არს შეუნი-
ერებითა ფერთათა, არამედ უზეშთაესითა წესითა, რომელი მიუ-
თხრობელ არს გულისხმის-ყოფად“⁷⁵.

ეს არის გამოვლინება გამომსახველობითი და გამომხატველო-
ბითი ასპექტების ანტინომიისა ცეკველა დროის მხატვრულ სახეში (გა-
მოსახატავ-გამოსათქმელი ექტებს საყრდენს — გასაგნებას გამომ-
სახველობით საწყისში); ოლონდ ქრისტიანულ მხატვრულ სახეში ეს
ანტინომია ზღვარს აღწევს და ამით სპეციფიურ ნიშნად იქცევა
ესთეტიკურ საგანში. „აზრობლივი შინაარსი მისი ობიექტური გა-
საგნების რეალურ შესაძლებლობებზე ფართოა. .. აზრი მეტობს სა-
ხეზე, მზადაა იქცეს „წმინდა“ შინაარსად, თავისი თავის გამოსახა-
ტავად კმაყოფილდება გარეგნული ფორმებით, რომლებიც კარგ-
ვენ უშუალო გამომსახველობით შინაარსს, იქცევიან პირობით ნიშ-
ნებად“⁷⁶. ქრისტიანულ მხატვრულ სახეში აზრი აღმოაჩენს. რომ
თავის ფორმას, განსხვეულებას შეიძლება ჰქონდეს გარკვეული და-
მოუკიდებლობა მისგან. მხატვრულ სახეს აქ ყოველთვის აქვს სათ-
ქმელი რაღაც უფრო მეტი, ვიდრე გარეგნობა — ფორმა მიუთი-
თებს ამაზე პირდაპირ, უშუალოდ. საქმარისია გონების თვალი მო-
ვავლოთ ქრისტიანულ ფრესკებს, სკულპტურულ გამოსახულებებს,
პოეტურ თხზულებებს, რომ ადვილად დავტენდეთ ნათევამის
სისწორეში. ყველა ამ გამოსახულებაში „სული მიისწრაფვის ზეგრძ-
ნობადი სამყაროსკენ, თითქოს ცდილობს ჩამოიხსნას თავისი თავი-
საგან გარს შემოხვეული ნეიტრალური . საბურველი, რომელიც
აფერხებს მის აღმასვლას“⁷⁷. სულ ევიშროება სხეული, საცაა თით-
ქოს „ამოფრინდება იქედან, სადღაც მიწასა და ცის შუა გაკიდებუ-
ლი, მხატვრული სახე იმ ზღვართან დგას, რომლის იქეთაც იქცება
ხმოვანება უსაგნობისა, ლივლივი ჰაერში. მას „ვხედავთ“ და „ვერც
ვხედავთ“. აღმის ეს განსაკუთრებული მდგომარეობა, ხელოვნები-
სა და მეტაფიზიკის ზღვარზე არსებობა ესთეტიკური საგნისა, გან-

75 უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ეჭვსთა დღეთამას“ და გრი-
გოლ ნოსელის თარგმანებისა „კაცისა აგებულებისათვას“, გვ. 149.

76 Н. К. Гей, Искусство слова, стр. 124.

77 В. Н. Лазарев, История византийской живописи, ч. I, стр. 36.

გსაზღვრელია ამ ხელოვნების ბუნებისათვის. ეს წინააღმდეგობრი-
ობა კი განპირობებულია ზოგადი მსოფლალქმის შინაგანი წინააღ-
მდეგობრიობით: ქრისტიანობისათვის მატერიალური სამყარო ღვთა-
ებრივიცაა და ოცაა ღვთაებრივი, იდეალურიცაა და ოცაა ჭრიულუდი
შესხელობს რა ბიზანტიური ესთეტიკის შესახებ, ვ. ტამაზ ჭრიულის

ზემოთ მოტანილ ციტატს ასე აგრძელებს: „სხეულთან ამ ბრძოლა-
ჟი იბადება მტანჯველი კონფლიქტი, რომელიც ყველა
კორტრეტს ანიჭებს გამოხატულებას რაღაც
დაძაბულობისა. ქრისტიანული ხელოვნება, მოგვიანებით კი
ბიზანტიური, შემდგომში გადალახავენ გამოხატულების ამ დაძაბუ-
ლობას, დაუმორჩილებენ რა სხეულს სულს, რომელიც ხდება
დომინირებული საწყისი. თუმცა ოც ბიზანტიური, ოც
ეკვროპული ხელოვნება ამის შემდეგ უკვე არასოდეს ამ ბო-
ბენ უარს იმ დუალიზმე ადაშიანის გაგებაში,
რაც პირველად გვიანანტიკურ ხელოვნებაში გამოვლინდა. სწო-
რედ ამიტომ ეს უკანასკნელი ქმნის მათი სტილის
მთავარ წანაშროვართაგან ერთს, მჭიდროდ და-
კავშირებულს წარმართული სპირიტუალიზმის ტრადიციებთან“⁷⁸
(ხაზი ჩვენია, — გ. ფ.).

იმავე ნიშნითაა აღბეჭდილი ძველი ქართული მარტიროლოგი-
ური მწერლობა და სახვითი ხელოვნება. ბერთის ჯვარცმის (XI ს.)
მხატვრულ სტრუქტურაშიდაძაბულობა შეაღენს ფიგურის აგე-
ბისა და მისი პლასტიკის გამოვლინების ცენტრალურ ნერვს“⁷⁹.
ანალოგიურად გამოიყურება (როგორც ზევით სხვა კონტექსტში უკ-
ვე ითქვა) იშხანის ჯვარზე (973 წ.) გამოსახული ფიგურა მაცხო-
ვრისა⁸⁰.

განწყობილება დაძაბულობისა, გამოხატულება შინაგანი დრა-
მატიზმისა ქრისტიანული სტილის ერთი უმთავრესი წანაშძლვართა-
განია. ამ ხელოვნების საყრდენ იდეურ შინაარსში იგი მუღავნდება.
როგორც წინააღმდეგობა სხეულისა და სულისა, ამ ხელოვნების
სტილში იგი თავს იჩენს, როგორც იდეის ვერ დატევა სახეში, „გა-

78 დასახელებული ნაშრომი, გვ. 36—37.

79 Г. Н. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, стр. 74.

80 იქვე, გვ. 60. ეკროპული ხელოვნებიდან ამის ნიმუშია, მაგალითად, ფრეს-
კოლი ჯვარცმა რომის წმინდა მარიამის შონასტრიდან ან იგვე მოტივი დაუნის
კედლების კედლის მოზაიკისა. იხ. O. Wulff. Die byzantinische kunst, Pot-
stdam, 1924, s. 542, 566.

მოსველა ხელოვნებისა თავისი თავიდან, გარდამეტება თავში, თავისა».

მთელ უკანასკნელ მსჯელობას კი ასე: დასკვნამოქ მიღყავიართ: ფილოსოფიური შინაარსის სიღრმით ქრისტიანული ციტატები აქარბებს როგორც ანტიკურს, ისე შემდგომი ხანის საერო ხელოვნებას; რაც შეეხება გრძნობად განსხეულებას, ფორმას, იგი ანტიკური ეპოქისა და მომდევნო პერიოდის საერო ძეგლებშია (მაგალითად, „ვეფხისტყაოსანში“) უფრო სრულყოფილი⁸¹. „აზრი პოეზიისა იმაში გვარწმუნებს, რომ არავის ძალუძა გახდეს ერთნაირად ამაღლებული პოეტი და მეტაფიზიკოსი. მეტაფიზიკა ხომ ცნობიერების აბსტრაქციას ახდენს გრძნობისაგან, ხოლო პოეტურმა ნიჭირებამ მთელი ცნობიერება გრძნობაში უნდა ჩაძიროს“⁸². ჩვენ ზემოთ უკვე მოვიხმეთ ჰეგელის აზრი იმის შესახებ, რომ „კლასიკური ხელოვნება და მისი მშვენიერი რელიგია კი იმიტომ ვერ აკმაყოფილებენ სულის სიღრმეთა მოთხოვნებს, რომ იქ მშვენიერით, მიწიერ-გრძნობადი ფორმით აღქმული სილამაზით ამოაწურება საგანი, არა გადახსნილი სული მისი შინაგანი მოძრაობით. ამ ხელოვნების იდეალური პერსონაჟები განწმუნდილი არიან მიწიერი ნაკლისაგან, წინააღმდეგობათაგან, ყოფილისაგან.“

ქრისტიანულ ხელოვნებაში სრულიად საპირისპირო მოელენასთან გვაქვს საქმე. როგორც უკვე ითქვა, წამებული, შეურაცხყოფილი კაცის სახეა მთავარი მასში. კლასიკური ანტიკურობისათვის უცხოა ასეთი ინტერესი, უცხოა ამგვარი ტანგვისაგან მომდინარე შინაგანი ტკივილები, შემძვრელი კვნესა სულის უღრმესი სიმებისა, შინაგანი გათმულობის დაძლევა იდეალის უმაღლეს წერტილზე. ქრისტიანულმა ხელოვნებამ „მოიტანა სულისა და სხეულის კონფლიქტი, რომელიც უცხო იყო ძველი მხატვრული აზროვნებისათვის“⁸³. ანტიკურობისათვის უჩვეულო არ არის სულის აჯანყებაც.

81 ამის შესახებ საგანგებოდ იხ. В. В. Гогуадзе, Форма и содержание в поэзии (По творчеству Важа Пшавела), Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата философских наук. Издательство тбилисского университета, 1967, стр. 6—16.

82 Вико, Основания новой науки об общей природе наций, Л., 1940, стр. 357.

83 Основы марксистско-ленинской эстетики, стр. 264.

სულის პროტესტი ბედისწერის შინააღმდეგ (ოიდიოს მეფის სტა-
სიმები, ევრიპიდეს გმირთა ტრაგიკული ექსტაზი). მაგრამ აქ სუ-
ლი მანც გარეთაა მიმართული, ბედისწერას ებრძების და შინაგანი
გახლეჩილობის დასაძლევად არა დასაქმებული (როგორც, უფრო მეტად უკა-
ლითად, ავგუსტინეს „აღსარების“ მთავარი პერსონაჟი, როგორც
გრიგოლ ნაზიანზელის ლირიკულ აღსარებათა გმირი, როგორც
იაკობ ხუცესის — შუშანიკი და ოვანე საბანისძის — აბო). ანტი-
კურ დრამაში თითქმის ვერსად ვიპოვით სულის შინაგანს, თავის-
სილრმძისენ მიმართულ მოძრაობათა ხატებს. სოფოკლეს ოიდიო-
სის ვრცელი მონოლოგები, მაგალითად, წარმოადგენს თხრობას.
და თანამემამულეებს მიემართება⁸⁴. ამ გმირის პირა-
ფაქტებისა და თანამემამულეებს განურჩეველია ზოგადისაგან. „ეს-
დულ-ინდივიდუალური ასპექტი განურჩეველია ზოგადისაგან. „ეს-
ჯილესა და მის თანამედროვეთა მსგავსად მან (სოფოკლემ), რა-
თქმა უნდა, იცოდა, რომ ნამდვილი გმირული სულის მთავარი თვი-
სებაა თავისუფლება შინააღმდეგობათაგან“. სოფოკლეს გმირებს
სებაა თავისუფლება წარმოადგენათ თავის არასოდეს ჰკიოთხავენ უკან“⁸⁵.

ქრისტიანული ხელოვნების იდეალი ბევრ ასპექტში უფროა ჩვეუ-
ლებრივი, ადამიანური, ჩვენი მსგავსი. კლასიკური და ქრისტიანული
ღმერთების არსთა სხვაობაა აქ განმსაზღვრელი ყველაფრისა. ჰეგელი
ამის თაობაზე ამბობს: კლასიკური ეპოქის ღმერთებმა არსებობა
მხოლოდ წარმოსახვის გზით მოიპოვეს; ისინი მხოლოდ ქვასა და
მეტალში ან მჭვრეტელობითს სფეროში წარმოიქმნენ და არა ხორ-
ცითა და სისხლით, ანუ ნამდვილ სულად. „ბერძნულ ღვთაებათა
ანთროპომორფიზმს ამიტომაც აკლია ნამდვილი ადამიანური არსე-
ბობა როგორც ხორციელი, ისე სულიერი. ეს სინამდვილე სხეულისა
და სულისა პირველად მოიტანა მხოლოდ ქრისტიანობამ, როგორც
და სულისა პირველად მოიტანა მხოლოდ ჰეგელის სინამდვილე მითოლოგიისა
და ჰეგელის ხაზგასმით ამბობს, რომ ბერძნული მითოლოგიისა

84 Теория литературы, кн. II (Роды жанры). М., 1964, стр. 455.

85 А. и М. Круазе, История греческой литературы, Петроград, 1916, стр. 276.

86 Лекции по эстетике, Сочин. т. XIII, стр. 76.

და ხელოვნების ანთროპომორფისტულ ღმერთებს კულიტო ნამდვილი ადამიანური არსებობა სხეულისა და სულისა. უზარდოდ მიჩნეულია ისეთი არსებობა, რომელშიც წაშლილია „ყოველგვარი ნიშანი სისუსტისა“, ლაქა მიწიერ-გრძნობადისა. ეს სინაზოგიური უზარდებული რი ხორცით მოსილი ღვთაებისა მიწაზევე ყოფა-ცხოვრებისა და ქმედების სახით ქრისტიანობამ დაამკიდრა. წარმოსადგენი, მხატვრული კვრეტითა და ფანტაზიით კონსტრუირებული არსებობიდან ფაქტიურ, მიწიერ არსებობაზე გადავდივართ. კეშმარიტების დიდი დოზაა პლოტინის, ერთის შეხედვით, უცნაურ მსჯელობაში: „ფიდიასმა ზექმნა თავისი ზევსი არა ამა თუ იმ გრძნობად საგანთან მიმართებით, არამედ აიღო ისე, როგორადაც იგი მოგვევლინებოდა, რომ ამ ზექსს მოსურვებოდა, გამოცხადებოდა ჩვენს შეერას“⁸⁷. ფიდიასის ზევსის არსებობა წარმოსადგენი არსებობაა, ისეთია, როგორადაც მოგვევლინებოდა: რომ მას, როგორც ღმერთს, „მოსურვებოდა გამოცხადებოდა ჩვენს მზერას“. ქრისტიანული ღვთაების არსებობა კი ისეთი არსებობაა როგორადაც მან, როგორც კაცმა, მოისურვა და მოევლინა კაცობრიობას. აქ გადის წყალგამყოფი ხაზი ორი მსოფლალქმისა, აქედან გამომდინარე ყველა შედევით.

ქრისტიანულ მსოფლალქმაში ღმერთი არ არის ფანტაზიით შობილი უბრალო იდეალი, იგი ჩამოდის სასრულო არსებობის შემთხვევითობამდე, თუმცა მიწიერი არსებობის ამ სასრულობაშიც სკვრეტს თავის თავს, როგორც ღვთაებრივ სუბიექტს. „რამდენადაც ამის წყალობით ნამდვილი სუბიექტი არის მოვლენა ღვთაებისა, ხელოვნება მხოლოდ ახლა იძენს უმაღლეს უფლებას — აბსოლუტურის გამოსახატვად გამოიყენოს სახე ადამიანისა და, საფრთხოდ, მისეული წესი გარეგნული გამოვლინებისა“⁸⁸.

ჩვეულებრივი სახე მიწიერი ადამიანისა და გარეგნული მისი გამოვლინება არ აშენებს კლასიკური ხელოვნების იდეალს. ეს ხელოვნება ჩრდილავს კერძო ნიშნებს და ფორმებს ადამიანური არსებობისა, „ლამაზი“ ნიშნებითა და ფორმებით ცვლის სიმწირეს ბუნებრივისა, მიწიერ ნაკლს. ქრისტიანული ხელოვნება კი „...ესწრაფვის უშუალო კავშირს ცოცხალ ადამიანთან. მისი სახეები სრუ-

⁸⁷ История эстетики. Памятники мировой эстетической мысли, т. I, М., 1962, стр. 225.

⁸⁸ Гегель, Лекции по эстетике, Соч. т. XIII, стр. 90.

ლიად სხვაგვარად გველაპარაკებიან ჩვენ, ვიდრე გამოხატულებანი ოლიმპიური ღმერთებისა, რომლებიც მოკვდავთ სთავაზობენ შხოლოდ თვითინთი ამაღლებულობის ხილვას, უორუბლო ყოფიერებას”⁸⁹. ჩვენს გულსა და ემოციურ განცდას შინაგანად არ ეა მიუწოდები და ნაკლებ ეხმიანება, ნათქვამი იყო ზეეთ, განსაცდელი სკულპტურული გუფის „ლაოკონის“ ფიგურებისა, მოუწყვლელი, ყოველმხრივ უხინევ გმირისა, რომელსაც ერთი ნერვიც არ შეუთროოდება წამებისას, ბოლომდე ჰარმონიულია და ერთგული თვისი ლამაზი ძლიერებისა. განციფრების ცივი ნიავი გვცემს მათგან.

ეს სიცივე გარეგნულად იმაში გამოიხატება, რომ სკულპტურულ სახეში სული არ ასხივებს, თვალის სინათლე ჩამქრალია (თვალები კი, როგორც ცნობილია, ის სარქმელია, რომლითაც სული გამოშუქებს და, მეორეს მხრივ, რომლითაც სულში ვიხედებით). „ბერძნული სკულპტურის ყველაზე მაღალ ქმნილებებში მზერა (გამოხედვა) არა გვაქვს, მათი სული და გული არ ჩანს... სულის ეს გამოშუქება არსებობს მათ მიღმა და ეკუთხნის მაყურებელს, რომელიც ვერ ბედავს თვალის სულისანი გაუმართოს ამ სახეების სულს, მზერა შეუდგას მზერას. რომანტიკული ხელოვნების ღმერთი კი ჩვენ გვევლინება, როგორც მხილველი, თვისი თვის გამცნობიერებელი, შინაგანად სუბიექტური და თავისი სულისა და გულის გადამსხველი ჩვენი სულისა და გულისათვის“⁹⁰, ანტიკური ლიტერატურისა და ესთეტიკის ცნობილი მკვლევარი ლოსევიც გახაზავს, რომ კლასიკური ხელოვნების იდეალში „...არ არის ჩვენი ტანხვა-წამებანი და იგი მარადიულად წარმოდგება როგორც რაღაც ნეტარი, მშევიდი და ყოველთვის გაწონასწორებული“⁹¹. აქ სმენა დახშულია ჩვეულებრივი ადამიანური ტეკილებისათვის. ამასთან დაკავშირებით შეიძლება მოვიტანოთ საგულისხმო ეპიზოდი ქართული პაგიოგრაფიიდან. გიორგი მცირე, ავტორი „გიორგი ათონელის ცხოვრებისა“, მოგვითხრობს იმ კერძის შესახებ, რომელიც „დაშთომილ იყო პირველითგან და ვიდრე აქამომდე მარმარილოვას, სახითა დედაკაცისათვა“. მოქმედება საბერძნეთში, ათონის სიახლოვეს, სოფელ ლივიზდიაში, ხდება. ყველა ნიშნით, ლაპარაკია რომელიდაც ანტიკურ ქალღმერთზე („დაშთომილ იყო პირველითგან“), რომელ-

89 Гегель, Лекции по эстетике, Соч., т. XIII, стр. 13.

90 Гегель, Лекции по эстетике, Сочин. т. XIII, стр. 90.

91 А. Ф. Лосев, История античной эстетики, стр. 82.

საც „ბორლალნი“ თაყვანს სცემდნენ „ვიდრე აქამომდე“, ვითარდან იყოს ის „...ადგილი რაიმე მოქცეული, ყური ყოლად უდაბნოა, ბორლნი ულნარ-მაღნარნი და, ვჰონებ, თუ არავინ წმიდათა გენერატორების უძრავი არ არს მუნ“. წარმართ „ბორლალთ“ გიორგი ათონგლულიშვილი ლვთაების წინაშე მიჰყავთ: „და წარიყვანეს ბერი კაცთა მათ ყრ უ- ისა მის მიმართ და უსულოდ სა-ღმრთისა მათისა“⁹². ანტიკურ ლვთაებას აქ ზუსტად ის ლოგიკური განსაზღვრება ეძლე- ვა („ყრუ“ და „უსულო“), როთაც იგი დახასიათებულია შემდგომ ჰეგელის ნააზრებში. ანტიკური ლმერთის რაობა სრულიად ნათლად ჰეგელის კრისტიანული ლვთაების ასისიან ძველი ქარ- არის გამიჯნული ქრისტიანული ლვთაების არის ერთ მაგალითი იმ აზრის თველი მწერლის ცნობიერებაში. ეს არის ერთ მაგალითი იმ აზრის საილუსტრაციოდ, რომ ადამიანისა და ლმერთის, რეალურისა და იდეალურის ქრისტიანული გაგება იყო რეაქცია ამ მომენტთა ურთ- იერთმიმართების ბუნებაზე, როგორც იგი ანტიკურ სამყაროში ესმოდათ (იხ. ამ თავის დასაწყისი).

კლასიკური ხელოვნების იდეალი თავის თავშია დასრულებული და ჩაკეტილი, ძეგლია თავისი თავისა, ემპირიულსა და ყოფილს, ჩვე- ულებრივ, არ მიემართება. ამიტომ ამ იდეალის არსებობას მისი მჟვრეტელი არ აღიქვამს, როგორც თავის მონათესავე მოვლენას. თუმცა ანტიკურ ლვთაებათა სახეები ადამიანურია, მაგრამ ისინი, რო- გორც ჰეგელი განმარტავს, მაინც არ ეკუთვნის მოვდავთ, ვინაიდან სენი სასრულო არსებობისა თვით ამ ლმერთებს არ ეხება; ემპირი- ულთან და ყოფილთან საერთო არაფერი აქვთ. ხოლო აბსოლუტური ქრისტიანული ხელოვნებისა არ არის ჩაძირული გრძნობად გამოვ- ლინებაში, იგი თავის შიგნითაა და ამიტომ მისი გარეგნობა მისთვის კი არაა დანიშნული, არამედ სხვისთვის, როგორც თავისუფლად, თვითეულის ნება-სურვილზე მიშვებული გარეგნული ასპექტი. გარეგნობამ აქ ჩვეულებრივი ცხოვრების, ემპირიულ-ადამი- ანური სახე უნდა მიიღოს, ვინაიდან თვით ლმერთი ჩამოდის სასრუ- ლო, ხელშიად არსებობამდე. ამის შეალობით ემპირიული ადამიანი ნათესაობრივს, დამაკავშირებელ ასპექტს მოიპოვებს აბოლუტურ- თან, რის შედეგადაც თავისი ბუნებრივი არსებობის სფეროში ნდო- ბით ეკიდება საკუთარ პიროვნებას, ვინაიდან გარეგნული სახე არ

92 ჰეგელი ქართული ავიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II, (X I— XV სს.), ილია აბელაძის რედაქციით, 1967, გვ. 139—140. შემდგომ დავასახელებთ შემოქლებით — ძეგლები, II...

აშინებს მას კლასიკური სიმყაცრით კერძოსა და შემთხვევითადნ დაკავშირებით; კი არ აქტობს. არამედ მის მზერას სთავაზობს იმას, რასაც პიროვნება თვით ფლობს, ან იმას, რასაც ხედავს ფრანგულული უყვარს სხვაში, მის ირგვლივ მყოფ ადამიანებში. სწორედ ვერცხლის სურითა და ჩვეულით გვიზიდავს ჩვენ გარედან შუა საუკუნეების ხელოვნება ასეთი ნდობით⁹³.

ცნობილი დებულება, რომ კლასიკური ხელოვნება ახდენს ადა-მინის გაღმერთებას, გარკვეულად შესაბრუნებელია ქრისტიანული ხელოვნების მიმართ, რომელიც ღმერთის გაადამიანურების გზით წავიდა.

რადგან ადამიანის სულიერი სამყაროს სილრმისეული სილამა-ზე გამოცხადდა უმაღლეს მშვენიერებად, მხატვრული სახის კონსტ-რუქტიაში თავისუფალი გზა მიეცა გრძნობადი რეალობის შემთხვე-ვითობას. ყოფითი სინამდვილის აქსესუარს, მიწიერ ნაკლულევანე-ბას, გარეგნულად ჩეულებრივსა და ულამაზოსაც კი. ფაქტების, მოქმედების, ამბების შინაგანი სარჩეულისა და მოტივის ძებნა წამო-იწია წინა პლანზე. ამიტომ შესაძლებელი გახდა თითქმის ყოველ-ვარი ფაქტი, ამბავი და გარეგნული ქმედება შემოტანილიყო ნა-წარმოების მხატვრულ ქსოვილში, როგორც გარეგანი და ფორმა-ლური მომენტი. უფრო მეტიც. შთაგონებული ექსტაზის გამო-ხატვას, ნათქვამი იყო ზემოთ, ეს ხელოვნება ამჯობინებდა „ულამა-ზო, გალეულ სხეულში“. ძირეულმა განსხვავებამ ანტიკურსა და ქრისტიანულ მსოფლაღქმათა შორის თავი იჩინა მხატვრულ სტილთა ძირეულ სხვაობაში. „განსხვავება ანტიკურსა და ადრინდელ ქრის-ტიანულ ნაწარმოებთა სტილს შორის, — ამბობს ერის აუერბახი, — ის არის, რომ ისინი სხვადასხვა თვალსაზრისითა და სხვადასხვა ადა-მინებისათვის არის დაწერილი“. აუერბახი ერთმანეთს უდარებს ბიბლიური წიგნებისა და ჰომეროსის ნაწარმოებთა მხატვრულ სტილს და ასკენის: ყველაზე დიდი სხვაობა მათ შორის იმ გარემო-ებას უკავშირდება, რომ „ძველი ოლთქმის ტექსტების შესწავლა ქმნის სულ სხვა წარმოდგენას მაღალი სტილისა და ამაღლებულის შესახებ, ვიდრე ჰომეროსის ნაწარმოებები: თუმცა ჰომეროსი სულაც არ ერიდება ყოველდღიურ-რეალისტური სცენები გადაჯაჭვოს ამაღ-ლებულ-ტრაგიკულს“⁹⁴. სანიმუშოდ დასახელებულია ოცი წლის გა-

⁹³ Гегель, Лекции по эстетике, Сочин., т. XIII, стр. 100.

⁹⁴ Erich Auerbach, Mimesis (Dargestellte Wirklichkeit in der aben-
dländischen Literatur), Bern, 1945, S. 52, 28.

დაკარგული ოდისევესის შინ დაბრუნების პათეტიკური ეფექტოდი, რომელთანაც ბუნებრივადაა შერწყმული ყოფითი სცენა ფეხის დაბანისა. ჯერ კიდევ ფსევდო-ლონგინი მიუთითებდა უტრეტებულება-თეტიკურისა და ყოფითი სცენების ამ შერწყმაზე პატრიტული მიწვერ-მოებებში⁹⁵. ამ პასაუებზე დაკვირვებას შემდეგ დასკვნამდე მიჰყავს მოებებში⁹⁶. ამ პასაუებზე დაკვირვებას შემდეგ დასკვნამდე მიჰყავს აუერბახი: „პომეროსის ნაწარმოებებში შინაური ყოფის რეალიზმი, ყოველდღიური ცხოვრების წარმოდგენა მუდამ რჩება იდილიურ-მშვიდობიან სფეროში, იმ დროს, როცა ძველი ალთქმის მოთხოვ-ბებში ამალლებული, ტრაგიკული და პრობლემატური იმთავითვე სწო-რედ ყოფითსა და ყოველდღიურში ვლინდება“⁹⁷. ფრიად საყურადღე-ბო დასკვნაა. იმის თქმა არ შეიძლება, რომ ანტიკურ ლიტერატურაში საერთოდ არაა წარმოსახული ყოფა-ცხოვრებითი ეპიზოდები, ჩვე-ულებრივი. მიწიერ-ადამიანური დეტალები, ნაკლულევანებანი. მაგრამ მიწიერის, ყოველდღიური ცხოვრების ეს კრცელი სუერო „მუდამ რჩება იდილიურ მშვიდობიან სფეროში“ და „ამალლებუ-“ მუდამ რჩება იდილიურ მშვიდობიან სფეროში“ და „ამალლებუ-“ მუდამ რჩება იდილიურ მშვიდობიან სფეროში“, ზოგადად — იდეალის, კონს-ლის, ტრაგიკულის, პრობლემატურის“, ზოგადად — იდეალის, კონს-ტრუქციაში იგი არ მონაწილეობს. ეს არის „პერიფერია ადამიანუ-რი ქცევისა“⁹⁸. ქრისტიანულ ხელოვნებაში კი „ამალლებული, ტრა-გიკული, პრობლემატური იმთავითვე სწორედ ყოფითსა და ყოველ-დღიურში ვლინდება“.

ბიბლიური წიგნების მხატვრული სტილის მიმოხილვის დასას-რულს აუერბახი ამბობს: „ის ლიტერატურული სტილი, რითაც გად-მოცემულია ქრისტეს გამოჩენა და მოქმედება პალესტინელთა შო-რის, არ ხასიათდება არავითარი ამალლებულობით, რომლითაც და-წერილია წინამორბედი ანტიკური ნაწარმოებები“. უურადღება გა-წერილია წინამორბედი ანტიკური ნაწარმოებებით. უურადღება გა-მახვილებულია ჯვარცმის ეპიზოდზე, როგორც განსაკუთრებით ტრა-გიკულსა და ამალლებულზე. ის, რომ მეფეთა-მეფე (ქრისტე) ჯვარც-მულ იქნა, როგორც ჩვეულებრივი დამნაშავე, ყველასგან უარ-ებილი, დამცირებული, მასხრად ავდებული და ჩაქოლილი, — ეს ყოფილი, დამცირებული, მასხრად ავდებული და ჩაქოლილი, — ის მოთხოვბა სრულიად სპობს ესთეტიკურის ანტიკურ ნორმებს. „ის ქმნის ახალ მაღალ სტილს, რომელიც არამოთუ უარყოფს გრძნო-ბად-რეალურს, არამედ შეითვისებს კიდეც ულამაზოს, ულირსს,

⁹⁵ О возвышенном, М.-Л., 1966, стр. 23.

⁹⁶ Mimesis, S. 28.

⁹⁷ Теория литературы, кн. I, стр. 346. ამ უკანასკნელი გარემოების შესა-ხებ იხ. აგრეთვე — Гегель, Сочин., т. XIII, стр. 72; А. Ф. Лосев, История античной эстетики, стр. 530.

ფიზიკურად დაქნინებულს". უფრო ქვევით აუერბახი შენიშვნავს:
„ყოფითი რეალიზმი შეა საკუუნეების ქრისტიანული ხელოვნების
არსებითი ნაწილია, განსაკუთრებით ქრისტიანული დრამებისა"⁹⁸.
მსოფლალქმა, რომელმაც ღმერთი მიწაზე ჩამოიყვანა და წერილები მოიკრისა, როი ადამიანური არსებობით შემოსა, ესთეტიკური იდეალის ფორ-
მირებაშიც ყოფითა და ჩვეულებრივს ემყარება.

✓ უკანასკნელად ბუნებრივად ისმება კითხვა: რა ფუნქციითა და
პროპორციით შედის ქრისტიანული ხელოვნების იდეალში მიწიერ-
ხორციელი მოქმედი, ადამიანის პირადული და ინდივიდუალური
მხარე? ✓ თადგან ჭაშმარიტი ქრისტიანობისათვის ამჯერები სი-
ნამდვილე თავისთვად სრულიად არ წარმოადგენს ბოროტებას, მი-
სი შესატყვისი ხელოვნებაც არ მიდის გრძნობადი სამყაროს შიშვე-
ლი უარყოფის გზით. თუმცა გვაქვს მრავალი ნაწარმოები, ამ შე-
სატყვისობის მიღმა მდგარი, სადაც სწორედ შიშველი უარყოფის
გამო, ესთეტიკური საგანი ძნელად შეიგრძნობა. სხვა შემთხვევაში
მატერიალურ-გრძნობადში დაიძებნება გამოძახილი ან აჩრდილი სუ-
ლიერობისა. ეს გარემოება კი გრძნობადი სინამდვილის წარმოშობას
კლისირდება — ლმერთია შემოქმედი კოსმოსისა და მის მიერ შექმ-
უავშირდება — ლმერთია შემოქმედი კოსმოსისა და მის მიერ შექმ-
ნილი საგნები მას მიემართება, ჩამოგავს: სამყაროს სილამაზე შემო-
ქმედის მშვენიერების გამოსხივებაა. ეს არის ყველაზე ჯანსაღი და
ქმედის მშვენიერების გამოსხივებაა. ეს არის ყველაზე ჯანსაღი და
სიცოცხლისუნარიანი ნერვი ქრისტიანულ ხელოვნებაში, რითაც ის
თავისი არსის ულრმეს საფუძველში უკავშირდება, ერთი მხრივ,
კლისირ ხელოვნებას (წინ) და, მეორე მხრივ, რენესანსს (შემდ-
გომ).

ქრისტიანობის არსის გამომხატველ ნაწარმოებში სხეულის სილა-
მაზე, მატერიალური სინამდვილე დაჩრდილულია არა თავისთვად,
არამედ სულიერ სინამდვილესთან, სულის სამყაროსთან შედარებით
და შეპირისპირებით. „სამყარო სულისა გამარჯვებას ზემობს გა-
რეგან სამყაროზე და მოასწავებს ამ გამარჯვებას თვით ამ გარეგა-
ნი სამყაროს ფარგლებში და იმავე სამყაროზე, და ამის კვალობაზე
გრძნობადი მოვლენა უფასურდება"⁹⁹.

✓ სულიერი ინტერესებისა და ხორციელ სწრაფ-
ვათა შეჯახების გზაზე ქრისტიანული ხელო პ-
ნების გმირი მაღლდება უკანასკნელზე ჰეგელი

⁹⁸ Mimesis, S. 76, 155.

⁹⁹ Гегель, Лекции по эстетике, Сочин., т. XII, стр. 85.

ამბობს: „სულის თავის თავისაკენ ამ ამაღლების გზით ახლა უგი იძენს თავის შიგნით თავის იმ ობიექტურობას, რომელიც იძულებული იყო აქამდე ამაღლ ეძებნა არსებობის გარეგან ფრთხოებისად ასპექტში (იგულისხმება კლასიკური ხელოვნება). გრეჭული უშიდებულობა შეადგენს ძირითად პრინციპს რომანტიკული ხელოვნებისა“¹⁰⁰.

თუ მატერიალურ-გრძნობადი არარაობაა, უეპელი და თავის-თავად ცხადი, მისი ასეთობის მტკიცებას ნაკლები ფასი აქვს. საერთოდ, და განსაკუთრებით, ხელოვნებაში, სადაც სულიერი საშეარის ამაღლებულობა „შეადგენს ძირითად პრინციპს“ (პეგელი). არარაობაზე მაღალია ყველაფერი, რაც მის მიღმა დევს. ესთეტიკურად ზემოქმედი ის ამაღლებულობა შეიძლება იყოს, როცა პოზიტიური ფასი აქვს იმას, რაზედაც მაღლდებიან (მაგალითად, სიცოცხლეს, მიტანილს ამა თუ იმ იდეის სამსხვერპლოზე).

ადამიანის გრძნობად-მატერიალური მხარე სულიერ-ღვთაებრიც-თან შედარებით და შეპირისპირებით არის დაბალი ქრისტიანული ხელოვნებისათვის. შედარება-შეპირისპირება და კონტრასტი ამ ხელოვნების პრინციპის სტილის ტური ნიშანია. (ხოლო დაპირისპირებულობა და წინააღმდეგობა, ცხადია, ჯერ კიდევ არ ნიშნავს საერთოდ უარყოფას). საილუსტრაციოდ შეიძლება წარმოვიდგინოთ ორი სიბრტყე სივრცეში, ერთი დაბლა და მეორე მაღლა. კვედა — სიბრტყე ამქვეყნიურ-მატერიალურ რეალობას ანსახიერებს, ზედა — სულიერ-ღვთაებრიცს. ქრისტიანული ნაწარმოები არ არსებობს, როგორც ესთეტიკური საგნი, თუ არ არის ამ ორი სიბრტყის შეპირისპირება-კონტრასტის თვალსაჩინო განცდა, მთლიანობა, როცა ისინი ერთმანეთს მოითხოვენ და უარყოფენ. რაც უფრო მძაფრია ამ სიბრტყეთა რეალობის შეგნება, მით უფრო ძლიერია ესთეტიკური განცდა. სულიერ-სუბსტანციურის სიმაღლე მატერიალურის შედარებით სიდაბლით აღიმება და პირიქით. აღმებელმა სუბიექტმა განცდად გადაქცეული შინაგანი ჭვრეტით უნდა გაიაროს აღნიშნული მანძილი ორ სიბრტყეს შორის, რათა ნაწარმოებმა მიზანს მიაღწიოს. ამ გზის, ამ წინააღმდეგობის დაძლევა აქცევს ნაწარმოებს მხატვრულ მოვლენად. როცა არ არის კვედა სიბრტყის ცხადი, თვალსაჩინო განცდა, აღარ არის მანძილის

100 ლექცია по эстетике, Сочин., т. XIII, стр. 88 ამაღლებულის შესახებ შეა საუკუნეების ესთეტიკაში იხ. რ. სირაძე, ქართული ესთეტიკური აზრის ისტორია, 1978, გვ. 115—123, 123, 257—258.

შეგრძნება, არ არის წინააღმდეგობა, არის მშრალი რეზონითობა, იდეის პერსონიფიკაცია, ე. ი. არ არის ესთეტიკური საგანი.

ასეთივე მიმართება მყარდება ინდივიდუალურთან, კერძოსთან უაუკირადულთან. ლიტერატურული ხასიათის სპეციფიკურ პრისტრუქტული ანულ შინაარსში ეს ასპექტი წარმოდგენილია. იგი წინააღმდეგობაში აღმოჩნდება იდეალურთან, ლეთაებრივთან, საყოველთაოსთან. შინაგანი გაორებისა და ტკივილის გზით გმირი მაღლდება ინდინდივიდუალურზე. ხოლო გაორებასა და ტკივილს ის იწვევს, რომ ინდივიდუალური და პირადული გარკვეული პოზიტიური შინაარსითაა აღმოჩნდილი და არაა არარაობა თუ ბოროტება. ამაღლებულობის განცდისაც მსხვერპლად მიტანილის ფასეულობის შეგნება უდევს საფუძვლად. რაც უფრო რეალურია ამ ფასეულობის შეგნება, მით უფრო მძაფრია წინააღმდეგობის ტკივილი; რაც უფრო მძაფრია ტკივილი გაორებისა, მით უფრო ზემოქმედია განცდა ამაღლებულობისა, რომელიც შინაგანი ტკივილისა და გაორების დაძლევასა და მოხსნას გულისხმობს იდეალში. ჰეგელი ამის თაობაზე ამბობს: „ინდივიდუალური დახსიათება იძენს აქ დიდ გარკვეულობას სწორედ იმიტომ, რომ იგი წარმოადგენს რალც არარსებითს და აბსოლუტურად არ ერწყმის სულიერ ნეტარებას სიყვარულისა; რომანტიკული მხატვრული ფორმის შესაბამისად ამ დახსიათებას ეძლევა თავისუფლება... რელიგიური სფეროს იდეალურ ცენტრსა და ძირითად შინაარსს ქმნის შერიგებული, დაქმაყოფილებული სიყვარული...“¹⁰¹. თანამედროვე ლიტერატურაში ზოგადს ვწვდებით განსაკუთრებულში და განსაკუთრებულით, იდეალურს ვპევრეტო როქმედების, განცდისა და მეტყველების ინდივიდუალურს; განუმეორებლობაში; ლიტერატურული ხასიათის შემაღვენელი ორი ასპექტი ერთმანეთს ერწყმის და მსჭვალვს აბსოლუტურად. ქრისტიანული ლიტერატურის გმირის ხასიათში ასპექტი ინდივიდუალურისა, განსაკუთრებულისა აუცილებლად შემოდის, მაგრამ „აბსოლუტურად არ ერწყმის“ და არ მსჭვალვს ზოგადს, იდეალურს, არამედ ემსახურება მას, როგორც საყრდენი, პიედასტალი, რომელზედაც აღიმართება მონუმენტური სახე იდეალისა. კერძო და ინდივიდუალური თავისი არარსებითობითა და შედარებითი სიდაბლით ამკვიდრებს (მიუთითებს) არსებითობას და ამაღლებულობას ზოგადისა, სულიერისა, „...ვინაიდან სწორედ ასეთ შემთხვევაში, როცა

101 Лекции по эстетике, Сочин., т. XIV, стр. 33—34.

ერთი განიცდის თავის შეზღუდულობას, მეორეს კუფლებს შეგნება თავისი ძალისა და უსასრულოდ მაღლდება სწორედ იმით, რომ შიწახე აჭყლეტს სხვას¹⁰².

ერთი კულტ

მაგრამ პირადულისა და ინდივიდუალურის მოშენტერი მცირდება
ლად გილდოვდება გარკვეული პოზიტიური ფასეულობით და მისი
მსხვერპლად მიტანა მხოლოდ იმ გზით ხდება ესთეტიკურად ამაღ-
ლებული. ჰეგელის მიერ ხაზგასმული სიტყვები, რომ „რელიგიური
სფეროს იდეალურ ცენტრსა და ძირითად შინაარსს ქმნის შე რი-
გებული, დაქმაყოფილებული სიყვარული“, — იმას ნიშნავს, რომ
გმირის ინდივიდუალური სამყარო მარტო უმაღლეს საფეხურზე —
იდეალშია „შერიგებული, დაქმაყოფილებული“ თავისი სიყვარულის
საგანთან — ღმერთთან. „შერიგებულის, დაქმაყოფილებულის“ სტა-
დია დგება შერიგებისა და დაქმაყოფილების პროცესის შემდეგ,
როცა პირადული საწყისი მტკივნეულად უპირისპირდება საყოველ-
თაოს. სულიერი სინაზე, ნეტარება და სიხარული, ქრისტიანული
ხელოვნების გმირთა სახეებში რომ გამოკრთის, არის სიხარული
ტანჯვასა და ტკივილზე გამარჯვებისა, გაორების დაძლევით
გაწონასწორებული სულისა. იგი გამოიხატება, როგორც ჰეგელი
იტყოდა, „...ღიმილით ცრემლებში. ცრემლი მიანიშნებს კაშანს, ღი-
მილი — ნათელსხივოსნობას და, ამრიგად, ღიმილი ტირილში გა-
მოხატავს ამ შინაგან სიმშვიდეს განცდილ ტანჯვასა და წამებაში¹⁰³.
ჩვენ ზემოთაც გვქონდა საგანვებო მსჯელობა იმის თაობაზე, რომ
ქრისტიანული ხელოვნების იდეალი, როგორც თავისუფლება და
დამოუკიდებლობა, არ ნიშნავს შერიგებას, რომელიც სახეზეა თავი-
დანვე, არამედ მოიპოვება, როგორც ამაღლება გრძნობადი არსებო-
ბის სასრულობიდან ჭრიარიტებამდე, და თან ახლავს ბრძოლა, ტკივი-
ლი, ტანჯვა სულისა და ხორცისა. აი რატომ ეძლევა თავისუფლება
ინდივიდუალურ დახასიათებას. თუმცა ისიც ცხადია, რომ ინდივი-
დუალური დახასიათება აქ არ შეიძლება ძალიან მკვეთრი და ძლიერი
იყოს, თორემ იგი დაჩრდილავს ნეტარებას სულიერი სიყვარულისა,
რომელიც ყველას ათანასწორებს ღვთაების წინაშე. ინდივიდუა-
ლურ-სახასიათო კომპლექსი ფუნქციონალურ მნიშვნელობას დაკარ-
გავს და თავისთავადს აზრს შეიძენს. აქცენტირებული ინდივიდუ-

102 Ф. Шиллер, О возвышенном, Статьи по эстетике, М.-Л., 1935, стр. 174.

103 Лекции по эстетике, Сочин., т. XII, стр. 162.

ალექსი ასპექტი თვითონვე შექმნის დაბრკოლებას თავის თავის შო
სნისათვის იდეალის ბოლო საფეხურზე. ზოგადი კი აქ, როგორც
კოქვით, ინდივიდუალურის მოხსნით, დაქვემდებარება-დამოქანდულება
ბით, მასზე გავლით მკეიდრდება და არა მისი გზითა და შამშეცვალება

დაახლოებით ასე წარმოგვიდგება ფილოსოფიური წანამძღვ-
რები და ძირითადი ესთეტიკური პრინციპები შუა საუკუნეების
ქრისტიანული ხელოვნებისა. თავის საუკეთესო ძეგლებში (იქ, სა-
დაც თავის საწყისა და არს შეესატყვისება) ამ ხელოვნებამ შექმნა
ისეთი ფასეულობანი, რომელთა უარყოფა აუხსელს დატვებდა
ბევრ რამეს მხატვრული სახის განვითარების ისტორიაში. „შუა საუ-
კუნეების ხელოვნებამ უძვირფასესი აღმოჩენებით გამდიდრა
მსოფლიო მხატვრული კულტურა და იყო უცილობელი ეტაპი ესთე-
ტიკური შემეცნებისა. მან გავვალა გზა დევნილი და შეურაცხყოფილი
ადამიანების ცხოვრების დრამატული სტიქის გამოსახატვად; მან
დაგვანახა შუვენიერება სულის წვისა უძლურსა და ულამაზო სხე-
ულში; მან გააფართოვა დიაპაზონი გრძნობებისა, რომლებიც „ადა-
მიანურობის“ ცნებაში შედიან, — გულმოწყალეობისა და თანაგრძ-
ნობის წყურვილიდან მწარე პლებეურ ზიზღამდე მაძლარი, უზრუნ-
ველყოფილი, თვითქმაყოფილი ხორცისადმი“¹⁰⁴.

როგორც მიუთითებენ, შუა საუკუნეებმა შექმნა სამყაროს სა-
კუთარი სურათი, მწყობრი და თანაზომიერი, ხოლო ადამიანი იყო ამ
სამყაროს „ჰარმონიული ნაწილი“ და გარკვეული თვალსაზრისით
„ყველა საგნის საზომს“ წარმოადგენდა მასში. თუმცა შუა საუკუ-
ნეთა ჰუმანიზმი არა ჰგავს იმავე მოვლენას სხვა ეპოქებისა, მაგრამ
„ეს არ უშლის მას იყოს და დარჩეს ჰუმანიზმად — სამყაროში ადა-
მიანის დამკვიდრების ფორმად“¹⁰⁵. მიუთითებენ, რომ, მაგალითად,
ათასწლოვანი ბიზანტიური კულტურა „მსოფლიო ცივილიზაციის და-
უვიწყარი ფურცელია“; რომ იგი ორმხრივს, ნაყოფიერ ურთიერთო-
ბაში იყო „....თავისი დროის ყველა დიდ კულტურასთან: ქართულ-
თან, სომხურთან, სლავურთან, არაბულთან და სპარსულთან“¹⁰⁶.

104 Основы марксистско-ленинской эстетики, стр. 264.

105 Памятники средневековой латинской литературы X—XII веков, М., 1972, стр. 5.

106 Памятники византийской литературы IV—IX веков, М., 1968 стр. 5.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქრისტიანობის სფეროშვერება
კარგად „მოერგო“ ქართულ მსოფლალქმას. მიწისა და ზეცისას ერ-
თნაირი ძალმოსილებით მლტოლველი ჩვენი ეროვნული უფლება და უფლება
ნატიზმში არასოდეს ჩაძირულა და „ქართულ ეკლესიური მიურატება
სახელით ქრისტიანები არ უდევნია“¹⁰⁷ შეა საუკუნეების ქართუ-
ლი კულტურის ძეგლებში ეროვნული მსოფლგანცდა ქრისტიანობის
ცხოველმყოფელ ძირებზეა დამყნილი. ჩაც შეეხება ლიტერატურას,
სასულიერო მწერლობის წიაღში შემზადდა საფუძველი საერთ სი-
ტყვიერი ხელოვნებისათვის და მათს თანაარსებობას მწვავე ხასიათი
არასოდეს მიუღია. ამიტომ წარმოგვიდგება ძველი ქართული კულ-
ტურის განვითარების ხაზი ორგანულ მთლიანობად, შინაგანი დრა-
მატიზმისა და ტეხილების გარეშე.

107 გ. იმედაშვილი, ვეფხისტყაოსანი და ქართული კულტურა, გვ. 172.

მეორე თავი

ობიექტურ და ესთეტიკურ სინაზღვილეთა ურთიერთშემართვა

მხატვრული ცნობიერება სინამდვილეს შშვენიერების თვალსაზრისით აღიქვამს და გარდაქმნის ახალ, ესთეტიკურ სინამდვილედ. გაცნობა ჰავიოგრაფიული ნაწარმოებებისა იმ შთაბეჭდილებას აღრავს, რომ აქ ემპირიული სინამდვილე აღქმულია სხვადასხვა გზით და არაერთვარად. სამყაროს ხატოვან ხილვის ხშირად ცვლის ორაქსთეტიკური მასშტაბი. — მისტიკური, ისტორიული თუ მორალური ხასიათისა. სახეობრივი ნაკადის პარალელურად ნაწარმოების შინაარსი არასახეობრივი ნაკადით მიედინება, სადაც იდეალი და სინამდვილე აზროვნების ფორმაში ჩანს მორიგებული და არა სინამდვილისავე ფორმაში, როგორც ეს მხატვრულ ძეგლს მოეთხოვება.

სტეფანე მტბევარის თხზულება „წამებად წმიდისა მოწამისა გმოონთისი“ 914 წელს საქართველოსა და სომხეთში არაბთა სარდლის აბულ-ჯასიმის შემოსევას გვისურათებს. ამ ისტორიულ რეალობაზე დაყრდნობით მწერალი ქმნის ახალს, მხატვრულ რეალობას. სადაც ემპირიულ-ფაქტოლოგიურ ხილვის სინამდვილისა თავისუფალი პოეტური ხილვა ენაცვლება. ეს „თავისუფლება“ ფაქტის მხოლოდ მასალად გამოყენებას და მხატვრული ფანტაზიის გზით მისოვის ახალი სიცოცხლის მინიჭებას გულისხმობს. არაბები „მოვიდეს და მოადგეს ციხესა მას ყველისასა, გარე შეადგეს კარვები იგი მათი, ვითარცა თოვლი, რომელი ხუთისა სოფლისა საზღვართა და-ოდენ-ეტივნეს იწროებით, და საბელნი იგი კარვებისა მათთანი განეთხნა ურთიერთას, რამეთუ ესე იყო ჩუეულებად დადგრძნისა მათისათ, ნათესავთა მათ საძაგლთა, ულმრთოთა, ფიცხლად მოისართა, რომელი ჭამდეს ძალოთა, თავუსა, კაცსა და ყოველსა არაწმიდასა. და ესრეთ განემზადნეს ბრძოლად ფილეკავნებითა მრავ-

ლითა. და სიმრავლუ ტყორცებულთა მათ ისართად შეიძყრობდა ჰა-
ერსა მზისასა, რომელსა აქუნდა ასეული ტკრთი აქლმისას ისახი
ოდენ და ეგრეთვე ჰოროლი. და ბრძოლასა მას ფიცხელსა მწვე ჩქ-
მნენს ციხვანნი იგი და დაჭვოცდეს მბრძოლთა მათ შექმნების
კორცთა მათთა, ვითარცა სკორესა ქუყანისასა. ...და ოდესშე გამოი-
ტევნიან სიმრავლენი იგი ზღვარსა არტაონისასა და, რომელნი ჰოვნი-
ან თვისისა მკრებელნი და მსხუერტელნი ყანობირისა მათისანი, რო-
მელნი შიმშილისაგან შიშსა სიკუდილისასა შეურაცხვყოფდეს, შეკ-
რიბნიან გახლობელად ციხესა მას, ვითარცა ცხოვარნი საჩუენებ-
ელად მათა და დაჭრიან კორცნი მათნი; და სისხლი იგი უბრალო,
ვითარცა მსხუერპლი სულნელი, შეიწირვოდეს ლმრთისა... ურიცხუ-
ნი იგი ერნი მართლმადიდებელთანი აქარს და შავშეთს შეწყუდე-
ულ იყვნეს, რომელნი ვითარცა მკალნი მოსჭამდეს ფურცელსა ხე-
თასა და მწუანვილოვანსა ქუყანისასა“!

ადვილია იმის შემჩნევა, რომ წარმოსახულ სიტუაციაში ემპა-
რიული სინამდვილის ნორმები და საზღვრები დარღვეულია („გარე-
შეადგეს კარვები იგი მათი, ვითარცა თოვლი“; „სიმრავლუ ტყორცე-
ბულთა მათ ისართად შეიცყრობდა ჰაერსა მზისასა“; „ვითარცა
მკალნი მოსჭამდეს ფურცელსა ხეთასა და მწუანვილოვანსა ქუყა-
ნისასა“ და კიდევ სხვა). სტეფანე მტბევარი კი არ მოგვითხრობს
კართველებისა და არაბების ბრძოლის შესახებ, არამედ ჩვენს თვალ-
წინ გაატარებს სურათს ომისა. ეს სურათი უშუალოდ აციცხლებს
მოძრაობას, უესტს, გარეგნულ და შინაგან სულიერ მოქმედებათა
ხატს. მკითხველის წარმოდგენაში პირდაპირ აღიმართება შემწილი
სიტუაციისა და ამ სიტუაციაში მოქმედება სინამდვილე (რა თქმა
უნდა, რეპროდუქცირებული სინამდვილე). უშუალოდ და საგნობ-
რივად ვხედავთ მოქმედებებს, სხეულებს, მოულენებს. აბსტრაქტუ-
ლი ცნებებით კი არ მიღის ამ შემთხვევაში ავტორი გარკვეული იდე-
ისაკენ, არამედ სინამდვილეში გვახედებს ისე, რომ უშუალო სინამ-
დვილისავე ფორმს იყენებს საშუალებად. ამასთანავე, როგორც
ვთქვით, მწერალი ამას აღწევს, საგნის ფაქტობრივი რეალობის დარ-
ღვევით. ემპირიული რეალობა ტრანსფორმირებულია ახალ — ეს-
თეტრიკურ რეალობად. ეს უკანასკნელი არ დგას ობიექტური რეალო-
ბის იქნეთ, მაგრამ არც მისი იგივეობრივია. კეშმარიტება, რომლისა-

1 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V—
X სს.), ილია აბულაძის ხელმძღვანელობით და რედაქციით, 1963, გვ. 176—177.
შემდგომ დავასახელებთ შემოქმედით — ძეგლები, 1...

კენაც ამ გზით მივყევართ მწერალს, რა თქმა უნდა, ისტორიული და
ლოგიკური ჰეშმარიტება კი არაა, მხატვრულია.
ამ პოეტურ სურათს სტეფანე მტბევარის ჰაგიოგრაფიულზერჩევულ
ლებაში მოსდევს თხრობა, სადაც მხატვრულ-სახეობრივი აზრი უნდა მოვარდოს:
არ იგრძნობა: „ხოლო კელმწიფე იგი პბრძოდა ციხესა მას ოც და
რვა დღე და ნაბაკნი შეუვდეს, რომელთა განკურიტეს კლდე და გა-
ნარლვეს ზღუდეს, რომელთა გამოუკდის ნეტარი გობრონ და განდევ-
ნის და ძლევისა მისგან უმეტეს განაკურვნა ყოველი. და ვითარ არა
იყო შეწევნამ, არცა წინააღმდეგმამ, საფიცი ითხოვეს, რამეთუ
ლმერთმან განიჭნა იგინი. ესრტო გამოიყვანნა იგინი და განუვნა
კაცთა თვესთა რიცხვთ ვითარ ორასნი ოდენ. ხოლო ნეტარისა გობ-
რონისი ამცნო უმეტეს ყოველთასა კრძალვით პყრობამ და
ესრტო წარემართა და მგზავრ რომელთამე აბირებნ და აქაღებნ სი-
კუდილსა. და რომელთა მიავლინებნ მისა და აღუთქუამნ კეთილ-

ცოცხალი მხატვრული წარმოსახვით შესრულებულ აუცხი-
სურათს: / „კეთილ ას უდაბნოს იგი მზისა მცხინვარებითა და ჰაერი-
სა შეზავებითა ყოვლით კერძო. და აქუს მას წყაროს მდიდრად გა-
მომდინარე, შუენიერი, გრილი და ჰამორ, და გაღნართა სიმრავლე
ურიცხვ...“ / — გიორგი მერჩულის ტექსტში ასეთი დოკუმენტური
სტილით გმირთული პასაუი აგრძელებს: „ესე ვითარცა ესმა დღი-
ბულსა კურაპალატსა, შეწირნა ადგილინი კეთილნი და შატბერდისა
დევილი აგარაკად ხანცისა. მაშინ სამთა მათ დიდებულთა ძეთა
თითოეულად, რაც საჯმარი მონასტერსა მისსა უკმდა, ყოველი
უხუებით...“³ და ა. შ.

2 ደንጋጌዎች, 1, ፳፻- 177.

³ ძეგლის 1, 33. 262—263.

ამ პასაკიდან კი მერჩულეს შეუმჩნევლად გადავყავაროთ ზენონის დის მიჯნურობის პოეტურ სამყაროში. ეს არის შევენიური წაველა, რომელსაც ამ უანრის ყველა კომპოზიციური ნიშანი გააჩნია „კაბუკი სახელოვანი“, რომელიც „შეიჭურა საჭურვალუში“ შესრულდა ამხედრდა ცხენსა და დევნა უყო“ დის მაცდუნებელს. სამარტინოდ მღელვარე სულის დასაწყნარებლად მონასტრის ედლებს მიაშურებს. ამქვეყნიურ შფოთს განრიდებული ზენონი გრიგოლმა „ადგილსა მას მწუანვილსა ღმრთისა მადლისასა დაამქვიდრა და წყალთა ზე და განსასუენებელთა სულისა წმიდისათა გამოზარდა“⁴. ამ დრამატული ფინალის შემდეგ სახეობრივი ნაკადის სიმძლავრე პოეტური ტონუსი შესამჩნევად იყლებს და მალე მწერალი ისტორიულ-დოკუმენტურ თხრობაზე გადადის: „ხოლო მმაა გრიგოლ გულსა ეტყოდა, ვითარმედ: „ვითარცა მონასტრისა ჩემისა მამანი სათნოებითა უზეშთაეს არიან უამისა ამის მონაზონთა, ეგრეთცა წეს არს წესი საღმრთომ საკულესიო ეკლესიასა შინა ჩემსა დაწესებად ბრძენთაგან განუკითხველი“. ამისთვის განიზრახა წარსვლად ქრისტის საჭურჭლედ, მეორედ იერუსალიმდ, რომელ არს კონსტანტინოპოლისი... და თანა წარიყვენნა საბა დედის დისტული თვისი, და ერთი ვინმე სხულ და მოწაფე, და წარემართა საბერძნეთად...“⁵. ამგვარადვეა მოთხრობილი საბერძნეთში ყოფნის ამბავი. ბიზანტიიდან დაბრუნებული ტაოში შეიტყობენ აშორ კურაპალატის მოკვლის ამბავს. აქ მწერალი გრიგოლს წარმოათქმევინებს ლირიკულ მონოლოგს, რომლის მხატვრულ ლირსებაზე საგანგებოდ გვექნება მსჯელობა ქვემოთ.

მეტნაკლებად ასეა ორგანიზებული ქართული ჰაგიოგრაფიის ყველა ნიმუში. ამ ნაწარმოებთა ზოგად სტრუქტურაში პოეტურ ხილვას ხშირად სინამდვილის ისტორიული, მორალური და რელიგიური აღქმა ენაცვლება; შინაარსი სახეობრივი და არასახეობრივი ნაკადების სახით მიედინება. ეს ნაკადები ხან თანმიმდევრულად ენაცვლება ერთმანეთს, ხან კი შეხლართულია ურთიერთში ერთი ეპიზოდისა თუ სიტუაციის ფარგლებში.

არასახეობრივი ნაკადი ყველა დროისა და ყოველგვარი ფორმის ნაწარმოებშია, საერთოდ. საკუთრივ სახეობრივი აზროვნება ნაწარმოების ყველა მონაკვეთს არასდროს აფორმებს. ლოგიკური თუ სხვა არახატოვანი კონსტრუქცია ყველა მწერლის ნახელავში შეგვხდე-

⁴ იქვე, გვ. 263.

⁵ ძეგლები, 1, გვ. 264.

გა. ჩვენ იმის გახაზვა გვინდა, რომ ჰავიოგრაფიულ ნაწარმოებში არასახეობრივი მასშტაბების ხვედრითი წონა ღილია. ეს გარემოება კი „...განპირობებულია, უპირველს ყოვლისა, მხატვრულობის; რომ გორუნებული ასეთის, გამოყოფლობით, პოეზიის სინკრეტული ხასიათით გრძელებული თვით XVIII საუკუნემდე მხატვრული ლიტერატურა, განსაკუთრებული მის მაღალ უანრებში, პირდაპირ და უშუალოდ დაკავშირებულია სოციალურ-პოლიტიკურ და რელიგიურ იდეოლოგიასთან და თვით ისტორიულ მეცნიერებასთანაც კი“⁶. ქართული ჰავიოგრაფია იმ დროისა და მსოფლგაგების პრედისტარია, როცა მხატვრული ცნობიერება დამოუკიდებელ მოვლენად არაა გამოყოფილი, იგი სინკრეტული ხასიათისაა.

ზოგიერთ ჰავიოგრაფიულ ტექსტში არასახეობრივი ნაკადი ინტორიული ხასიათისა საქმაოდ მძლავრია ესთეტიკური მასშტაბის გვერდით. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ „ხელოვნების ძეგლი თვითგახსნის უნარს მოლიანად არ ფლობს, განსაკუთრებით წარსულის ხელოვნების ძეგლი“⁷, — გასაგებია, რომ ქართული ჰავიოგრაფიის შესწავლის პირველ ეტაპზე წინ წამოიწია მისი ისტორიოგრაფიული ფასეულობა⁸. 1966 წ. გამოვიდა მ. ლორთქიფანიძის საინტერესო ნაშრომი „ადრეფეოდალური ხანის ქართული საისტორიო მწერლობა“, სადაც ქართული ჰავიოგრაფიის ძეგლები განხილულია, როგორც საისტორიო წყარო. ნაშრომი კიდევ ერთხელ გვიმოწმებს, რომ ჰავიოგრაფიულ ტექსტებს შეუძლია მნიშვნელოვანი სამსახური გაუწიოს ქართულ ისტორიოგრაფიას გარდასულ ეპოქათა სურათების გასაცოცხლებლად. თავისითავად ამ უდავო გარემოებიდან მომდინარე კვალიფიკაცია ჰავიოგრაფიული ლიტერატურისა გვეჩვენება სადაც ქართულ ჰავიოგრაფიას მ. ლორთქიფანიძე განსაზღვრავს, როგორც საისტორიო მწერლობას. ის, რაც ქართულ ჰავიოგრაფიას საისტორიო წყაროს მნიშვნელობას ანიჭებს, გამოცხადებულია ამ მწერლობის სპეციფიკად, უპირველეს ფუნქციად, მისი ბუნების ძირითად თვისებად.

6 Теория литературы, Основные проблемы в историческом освещении, кн. II (Роды и жанры литературы), М., 1964, стр. 449.

7 Д. Лихачев, Об эстетическом изучении памятников культуры прошлого, Вопросы литературы, 1963, № 3, стр. 110.

8 ი. ივანიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V—XVIII სს.), პირველი (1916 წ.) და მეორე (1945 წ.) გამოცემა, სადც ჰავიოგრაფიული ნაწარმოებები სუმბატ დავითის ძის ქრონიკის, „მატიანე ქართლისას“ ფამთაამწერლის სიბრტყეზეა განხილული.

ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის საისტორიო მწერლობის უახ-რად მიჩნევა, ჩვენის აზრით, მცდარია ორი ძირითადი განუმოების გამო; პირველი — ეს თვალსაზრისი ვერ ითვალისწიფებული ჰქონდება ფიული ძეგლების მხატვრულ სპეციფიკას; მეორე ზეპირმჭერა უწევს თვით ისტორიული პასაჟების ბუნებას, თავისებურებას და რაც მთავარია, ფუნქციონალურ მიმართებას მხატვრულ-ესთურიულ ნაკადთან.

როგორია სახეობრივ და არასახეობრივ ნაკადთა ურთიერთმი-მართების ბუნება ქართულ ჰაგიოგრაფიაში? ე. ი. გარეკვეული პასუხი უნდა გაიცეს კითხვაზე: ისტორიულ-ლოგიკური ხასიათისაა ის კეშმარიტება, რომლისკენაც შუშანიკისა და აბოს „წამებათა“, გრიგოლ ხანძთელისა და გოორგი ათონელის „უხოვრებათა“ ავტორებს მიყვევართ თუ პოეტური ხასიათისა? ისტორიასთან გვაქვს საქმე თუ პოეზიასთან?

ჰეგელის ლექციების კურსში ესთეტიკის შესახებ გვნიალურ დიალექტიკური სიცხადითაა წარმოჩინებული, თუ რით განსხვავდება პოეტური აღქმა, წარმოდგენა და განსახიერება პროზაული შემცნებისაგან (პოეზიაში ნაგულისხმევია, საერთოდ, მხატვრული ლიტერატურა, პროზაში — არამხატვრული, ისტორია, მჭევრმეტყველება, საერთოდ, მეცნიერება, ლოგიკურ ცნებებზე დამყარებული). ჰეგელი განმარტავს: „პროზაში გამოიყოფა არა სახე, არამედ აზრი, როგორც ასეთი, რომელიც შინაარსად იქცევა... პროზას არა აქვს მოთხოვნილება მხედველობას წარმოუდგინოს თავისი ობიექტების უახლოესი რეალობა“⁹. ამის საპირისპიროდ „საერთოდ, ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ პოეტური წარმოდგენა, როგორც სახეობრივი, რამდენადაც იგი ჩვენს მზერას ნაცვლად აბსტრაქტული არსისა წარმოუდგენს მის კონკრეტულ რეალობას, ნაცვლად შემთხვევითი ყოფისა — ისეთ მოვლენას, რომელშიც ჩვენ შევიმეტნებთ სუბსტანციურ საშუალოდ თვით გარეგნობის გზით და მის (არსის, — გ. ფ.) ინდივიდუალობას მასთანვე განუყოფელ კავშირში. სწორედ ამით ჩვენს წინ აღმოჩნდება საგნის ცნება და მისი არსებობა, როგორც უცვლელი მთლიანობა წარმოდგენის შინაგან არსში... პოეზია გვაძლევს ჩვენ ცნებას მის ყოფიერებაში, გვარს — განსაზღვრულ ინდიდუალობაში“¹⁰.

⁹ Гегель, Лекции по эстетике, Сочинения, т. XIV, М., 1958, стр. 196.

¹⁰ Гегель, Лекции по эстетике, Сочин., т. XIV, 194—195.

ისტორიული თხზულების შედეგად აზრი გვევლინება, ლიგვა-
კური ცნებების შეჯერების გზით მოპოვებული შინაარსი საკუთრივ
აზრის ფორმაში ყალიბდება. რა ჰქვია მკითხველის ცნობების გადაწყვეტილების
შემოსულ იმ შინაარსს, რასაც „მატიანე ქართლისაა“ თუ სუმბატ
დავითის ძის ქრონიკა გვაძლევს? რა თქმა უნდა, აზრი, გავება ალ-
წერილ ეპოქათა, აზრი და მნიშვნელობა იქ გამოყვანილ მეფეთა
ღვაწლისა. არც სუმბატ დავითის-ძეს და არც დავით აღმაშენებლის
ისტორიკოსს თავის არსებით მიზნად არ დაუსახავთ მკითხველისათ-
ვის გაეთვალისწინებინათ თავიანთი თხრობის ობიექტის უშუალო
ჩელობა. ისინი აბსტრაქტული ცნებებით გვესაუბრებიან, თავიანთ
საგანს სამყაროსთან ისეთ მიმართებაში აღიქვემდენ, რომელშიც მათი
კერძო, ინდივიდუალური ბუნება კი არ მოჩანს, არამედ ათასი სხვა
მსგავსი საგნის ბუნება.

„ქართლის ცხოვრების“ ყოველი მემატიანისათვის პრინციპული
და არსებითი აზროვნების დაახლოებით ასეთი სისტემაა: „ლამესა
ნისლისაგან განცისკრებულსა ოდენ დაესხა ვახტანგ სპარსთა ზედა
და რქუა ყოველსა ერსა მისსა: „ყოველი კაცი, რომელი დარჩეს სი-
კულილისაგან და მტერთა ჩუენთაგანისა თავი ანუ კელი არა გამოი-
ტანოს, ჩვენ მიერ მოკუედინ იგი“. და ცისკარი რა აღელებოდა, და-
ესხა და შევლო ვიდრე პალატაშე მეფისა. შევიდა კარავსა შინა მე-
ფისასა და მეფე შეესწრა ცხენსა ზედა და ქე მისი ბარტამ მოკლა და
მოპკუეთა თავი მისი“¹¹. ან ასეთი: „ესე ბაგრატ, აფხაზთა და ქართ-
ველთა მეფე წარემატა ყოველთა კელმწიფეთა ყოველითა განვებითა.
ამისდა შემპოვნედ და ამისა მოახედ შეიქმნეს ყოველნი კელმწი-
ფენი, მახლობელნი და მოთუალენი მამულისა და სამეფოსა მისისანი,
მოლაშქრედ ვითარცა თვანი და მისანდობელნი. და დაუმორჩილნა
ღმერთმან ყოველნი მტერნი და წინააღმდეგომნი მისნი; მომადლა
დღეთა მისთა მშვიდობა და დიდი დაწყნარება ქუეყანისა“¹².

იმავე მემატიანისათვის არაპრინციპული და არაარსებითია აზ-
როვნების ასეთი მოდელი. „მუნ მეფობს... ქალაქსა მას, რომლისა
შეენიერება არა უხილავს თუალსა სხეულიანსა და რომლისა ბრწყინ-
ვალება ვერა აღვალს გულსა კორციელსა, ვერცა სასმენელი დაიტევს
სმენილსა. რამეთუ მუნ არს შუება და სიხარული, რომელსა არა
აქუს მწუხარება და სიმდიდრე, რომელსა არა განკუეთს ურვა და

11 ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, ტ., I, 1955, გვ. 202.

12 იქვე, გვ. 281.

მეფობა, რომელსა არა აქვს აღსასრული, და მუნ არს ცხოვრება. რო-
მელსა არა შეამღვრევს სიკუდილი¹³. ან ასეთი: საგდუხტ დედა ფაზი
(ვახტანგ გორგასლის დედა) „წარვიდა ბარდავს მამისა თვალისა თანა,
განილო თავი, და უყარნა მუჯლნი და აღმოყარნა ძუძუნი შემსრულებული
და პირსა ზედა და დადვა პირი თვა ფერჯთა მისთა ზედა, დაალტობ-
და ფერჯთა მამისა თვასიათა ცრემლითა და ითხოვდა მისგან შეწყა-
ლებასა და არა ხსენებასა ნაქმართა მამამთილისა და ქმრისა მისისათა,
და შენდობასა დატევებისათვს სჯულისა¹⁴. აღქმის ასეთ ფორმასაც
იყენებს ზოგჯერ მემატიანე, როგორც დამხმარე საშუალებას იმ საერ-
თო კონსტრუქციაში, რომელიც არსებითად სულ სხვა სისტემითაა
აგებული. აბსტრაქტული ლოგიკის გზით დადგენილი აზრი აქა-იქ საგ-
ნისა თუ მოვლენის ინდივიდუალური ფერითაა გაცოცხლებული. ამით,
რა თქმა უნდა, საერთო კონსტრუქციის არსი და მიზანი არ იცვლება.

ამის საპირისპიროდ ჰაგიოგრაფი მწერლის წარმოდგენასა და
განსახიერებაში წარმმართველია სწრაფვა—აბსტრაქტულის ზოგადო-
ბა კონკრეტულად განასხეულოს, არსებითის არსებითობა საგნისა
და მოვლენის ცხოვრებისეულ უშუალობაში გვაგრძნობინოს. ამი-
ტომ ისინი საგნობრივი ცხოველმყოფელობით აღმართავენ ჩვენს
წარმოდგენაში იმას, რაზეც მოვციობოდენ.

ჰაგიოგრაფი მწერლისათვის პრინციპული და არსებითია აზ-
როვნების ასეთი მოდელი: „უამი იყო არისა, ოდეს მზისა მიერ და
მხურვალებისა აღმოჩიდვიან მიწით დასაბამითგანვე ამას უამსა
აღმოჩებად განწესებულნი ნერგნი და მწუანვილნი...“¹⁵.

არის ძალიან დიდი განსხვავება სინამდვილის აღქმისა და შე-
მეცნების ამ აზ მოდელს შორის. ჰაგიოგრაფი აზ ისაზღვრება ხი-
ლული ობიექტის აბსტრაქტული გაებით და საგანს მხოლოდ აზრის
ფორმაში როდი გვითვალისწინებს. საგნის ცნება აქ მის ყოფიერე-
ბაშია დანახული, მოვლენათა გვარი ერთეულ არსებობაშია განკვ-
რეტილი. როცა „ქართლის ცხოვრების“ წიგნში ჩვენ ვკითხულობთ:
„იყო უამი გაზაფხულისა და ბაგრატ აფხაზეთს იყო...“¹⁶, სიტყვებ-

13 იქვ, გვ. 363.

14 იქვ, გვ. 144.

15 ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ილია აბუ-
ლაძის გამოცემა, 1955, გვ. 154. შემდგომ დაესახელებთ შემოკლებით: ასურელ-
მოღვაწეთა ცხოვ. წ. ძვ. რედაქციები...

16 ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 299.

თან — „ესმი გაზაფხულისა“ ერთად აღვიქვამო მათს მნიშვნელობას, აზრს და ჩვენს წარმოდგენაში არ შემოდის თვითონ გაზაფხული, უფრო ზუსტად, სახე მისი. არსებითად იგივეს ამბობს უფრო უძველეს ცხოვრების „ავტორი: „ესმი იყო არისა, ოდუდული მარტინიუს მიერ და მხურვალებისა აღმოიჩიდვიან მიწით დასაბამითგანვე ამას ესმა აღმორჩებად განწესებული ნერგი და მწუანვილი“... არც სიტყვიერ მასალაშია ხარისხობრივი სხვაობა. „სიტყვა სამეცნიერო ტრაქტატიდან და პოეტური ქმნილებიდან არაფრით განსხვავდება ერთმანეთისაგან... განსხვავება იწყება სიტყვისა და იმის მიმართებისაგან, რაც სიტყვის უკან დგას“¹⁷. ან ვ. კოუინოვის სიტყვით რომ ვთქვათ: „პრინციპული განსხვავება აქ სწორედ ობიექტურ სინამდვილესთან დამოკიდებულებაში მდგომარეობს“¹⁸. ხოლო ობიექტურ რეალობასთან ადამიანის გონების პროდუქტის მიმართების განმსაზღვრელია მიზანი, რისთვისაც გამოთქმა ხდება. მემატიანის ისტორიული თხრობა ობიექტურ რეალობასთან განუყოფელი კავშირის პრეტენზიას აცხადებს. „ამიტომ, საერთოდ, კანონის სახით პროზაული (კიმეორებთ, უდრის არამხატვრულს, გ. ფ.) წარმოდგნისათვის ჩვენ შეგვიძლია წამოვაყენოთ, ერთის მხრივ, სისწორე, მეორე მხრივ, თვალსაჩინო განსაზღვრულობა და ცხადი ჩაწერომა, მაშინ, როცა მეტაფორული და სახეობრივი (წარმოდგენა, — გ. ფ.), საერთოდ, გარკვეული ხარისხით ყველთვის ბუნდოვანია და არასწორი“¹⁹. პოეტური განსახიერება იმიტომაა გარკვეული საზომით ბუნდოვანი და არაზუსტი, რომ აქ თვით გამოთქმას ენიჭება უპირველესი მნიშვნელობა, საპირისპიროდ ისტორიული თხრობისა, სადაც უმთავრეს ფასეულობას გამოთქმის საგანი შეადგენს. და როცა გიორგი მერჩულე თავის გმირზე გვაუწყებს: „ცრემლითა მისთა მდინარითა იწყვოდა ადგილი იგი“, — აქ თვით გამოთქმის ამგვარობაშია უმაღლესი ღირებულება თავისთვად, ობიექტურ სინამდვილეზე ამ გამოთქმის პირდაპირ, სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობით გადატანის გარეშე (ესაა გარკვეული საზომით ბუნდოვანება და არასიზუსტე). ასე თავისუფლდება პოეზია „შიშველი“ ემპირიული სინამდვილიდან და ქმნის ახალ სინამდვილეს;

17 Н. К. Гей, Искусство слова (О художественности литературы), М., 1967, стр. 86.

18 Теория литературы, кн. I, стр. 61.

19 Гегель, Лекции по эстетике, Сочин., т. XIV, стр. 197.

„ხელოვნება არ მოითხოვს, რომ მისი ნაწარმოები მიწნეულ იქნეს სინამდვილედ“ (ვ. ი. ლენინი), თუმცა მისი ყურადღება, საგანთა ცოცხალ, გრძნობად რეალობაზეა მიპყრობილი. ურთიერთული

ამგვარად, თუ ზევით მოტანილ მონაცემებს ჰქონდეთ უკანასკნელ, თუმცა ისტორიკოსიც და ჰაგიოგრაფიც ერთსა და იმავეს ამბობენ პრინციპში (გაზაფხული იყო მაშინ), მაგრამ ჰაგიოგრაფი მაინც „რაღაც“ მეტს გვაძლევს, ვინაიდან მის სურათში გაზაფხულის აზრსა და გაგებას უერთდება წარმოდგენა და ხატი გაზაფხულისა. კეშ-მარიტება, არსი გაზაფხულისა ჰაგიოგრაფის ნახელავში „გამოთქმულია არა აბსტრაქტულ საყოველთაობასა და ფილოსოფიურად დასაბუთებულ კავშირში ან მოფიქრებულ შერწყმაში მისი ნაწილებისა, არამედ, როგორც რაღაც ცოცხალი, რომელიც მოგვევლინება, გასულდგმულებული, ყველაფრის განმსაზღვრელი; და ეს მაინც იმნაირად გამოიხატება, რომ მხოლოდ ფარულად გამოავლენს ყოვლის-მომცველ მთლიანობას, ნამდვილ გამაცხოველყოფებელ სულს“²⁰. ასე გამოთქმა კი სრულყოფასა და სილამაზეს გვაძლევს, ე. ი. სწორედ იმას, რასაც პოეტური რეალობა ჰქვია.

როგორც ვხედავთ, ყველაფერი დამოკიდებულია გამოთქმის მიზანზე. ეს მიზანი ავლებს ობიექტურ ზღვარს ადამიანის გონების ორგვარ პროცესებს — ლოგიურ ცნებებზე დამყარებულ აზროვნებასა და პოეტურ-სახეობრივ შემოქმედებას შორის. ორგვარ მიზანში განხორციელებულია ორგვარი მიმართება ობიექტური რეალობისადმი. ამიტომ ჰეგელის თეზისს: „გამონათქვამი არსებობს პოზისათვის მხოლოდ იმისათვის, რათა გამოითქვას“²¹, — ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება და მას კიდევ დავუბრუნდებით.

ჩვენ მივიღეთ, რომ მხატვრული სახის უკან ესთეტიკური ობიექტი დგას, ლოგიური ცნების უკან — ემპირიული საგანი. ხოლო „ესთეტიკური ობიექტი არც თავისი შინაარსით, არც ფორმით არ დგას ემპირიული სინამდვილის გარეთ, მაგრამ იგი არც ემპირიული საგნის იდენტურია. იგი ადამიანთა ურთიერთობაში გარდაქ-მნილი ობიექტია, სინამდვილესთან ადამიანის ესთეტიკური დამოკიდებულების საგანია...“²². აქედან ცხადია, რომ ვერავითარი ენობრივი სამკაული (მეტაფორა, შედარება და ა. შ.) თუ გალექსვა ვერ

20 Гегель, Лекции по эстетике, Сочин., т. XIV, стр. 169—170.

21 «Высказанное имеется для поэзии лишь затем, чтобы быть высказанным». Гегель, Лекции по эстетике, Сочин., т. XIV, стр. 170.

22 ნიკო ჭივჭივაძე, ესთეტიკური საგნის ბუნებისათვის, 1965, გვ. 56.

აქცევს ისტორიულ თხზულებას პოეზიად. უმთავრესი ნიშანი ნი, რითაც მხატვრული ნაწარშოები ისტორიული ისახავასაგან განსხვავდება, ისაა, რომ ერთსაც თავისი სპეციფიკური შინაარსი აქვს ტექსტური მოვაკევება. მა გამიჯვნასაც ჰეგელის ესთეტიკურ ნააზრევძი ვპოლობთ.

ა) „ისტორიის სფეროში, — განმარტავს ჰეგელი, — უპირველეს ყოვლისა, შედის საზოგადოებრივი ცხოვრება, გავიგებთ მას სახელმწიფოს რელიგიური თუ საერო ცხოვრების აზრით; აქ შემოდის კანონები, დაწესებულებანი და ა.შ., თავისთვად მტკიცედ დადგენილნი, ზოგადი კანონების მნიშვნელობის მქონენი ან ვალდებულნი ასეთად გვევლინებოდნენ“²³. ხაზგასმულია, რომ ისტორია უპირველესად საზოგადოებრივი ცხოვრებითაა დაინტერესებული. „ქართლის ცხოვრების“ ყველა წიგნი ამ აზრის სისწორეში გვარწმუნებს. ადამიანთა პიროვნული ცხოვრება და პირადული ურთიერთობანი ამ წიგნებში ან სულ არაა, ან თუა, იშვიათად, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც საზოგადოებრივს გახაზავს, რამდენადაც ამ უკანასკნელს წარმოაჩენს. ეს იმდენად ცხადია, რომ, ვფიქრობთ, საგანგებო საბუთებს არ საჭიროებს. ქართულ პაკიოგრაფიას კი, როგორც ამას თავის აღვილას ვაჩვენებთ, უურადლების ცენტრში სწორედ პიროვნება ყავს.

ბ) ყველასა და ყველაფერზე საზოგადოებრივი ცხოვრების განუყოფელი ბატონობა საისტორიო მწერლობაში გულისხმობს განსაზღვრულ მოქმედებებს მისი ჩამოყალიბებისა და შეცვლისათვის. ამას აკეთებენ ინდივიდები, — მნიშვნელოვანნი და გამორჩეულნი, თუ თავიანთი ინდივიდუალობით საზოგადოებრივ-საყოველთაო ინტერესებს გამოავლენენ, უმნიშვნელონი, თუ ვერ ასულან ამ ინტერესების დონეზე. პირველის მაგალითია ვახტანგ გორგასლის სახე ჭუანშერის თხზულებაში „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“ ან დავთ აღმაშენებლის პიროვნება მისივე ისტორიკოსის წიგნიდან „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“. საყოველთაო-სახელმწიფო-ებრივ ინტერესებს, სუბსტანციურ საწყისს ახმარენ მთელ თავიანთ ინდივიდუალობას ეს ძლიერი პიროვნებანი. მაგრამ როგორია სუბსტანციური საწყისის მიმართება ინდივიდუალურ-პიროვნულ საწყისთან, ამის განსხაში ისტორიკოსი არ შედის. სუბსტანციური მი-

23 Гегель, Лекции по эстетике, Сочин., т. XIV, стр. 182.

ზანი „...მათ აქვთ მიცემული, განუშებული, თავს მოხუცული, ამ გვარად, არ შეიძლება წარმოდგეს ინდივიდუალური მთლიანობა, რომელშიც ზოგადი საწყისი და მთელი ინდივიდუალობაშიც უდევა ბოდა უსიტყვოდ ივივეობრივი, სადაც ისინი თავისით მატურუს უშემსრულებელი ნენ თვითმიზანი, შეკრული მთლიანობა. და ინდივიდუმა თავიანთი მიზანი თავის თავიდან გამომდინარე განუშესონ თავიანთ თავს (მა-გალითად, ვახტანგ გორგასლის „ლაშქრობა ოვესთისა“ თავისი დის — მირანდუხტის გამოსახსნელად, ჯუანშერის წიგნიდან. გ. ფ.), მაინც ისტორიის საგანს წარმოადგენს არა თავისუფლება ან არა-თავისუფლება მათი სულისა და გრძნობისა, არა თვით ეს ინდივი-დუალური ცოცხალი გაფორმებულობა, არამედ მიზანი, ცნობილი პირის ზემოქმედება წინასწარგანჩინებულ სინამდვილეზე, რომელიც თავისთავად დამოუკიდებელია ინდივიდისაგან“²⁴. „ქართლის ცხო-რებიდან“ ამის შვევნიერი მაგალითია დავით აღმაშენებლის დამო-კიდებულება კავკასიისა და წინააზის მრავალრიცხოვან ხალხებთან და სახელმწიფოებთან (დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის წიგნი-დან), რომლებზედაც დავითი „ზემოქმედებს“, მაგრამ ეს მიმართება მექანიკურია, მთელი ეს ჭრელი სამყარო „თავისთავად დამოუკიდე-ბელია ინდივიდისაგან“.

საისტორიო მწერლობა სინამდვილის ჰეშმარიტებას გვთავაზობს, მაგრამ ამ ჰეშმარიტებას სინამდვილეშივე ვერ ვიპოვით გაცხადე-ბულს, როგორც შემოქმედებით ძალასა და საკუთარ სულს რეალო-ბისა. „აზროვნება არის მორიგება ჰეშმარიტებისა და რეალობისა თვით აზროვნებაში“²⁵. ისტორიკოსი ლოგიური აზროვნების კვა-ლობაზე აევშირებს მოვლენებს ერთმანეთთან, ზოგად-გვარეობრივი აბსტრაქტული კანონისათვის უყურადღებოდ ტოვებს ერთეულსა და ინდივიდუალურს. მიღებული მთლიანობა ლოგიური, მექანიკური მთლიანობაა, აზრით მიღწეული და აზროვნებაში ფორმირებული. „პოეტური შემოქმედება და ქმნაღობა კი არის მორიგება თვით რეა-ლური მოვლენების ფორმაში, თუმცა იყი მხოლოდ სულიერადაა წარმოდგენილი“²⁶. მხატვრული ჰეშმარიტება, როგორც სუბსტანცია, ინდივიდუალური, ცოცხალი სინამდვილის ფორმაშია განჭვრეტილი. რეალურისა და იდეალურის ამ გზით მიღებული მთლიანობა ორგა-

24 Гегель, Лекции по эстетике, Сочин., т. XIV, стр. 182.

25 Там же, стр. 172.

26 Там же.

ნული მთლიანობაა. იგი სინამდვილეშია გაცხადებული, როგორც
მოქმედი ძალა და საკუთარი სული ამ სინამდვილისა. ორგანული
მთლიანობა მხატვრული ნაწარმოების ის უპირველესი ნიშანული უდიდე
ლითაც იგი უნდა დავუპირისპიროთ საისტორიო თხრობას ჩატარებულ
თოდ. ხელოვნების მიღმა სამყაროს.

ქართულ ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში საყოველთაო, სუბს-
ტანციური საწყისი მეტნაკლებად ასეთ ორგანულ მთლიანობაშია
მათ გამომავლინებელ პერსონაჟთა ინდივიდუალურ-პიროვნულ
საწყისთან. ორივე მომენტი ცოცხლადაა გადახლართული ერთმანეთ-
ზე. მაგალითად, „შუშანიკის წამებაში“ რელიგიური და ეროვნულ-სა-
ხელმწიფო გენერაციის ბრძოლა ვარსკენის დესპოტურ ბუნებასა და შუ-
შანიკის ფიცხსა და ჯიუტ ხასიათშია გადატეხილი, ყველაფერი ეს
კი ოჯახურ-ინტიმურ ფონზეა გაშლილი. ზოგიერთ ჰაგიოგრაფიულ
ნაწარმოებში ძირითადი შინაარსი შუფრო ზოგადი ხასიათისაა, ვიდრე
იაკობის თხზულებაში, მაგრამ პერსონაჟები სუბსტანციური საწყი-
სის მექანიკურ მსახურებად მაინც არ არიან გამოყვანილი, საყოველ-
თაო და პიროვნული მომენტები აბსტრაქტულად არ ითიშება.

გ) საისტორიო თხზულებაში ორგანული ერთობა არაა, შინაგა-
ნი ცოცხალი კავშირი გაწყვეტილია ცალკეულ საგნებსა, მოვლენებ-
სა, მოქმედებებსა და ზოგად-საყოველთაო საქმეებსა, ინტერესებსა
და კანონებს შორის. საისტორიო მწერლობაში, ამბობს ჰეგელი:
„საკუთრივ პოეტურისაგან განსხვავებით“ თავს იჩენს „უთანხმოება“
სავანთა და მოვლენათა სუბიექტურ თავისებურებებსა და „საერთო
საქმისათვის გარდუვალ შეგნებას შორის კანონებისა, ძირითადი დე-
ბულებისა, მაქსიმებისა“. ნაწილობრივ აქ დასმული ამოცანის რე-
ალიზაცია ბევრ შეწყობილობას მოითხოვს; გარეგნული საშუალე-
ბანი სამისაოდ უამრავია და მრავალ რამეზეა დამოკიდებული. რაც
შეეხება ჩაფიქრებულ ღონისძიებას, ეს მიზნები, „გეგმაზომიერად
უნდა იყოს ორგანიზებული და მიყენებული გონებასთან“. უპირა-
ტესად საქმეს ხელს ჰყიდებენ მრავალმხრივი სამზადისის შემდეგ.
....ასე რომ, ცალკეული შესრულებული აქტები, განხორციელებულ-
ნი ერთიანი მიზნის თვალსაზრისით, შინაარსობლივად ხშირად
სრულიად შემთხვევითი და შინაგან მთლიანობას მოქლებული
აღმოჩნდებიან; ან წარმოდგებიან რაღაც პრაქტიკულად სასარგებ-
ლოს ფორმით, რომელსაც გონება აღგენს განსაზღვრულ მიზანთან
კავშირში, მაგრამ არა თავისთვალი, უშუალოდ თავისუფალი სი-

ცოცხლით”²⁷. საისტორიო თხზულებაში ცალკეული საგნები და მოვლენები ერთმანეთთან „შინაგან მთლიანობას“ არიან შოკლებულნი. ისინი ზოგად მიზანთან პრაქტიკული მიმართების აზტანული კურად არიან მისადაგებულნი. ამიტომ ცალკეული უშუალენა მხოლოდ საშუალებაა, რაციონალურად თანაზომიერი ზოგადი მიზნისა. ეს ართმევს საგნებასა და მოვლენებს ცხოვრების უშუალობას, ფერსა და სურნელს, შინაგან მთლიანობას, თავისთავად სიცხოველეს. საისტორიო პროზაში ცალკეულ საგანთა თავისთავადი ღირებულება, სიცოცხლე, კოლორიტი ჩამქრალია, ისინი ცივი განსჯის გზით მექანიკურად არიან გადაბმული ზოგადთან.

ხოლო „პოეტური აღქმისა და დამუშავებისათვის ყველა ნაწილაკი, ყველა მომენტი თავისთავად უნდა წარმოადგენდეს ინტერესს, თავისთავად უნდა იყოს სავსე სიცოცხლით; ამიტომ პოეზია სიხარულით ჩერდება ერთეულ მოვლენებზე, სიყვარულით გამოსახავს და დამუშავებს მათ, როგორც რაღაც თავისთავად მთლიანს“²⁸.

ქართული პაგიოგრაფიის ნიმუშებში თვალსაჩინოდ გამოკვეთილია პოეტური ინტერესი ცალკეული მოვლენისა და ნაწილაკისადმი, საგნისადმი, მომენტისადმი. აი, მაგალითი „დავით გარეგელის ცხოვრებიდან“: „წარქდეს დღენი რაოდენნიმე, ზრქელ იქმნეს მდელონი იგი და განჯმეს უწინარეს აღმომაცენებელისა და აღმომზრდელისა მათისა შეისა მიერ. აწ დამჭნარი და შემწუარნი, რამეთუ ყოველი დამეტებად ვითარ მბრძოლი რაიმე განმხერწელი თავისა თვისისა იქნების... უამი ზამთრისა მოწევნად იყო, რომელსა შინა ყინელსა მიმფენელი პაერი მიწისა ზედა არღა მერმეცა უზრუნვებს აღმოცენებად მწუანვილთა და ნერგთა ვორეოსა კერძოთათა და ჩრდილოეთ მიმართ წიაღსვლითა მზისაგთა²⁹. ეს არის ზამთრის პირის პოეტური სურათი, რომლის ყველა ნაწილი თავისთავადი, უშუალო სიცოცხლით სუნთქვას. საგნობრივი სიცხადით ვკვრეტ მდელოებს, „ზრქელ-ქმნილსა“ და გაღამბემარს „უწინარეს აღმომაცენებლისა და აღმომზრდელისა მათისა შეისა მიერ“. ის, რაც გაზაფხულზე სიცოცხლეს ანიჭებდა მინდორს, მერე „შემწუელად“ და „განმხერწელად“ ქმნილა მისთვის. „უამი ზამთრისა მოიწევს, „ყინელისა მიმფენელი პაერი“ არსად ტოვებს „მწუანვილთა და ნერგთა“. შე უფრო და უფრო შორს მიიწევს „ჩრდილოეთ მიმართ წი-

27 Гегель, Лекции по эстетике, Сочин., т. XIV, стр. 183.

28 იქვე, გვ. 176.

29 ასურელ მოლვაწეთა ცხოვ. წ. ძ. რედაქციები, გვ. 155.

აღსლვითა“. სევდისა და ცივი მოშუენილობის ემოციებით შეფერ-
ლი ეს სურათი ორგანულ მთლიანობაშია ნაწარმოების სხვა ეპი-
ზოდებთან და შინაგანად ექსოვება გაჭირვების და განსაკულტურებელი შესა-
საერთო პათოსს, რომელშიც უდაბნოში განმარტოებული და დამატებული და ლურიანე ცხოვრობენ.

გარდა იმისა, რომ პერსონაჟის ღვთაებრივი ძალმოსილების და-
დასტურება ევალება, განა თავისითავადი ინტერესით და გამოსახუ-
ლისადმი შინაგანი პოეტური სიყვარულით არა დახატული ბასილი
ზარზმელის მიერ „რტოხ ბარასა მრავალ-უამეული“, რომლის დარ-
გვა მიქელ პარეხელმა უბრძანა სერაპიონს. სერაპიონმა „გამოულ
კელთა მისთა და დაპირება ქუეყანასა. ხოლო შემდგომად მცირე-
დისა განედლდა და რტო-გარ და ფენით ჭადა გებდა და დი-
დებულსა მას სასწაულსა“³⁰.

იგივე მდგომარეობაა მაშინაც, როცა ჰაგიოგრაფი პერსონაჟის
სულიერ მდგომარეობას წარმოვიდგენს. შინაგანი სისავსით, ერთი-
ანი სურათის შემადგენელ ცალკეულ მოძრაობათა, უესტია და რეპ-
ლიკათა საგულდაგულო მხატვრული დამუშავებითა შესრულებული
ქართული ჰაგიოგრაფიული თხზულებები, როგორც ამ საკითხისად-
მი სპეციალურად მიძღვნილი მონაკვეთები წიგნისა და გვარწმუნებს.

ვფიქრობთ, ეჭვს აღარ უნდა იწვევდეს ის გარემობა, რომ ქარ-
თულ ჰაგიოგრაფიისა, როგორც მხატვრულ ლიტერატურას, აქვს თა-
ვისი სპეციფიკური შინაარსი, რომელიც ანალოგიური არ არის სა-
ისტორიო პროზის სპეციფიკური შინაარსისა. საჭმე ეხება უბრალოდ
არა იმას, რომ ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებებში უფრო მეტია მხატვრუ-
ლი პასაუები, ვიდრე ისტორიულში. პრინციპულ განსხვავებას ემპი-
რიული სინამდვილიდან აღებულ შინაარსთა სხვადასხვაგვარობა
ქმნის. ფაქტებიდან და მოვლენებიდან სხვა რამ აქვს გამოწვლილუ-
ლი ჰაგიოგრაფს და სხვა — მემატიანეს.

მაშ როგორ უნდა შეფასდეს ის ისტორიული ნაკადი, რაც ასე
საგრძნობია ქართულ ჰაგიოგრაფიაში? პასუხი ცხადია: უნდა შეფას-
დეს იმ მიზანთან მიმართებაში, რომლისთვისაც ასეთი ნაკადია შემო-
ტანილი; გადამწყვეტია, როგორც გაირკვა, „გამოთქმის მიზანი“. ქარ-
თული ჰაგიოგრაფიის საისტორიო მწერლობის უანრად კვალიფიკა-
ციის საწინააღმდეგოდ უკვე აღინიშნა, რომ „ისტორიული სურათე-

30 ძეგლები, 1, გვ. 336.

ბის ასახვა ჰაგიოგრაფიაში არ ხდება თავისთავადი, სიტონიული მნიშვნელობიდან ამოსვლით. აქ ადგილი აქვს ისტორიის თავისებურ „გაშიფრას“. ტერმინების მნიშვნელობიტერატურის სპეციფიკურ დანიშნულებას არ შეძლებული შესტალიყო ისტორია. მისმა თავისებურმა ლიტერატურულმა ხასიათმა განსაზღვრა მასში ისტორიზმის სიჭარბე. ისტორია მისთვის საშუალება იყო და არა მიზანი. მისი მიზანი იყო ადამიანის თავისებური იდეალი დახსატა, ეჩვენებინა გზა ამ იდეალის მისაღწევად. ეს გზა წმინდანის ცხოვრების გზაა. იგი ისტორიიდან აღებული ფაქტია; ამდენად სჭირდება მას ისტორია. სინამდვილიდან კი აღებულია ის, რაც იდეალს შეესაბამებოდა. ...კონკრეტულ-ისტორიული სინამდვილის ასახვა აგიოგრაფიის თავისებური ლიტერატურული ბუნებიდან გმომდინარეობს და ეს თვისება მას ისტორიულ მწერლობად ვერ იქცევს. აგიოგრაფიული ლიტერატურა სიტყვააზმული მწერლობის უანრს განეკუთვნება და არა ისტორიულს³¹.

* ქართულ ჰაგიოგრაფიულ ტექსტებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ იქ არასახეობრივ-ისტორიული ნაკადი ფუნქციონალური მნიშვნელობისაა და არა თავისთავადი. იგი წარმმართველი სახეობრივი ნაკადის სამსახურშია ჩაყენებული. ამის უპირველესი დადასტურება გახლავთ ის გარემოება, რომ ჰაგიოგრაფი მწერალი ცვლის ან სხვა ასპექტში წარმოვიდგენს ისტორიულ სინამდვილეს, რაცა ეს უკანასკნელი ესთეტიკურ იდეალს ჰარმონიულად არ ეთანხმება. ეს კი საისტორიო მიზანდასახულობის ძეგლში არაა მოსალოდნელი. * ისტორიული ვერ შეცვლის ისტორიული პირის „პროზაულ“ (ფაქტობრივი რეალობიდან მომდინარე) ნიშან-თვისებებს. ჰეგელი ამბობს: „ისტორიულს უფლება არა აქვს ჩააქროს ეს პროზაული დამხასიათებელი ნიშნები... ან გადააქციოს ისინი სხვად — პოეტურად; ის ვალდებულია მოგვითხროს ის, რაც მის თვალშინ არის დაროგორც იგი მას ეძლევა, არ გადაასხვანაიროს და არაფერი შემოიტანოს პოეტური“³². იაკობ ხუცესი კი „ასხვანაირებს“ ისტორიულ რეალის, როცა ეს უკანასკნელი შემთხვევითია და არ შეესაბამება მოვლენის სიღრმისეულ არს. მხედველობაში გვაქვს შუშანიკის მი-

31 იბ. რ. სირაძის სარეცენზიო წერილი მ. ლორთქიფანიძის დასახელებულ წიგნზე — „ქართული ლიტერატურა ისტორიულის თვალით“, ლიტერატურული საქართველო, 1967, № 14.

32 Гегель, Лекции по эстетике, Сочин., т. XIV, стр. 183.

გართვა ვარქსენისადმი, სადაც არშუშა პიტიახშის პიროვნებაა წარმოჩანა. გონინებული: „მამამან შენმან აღმართნა სამარტვლენი და ეკლესიანი აღმართნა და შენ მამისა შენისა საქმენი განკრულენ და სხუად ფაქტურულებული აქციენ კეთილნი მისნი; მამამან შენმან წმიდანი შემოიხურეს ჭრებით თვალსა, ხოლო შენ დევნი შემოიხურენ; მან ღმერთი ცათამ და ქუცანისად აღიარა და ჰრწმენა, ხოლო შენ ღმერთი კეშმარიტი უვარ-ჰყავ და ცეცხლსა თაყვანის-ეც“³³.

როგორც საისტორიო მწერლობის მონაცემებიდანაა ცნობილი, კარსქენის მამამ — არშუშა პიტიახში უარყო ქრისტიანობა და მაზ-დეანობა მიიღო. მაგრამ იმავე წყაროდანვე აშკარაა, რომ ეს იყო იძულებითი და ფორმალური ქტიი, ისტორიული შემთხვევითობის ნაყოფი, როთაც სამშობლოს თავისუფლებისათვის მედგარი და კევიანი მებრძოლი ცდილობდა თავისი ხალხი ეხსნა აგრესიულად შემართული სპარსეთის მახვილისაგან. არშუშას დიპლომატიური ნაბიჯი შექმნილ მძიმე სიტუაციაში საუკეთესო გამოსავალი აღმოჩნდა ქართველი ხალხისათვის³⁴. თუ საისტორიო ყანრის თხშულებაში არშუშა პიტიახშის გამაზდეანება საგანგებო ყურადღების საგანია, იაკობ ხუცესი მთლიანად ამოაგდებს განსახიერებიდან ისტორიულად საგულისხმო ამ რეალის და არშუშას თანამიმდევრულ და უკომპრომისო ქრისტიან მოღვაწედ წარმოგვიდგენს; ასე „ჩააქრო“ ხელოვანმა ისტორიული პირის პრაქტიკული საქმიანობისათვის და-მახასიათებელი ერთი ნიშანი.. იგი პოეზიის შესაბამის თარგზე გა-დაასხვანირა. ამ ცვლილების არს ზუსტად უდგება და ამომწურავად გვაგებინებს ჰეგელის მსჯელობა: „ეს გარდაქმნა არის პოეზიის მთავარი დანიშნულება, როცა იგი თავისი მასალით ისტორიული თხრობის სფეროში შედის. ამ შემთხვევაში მან უნდა გახსნას შინაგანი მარცვალი და აზრი მომხდარისა, ქცევისა, ნაციონალური ხასიათისა, გამოჩენილი ისტორიული პიროვნებისა, აიცილებს რა შემთხვევი-თობათა თამაშს, მნიშვნელობის არმქონე თანმხლებ გარემოებებს, უშნიშვნელო ამბებს და ნიშნებს ხასიათისა“³⁵. იაკობ ხუცესი, ვი-თარცა ხელოვანი, უფლებას იტოვებს თავისუფლად მოექცეს ისტო-რიულ მასალას, რათა იგი გარეგნულადაც ესატყვისებოდეს შინაგან ჰეშვარიტებას, არს პიროვნებისა. ისტორიული სინამდვილე მისთ-

³³ დევლები, 1, გვ. 15.

³⁴ ლ. ნ. ჯანაშია, ლაზარ ფარვეცის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 109—136, 223—243.

³⁵ Гегель, Лекции по эстетике, Сочин., т. XIV, стр. 188.

ეს საშუალებაა სხვა, უფრო მნიშვნელოვანი მიზნის — მხატვრულ ჰეშმარიტების მისაღწევად. დღეს ჩვენ ხელთა გვაქვს სიტოლით კრიტიკული მასალა იყობის ისტორიული სიზუსტის „წინააღმდეგ“, მაგრამ ნაწარმოების კითხვის დროს ჩვენ მაინც განვიტრიშვილ მასტერ მოქმედებას, რაც მწერალს ჰქონდა ჩაფიქრებული. ეს კი ესტილისტი ხდება, რომ დღევანდელი მკითხველის მიმართება ამ ნაწარმოებისადმი და ავტორის მიზანდასახულობა მნიშვნელოვნად თანმხვედრია (ესთეტიკურია). იმავე მომენტს უნდა გახსნა გზა ამ ნაწარმოების მისაღწევად უძველესი ქართველი მკითხველისა და ლიტერატურული პრაქტიკისათვის. მათ ხომ ჩვენზე მეტი საბუთი ჰქონდათ თხზულების მიუღებლობისათვის, თუ ხელოვნების კრიტიკულით არ ხელმძღვანელობდნენ. ანალოგიურ შემთხვევაზე ამბობს ერის აუერბახი: „ჰომეროსისათვის სინამდვილე იყო არა მიზანი, არამედ საშუალება. ხოლო მიზანი იყო კეშმარიტება. შესაძლებელია, თქვენ გქონდეთ შესანიშნავი ისტორიულ-კრიტიკული აზრები ტროას ომისა და ოდისევის თავგადასავლის წინააღმდეგ, მაგრამ კითხვის დროს თქვენ მაინც განიცდით ჰომეროსის იმ ზე მოქმედებას, რომელიც აკტორს ჰქონდა წინააღმდეგ მაინც გამოიწვევა“³⁶ (ხაზი ჩვენია, — გ. ფ.). ისტორიული ფაქტის წინაშე „შემცოდე“ ავტორისაგან გამიზნული ზემოქმედებისადმი ეს მორჩილება განსაზღვრულად აკვალიანებს ნაწარმოებს.

იმავე თხზულებაში მეორეგანაც შეიძლება დავადასტუროთ მწერლის თავისუფალი მიმართება ფაქტობრივი რეალობისადმი. იყობი ხატავს იმ გარემოს სურათს, სადაც შუშანიკი იტანჯებოდა: „ესამსა ზაფხულისასა ცეცხლებრ შემწუელი იგი მჟღვალებად მზისათ, ქარნი ხორშაქნი და წყალნი მავნებელნი, რომლისა მკვდრნიცა მის ადგილისანი სავსენი სენითა, წყლითა განსივებულნი და განყვითლებულნი, დაწერტილნი და დამჭნარნი და დამლიერებულნი, ჩარიდოვანნი, პირ-მსივანნი და დღე-მოკლედ ცხორებულნი; და მოხუცებული არავინ არს მათ ქუეყანათა“³⁷. მიაჩნია რა პეგიონგრაფია საისტორიო მწერლობის უანრად, მ. ლორთქიფანიძე იყობის თხზულების ამ მონაკვეთის შესახებ წერს: „უაღრესად კონკრეტული და მრავალმხრივია იმ გეოგრაფიული გარემოს აღწერილობა, სადაც მიმდინარეობს მოქმედება. შუშანიკის საპყრობილები ყოფნის აღ-

³⁶ Erich Auerbach, Mimesis, S. 19.

³⁷ ძეგლები, 1, გვ. 25.

წერისას იაკობ ხუცესი იძლევა იმ მხარის მძიმე ბუნებრივი პირობების დის დახასიათებას³⁸. ვერ დავეთანხმებით ამ სტრიქონების ავტორს „უალრესად კონკრეტული“ კი არა, ნაკლებ კონკრეტულია მრავალზეული სურათი, თუ მას ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისშორის მიერაცხადებით და მოვინდომებთ იგი ფაქტობრივი სიზუსტით მივუსაღა- გოთ ჰერეთის თუ საქართველოს სხვა რომელიმე კუთხის გეოგრა- ფიულ-კლიმატურ პირობებს. რას მისცემს ამ მონაკვეთის ისტორიუ- ლი ინტერპრეტაცია მკითხველს? ვერაფერს. სად ვეძიოთ საქართ- ველში ის ადგილი, რომლის მკვიდრნიც ყოფილან „სავსენი სენითა, წყლითა განსივებული და განყვთლებული, დაწერტილნი და დამჭ- ნარნი და დამლიერებულნი, ჩარადოვანნი, პირ-მსივანნი...“, და სა- დაც მოხუცებული არავინ ყოფილა.

მხატვრული სახის სიტყვასიტყვით „წაკითხვას“ უმეტესად გაუ- გებრობამდე მივყავართ. ჩვენს წინაშეა მხატვრული სახე გარემოსი, გმირის წარმოსახენად კონსტრუირებული წმინდა პოეტური ფანტა- ზის გზით. ავტორს ამ შემთხვევაში არ აინტერესებდა ჰერეთის ბუნების სურათი შეექმნა. მისი მიზანი იყო შუშანიქის იდეალიზა- ცია, „კაცთაგან მიუთხრობელი“ მისი ლვაშტლისა, და გმირობის წარ- მოსახვა. ჩწმენისათვის თავდადებული დედოფლის ხველრის განსა- კუთრებულ ტრაგიზმს მწერალმა იმითაც გაუსვა ხაზი, რომ იგი ადა- მიანისათვის ფანტასტიკურად აუტანელ გეოგრაფიულ გარემოში წარმოგვისახა. ხურათი ამ გარემოსი საგანგებოდ გამუქებული სა- ლებავებითაა შესრულებული. პოეტური წარმოსახვა უალრესად გა- ბედულ ტრასფორმაციას ახდენს ფაქტობრივი რეალობისა. მოჩევ- ნებითი გარეგნული ფორმა, კონკრეტული გარემოს საგნობრივ რე- ალობას დაცილებული, დანიშნულია, რათა პერსონაჟის ზეადამია- ნურ სულიერ და ფიზიკურ ტკივილებს დაუახლოვოს მკითხველის აღქმა.

• თუმცა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ სავსებით სამართლი- ანად ითვლება ძვირფას ისტორიულ წყაროდ, მისი ავტორიც არ ერიდება ისტორიული რეალობის მხატვრული იდეალის კვალობაზე შეცვლას. მერჩეულეს არაბთაგან მოოხრებულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ცხოვრების გამოცოცხლების მოთავედ გრიგოლი და მის მოწაფეები გამოყავს. მ. ლორთქიფანიძის დამსახურებაცაა იმის გარკვევა, რომ „ამ მხარის კოლონიზაცია ცარიელ ადგილზე არ დაწ-

38 ვ. ლორთქიფანიძე, ადრეფეოდალური ხანის ჭართული საისტორია მწერლობა, გვ. 22.

ყებულა. აგრეთვე წინააღმდეგ მერჩულეს თხრობისა, ამ კორონიზაციის პონერები სასულიერო პირები არ იყვნენ“³⁹.

უეპელია, რომ მერჩულეს გრიგოლის პოეტური გრიგოლის მოქანდაკება ჰქონდა უპირველეს მიზნად და ყველა ისტორიული რეალია მხოლოდ მდენად დასჭირდა და ამ მიზანს დაუქვემდებარა. აშორ და ბაგრატ კურაპალატების სახელმწიფო ბრივი საქმიანობა აქ თითქმის ჩრდილშია დატოვებული და ფართო პლანითა ნაჩვენები მათი ცხოვრების ის რეალიები, რომლებიც გრიგოლის მონუმენტური სახის გასანათებლადაა გამიზნული. არც ბულა თურქის 853 წ. ლაშქრობა (რომელზეც ანონიმი ვეტორის „ცხორებაა და წამებაა კოსტანტი კახისაა“ მოვითხრობს), არც 914 წ. აბულ-ჯასიმის შემოსევა საქართველოსა და სომხეთში (რასაც სტეფანე მტბევარი ეხება) თავისითავად, — ისტორიული კეშმარიტების ძიების აზრით, არ ქვეულან ქართული ჰაგიოგრაფიის თემად. ორივე ლაშქრობის პერიოდი ძირითადად იმდენად და იმ კუთხით არიან შემოტანილი ჰაგიოგრაფთა ყურადღების სფეროში, რამდენადაც გამოკვეთილად აირევლება მათში სარწმუნოებრივი და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი გმირების ლიტერატურული პორტრეტები. როგორც დავრწმუნდებით, სტეფანე მტბევარის ბატალიურ სცენაში უფრო აშკარადაა დარღვეული ემპირიული სინამდვილის პროპორციები და ფაქტობრივი რეალობა, ვიდრე ეს ერთხელ უკვე დავინახეთ. გიორგი მერჩულე მოვითხრობს, რომ ვრიგოლმა ხანძთას ვანაწესა წესი „სიბრძნით ვანსახლვარებული და მეცნიერებით განბრწყინვებული“. მერე გაღმოცემულია, თუ რაში გამოიხატება ეს წესები და როგორ ასრულებდნენ მას ხანძთელი ბერები: „...მრკიცე მოთმინებად სიმდაბლით და სიმშვიდით, მარხვად ლოცვითა შეზღუდვილი, სარწმუნოებასა თანა მართალსა დამტკიცებული, სიწმინდე გულისად და კეშმარიტებად ენისად და უბიშოებით კრძალვას სრულიად ყოველსავე ზედა...“⁴⁰. მთელი შემდგომი თხრობა ამ ქვეთავისა ზუსტად ამ ტონით მიმდინარეობს. რას მისცემს ეს ქვეთავი ქართული ეკლესის ისტორიკოსს? ბევრს ვერაფერს. ხანძთელი ბერების ცხოვრება აშკარად იდეალიზირებულია. ისინი სასურველი განათების პოზაში არიან დაყენებული.

გიორგი მთაწმინდელის „ცხოვრების“ რამდენიმე პასაკი ბაგრატ,

39. დასახელებული ნაშრომი, გვ. 86—87.

40. ძეგლები, 1, 265.

„აფხაზთა მეფისა“ და მისი დედის — მარიამის ურთიერთობას ვვაც
ნობს გიორგისთან. ისტორიული რეალობიდან გიორგი მცირეს ჩამდინარების მის
აქვს გამოკრებილი ამ პირთა დამოკიდებულების შესახებ, რაც კი
ორგი მთაწმინდელის სახის წარმოჩინებას უწყობს ხელს. მარტივი უძვი
ორგი მთაწმინდელის სახის წარმოჩინებას უწყობს ხელს. მარტივი უძვი

კიდევ უფრო აშკარაა, რომ „აბო ტფილელის წამება“ პატიკული მისამართი არ არის მარტივი საისტორიო მიზანდასახულობით. „როდესაც აეტორს ხელი
მიუყვია ამ თხზულების წერისათვის, იმას განუზრახავს ისეთი უბრა-
ლო და იმ დროს ჩვეულებრივი ფაქტი, როგორიც იყო აბოს მარტვი-
ლობა, გამოყენებინა დიდი და მნიშვნელოვანი მიზნების მისაღწე-
ვად“⁴¹.

„ისტორიული რეალიები ვრცლადაა შესული ბასილი ზარზმე-
ლის თხზულებაში. დოკუმენტური თხრობის ბევრი მაგალითია ა. ქ.
მავრამ ისინი წარმმართველ სახეობრივ ნაკადს ემსახურება. ინფორ-
მაციის საგანი ტარებს გამორჩეულისა და საგანგებოს ბეჭედს. ის-
ტორიულ-დოკუმენტური თხრობა გარკვეული იდეალის კვალობაზე
ხდება, გადმოსაცემი მასალა საგანგებოდ შეირჩევა მხატვრლი კონ-
ცეციის თანხმიერი, ფონისა და განწყობილების შემქმნელი. საქმე
იმაშია, რომ მხატვრული წარმოსახვაა თავისებური პაგიოგრატიულ
მწერლობაში (ეს უკანასკნელი კი განზოგადების მეორდის თავისე-
ბურებითაა განპირობებული). წარმოსახვის (მხატვრული გამოგონე-
ბის, ფანტაზიის) ამ თავისებურებაზე ჩვენ შემდგომ თავში გვემნე-
ბა მსჯელობა და ვნახავთ, რომ მხატვრული სახის შეესა შესაძლებე-
ლია იმგვარადაც, რომ მწერალმა ორაფერი შეცვალოს ისტორიულ
მონაცემთაგან, არ „მიუმატოს“ რეალურ პირს.

— არასახეობრივ-ისტორიულ ნაკადს ჰაგიოგრაფიულ ლიტერატუ-
რაში თავისთავადი ლირებულება არ გააჩნია. ფაქტების გადმოცემა
მიზნად არ ისახავს ისტორიული კეშმარიტების მოპოვებას, ვინა-
იდან რეალური ფაქტებიდან მხოლოდ ნაწილია გამოკრებილი, ნაწი-
ლი გაზვიადებული და ნაწილი შეცვლილი. ფაქტები იქცევიან სიუ-
შეტად, მხატვრული რეალობის შექმნის საშუალებად. ქართული ჰა-
გიოგრაფია მხატვრული ლიტერატურის უანრია და არა ისტორიული
მწერლობისა.

ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ჰაგიოგრაფიას საისტორიო ხასიათის
ფუნქცია არ წაეყენებოდა. • ჰაგიოგრაფიულ თხზულებას ისტორი-
ული ცნობისმოყვარეობის დაქმაყოფილებაც ევალებოდა და პრაქ-

41 ქ. კავკა ი ძ. ქართული ლიტერატურის ისტორია, 1, 1960, გვ. 131

ტკულ-ლიტურგიკული სამსახურის გაწევა ექლესიისათვის • გავრნდ
მნიშვნელოვანიც უნდა ყოფილიყო ეს მოთხოვნები, უსპელი ის
გახლავთ, რომ ერთიცა და მეორეც წარედგინებოდა, წარმატებული,
რომელიც მხატვრულ-ესთეტიკურ პრინციპზე იყო გრძელებული და
სამყაროს სახეობრივ პლანში მოიაზრებდა. * ქართველ ჰაგიოგრაფიებს
თავადაც ჰქონიათ გაცნობიერებული, რომ მათმა თხზულებებმა
სწორედ სახეობრივ-ხატოვანი ფორმით უნდა წარმოადგინონ სინამდ-
ვილე. * გორგი მცირის მიხედვით, ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები „სა-
ხედ და ხატად“ იწერებოდა⁴².

ისიც ფაქტია, რომ ქრისტიანი ხელოვანის ხატოვანი აზროვნება
ხშირად მისტიკურ სფეროში შედის. ქართველი ჰაგიოგრაფებიც
სესხულობენ მოტივებს ქრისტიანული მისტიკის საგანძურილან.
მისტიკური მოტივებისაკენ მიღრეკილებას გარკვეული გამართლებაც
ექვებნება. მიუთითებენ, რომ ესთეტიკური აღქმა „ახლოს დგას ბავშ-
ვის გულუბრყვილო ხედვასთან, სამყაროს მითოლოგიურ აღქმას-
თან, რელიგიურ ცდასთან, მისტიკასთან“. ხელოვნება „შეიძლება
ხშირად სარგებლობდეს, როგორც მასალით და თანაც მადლიერი
მასალით, სამყაროს ბავშვური, მითოლოგიური თუ რელიგიური აღ-
ქმით. მადლიერით იმ აზრით, რომ შედარებით ნაკლები გადამუშა-
ვება ჭირდება და ესთეტიკურ ცდაში გამომეღლავნებას უფრო ეგუება
ასეთ აღქმებში დანახული სურათი სამყაროსი, ვიდრე მაგალითად
თანამედროვე მეცნიერებისა“⁴³. ამის თაობაზე ჰეგელი მიუთითებ-
და, რომ ძველი საბერძნეთის რელიგია იყო რელიგია ხელოვნებისა.
ცნობილია მარქსის დებულება, რომ ბერძნული მითოლოგია გახდა
ნიადაგიც და ოსენალიც ბერძნული ხელოვნებისა. გერმანელი მეც-
ნიერი ე. ჰედერერი ამტკიცებს, — მისტიკაში რელიგიური და პოე-
ტური გამოსახვა ემთხვევა ერთმნეთსაც⁴⁴.

ჰაგიოგრაფები იმიტომაც ეტანებოდნენ მისტიკურ მოტივებს,
რომ მასში ხელსაყრელ მასალას ხედავდნენ მხატვრული კონსტ-
რუქციისათვის. გორგი მერჩულისა თუ ბასილი ზარზმელის მისტი-
კურ ხილვებში ღვთაებრივი მოტივიერების პარალელურად აღამია-
ნური მოტივირებაც ჩნდება. ქრისტიანობის პირველწყაროების გარ-

42 ძეგლები, 11, გვ. 109.

43 ნ. ჭავჭავაძე, ესთეტიკური საგნის ბუნებისათვის, გვ. 123.

** Edgar Hederer, Mystik und Lyrik, München-Berlin, 1941,
S. 64.

და, სამისო ნიადაგს ეროვნული მსოფლალქმის თავისებურებაც
ქმნიდა.

ჰაგიოგრაფიული ნაწარმოების პრაქტიკულ-ლიტურგიკული კრი-
ტიკური მიზანი საზოგადოების რელიგიურ-ზნეობრივ აღზრდას შეუქმნებული
ხმობდა. მონათხოვობს აღფრთოვანება და მიბაძვის სურვილი უნდა მოიხსე-
დომოვთვის მკითხველში („ფრთვან ვიქმნებოდით და ბაძვად სათ-
ნოებათა მათთა წარვემატებოდით“, — გორგი მცირე; „...აღსაბაძ-
ველად, რომელთა შური-იგი საღმრთოა ქუნდეს“, — კოსტანტი
კახის მარტვილობის ავტორი). მკითხველი გულგრილი არ უნდა დარ-
ჩენილიყო ჰაგიოგრაფიული იდეალის წინაშე, რამდენადაც იგი
ხატავდა ღმრთისკენ მიმსწრაფ სულით ძლიერ ადამიანს.

ართმეტეს თუ არა ზნეობრივ-მორალური მიზანდასახულობა (რო-
მელიც შეა საუკუნეებში არ შეიძლება არ იყოს დაკავშირებული
რელიგიასთან) პოეტურ უფლებებს ნაწარმოებს, რომელიც საყა-
როს სახეობრივ პლანში მოიაზრებს? რა თქმა უნდა, არა. პოეზიას,
როგორც ცნობილია, ყოველთვის წარედგინებოდა შემეცნებითი
(უპირატესად ისტორიული) და მორალურ-ზნეობრივი კრიტერიუმე-
ბი, რაც მისი ესთეტიკური ღირსების გაფერმკრთალებას არ ნიშ-
ნავდა. მხოლოდ ერთა შეხედვით ჩანს უცნაურად ელიოტის სიტყ-
ვები: „სიდიადე ლიტერატურისა არ შეიძლება განისაზღვროს მარ-
ტონდენ ლიტერატურული კრიტერიუმებით, თუმცა ჩვენ უნდა
გვასოვდეს, რომ არაფერს, გარდა ლიტერატურული კრიტერიუმე-
ბისა, არ ძალუქს გაარკვიოს, ლიტერატურაა ეს თუ არა“⁴⁵.

ჰაგიოგრაფიული ტექსტი არაიშვიათადაა დამძიმებული მშრა-
ლი რეზონერობის მაგალითებით. მაგრამ ნაწარმოების იდეურ-მო-
რალურ სიმძიმეს არც ავტორები სდებდნენ და არც მეტითხველები
აღიქვამდნენ არაასხეობრივი ნაკადის ამ ცივ მდინარებაში. ეს იყო
ერთგვარი ხარჯის გალება ეპოქის ოფიციალურ მოთხოვნათა წინაშე.
ამიტომაა, რომ ამ რიგის მსჯელობანი უმეტესად ნაწარმოების თავ-
ში და ბოლოშია მოქცეული, როგორც შესავალი და შეჯამება. უმ-
თავრესი იდეურ-ზნეობრივი ამოცანა ნაწარმოების ძირითად სახე-
ობრივ ნაკადს აქვს დაკისრებული და ღვთისმსახურების პრაქტიკაც
მასზე იღებდა ორიენტაციას. „მხატვრულ სახეს მორწმუნის აზრე-
ბი ცისკენ უნდა მიემართა“. იგი „ამ გრძნობადი სახეების დაუხმა-

45 მოგვაქვს მ. ვერლის წიგნიდან — О общее литературоведение, М., 1957,
стр. 155.

რებლად არ თვლიდა თავისიათვის შესაძლებლად ღმერთს მიახომო კებოდა⁴⁶. ფსევდო-დიონისე არეოპაგელის მიხედვით, ჩვენ უარი მიერ და სახეთა უსახონი და გამოუხატველნი წინა-დაგუესხმიან⁴⁷. ქართველი მწერალი საბა სვინგელოზი ამბობს: „ხატწუზწუჭულა ფერთანი... აღვეიყვანებენ ჩუენ უნივთოვასა ღმრთისმა შესასტუმუშეს მრევლზე ესთეტიკურ-ემოციური ზემოქმედების მომენტს უკავშირდებოდა ჰაგიოგრაფიული ნაწარმოების შეუცვლელი ფასეულობა ლიტურგიაშიც, თორემ რეზონერობის ამოცანას ჰომილეტიკა და სხვა უანრები უკეთ ასრულებდნენ. სასულიერო ლიტერატურაში, ამბობს გ. ეიკენი, „წარმოდგენა მშვენიერისა და იდეალურისა მთლიანობაში ერწყმოდა ეკლესიური სიწმინდის გაგებას“⁴⁸.

ის გარემოება, რომ ქართული ჰაგიოგრაფიის ძეგლებს საკულტო დანიშნულება ჰქონდა, მხოლოდ სპეციფიკურ შეფერილობას აძლევს ამ ნაწარმოებების ესთეტიკურ ბუნებას, მაგრამ როდი აუქმებს მას. ყინწვისის ცნობილ ფრესკება და სვეტიცხოვლის ანსამბლს, რუბლიოვის ხატებს საკულტო დანიშნულება ჰქონდა, ისევე როგორც ანტიკური დრამატურგიის ნიმუშებს, მაგრამ ეს გარემოება ხელს არ უშლის, იყვნენ ისინი უფრო მნიშვნელოვანი ძეგლები ხელოვნებისა, ვიდრე ბევრი წმინდა ესთეტიკური მიზნით შექმნილ ნაწარმოები.

46 Н. В. Лазарев. Византийская эстетика. История византийской живописи, т. I, М., 1947, стр. 28.

47 შემომავალის გამოცემა, 1961, ვ. 9.

48 ჩვენი საუნგე, ტ. I, ვ. 550.

49 История и система средневекового миросозерцания, Спб., 1907., стр. 621.

გესამთა თავი

გხატვრული ფანტაზია და შინაგანი ხილვა

|

სინამდვილე, რომელშიც მხატვრულ ნაწარმოებს შევყავართ. ემპირიულ რეალობასთან ადამიანის ესთეტიკური მიმართების პრო-
ცენტრია. ერთი სინამდვილის მეორედ გარდაქმნა-სახეცვლის აქტი
ფანტაზიისა და გამონაგონის გზით ხორციელდება. პოეზიის „ნამდ-
ვილ მასალას წარმოადგენს თვით ფანტაზია, ხელოვნების ყველა
კერძო ფორმისა და ცალკეულ ხელოვნებათა ეს საერთო საფუძვე-
ლი“¹. 6. ჰარტმანის სიტყვით, „ფანტაზია არის და რჩება პოეტური
შემოქმედების მარადიულ პირველწყაროდ. და ის, ვინც ისურვებდა
ვაეგო პოეტური ნაწარმოებში სიმართლის მოთხოვნა, როგორც ფან-
ტაზიის საპირისპირო რამ, თავიდანვე არასწორად გაიგებდა მას“².

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებში?

როდესაც ქართულ ჰაგიოგრაფიას საისტორიო მწერლობის
უნჩად დაიგულებენ, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად იმ თვალში
საცემი გარემოებიდან ამოდიან ძირითადად, რომ ამ მწერლობას
მხედველობაში ჰყავს კონკრეტული ისტორიული პიროვნება, ნაწარ-
მოების ფაბულა ისტორიულია, მწერლობის თემად გამოცხადებულია
რეალური ან ასეთად მიჩნეული ფაქტები. იქმნება შთაბეჭდილება,
რომ ჰაგიოგრაფიული ნაწარმოების ფორმირებაში მხატვრული ფან-
ტაზია არ მონაშილეობს.

ჰაგიოგრაფია მხოლოდ როდი იღებს თემად კონკრეტულ-ისტო-
რიულ ფაქტებს (ასეთად მიჩნეულ მოვლენებს). მსგავსი ტენდენცია
საერთოდ დამახასიათებელია ძველ ეპოქათა მხატვრული აზროვნე-

¹ Гегель, Лекции по эстетике, Сочинения, т. XIV, М., 1958, стр. 164.

² Н. Гартман, Эстетика, М., 1958, стр. 409.

ბისათვის. ძველი ბერძნული მითოლოგია, როგორც ცნობილია, პევება და ძველ ბერძნულ ლიტერატურას; პოეტები მითოლოგიურ გადმოცემებს იღებდნენ ფაბულის წყაროდ. მხატვრულ პრაქტიკაში გამოკვეთილი ეს ტენდენცია თეორიულად გაიაზრა მარტინ და მარტინ გასწორება არ არის საჭირო³, — განაცხადა მან. არისტოტელეს თეზისი დაკანონდა და მის კვალობაზე წარიმართა ძირითადად ანტიკური ხანისა და მთელი შუა საუკუნეების ლიტერატურის განვითარება. „კლასიკური პოეზია... მთლიანად მიყვებოდა „გადმოცემულ მითებს“. იგივეა დამახასიათებელი ევროპისა და აზიის შუა საუკუნეთა პოეზიისათვის და ძალიან მნიშვნელოვანი. საზომით ალორძინების ეპოქისა და კლასიკური მისათვის⁴.

ისტორიული, მითოლოგიური და ფოლკლორული გადმოცემების მხატვრულ ნაწარმოებთა ფაბულად გამოყენების საკითხი სპეციალურად აქვს გამოკვლეული ო. ფრეიდინგერგს, რომელიც ფაბულათა სესხების ტენდენციას ფაბულურ „ტრადიციონალიზმს“ უწოდებს.

ისტორიულად მომხდარი ან გადმოცემებით შენახული ამბის ნაწარმოების ფაბულად ქცევის გამოკვეთილი ტენდენცია (ფაბულური ტრადიციონალიზმი) განპირობებული იყო თვითონ ფაბულის განსაკუთრებული მნიშვნელობით ძველად. ფაბულა, არისტოტელეს განმარტებით, არის „ტრაგედიის საწყისი და, ასე ვთქვათ, მისი სული“ (§ 6), ხოლო ხასიათები მას მიჰყებიან კვალში. დღეს გარკვეულია, რომ ფაბულისა და ხასიათის არისტოტელისეულ ცნებებში ჩადებული შინაარსი არ უდრის მათს თანამედროვე მნიშვნელობას. არისტოტელესათვის ფაბულა უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ჩვენთვის, იგი იდეასაც განსაზღვრავს, სიუკერსაც და ნაწარმოების მთლიანობასაც. ხასიათი დაქვემდებარებულია ფაბულის, პირველი ზოგადის სფეროა, მეორე — კონკრეტულისა. „ანტიკურ პოეზიაში „ერთეულს“ მოიცავს, უპირველეს ყოვლისა, ფაბულა; ხასიათი კი,

3 არის ტოტელი, პოეტია, § 14. შემდგომ ტექსტში პარაგრაფის ნიშნით (§) მითოთებული ყველა ციტირება ამ წიგნს გულისხმობს.

4 Теория литературы, кн. II, стр. 447. „ჩვენთვის ცნობილი თოლემის ყველა პირველი ბერძნული რომანი ასე თუ ისე დაკავშირებულია ისტორიულ იმასთან“, — ვკითხულობთ ავტორთა კოლექტივის წიგნში — «Античный роман», М., 1969, стр. 186.

5 იხ. მისი — Пoэтика сюжета и жанра. Л., 1936.

რომელსაც ფაბულა ქმნის, — ეს რაღაც ზოგადია⁶. ესაა შემოტკიცებული გავება ამ ცნებების თანამედროვე აზრისა, იმისა, რაც ლესინგი გმა ჩამოყალიბა პირველად „პამბურგის დრამატურგიაში ცირკულაციაზე“ არის ტოტელეს მიხედვით, მწერალი მიმართავს ფაბულური წარმატებას როს, ისტორია იქნება ეს თუ მითოლოგიური გადმოცემა, რათა იქნან წამოილოს კონკრეტული, ერთეული, ინდივიდუალური. აი, რატომ არ უნდა შეიცვალოს „გადმოცემული მითები“. ხელოვანის „ხელოვნება“ ამის შემდეგ იწყება, როცა ამ ერთეულსა და კონკრეტულს პოეტური სიცოცხლე უნდა მიენიჭოს, როცა უნდა შეიქმნას მხატვრული სახე იმისა, რასაც ბაძავენ, რაც ამოსავალი იყო. საგნის მხატვრული სახე არ უნდა უდრიდეს საყრდენ ემპირიულ საგანს. მართალია, გვეუბნება არის ტოტელე, ხელოვანი ბაძავს არა ზოგადს, არამედ ინდივიდუალურ საგანს, მაგრამ საგანსა და მიბაძვას (მხატვრულ სახეს) შორის ზღვარი არ უნდა წაიშალოს, თორემ ესთეტიკურ ნატურალიზმთან მივალთ. საჭიროა „გადმოცემული მითები“ სიტყვიერ გამოსახვაში „ისე იქნას დამუშავებული, რომ ყველაფერი რაც შეიძლება უფრო ცოცხლად იყოს თვალების წინაშე დაუკავშირდებული“ (§ 17). გამოსახულება კი მაშინ არის „ცოცხლად თვალების წინაშე დაყენებული“, როცა აღმქმელი სუბიექტი მასში შეიცნობს იმ საგნებსა თუ მოვლენებს, რომლებიც მას უნახავს, ამის-დავალად, გვიხსნის არის ტოტელე, „პოეტის საქმეა თქვას არა ის, თუ რა მოხდა, არამედ ის, თუ რა მოხდებოდა და რა იყო ალბათობის ან აუცილებლობის მიხედვით შესაძლებელი“ (§ 9). (რ. თ. უ., არავითარი წინააღმდეგობა ამ თეზისა და „გადმოცემული მითების“ დაურღვევლობის მოთხოვნას შორის არაა, ვინაიდან ისინი ერთსა და იმავე საგანს არ შეეხება). აი, როგორ განმარტავს არის ტოტელეს თეზისის აზრს მკვლევარი ს. დანელია: „ამის თანახმად ის მხატვრული ნაწარმოები კი არ შეეფერება უკეთესად ხელოვნების დანიშნულებას, რომლის მიერ მოცემული სახე უფრო ზუსტად ემსგავსება იმ ინდივიდუალურ საგანს, რომელსაც ხელოვანი ბაძავდა, არამედ ის ნაწარმოები, რომლის სახეც ათქმევინებს მაყურებელს: „აი ეს არის ის“. ე. ი. ხელოვანი ისე ბაძავს თავის საგანს და ჰქმნის იმნაირ სახეს, რომ ამ სახეში იცნოს მაყურებელმა ის საგნები, რომლებიც მაყურებელს თვითონ უნახავს. აი, მაგალითად, მხატვარმა აქტელესმა მიბაძა ერთ ათენელ მხედარს და დახატა აქილევსის სუ-

⁶ Теория литературы, кн. II, стр. 442.

რათი, მაგრამ ისე დახატა, რომ ყოველმა მაყურებელმა იცნო იმ სუ-
რათში იმ მხედრის თვისებები, რომელიც მას უწინ უნახავს და თქვა
თავის გულში: „ის არის ეს“ (ე. ი. სურათში წარმოდგენული უწინ
ლევსი ჰგავს უწინ ნახულ მხედარს). რას ნიშნავს ეს მუკაშორის ეკუ-
რომ აპელესს შეუქმნია აქილევსის ისეთი სურათი, რომელიც ჰგავს
არა მხოლოდ ერთ რომელიმე რეალურ მხედარს (არა ერთს ინდი-
ვიდუალურ პირს), არამედ მრავალ მხედრებს? მაგრამ იმას, რაც
მრავალს ჰგავს ან მრავალს აერთებს თავის თავში, ეწოდება ხომ
ზოგადი, ვინაიდან ზოგადი არის ის, რაშიც წილი აქვს რამდენიმეს,
რაც მრავალთათვის არის საზიარო და რაშიაც რამდენიმე ან მრავა-
ლნი არის გაერთიანებული”⁷.

რას ვღებულობთ? ისტორიული თუ მითოლოგიური წყარო, რაც საფუძვლად ედება ნაწარმოების ფაბულას, ხელოვანს აძლევს კონკრეტულს, ინდივიდუალურს, ემპირიული სინამდვილის უშუალობითა და მთლიანობით აღმნიშვნილ მოვლენათა წყებას. ხელოვანის ამოცანაა ერთეული და ინდივიდუალური ზოგადის დონემდე აამაღლოს და გააცოცხლოს, იმნაირად შეაკავშიროს ერთმანეთთან ფაქტები, რომ ერთი მოვლენა მეორეს უბრალოდ, დროის თანამიმდევრობით კი ან მისდევდეს, არამედ „ალბათობის ან აუცილებლობის“ ძალით, მიზეზ-შედევგობრივად გამომდინარეობდეს: „დიდი განსხვავებაა ხომ, ჩნდება ერთი მოვლენა მეორის გამო თუ მეორის შემდეგ“ (§ 10). კონკრეტულ-ისტორიულ მოვლენებში ამ ზოგადის განვივრეტითა თუ შეტანით „პოეზია უფრო ფილოსოფიურია და უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ისტორია. პოეზიას უფრო მეტად მხედველობაში აქვს ზოგადი, ისტორიას კი უფრო მეტად მხედველობაში აქვს ცალკეული“ (§ 9).

„უცილებლობისა და შესაძლებლობის მომენტით გაუღენთვა აქცევს მხოლოდ ისტორიულ ფაქტს ხელოვნების ფაქტად, ემპირიულ საგანს — სახედ ამ საგნისა, ისტორიკოსს — ხელოვნად. საგნის ემპირიული აღწერა ასლს გვაძლევს, ზოგადის კონკრეტულში განვერეტა და წარმოდგენა — ასახვას, სახეს. არის ტოტელე ხაზგასმით ამბობს, რომ პოეტი სწორედ „ასახვის გამო არის პოეტი“, რომ მან კონკრეტული ზოგადით უნდა განმსჭვალოს, კინაიდან „არაფერი არ უშლის ხომ ხელს, რათა ზოგი რამ იმისაგან, რაც ნამდვილად მოხდა,

7 იბ. შესავალი წერილი წიგნისა — ორისტორელი, პოეტიკა (წინასიტუაცია, თარგმანი და კომენტარები პროფ. ს. ღანტულისი), 1944, გვ. X—XI.

ისეთი იყოს, როგორიც დასაჯერებელია და შესაძლებელია რომ ზე-
გოდეს, რის მიხედვითაც ასეთი მწერალი ამ მომხდარი ის „შე-
გოქმედი იქნება“ (ხაზი ჩვენია, — გ. ფ. ს. 9). ფრანგულურად
ფრსი გვეუბნება: რამდენადაც ნამდვილად მომხდარი დახმატებულია
ლისა და შესაძლებლის გზით განზოგადდება, ამდენად და ამის მი-
ხედვით არისო მწერალი ამ „მომხდარის შემოქმედი“, თორემ ისე
„მომხდარი“ ვიღაცამ მოახდინა ემპირიულ სინამდვილეში და მისი
არც აწერა ჩაითვლება შემოქმედებად.

ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში შემოქმედებით აქტს
გიძგს იძლევს არა მხატვრული იდეა თუ ხასიათი, რომელთაც დღე-
ვანდელი პოეტი ამა თუ იმ ფაბულაში განასხეულებს, არამედ, პი-
რიქით. პორაციუსი თავის „პოეზიის ხელოვნებაში“ ტრაგიკს პო-
ეტს პირდაპირ იძლევს რეკომენდაციას: „...Лучше ты илионскую
песнь перекладывай в действо, чем первым то на подмост-
ки вводить, что совсем неизвестно и ново“.

(129=130).

ეკერმანთან საუბარში გვეთეს უთქვამს: „სოფოკლე თავის
პიესებში სულაც არ გამოდიოდა იდეიდან, არამედ ჩვეულებრივ
ილებდა თავისი ხალხის რომელიმე უკვე დიდი ხნის მზამზარეულ
სავას, სადაც, რა თქმა უნდა, უკვე მოიპოვებოდა გარკვეული იდეა,
მისი საზრუნავი კი იყო, რაც შეიძლება უკვე და ზემოქმედად განე-
სახიერებინა იგი“⁸.

შეელ ეპოქათა ხელოვანი ისტორიული ფაქტიდან ამოდის, სი-
ნამდვილედ გაგებული მითოლოგიური თუ ფოლკლორული გადმო-
ცემაა მისი შთაგონების პირველწყარო და მწერალი ცდილობს „გა-
ნასახიეროს იგი, რაც შეიძლება უკვე და ზემოქმედად“, „რომ ყვე-
ლაფერი რაც შეიძლება უფრო ცოცხლად იყოს თვალების წინაშე
დაყენებული“. ფაბულურ ჩონჩხს ხორცი ესხმება სიუჟეტში, რის
მიხედვითაც გამოვლინდება ხასიათი და იდეა. ესაა შებრუნებული
სახე თანამედროვე შემოქმედებითი პროცესისა, როცა მწერალს
„იდეა უნდა ჰქონდეს აღრიდანვე“⁹. (ლაპარაკია მხატვრულ იდეაზე
და ხასიათზე, რომელიც „ციმციმებს“ და „აწუხებს“ დღევანდელი
შემოქმედის ცნობიერებას, რასაც იგი ამა თუ იმ ამბავში, ფაბუ-

8 И. П. Экерман, Разговоры с Гете..., М.-Л., стр. 68&

9 Н. Гартман, Эстетика, М., 1958, стр. 43.

ლურ ჩონჩხში ჩასდებს თუ განასხეულებს, და არა საჭროდ
იდეოლოგიურ თვალსაზრისშე, პოლიტიკურ და რელიგიურ შემა-
დულებებზე, რომელიც გარკვეულად განსაზღვრავს უკავშირულ-ქა-
ლოვანის, მაგალითად, ჰაგიოგრაფის დამოკიდებულების უკავშირულ-
კონკრეტული ფაქტისადმი, აღქმას ფაქტისა).

ქართული ჰაგიოგრაფიისათვის თვალის გადევნება გვიდასტუ-
რებს, რომ აღნიშნული კანონზომიერება აქაც ძალაშია. კონკრე-
ტულ-ისტორიული ფაქტი გამხდარა მთლიანად იაკობ ხუცესის შთა-
გონების წყარო. ეკლესიის მახლობელ სენაკში შეფარებულ შუშა-
ნიკს იაკობი უთვალისწინებს: „ღუაწლა დიდსა შესლვად ხარ,
დედოფალო, ეკრძალე სარწმუნოებასა ქრისტიანისა, ნუუკუ მტერ-
მან ვითარეა სრსულმან საძოვარი პოოს შენ თანა“. ამ ღვაწლის
წარმოდგენით მიმართავს მწერალი მომავალ გმირს: „ვითარ ვეგუ-
ლების, მითხარ მე, რათა უწყოდი და ალვწერო შრომად შენი“¹⁰.
შემოქმედებითი სტიმული ღვაწლის სიღიადის გათვალისწინებასაც
კი წარმოუშვია. რაც შეეხება იოვანე საბანისძეს, მისთვის შთაგო-
ნება სხვას (სამოელ კათალიკოსს) მიუცია. იოვანე ერთგვარად
აიძულეს თითქოს: „უმჯობესად შევრაცხე მორჩილ-ყოფად თავი
ჩემი ბრძანებასა უფლისა ჩემისასა“. აბომ რომ „იმარტვლა მეოხად
ქრისტის მიმართ ჩუენდა და ყოვლისა ამის სოფლისა ჩუენისა ქარ-
თლისათვს“¹¹, — ისტორიული ფაქტის სწორედ ეს საზოგადო
ებრივი მნიშვნელობა ნაწარმოებს.
„კოსტანტი კახის მარტვილობის“ უცნობი ავტორი ამბობს:
ურწმუნო მეფენი „აიძულებდეს მორჩილნეთა მათ მსახურებად კერპ-
თა თვსთა, ხოლო რომელი არა ერჩდეს მათგანნი, მოსწყუედდეს მათ
პირითა მახვილისახთა და ცეცხლითა დასწუევდეს“. ამ გმირობით
აღფრთოვანებულნი „მაშინ აღ-ვინმე-დგეს კაცნი მორჩილნეთაგან-
ნი, იწყეს აღწერად ცხორებად წმიდათა მოწამეთამ... ამისვე მიზეზი-
სათვს, მეცა არა ლირსმან, ვინებე მიბაძევბად პირველთა მათ და აღ-
ვწერე ცხორებად და წამებად წმიდისა და ნეტარისა მოწამისა კოს-
ტანტისი“¹².

კამახასიათებელია „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ შემოქმე-

10 ძეგლები. წიგნი I, გვ. 13—14.

11 იქვე, გვ. 46.

12 ძეგლები. წიგნი I, გვ. 164—165.

დებითი ისტორიის ერთი დეტალი. მერჩულე გვაუწყებს: „ ნებდ ცხორებისა ამის დაწერად ბრძენთაგან და სრულთა მამათა არმელნიცა იყვნეს უამთა ჩუენთაო“. ეს მწერლები ყოფილა ჭავჭავაშვილის არნ შატბერდელი, ილარიონ პარეხელი, გიორგი მაწყვერელ-ჭავჭავაშვილის ფანჯ მტბეგარი. „და ვითარცა მათ ნეტართა დაიძინეს,—განაგრძობს მერჩულე,—მაშინდა რეცა განმეღვიძა უცებსა ამას და ფრიად ცოდ- ვილსა კელყოფად და ალწერად ცხორებად და სასწაულნი ესე“¹³. გრიგოლის ცხოვრების ასახვის სურვილი გიორგი მერჩულეს ადრე- ვე ალძრია, მაგრამ ვერ გაუბედავს წინ გადაესწრო უფროსი თაო- ბის ცნობილ მწერალთათვის, რომელთაგანაც თანამედროვენი გამოე- ლოდნენ თურმე ასეთი ნაწარმოების დაწერას. მხოლოდ მათი გარ- დაცვალების შემდეგ ხელყო მერჩულემ „ალწერად ცხორებაა“.

რას ეკრძალებოდა მერჩულე? ხომ იწერება მსგავს ფაბულაზე მხატვრული იდეითა და ხასიათებით ურთიერთსაპირისპირო ნაწარ- მოებიც კი. მაგრამ ეს თანამედროვე ლიტერატურული ნორმაა, როცა ფაბულას მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს და ამოსავალია მხატვრული იდეა ხასიათებისა; ფაბულა „წარმოებულია“ ხასიათე- ბისაგან. თანამედროვე ნაწარმოები ისტორიულ სინამდვილეს ხასი- ათებით გვაცნობს და გვაგებინებს. „ძველი ზელოვანისათვის მისი ქმნილება, უპირველეს ყოვლისა, ფაბულითაა დაკავშირებული ის- ტორიისთან. სინამდვილესთან“¹⁴. მერჩულის თანადროული ლიტე- რატურული აზროვნებისათვის ნაწარმოები სწორედ ფაბულითაა დაკავშირებული სინამდვილესთან, ფაბულიდანაა „წარმოებული“ ხასიათიც, სიუჟეტიც, იდეაც, მთლიანობა თხზულებისა. და თუ მერ- ჩულე აღრევე დაწერდა თავის თხზულებას, იგი თანამედროვე მწერ- ლებს თემასა და ფაბულას კი არ შეეზიარებოდა, არამედ შემოქმე- დებითი აქტის საყრდენსა და ამოსავალ პრინციპს ართმევდა ფაქ- ტიურად. აი, რას ეკრძალებოდა მერჩულე.

ოვანე და ექვთიმე მთაწმინდელების კონკრეტულ-ისტორიულ- ღვაწლს („...ესე ნეტარნი მამანი ჩუენნი არარა ამ უნაკლულო იყვნეს პირველ გამოჩინებულთა წმინდათასა“) შთაუგონებია გიორგი ათო- ნელი, ალწერა მოხსენებულ მამათა ცხოვრება. ამას თან დართვია სულიერ მოძღვართა ბრძანება („...მამათაცა ჩემთა სულიერთა მიბრ-“).

13 ძეგლები, წიგნი I, გვ. 294.

14 Теория литературы, кн. I (Образ, метод, характер), М., 1962, стр. 348.

ძანეს ამისი კელუოფად¹⁵). ზუსტად ამ ორ მოტივს განცალია და „გიორგი ათონელის ცხოვრების“ შექმნაც.

განსაკუთრებით საყურადღებო უნდა იყოს „იოანეს წმინდაზე ცხოვრების“ დასაწყისი, სადაც კონკრეტულ-ისტორიულ-ი შემოქმედებით პროცესში თეორიულად ჩანს გააზრებული. ავტორი ასე იწყებს ნაწარმოებს: „მიზეზნი არიან აღმძვრელნი სიტყვასა და სიტყუად არს მიმთხრობელ მიზეზთა“¹⁶... რა „მიზეზი“ იგულისხმება აქ? სულხან-საბას გან-მარტებული აქვს: „დაწყებასა ერთისა საქმისასა მიზეზი ეწოდების“. კონტექსტითაც ცხადია, რომ ლაპარაკია საქმის, მოქმედების მიზეზებზე. საქმე, ნამოქმედარი, ფაქტი,—განმარტავს ჰაგიოგრაფი, — არის ბიძგის მიმცემი, ამოსავალი, „აღმძვრელი სიტყვა“ ლიტერატურულ შემოქმედებაში; ხოლო, თავის მხრივ, პოეტური სიტყვა ამ საქმეებსა და ფაქტებს ასახავს პირველ რიგში, „არს მიმთხრობელ მიზეზთა“ („მოქმედებები და ამბავი — აი რა არის მიზანი“, — როგორც ამბობს არისტოტელე).

როცა ჰაგიოგრაფი ასასახავი ამბის მომსწრე არაა, ზეპირსა თუ წერილობით გადმოცემებს ემყარება, რომელთაც, როგორც წესი, ყოველთვის ასახელებს: ბასილი ზარზმელი: „ყოველი ესე სასწაული და საქმენი, რომელი იგი პირველ ებისკოპოსობისა და უკანასკნელ ეხილვნეს, მომითხნეს პირმან მან უტყუელმან, გიორგის ვიტყვა მაწყუერელსა“¹⁷; გიორგი ათონელი: „...ვიზწავლეთ კაცთა სარწმუნოთაგან და სულიერთა მამათა, რომელთა-იგი ეხილვეს და ემსახურა მათდა, რომელი იგი უცხო იყვნეს ყოვლითურთ ტყუვილისაგან“¹⁸; გიორგი მცირე: „...აღვწერო, არათუ სხუათაგან სმენილი, არამედ უმეტეს ყოვლისა, წმიდისა და უტყუველისა პირისა მისისაგან (ლაპარაკია გიორგი შეკვენებულზე, გ. ფ.) თხრობილი“¹⁹. მწერალი ასახელებს ფაბულურ წყაროს, დარწმუნებულია და მკითხველსაც აჯერებს მის სისწორეში, რითაც ხაზი ესმება იმ გარემოებას, რომ შემოქმედებითი აქტის საფუძველი და განმსაზღვრელი მოქმედების მოშენები (რაზე დაც აშენებული არის გიორგის მოქმედების მოშენები).

15 ძეგლები, II, 1967, გვ. 40.

16 ძეგლები, II, გვ. 191.

17 ძეგლები, II, გვ. 340.

18 ძეგლები, II, გვ. 40.

19 იქვე, გვ. 105.

სონაუების აშკარა იერარქიასთან, ახალი მწერლობისათვის ცალკე პრინციპთან.

იმ ეპოქაში, როცა ქართული ჰაგიოგრაფიის ნიმუშები და ცალკე მხატვრული ნაწარმოები უველაზე უფრო ფაბულის ცენტრულ მხატვრულ დება და გვაგებინებს ისტორიულ სინამდვილეს (და არა ხასიათების გზით, როგორც დღეს). მკითხველისათვის ისტორიული სინამდვილის გამათვალისწინებელ ამ ფენაში (ფაბულა) გასწორება და შეცვლა ისტორიის ძირითადი სახის შეცვლისა და დამახინების ტოლფასად აღიქმება. ვ. კოენოვი განმარტავს: „ცნობილი, რეალური ამბების გადმომცემად მიჩნეული ფაბულის გამოყენება ერთგვარად ადასტურებს ნაწარმოების საზოგადოებრივ მნიშვნელობას. საკითხის ასე დასმა გასაგებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პოეზია გაიგება არა წმინდა მხატვრული აზრით, არამედ ავტოვე, როგორც თავისებური სახის „ისტორიული“ ნაწარმოები. თვით XVIII საუკუნემდე სერიოზული პოეტური ნაწარმოები განიხილებოდა, როგორც ცოტად თუ ბევრად ადექვატური ასახვა რეალური ისტორიული ამბებისა“²¹.

როგორც ადრე აღვნიშნეთ, ქართულ ჰაგიოგრაფიაში მხატვრულობა არ არის გამოყოფილი, ნაწარმოები აღიქმება არა წმინდა პოეტური თვალსაზრისით, იგი ისტორიულ ცნობისმოყვარეობასაც აკმაყოფილებს ასე თუ ისე. მაგრამ გადამწყვეტი მასში ესთეტიკური ასპექტია და ამ ასპექტის შესაბამისად ზოგჯერ, როგორც ვნახეთ, ისტორიულ ფაქტსაც ცვლიან, მაგრამ ეს ცვლილება მოვლენათა მაგისტრალურ ხაზს მაინც არ შეეხება, ძირითად ფაბულურ ჩინჩხს პრინციპულად არ არვევეს და მთავარი გმირის მხატვრული სახის რელიეფურად გამოკვეთისთვისაა ყოველთვის გამიზნული.

ამგვრად, მხატვრული ნაწარმოების ორგანიზაციის ამ კონკრეტულ ფაზაზე ფანტაზია და გამონაგონი არ მოქმედებს ქართულ ჰაგიოგრაფიაში. პოეტური ნაწარმოების საერთო სახეობრივი კონსტრუქციის ფაბულისეულ შექს ქრისტიანულ ლიტერატურაში ფანტაზია საერთოდ არ აშენებს.

ნიშნავს თუ არა ეს, რომ ნაწარმოების ორგანიზაციის სხვა ფაზაზე ფანტაზია არ მოქმედებს? არ ნიშნავს. ჰაგიოგრაფიული ქეგლის მხატვრული კონსტრუქციის სხვა შრეებში ფანტაზია და გამოგონება ჩაირთვება, და ზოგან ძალიან აქტიურად.

²¹ Теория литературы, кн. II, стр. 447.

ქრისტიანული ხელოვნების ნაწარმოების ორგანიზაციაში მონაწილეობს და ერთმანეთისაგან უნდა გავარჩიოთ ორგვარი ურთისესობის მიზნების მიზნია: პირველი — ფანტაზია დამოუკიდებელი მნიშვნელობის პრეტენზიით, ფანტაზია — ხილვა ახალი სამყაროსი, როცა იგი მოითხოვს მისი ნაყოფი სინამდვილედ ცენოთ. ფანტაზიის მიზანი ფანტასტიკური სამყაროა, ახალი სინამდვილის შექმნაა, მიზანი და შედეგი მთლიანობაშია. პოეზია და ხელოვნება აქ თავს იჩენს, როგორც საშუალება ამ შიზნის განსახორციელებლად. ესაა ფანტაზია — დემიურგი სინამდვილისა. მეორე — ფანტაზია არა როგორც მიზანი, არამედ საშუალება ამა თუ იმ შინაარსის ხორციელებისათვის, როცა იგი პრეტენზიას არ აცხადებს ნამდვილობაზე, არამედ ხელს უწყობს მოვლენის ღრმასა და შთაბეჭდავ წვდომას. ესაა წმინდა მხატვრული ფანტაზია.

შევეხოთ ჯერ პირველს, ფანტაზია-ხილვას. ასეთი წარმოსახვისას ფანტაზია დემიურგია, იგი ბატონობს ხელოვნებაზე.

დავიწყოთ იმით, რომ ანტიკურის საპირისპიროდ ქრისტიანული ხელოვნების განმსაზღვრელი იდეური „შინაარსი არ გამოავლენს თავის თავს, როგორც რალაც ხილვას ხელოვნების გზით, არამედ ხილვაა თავისთავად, უკანასკნელისაგან დამოუკიდებლად... ღვთაებრივი, თვით ღმერთი, განსხეულდა, იშვა, იცხოვრა, ეწამა, მოკვდა და აღდგა. ეს ისეთი შინაარსია, რომელიც არ გამოუგონებია ხელოვნებას“. იგი ფანტაზია-დემიურგის ნაყოფია, ხილვაა თავისთავად. ხოლო მრავალი ღმერთით დასახლებული სამყარო ძველი ბერძნული მითოლოგიისა, რომელსაც დაემყარა ანტიკური ხელოვნება, „...სათავეს იღებს თვით მხატვრულ ჰეროს ასა და ფანტაზიაში, რომელიც თავის მოძღვრებასა და სახეებს შიგნიდან (თვით მხატვრული ჰეროტისა და ფანტაზიის სილრმიდან, — გ. ფ.) იკრებდა და განცვიფრებულ აღამიანებს მათი ახალი ღმერთები უბოძა“²².

ე. ი. კლასიკური ხელოვნების ძირითადი იდეური შინაარსის საწყისი და საფუძველი „თვით მხატვრულ ჰეროტისა და ფანტაზიაშია“ წარმოშობილი. აქ სათავეშივეა ფანტაზია; საგანი, რასთანაც უნდა მივიდეს ხელოვანი და მისი ემპირიული შინაარსი ეს-

თეტიკურ შინაარსად და ფორმად გადააცილოს, თვით ეს საგანი თავისი პირველადი არსებობის ფარგლებში — მითოლოგიაში მხატვრული ფანტაზიის და კვრეტის ნიშნით აღმოჩენილი, ამაღლებული. საყრდენი საგანი, ის, რასაც ჰქონდავთ ხელოვანი, აღარაკ წერე და უძლი, ემპირიული საგანი. ანტიკური ხელოვნება განსაკუთრებული მიხალიდან ამდღის, თუ შეიძლება ითქვას, მაღლიდან იწყებს. საქმე იმაშია, რომ „ბერძენმა ხალხმა, — როგორც ჰეგელი ამბობს, — ღმერთების სახეშიც თავისი სული შეიცნო, შეიცნო გრძნობადს, მცვრეტელობითს, წარმოდგენითს ფორმაში, და ხელოვნების გზით ღმერთებს ჰეშმარიტი შინაარსის სრულიად თანაზომიერი არსებობა მიანიჭა“. ასეთი შესატყვისობა (ადამიანი იყო სახე და მსგავსება ღვთისა) ბერძნული მითოლოგიის ცნების შედეგი იყო და ბერძნული ხელოვნების ცნების საფუძვლად იქცა. ამისდაკვალად, ხელოვნება საბერძნეთში აბსოლუტურის უმაღლესი გამოვლინება იყო, მაშინ, როცა ქრისტიანული ხელოვნება „მიუთითებს ცნობიერების უფრო მაღალ ფორმაზე, ვიღრე ამის წვდომა ძალუძს ხელოვნებას“. შეასუკუნებში რელიგიაა უმაღლესი გამოვლინება აბსოლუტურისა. შეძაჭამებელი მნიშვნელობისაა ჰეგელის თეზისი, რომ „ბერძნული რელიგია არის რელიგია თვით ხელოვნებისა“²³. პროფ. ს. დანელიას სიტყვით, „ბერძნული კულტურა ესთეტიზმით ხსიათდებოდა. ხელოვნებამ შთანთქმა საბერძნეთში კულტურის სხვა კომპონენტები, უწინარეს ყოველისა კი რელიგია“²⁴ (ხაზი თრივეგან ჩვენია, — გ. ფ.).

კლასიკური ხელოვნების საფუძვლისაგან (მითოლოგისაგან) განსხვავებით ქრისტიანული ხელოვნების საფუძველში — ბიბლიაში ღმერთი „მხატვრული ჰვრეტისა და ფანტაზიის“ საფუძველზე კი არ მოგვევლინება, არამედ „ადამიანის სუბიექტურ ცოდნაში იგი შემდის საბუთებით უარყოფის პროზაულ ნიადაგზე, ხოლო შემდეგ შეაღწევს სულში და მის რელიგიურ გრძნობაში უპირატესად სასწაულების, წამებათა ძალით და ა. შ.“ აბსოლუტურს აქ წარმოსადგენი აჩვებობა კი არ ენიჭება, არამედ ფაქტიური; ღმერთი განსხვეულდა, იცხოვრა, აწამეს, აღდგა. ეს შინაარსი არ გამოუგონებია ხელოვნე-

23 იქვე, გვ. 15. ანტიკური ხელოვნების დახასიათებისას ა. ფ. ლოსევი შენიშვნას: „მხატვრული თუ ესთეტიკური აქ ძალიან ხმირდ ატარებს აბსოლუტური ყოფის ყველა ნიშანს“. იხ. მისი *История античной эстетики*, стр. 535.

²⁴ შესავალი წერილი წიგნისა — არისტოტელი, პოეტიკა, 1944, 83: XXX.

ბას, იგი აქამდე და მის გარეშე არსებობდა. ამიტომ ქრისტიანული
ხელოვნების ძირითადი შინაარსი „ხელოვნების მიერ თავისი ფლევი-
დან კი არაა ამოღებული, არამედ წინასწარაა მოპოვებული, როგორც
მასალა გაფორმებისათვის“.

საფუძველთა ასეთმა სხვაობამ მოიტანა ის, რომ კლასიკური ექოების ღმერთებმა, როგორც ჰეგელი იტყვის, თავიანთი ოსებობა მხოლოდ წარმოსახვის გზით მოიპოვეს; ისინი მხოლოდ ქვასა და მხოლოდ წარმოიქმნენ და არა ხორმეტალში ან ჭყვრეტელობითს სფეროში წარმოიქმნენ და არა ხორმეტალში ან ჭყვრეტელობითს სფეროში წარმოიქმნენ და არა ხორმეტალში ან ნამდვილ სულად. „ბერძნულ ღვთაებათა ცითა და სისხლით, ანუ ნამდვილ სულად. „ბერძნულ ღვთაებათა ანთროპომორფიზმს ამიტომაც აკლია ნამდვილი ადამიანური ოსებობა ა როგორც ხორციელი, ისე სულიერი, ეს სინამდვილე სხეულისა და სულისა პირველად მოიტანა მხოლოდ ქრისტიანობამ, როგორც ყოფა, ცხოვრება და საქმიანობა თვით ღმერთისა²⁵. იმის გასაგებად, თუ რა სიახლე მოიტანა შუა საუკუნეების ქრისტიანულშა ხელოვნებამ, ფუნდამენტური მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ჰეგელის მითითებას, რომ ბერძნული მითოლოგიისა და ხელოვნების ანთროპომორფისტულ ღმერთებს აკლიათ ნამდვილი ადამიანური ოსებობა სხეულისა და სულისა (რაფინირებულია ისინი, განწმენდილია ყოფითისა და მიწიერი ნაკლისაგან); რომ ეს სინამდვილე მიწიერი ხორცით მოსილი ღვთაებისა მიწაზევე ყოფა-ცხოვრებისა და ქმედების სახით ქრისტიანობამ დაამკვიდრა. წარმოსადგენი, მხატვრული ჰეროტითა და ფანტაზიით კონსტრუირებული არსებობიდან ფაქტიურ, მიწიერ არსებობაზე გადავდივართ. ამაზე საგანგებოდ ზევით (შესვალში) ემსჯელობდით. მოხმობილი იყო პლოტინის აზრი ფიდიასის ერთი ქმნილების (ზევსის ქანდაკება) შესახებ. ფიდიასის ზევსის არსებობაზე ვამბობდით ჩვენ, წარმოსადგენი არსებობაა, ისეთია, როგორადაც იგი მოვევლინებოდა, რომ მას, როგორც ღმერთს „მოსურვებოდა გამოცხადებოდა ჩვენს მზერას“ (პლოტინი). ქრისტიანული ღვთაების არსებობა კი ისეთი არსებობაა, როგორადაც მან, როგორც კაცმა, მოისურვა და მოველინა კაცობრიობას. აյ არის საფუძველი თვალსაჩინო სხვაობისა ორ მსოფლალქმასა და ორ ხელოვნებას შორის.

ბერძნულ რელიგიაში ფართოდაა შეკრილი ხელოვნების მომენტი (ასეთ მომენტს ქრისტიანობაც შეიცავს, მაგრამ მნიშვნელოვნად ნაკლებს); მთოლოვის ღვთაებრივი სამყარო პრინციპში ხელოვნების კანონების მსგავსადაა ფორმირებული. „ბერძნული სარწლოვნების

²⁵ Гегель, Лекции по эстетике. Соч., XIII, стр. 76.

მუნიების წარმოდგენა ღმერთებზე... შეადგენს ძირითადსა და უკელაზე უფრო შესატყვის შინაარსს ულასიას რაოდ ხო ხელოვნები ბელოვნებაში, ამიტომ ფორმულა პეგელისა ასეც შეიძლება შევმოქმედოს ჭიშ-ძნული ხელოვნება არის ხელოვნება ბერძნული რელიგიის (ასტრატი ივები ფართოდ შეიცავს ხელოვნების მომენტს) და არა ყოველი რელიგიისა.

ე. ი. ხელოვნების პრინციპების ანალოგიურად მოახრებული შინაარსი ღვთაებრივისა ბერძნული რელიგიიდან გადატანილი და სრულყოფილია საკუთრივ ბერძნულ (კლასიკურ) ხელოვნებაში. აქ შინაარსი ვლინდება, როგორც „ერთგვარი ხილვა ხელოვნების გზით“, საპირისპიროდ ქრისტიანული ხელოვნების ღვთაებრივი შინაარსისა, რომელიც „ხილვა თავისთავად“, დამოუკიდებლად ხელოვნებისა. კლასიკური ხელოვნების თვით მასალა (მისი გენეზისის სპეციფიკის გამო) არაა ემპირიული მასალა, ხელოვნების ნიშნითაა აღმეცდილი. ფანტაზიის მომენტი აქ თვით მასალას ეხება ძირითადად და შედარებით ნაკლებად საკუთრივ ხელოვნების ფარგლებს, კონკრეტულ ნაწარმოებს. ხოლო როდესაც კლასიკური ხელოვნება ამ შინაარსის ხორცშესხმას იწყებს, ადამიანის გრძნობად-მატერიალური აღქმაა მისთვის ამოსავალი. აქ „სულის კავშირი მის აღექვატურ გარეგნულ სახესთან, აღებული ერთ ასპექტში, არის რაღაც თავისთავად მზამზარეული და მოცემული, რომლის გახსახორციელებლად საჭირო არაა შერწყმა, — ფახტაზით შექმნილი, საჭინააღმდეგო იმისა, რაც სინამდვილეში არ სებობს“²⁶ (ხაზი ჩვენია, — გ. ფ.). ქრისტიანული ხელოვნების ნაწარმოების შინაარსი კი იმ „დაპირისპირებულობის შეგნებით გამოდის, რომელიც ყველა სასრულო არსებასა და აბსოლუ-

26 Гегель, Лекции по эстетике, Соч., т. XII, стр. 84. ან „შობლით ნიაღვას“, როგორც ამობს ო. ველფი, იხ. მისი — Altechristliche und byzantische Kunst, I, S. 2.

27 Гегель, Лекции по эстетике. Соч., т. XII, стр. 12. გ. გაჩვენ ამის თაობაზე ამბობს: „თვით ანტიკურობამ კატეგორია იდეალისა არ იცოდა სწორედ იმიტომ, რომ თანადროულობაში განვიხილი ჰარმონიიდან ამოდიოდა — არა იმ აზრით, რომ იგი იძოვებოდა ყოველ და მეყვეულად, არამედ იმ აზრით, რომ იგი გაცნობიერებული იყო, როგორც ადამიანისათვის პრინციულად მისაღწევი აქ“. იხ. მისი — Развитие образного сознания в литературе. Теория литературы, кн. I, стр. 213.

ტურს შორის არსებობს“ . ესაა დაპირისპირება შექმნილი სამყარო .
 სი შემოქმედთან . ამ ხელოვნებაში, წინააღმდეგ ანტიკურისა, სულიერი
 გაშირი გარეგნულ (გრძნობად) სახესთან არ არის „რაღაც უფრო უძველე
 თავად მზამზარეული და მოცემული“ და მის განსახორციელებული სამყარო
 საჭიროა შერწყმა — აქტიური ფანტაზიით შექმნილი, საპირისპი-
 როდ იმისა, რაც სინამდვილეში არსებობს (ესაა სულის დაბრუნება
 საჟუთარ თავში და იქ პოვნა თავისი რეალობისა). ქრისტიანული
 ხელოვნების სათავესთან, მის მასალაში არაა მხატვრული ფანტაზია,
 ხელოვნება, მხატვრული ხილვა; იგი ხილვაა თავისთავად, ფან-
 ტაზია თავისთავად, მაგრამ გაგებულია, როგორც სრული რეალო-
 ბა . ესაა ფანტაზია-დემიურიგი, რომელსაც სახარებისეული სამყარო
 ოცნებისა ყველაზე მართალ სინამდვილედ ესახება . ანტიკურობის
 პოეტური წარმოდგენის საპირისპიროდ იგი „პროზაული“ აღქმი-
 დან ამოდის, ღვთაების ისეთ გაგებას ემყარება, როცა იგი ნამდვი-
 ლი მიწიერი სხეულით შეიმოსა, მიწაზევე იცხოვრა და იმოქმედა
 ჩვეულებრივ ადამიანთა შორის . „ქრისტიანულ ფანტაზიას, — ამ-
 ბობს ჰეგელი, — შეუძლია განასახიეროს ღმერთი მხოლოდ ადამი-
 ანურ სახეში და მის (ადამიანის, — გ. ფ.) სულიერ გამოვლინებაში“²⁸.
 აქ ღმერთი იხატება ადამიანურ სულიერ მდგომარეობაში, ში-
 ნაგანი ტკივილით, წინააღმდეგობით და არა ანტიკური ღმერთე-
 ბის უშფოთოველ სიმშეიდეში . ასეთ ჩვეულებრივ, ყოფით სინამდ-
 ვილედ არის აღქმული ღვთაება პირველ, საწყის გამოვლინებაში .
 აქედან იწყებს ქრისტიანული ხელოვნება, იწყებს, ასე ვთქვათ, დაბ-
 ლიდან, ჩვეულებრივიდან, მიწიდან . ხოლო მისი იდეალი კონსტრუ-
 ირდება იმ „დაპირისპირებულობის შეგნებით, რომელიც ყველა სას-
 რულო არსებასა და აბსოლუტურს შორის არსებობს“. ამ სიმაღლე-
 ზე ასასვლელად კი, ბუნებრივია, წარმოსახვის მძლავრი ამოქმედებაა
 საჭირო . ამიტომ ქრისტიანული ხელოვნების შიგნით ფანტაზიის მო-
 მენტი ძირითადია . აქ, ჰეგელის სიტყვით, „უფრო მეტი სივრცე რჩე-
 ბა ხელოვანის სუბიექტური შემოქმედებისათვის, ვიდრე კლასიკურ-
 იდეალში“²⁹ . ა. ლოსევი წერს, რომ ანტიკურ სამყაროში „ფანტაზიას
 აქვს სულ მცირე მნიშვნელობა, მიუთითებს რა, ყველაზე მეტი, მა-
 ტერიალური სამყაროს პასიურ არეკვლაზე ადამიანის წარმოდგენებ-
 ში . ხელოვნება ბაძავს ბუნებას და ცხოვრებას ისევე, როგორც ეს

28 Гегель, Лекции по эстетике. Соч., т. XII, стр. 79.

29 იქვე, გვ. 76, 104.

უკანასკნელი სუბსტანციას, იდეალურ პირველსახეს. ეს ორი ხაზი რისპირო გავება ანტიკურობის შემდეგდომინდელ ესთეტიკურ წერტილი 125-ში მოდგენათა, „...რომლის თანახმად ადამიანი თვის ფანტასიურულ სილამაზისა და ხელოვნების სამყაროს, ხოლო პირველში უდიდეს აპრიორულად არსებობს თვით ადამიანში, მისი შინაგანი ცხოვრების სილრმეში“³⁰. საქმე ისაა, რომ ანტიკურ კლასიკაში იდეალური უდიდეს მატერიალურს, ოლონდ საგანგებოდ დახვეწილს, ფიზიკური ნაკლისა-გან განწმენდილს. რაფინირებულს (ჰეგელი). იდეალურისა და რეა-ლურის ამ წონასწორობაში მატერიალურია საფუძველი და ამოსავა-ლური იგივეობისა. გასაგებია, რომ ასეთ მსოფლაღშის სილამაზის კონ-სტრუირებისათვის ფანტაზიისა და შინაგანი ხილვის განსაკუთრებუ-ლი აქტივიზაცია და დაძაბგა არ სჭირდება, რაც აუცილებელია ქრის-ტიანულ ესთეტიკურ აღქმაში, რომელიც მატერიალური სამყაროს ტიანულ ესთეტიკურ აღქმაში, რომელიც მატერიალური შიგნით მიღმა იყურება და მშვენიერებას სულიერი ცხოვრების შიგნით ეძებს. „ანტიკური რაციონალიზმის კრახის ხანში ქრისტიანობა-აალორძინებს სერიოზულ დამკიდებულებას ფანტაზიის, წარმოსახ-ვის სცეროს მიმართ. ასეთი დამკიდებულება სახეობრივი შემოქმე-დებისადმი, ცნობილი აზრით და განსაზღვრულ პერიოდში, ხელს უწ-ყობდა მხატვრულ ცნობიერებას. ...მხატვრული ნაწარმოები აქ ინ-დივიდუალური ფანტაზიით სამყაროს თავისუფალი გარდაქმნის ნაყო-ფად წარმოდგება. თავისი შინაგანი სამყაროდან ხელოვანი სამყაროს მთლიანი სახეობრივი კონცეფციის კონსტრუირებას ახდენს. აღმა-არ გადავაკარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ყველაზე უფრო გავრცელე-ბული უანრი შეა საუკუნეებში — ხილვა“³¹.

ხილვა, აქტივიზირებული შინაგანი კვრება შეიქმნა მსოფლაღქ-მის პრინციპი. გათიშა რა რეალურისა და იდეალურის ანტიკური მო-ნიზმი, ქრისტიანულმა ფილოსოფიამ სამყარო ორ ნაწილად გაყო: „ეს ქვეყანა“ და „ის ქვეყანა“, „აქ“ და „იქ“. ჩაგრულთა და უპო-ვართა ძიება იდეალისა სინამდვილედაა გაცნობიერებული აპოკალიპ-

30 А. Ф. Лосев, История античной эстетики (рациональ классика), стр. 536.

31 Теория литературы, кн. I, стр. 215, 218. ლაპარაკობს რა რელიგიურ და მხატვრულ ცნობიერებათა ურთიერთმიმართებაზე შეა საუკენეებს, ს. ვა-იმანი წერს: „გარეველი საზომით შეიძლება ვილაპარაკოთ რელიგიურ შეგნე-ბის დადგითი შეგვალენის შესახებც პოეტურ კულტურაზე, განსაკუთრებით თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ეს შეგნება ავითარებდა ხელოვნებისათვის უაღრესად მნიშვნელოვან ნიჭს წარმოსახვისა — Марксистская эстетика и проблема реализма, М., 1964, стр. 303.

სისა და მეორედ მოსვლის ხილვებში. ბიბლიიდან და თეოლოგიურ
მსოფლალქმიდან ეს პრინციპი ქრისტიანულ ხელოვნებაში გადადის,
სადაც ფანტაზია-დემიურგი შიშველ ფანტასტიკურ ჩვენებათა და
სასწაულთა გვერდით პოეტური მხერით გაშუალებულ სულიერი კრიტიკული
ქმნის ხშირად, ე. ი. რელიგიური ფანტაზია გაშუალებულია ძნატი-
რული ფანტაზიით. მათი გათვალისწინება ავსებს ჩვენს წარმოდგე-
ნას შუა საუკუნეთა აღამიანის სახეობრივ აზროვნებაზე.

გამოცხადდა რა ღმერთი „ერთადერთ და ხელოუქმნელ სილამა-
ზედ“ (ნიკეის კრება), უმაღლეს ხელოვნებად ბუნებრივად იქცა
მჭვრეტელობითი ხელოვნება, როცა ღვთისკენ მიმსწრაფი ადამიანი
გონებრივი ეგზალტაციის გზით შეერწყმის უზენაესს: „უმაღლესი
ხელოვნება — ეს მჭვრეტელობითი ხელოვნებაა, როცა სული ვერებს
ღმერთს, არეკვლილს გონების შინაგან სარკეში“³². პლოტინის ამ ოე-
ზისის მიხედვით, რომელიც გამოიყენა ქრისტიანულმა ფილო-
სოფიამ, სული მაშინ ასრულებს თავის უმაღლეს დანიშნულებას,
როცა შემმეცნებელი მთლიანობაშია შესამეცნებელთან. ღვთაებრი-
ობით ეს შინაგანი ავსება შინაგანივე ხილვის, მჭვრეტელობითი შე-
მეცნების სიმართლის ერთადერთი გზა და წყაროა.

ბასილი ზარზმელის თხზულებაში ასეთი ეპიზოდია: ვიორები
ჩორჩანელი თავისი ამალით ეწვია მის საბრძანებელში გამოჩენილ
ბერებს. ამ შესველრისას სერაპიონს, „სწავლათა საღმრთოთა“ მიხედ-
ვით, სტუმრებისათვის ღვთაებრივი სამყაროს ისეთი სურათი დაუბა-
ტავს, „რომლისათვესცა განკურდა მთავარი იგი და ყოველი წინაშემ-
დგომნი, რომელი შეუცრდეს ფერწოა მისთა და ეტყოდეს: „ვითაო-
ცა ერთი მოციქულთაგანი, ქრისტემან მოგავლინა...“ ეს კი იმით გახ-
და შესაძლებელი, რომ „სანატრელი სერაპიონ აღივსო სულითა წმი-
დითა...“³³. ვიორები მერჩულე კი გვაუწყებს, რომ გრიგორ ხანძთე-
ლი „ხედვიდა საღმრთოთა ხილვათა მაღლითა სულისა წმიდისა-
თა...“³⁴.

ქრისტიანული თეოლოგიის ერთი მამათავარი ორიგენი წერს:
„წმიდა და უცოდველი სულნი, მთელი გუნებითა და სრული სრულინ-
დით თავს რომ უძღვნიან ღმერთს, ინარჩუნებენ რა თავიანთ თავს
ყოველგვარი დემონური სნების ხელყოფისაგან, ძლიერი თავშეკავი-

32 მოგვაჯეს წიგნიდან — К. Гилберт, Г. Кун, История эстетики, М., 1860, стр. 179.

33 ძეგლები, I, გვ. 326.

34 იქვე, გვ. 305.

ბის გზით განწყენდილნი და ღვთისმოსავობის და რელიგიურ შემცირებათაგან დამთვრალნი, ყოველივე ამით თანაეზიარებიან დათვებას, წინასწარმეტყველების მაღლისა და სხვა ღვთაებრივ ნიჭით რიტუალის სწორი და სისტემური მიზანის სწორი მიზანი სწორი ნილებათა დაყრუება, შინაგანი ნებელობა აღარაა დაბანდებული ხორციელ იმპულსთა ზომიერების კალაპოტში მოქცევისათვის, მთელი სულიერი ენერგია შეტრიალდება სუბსტანციისაკენ, სულა უპარუნდება თავის თავს. და ასე, თავისი თავით მთლიანად ავსებული და მხოლოდ თავისი თავისაკენ მიმართული სული, „დამთვრალი ღვთისმოსავობისა და რელიგიურ შემცირებათაგან“, თანაეზიარების ღვთაებას.

დავით გარეჯელის მეტაფრასული „ცხოვრება“ გვაუწყებს, რომ „ქუაბა მას შინა მცირესა“ შეფარებული დავითისა და ლუკიანუს საკვები იყო „ირემთა მიერი იგი საზრდელი, რამეთუ მოვიდიან იგინი მათდა მიმართ ნუკრთა თანა მათთა ყოველთა დღეთა თვნიერ თოხ-შაბათისა და პარასკევისა, რამეთუ ამათ დღეთა შინა ყოველით ურთ უსაზრდელოდ და ადგრიან კელ-გან-ბყრობით მდგომარენი და გონებისა თუალითა წინაშე საყდართა ღმრთისათა წარდგომისათა წარდგომისათა წინაშე სულიერი სიშმინდე ხდება ძალა, რომლითაც კაცი თანაეზიარების ღვთაებას, იქცევა ნაპერშელად, რომლის სხივები სწერდება იქამდე, სადაც ყველა მოკვდავის მზერა ვერ აღწევს ხოლმე.

„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ ვეითხულობთ: „...იყო რად დიდი იგი მამად და მოძლუარი მიქაელ მდგომარე ღოცეასა ღამისასა, განკურვებად რამე დაეცა და აღიტაცა ზეცად და იხილა ვინწე, ვითარუა მღდელ-შუენიერად შემოსილი, და ეტყოდა მას, რათა მის მიერ განსწავლულნი იგი მოწაფენი მყის წარავლინნეს ქუეყანად სამცხისა, რომელ არიან სერაპიონ და იოვანე“³⁵. ხილვის მოტივი-რება აქ კიდევ უფრო გაფართოებულია. მხილველის პირად ღირსებებს აქ ხილვის კონკრეტული სიტუაცია ემატება. მიქაელს „ღოცეასა ღამისასა, განკურვებად რამე დაეცა და აღიტაცა ზეცად“. ქრისტიანული გაგების თანახმად კი ღოცეა ის აქტია, როცა ღირსეული სული სუბსტანციამდე მაღლდება („ღოცეა მიმახლებელი არს

³⁵ Ориген, Творения, стр. 267.

³⁶ ასურელ მოლვაწეთა ცხოვრების წიგნთა ქველი რედაქციები, 1955, გვ. 158.

³⁷ ძეგლები, I, გვ. 322.

ღმრთისა”, — ბასილი ზარზმელი). შეიძლება ეს აქტი რაიმე სპეციულურ თხოვნასაც შეიცვდეს, მაგრამ ლოცვის არსი ამ თხოვნაში მაინც არაა. თვითონ მოწიწება და მოკრძალება იქცევა ჰისტორიული ლებად, თვითონ თხოვნა — ნეტარებად. ასეთი შინაარსის მიმდევად ვა არის ტებობა, გრძნობა ნათელისა, შეუმღვრეველი სიყვარულისა. შინაგანი გასხივოსნებისა და განწმენდის ამ მომენტს უნდა გულისხმობდნენ, როცა ამბობენ, რომ ესთეტიკური აღქმა ახლოს დგას ოქლიგურ ცდასთან, მისტიკასთან (იხ. ნ. ჭავჭავაძისა და ე. პედერერის გამონათქვამები წინა თავში).

რადგან ბოროტებითა და ეშმაკებით სავსე ქვეყანა ქრისტიანულ იდეალს უფრო ფანტასტიკურად ესახება, ვიდრე სახარების ეული სამყარო ოცნებისა, მწერალი ფართოდ უხსნის გზას საკუთარ შინაგან ხილვას მოვლენისა ან ლეგენდურ-სასწაულებრივ გადმოცამებს, იმავე გზით შობილთ. სახარებაა მისთვის ამოსავალი, ბიბლიის თვალით უყურებს. აღიქვამს და გარდასახავს იგი ყველაფერს. ბუნების კანონებზე ამაღლება, დეფორმაცია სინამდვილისა, შეცვლა და ზოგჯერ შებრუნება ემპირიულ პროპრიათა იმდენადვე ბუნებრივია „იმ ქვეყნისეკნ“ მზირალი ქრისტიანი ხელოვანისათვის, როგორც არაბუნებრივი დღევანდელისათვის. ამ „ნამდვილ სინამდვილესთან“ მისასვლელი გზა გაღრმავებული შინაგანი ჭვრეტის გზაა, ვინაიდან ჩვეულებრივი გრძნობადი აღქმა გრძნობადივე ფორმით მოცემულ საგნებს სწვდება მხოლოდ. და საგანი ისე „გადატრიალდება“ ხელოვანის წარმოდგენაში ემპირიული მდგომარეობიდან იდეალური სამყაროსათვის შესაფერის მდგომარეობაში, რომ ხშირად თვით შემოქმედისთვის არაა საეჭვო, რომ ხილვით მიღებული სასურველი ფორმა საგნისა ჭეშმარიტი ფორმაა მისი. „შუა საუკუნეების ადაშიანმა მოახდინა სასწაული სახეცვლილებისა. მან გრძნობადი სამყარო მოჩვენებითად გადააჭია...³⁸.

ამიტომ ირწმუნებიან ქართველი ჰავიოგრაფები, ჭეშმარიტებას ვწერთო, მაშინაც კი, როცა აშკარად იგონებენ, ღრმა ფანტაზიით თხზავენ. „იგონებენ“ და „თხზავენ“ რომ ვამბობთ, თანამედროვე თვალსაზრისშე ვდგებით, დღევანდელი მსოფლგავებით ვსჭით. ეს, რა თქმა უნდა, არაა სწორი პოზიცია, ვინაიდან მოვლენებს მათშივე მოცემული კანონებით უნდა ვხსნიდეთ. ეს კანონი კი გვეუბნება,

38 К. Гилберт, Г. Куи, История эстетики, стр. 169; კიდევ უფრო საგანგებოდ ვვ. 143—144.

უახლესი რამპა წარმოადგენს გაუმჯვირვალ ბარიერს ფიქციასა და სინამდვილეს შორის: უწინდელი რამპა საშუალებას იძლეოდა ისინი მიახლოებოდნენ ერთმანეთს და იმ ზომამდე შერეულიყვნება, რომ ყველა მომენტში შეიძლებოდა დანახვა იმისა, თუ როგორ გადადის ფიქცია რეალურ ცხოვრებაში, ხოლო უკანასკნელი ადის სცენაზე³⁹. რელიგიური იდეოლოგიისათვის ნიშანდობლივი სწრაფვა,— სინამდვილედ წარმოსახოს გამონაგონი, ასაზრდოებდა ასეთ არაკრიტიკულ რეაქციას.

ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლების განხილვისას აკად. ივანე ჭავახიშვილი წერდა: „იქ გალუბრყვილობა „შეთხევულის“ აუცილებელი შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს და ეკვს იქ ადგილი არ ჰქონდა ხოლმე“. ამ ნაწარმოებებში მრავალგზის ხაზგასმული „თვითმმართველობაც“ კი უძლურია ზოგიერთ შემთხვევაში, „როდესაც ამ ბავი ისეთ სფეროს ეხება, რომელიც თვითმხილველის ჩრდენას შეადგინება“.

39 Эთგაქვე წიგნიდან А. Давид-Соважо. Реализм и натурализм в литературе и в искусстве. М., 1891, стр. 44.

ადგენს, სადაც მისი ეჭვის თვალი დახუჭულია და გონიერება ფენიზლობს⁴⁰. „შუა საუკუნეთა ისტორიკოსი, — წერს ო. ვაინშტადი ნი, — ვერ ხედავდა არსებით განსხვავებას ჰეშმარიტ ფაქტსას და უფრო თუ სხვისი ფანტაზიის გამონაგონთა შორის“⁴¹. თუ ჩემ ასეთი მის ისტორიკოსზე, კიდევ უფრო შეესაბამება იგი ხელოვანი მწერლის აზროვნებას, რომელსაც გამოცხადების სიბრძნისა არანაკლებ სკერა, ვიდრე იმისა, რაც მატერიალურ-გრძნობადი ორგანოებით შემოდის ცნობიერებაში, თვალით დაინახება და ყურით გაიგონება. უფრო მეტიც, ჰავიოგრაფი მწერალი გრძნობის ამ ორგანოებით შილებულ ცოდნაზე მეტად გამოცხადების სიბრძნეს აფასებს. იმანე საბანისძე ამბობს: „უფროოს-ღა საცნობელნი ეგი ყურნი გულისა და გონებისა“ არიან ჰეშმარიტების მიმკვლევნიო. „აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის“ ავტორის სიტყვით, სწორედ „გონებითა იხილვების შორეული ვითარცა მახლობელი“. ამ რა კონტექსტშია ეს სიტყვები მოტანილი: აბიბოსი ნეკრესიდან მარზაპანთან მიჰყავთ სპარსელებს დასასჯელად. გზად მას შემოხვდა სვიმეონ მესვეტის მოციქული „და მისცა წიგნი, ევლოგიად და კუროთხი წმიდისა მამია ჩუენისა სუმიონ საკურველო-მოქმედისაა... ხოლო ნეტარი ესე ების-კოპოსი (აბიბოსი, — გ. ფ.) მეგობარი იყო ბრწყინვალისა მის მნათობისა სუმიონ მესუეტისა ანტიოქელისად და არა თუ თუალითა ეხილვა ურთიერთას, არამედ სულიერითა მით სიყუარულითა, რომელი გონებითა იხილვების შორიელი ვითარცა მახლობელი“⁴². ესაა ბიბლიის თვალით მხედველი ჰავიოგრაფის მიერ შექმნილი სურათი. ბიბლიიში კი „იხილვებოდე და ხედავდე“, — ამას მამასა და ძესთან მიმართებაში ჰქვია: „შეიცნობდე და შეიცნობოდე“, — რა თქმა უნდა. ცოდნის ძალით და არა ხრწნადი მხედველობით“⁴³. ეს ფორმულა ქართულ ჰავიოგრაფიაშიც გვხვდება: „მან (ძე ლმერთმა) მხოლომან იხილა დაუსაბამოდ იგი (მამა ლმერთი, გ. ფ.), და იგი მხოლოდ მის

40 ძელი ქართული საისტორიო მწერლობა. გვ. 122, 133.

41 О. Л. Вайнштейн, Западноевропейская средневековая историография М.-Л., 1964, стр. 102. „არა ცველა, ვიც ტყუილს ამბობს, — უთვეს ავგუსტინეს, — ბრალეულია სიცრუეში, თუკი იგი ფიქრობს და სჭრა ჰეშმარიტება იმისა, რასაც ამბობს“, იქვე, გვ. 87. ნამდვილისა და ფანტაზიის ტრიუქრის ამ განურჩევლობაზე იხ. აგრეთვე ეიкен Генрих, История и система средневекового миросозерцания, Спб., 1907, стр. 516, 605. С. Вайман, Марксистская эстетика и проблемы реализма, стр. 303.

42 ძეგლები, I, გვ. 242—243.

43 Ориген, О началах, стр. 21—22.

თანა არს, რომელი-იგი მდაბალთა ჰქედავს და მაღალი გვერდი
შორით იცნის⁴⁴. ეს ღმერთმა იხილა მამა ღმერთი, ეს ჩილგა
კი იმას ნიშნავს, რომ მან „მაღალი იგი შორით იცნის“⁴⁵, მუქაწერების
თხზულების გმირები — გრიგოლი, საბა, ოქოდორე და ჭავჭავაძეს და
რე სამხრეთ საქართველოსკენ მიეშურებიან: „და სიხარულითა წარე-
მართნეს გზასა მას, რომელი არა უწყოდეს, არამედ არა უმეცარ იყ-
ვნეს...⁴⁶.

ნეტარი ავგუსტინე ჰეშმარიტი სილამაზის აღმქმელს ახასია-
თებს, როგორც „შინაგანი ხედვის მფლობელს და უხილავად მხილ-
ველს... ხორციელი მზერით შენ ხომ მხოლოდ ხორციელს ხედავ.
ამისადაკვალად, ჩვენ ვხედავთ ამ მთლიანობას (ლაპარაკია ღვთაებით
განპირობებულ ჰარმონიასა და სიმეტრიაზე სამყაროში) აზრის სა-
შუალებით“⁴⁷. ავგუსტინეს თეზისს პირდაპირ ეხმაურება გიორგი
მცირე, რომელიც წერს: „....კორციელითა თუალითა ყოლადვე ქუ-
ყანად ხედავნ, ხოლო თუ ალ ნი სულისანი მარადის უხილავ-
სა მას დიდებასა ღმრთისასა უხილავად განიცდინ, რო-
მელ-ესე მცირეთა მიერ მოსაპოვნებელ არიან“⁴⁸. გიორგი მერჩულის
განმარტებით, „სულსა კაცისასა აქუს მეტყუელებად ანგელოზებ-
რი“⁴⁹. ამ თვალსაზრისის თანახმად, თუ სინამდვილის აღქმა შინაგა-
ნი ხილვით არ არის გაშუალებული, ცნობიერება მოვლენის ზედა-
პირზე ტივტივებს მხოლოდ.

მთელი ამ მსოფლაღმის ძირი ნეოპლატონიზმშია საძიებელი.
ყველაზე სპეციფიკურ სილამაზედ ნეოპლატონური ესთეტიკა თვლის
იდეის განსხეულებას, პირველსაზიდან (Первообраз) მომდინარეს
ხელოვანში, ხელოვანიდან ნაწარმოებში. პლოტინი თავის „ენეადე-
ში“ განმარტავს, რომ სილამაზის აზრისეული იდეა, ფორმა უფრო
მაღალია, ვიდრე ის, რაც შემოქმედშია; ხოლო რაც შემოქმედშია,
უფრო მაღალია იმაზე, რაც ხელოვნების კონკრეტულ ნაწარმოე-
შია: „რამდენადაც სილამაზე, ჩამოდის რა მატერიაში (განსხეულ-
დება, — გ. ფ.), აღმოჩნდება განვრცობილი (განფენილი), იმდენად

44 ძეგლები, I, გვ. 133.

45 იქვე, გვ. 252.

46 История эстетики. Памятники мировой эстетической мысли, т. I, М., 1962, стр. 268—269. შემდგომ დავასახელებთ შემოკლებით — История эсте-
тики. Памятники... т...

47 ძეგლები, II, გვ. 125.

48 ძეგლები, I, გვ. 315.

იგი უფრო სუსტია იმაზე, რაც მთლიანობაში არსებობს. ყველაფერი
განვრცობადი ხომ შორდება თავის თავს... და ყველაფერი პირველ-
ქმნადი თავისთვად უფრო ძლიერი უნდა იყოს მეორად-ქმნადშე,
პირველსახის სილამაზე არ ჩამოდის ხელოვანში, არამედ რჩეშოთ მასში უფრო
ვის თავში. მისგან იღებს საწყისს სილამაზის უფრო დაბალი ქარსშემოიხარ-
(ხელოვანის გონებაში რომაა). ის, რაც ხელოვანის გონებაშია, ვერ
ჩამოვა ჭმინდა სახით ხელოვნების ნაწარმოებში, ვინაიდან მისი არ-
სებობის ფორმა უფრო აზრისეული და „ჭმინდაა“. იგი ქვაში ჩამოვა
და განსხეულდება არა ისე, „როგორც ხელოვანს სურდა, არამედ
იმდენად, რამდენადაც ქვა დაემორჩილა ხელოვნებას“. ფორმა კი,
რომელიც ქვაში შეაქვს, „იყო შემოქმედში არა იმდენად, რამდენა-
დაც მას თვალები და ხელები ჰქონდა“, არამედ რამდენადაც იკი-
კვრებს და საზრდოობს პირველსახით, სილამაზის აზრისეული იდე-
ით⁴⁹. «Да и как может кто-нибудь находится в прекрасном, не
созерцая его? Именно, созерцая его как иное (მატერიალური
სამყაროს თვისებად — გ.ფ.), он еще — не в прекрасном, но
только ставши им, он таким образом в собственном смысле
пребывает в прекрасном. Поэтому если видение красоты
относится к всевышнему, то и в этом случае видение не дол-
жно быть иным, чем тождественным с видимым»⁵⁰. როცა
ხელოვანი გარეგნულ-გრძნობადი სამყაროს სილამაზეს ჰვრებს,
მისი ხილვა უნდა ემთხვეოდეს იმას, რაც სახილავია, პირველსახეს,
მიმართული უნდა იყოს უმაღლესი და ულამაზესი იდეისაკენ. ამ
მომენტშია შემმეცნებელი მთლიანობაში შესამცნებელთან, გონებ-
რივი ეგზალტაციით შეერთვის პირველსახეს.

აქედან ამოვიდა ქრისტიანული აზროვნება, რომელმაც ფიზიკუ-
რი სამყაროს სილამაზე და ჰარმონია ამავე სამყაროს ნიშან-თვისე-
ბად კი არ მიიჩნია, არამედ მის გენეზისს დაუკავშირა. ღმერთი, რო-
გორც შემოქმედი, აისახა მის მიერ შექმნილ საგნებში. მატერიალუ-
რი სამყარო მიისწრაფვის შემოქმედის ჰარმონიისა და სილამაზისა-
კენ, როგორც შედეგი მიზეზისაკენ, და გარკვეული ზომით ემსგავ-
სება მას. ჰეშმარიტ ცოდნასა და სილამზეს მაშინ ვწვდებით, როგო-
ნილული ქვეყნით ვტკბებით, როგორც ხატით ლვთაებისა, უხილავი-
სა (თვალით), როცა მივილტვით გონებრივი ეგზალტაციით, შინაგა-

49 История эстетики. Памятники... т. I, стр. 225.

50 История эстетики. Памятники... т. I, стр. 233.

ნი ხილვით განვჭრიტოთ გრძნობად აღქმაში მოცემული შედეგის მიზეზი, მიზეზთა მიზეზი, პირველსახე იმ სახისა, რაც ბუნებისა ან ხელოვნების ნაწარმოებში გვეძლევა.

პლოტინის კატეგორიული დასკვნა ასეთია: „...Мы оказываемся незнающими, если придерживаться чувственного восприятия, которое в данном случае утверждает, что оно не пользуется видением, так как оно и не имеет знания и даже не может когда-нибудь иметь знания о подобных мысленных предметах. Ощущение же есть недоверие, и на самом деле увидевший (Шен ба гано ხილვით, — გ. ფ.) обладает иным, чем ощущение умом. Если не увидит и он, то он не поверит и в свое собственное существование»⁵¹. არც საკუთარი თავის არსებობის რეალობაში შეიძლება ვიყოთ დარწმუნებული, თუ ფიზიკური შეგრძნებები შენაგანი ხილვით არა გაშუალებული, თუ ჩემის სახეს მიზეზთა მიზეზთან, პირველსახესთან მიმართებაში არ ვვრეტო. ქანდაკების სილამაზე წარმოდგება იქიდან, თუ რა გზით (შენაგანი ვვრეტისა თუ ფიზიკურ შეგრძნებათა დახმარებით) ქმნის მას ხელოვანი, ვიზრე ნაწილებისა და ფერების გრძნობად-გარეგნული შეხამებისაგან.

საუკეთესო მაგალითს შენაგანი ხილვისა, რომელიც მშვენიერ პოეტურ ხატებს ეყყარება, მთელი ქრისტიანული მშერლობის მას-შტაბით წარმოდგენს ფსალმუნთა წიგნის 103-ე თავი. ესაა ამაღლებულის შეგრძნებაზე დაფუძნებული კოსმიური პოეტური ხილვა, სადაც რაფინირებული სული თავის საყოველთაობას ზეიმობს გრძნობად-რეალურ სამყაროზე:

1. აკურთხევს სული ჩემი უფალსა; უფალო ღმერთო ჩემო, განსდიდენ ფრიად, აღსარებაა და დიდად შუენიერებაა შთაიცუ.
2. შეიმოსე ნათელი ვითარცა სამოსელი, გარდაართხენ ცანი ვითარცა კარავნი;
3. დაპროტენ წყალთა ზედა ზესკნელნი მისნი; რომელმან დასხნა ლრუბელნი აღსავალად თვსა, და იქცევის იგი ფრთეთა ზედა ქართახსა;
4. რომელმან შექმნა ანგელოზნი მისნი სულად და მსახურნი მისნი — ალად ცეცხლისა;

⁵¹ История эстетики. Памятники... т. I, стр. 234.

5. რომელმან დაამტკიცა ქუეყანას სამყაროსა ზედა თვისსა, არა
შეიძრას იგი უკუნისამდე.
6. უფსერულნი ვითარცა სამოსელნი გარე-მოდებულ არგუნ მწერენ ული
ზედა, მთათა დადგენ წყალნი.
7. სასტიკებითა შენითა ივლტოლიან და კმითა ქუხილისა შენი-
სამთა შეძრწუნდიან.
8. აღმალლდიან, მთა იქმნიან, დამდაბლდიან, ველ იქმნიან აღ-
გილსა მას, რომელსაცა დაამტკიცენ შენ იგინი.
9. საზღვარი დასდევ და არა გარდაპელენ, არცალა მიიქციან და-
ფარვად ქუეყანისა.
10. რომელმან გამოადინენ წყარონი კევნებსა შორის, მთათა
დიოდიან წყალნი;
11. სუან იგი ყოველთა მკეცთა ველისათა, განძლენ კანჯარნი
წყურილსა მათსა.
12. მუნ მფრინველთა ცისათა დაიმკუდრონ და შორის კლდესა
გამოსცენ ქმად მათი.
13. რომელმან დაათრენა მთანი საუნჯითა თვისითა, ნაყოფითა საქ-
მეთა ქელთა თვესთამთა აღავსო ქუეყანას.
14. რომელმან აღმოაცენა თივად მთათა და მწუანე სამსახურე-
ბელად კაცთა, რომელმან გამოიღის პური ქუეყანით.
15. ღვნომან ახარის გულსა კაცისასა, საცხებელმან მხიარულ-
ყვის პირი, და პურმან განამტკიცის გული კაცისას.
16. განძლენ ხენი უფლისანი და ნაძუნი ლიბანისანი, რომელ
შენ დაპნერგენ.
17. მუნ მფრინველთა მართულ-ისხან, და ბუდე ყარყადთად მე-
რაცხილ მათდა.
18. მთანი მალალნი ირემთა და კლდენი შესავედრებლად ყურგ-
დელთა.
19. შეპჭმენ მთოვარე უამთათუს, მზემან ცნა უამი დასლვისა
თვისისად.
20. შექმნა ბნელი და იქმნა ღამტ, მას შინა ვიდოდიან ყოველ-
ნი მკეცნი ველისანი;
21. ლექუნი ლომთანი ყვრიედ ტაცებად და ითხოვენ ლმრთისა-
გან საზრდელსა მათსა.
22. მოფენასა მზისასა შეკრბიან და საღვურსავე თვისსა დაადგ-
რიან.

23. გამოვიდის კაცი საქმესა თვისსა და შრომასა კვლეულობასა
სა მიმწუხადე.

24. რამეთუ დიდ არიან საქმენი შენი, უფალო, და კულტურული
სიბრძნით ჰქმენ; აღივსო ქუეყანად დაბადებულითა მეტი მეტე

25. ესე ზღუად დიდი და ვრცელი, მას შინა არიან ყოველი
ქუეჭარმავალნი, რომელთამ არა არს რიცხვ, მკეცნი წულილნი დიდ-
თა თანა: მას ზედა ნავნი ვლენან;

26. ვეშაპი ესე, რომელ შენ დაპბადე სამლერელად მათდა.

27. ყოველნივე შენგან ელიან მოცემად საზრდელი მათი ეამსა;

28. მოსცე მათ, და აღიზარდნენ იგინი, აღამაღლე კელი შენი
და ჰქრდიდე ყოველთავე სიტებობითა ნებისა შენისამთა.

29. გარე-მიიქციუ პირი შენი მათგან, შეძრწუნდიან; მოულე სუ-
ლი მათი მათგან, მოაკლდიან და მიწადვე თვისა მიიქციან.

ესაა ამაღლებულის ყველაზე სპეციფიკური გამოხატულება
ქრისტიანულ მსოფლადშიაში, როცა პირველსახიდან ბუნებრივი
გზით საგანთა წარმოშობის თვალსაზრისი იცვლება თვალსაზრისით,
რომლის თანახმად, ლეთაების თვით აზრი და სურვილი ხდება საკმა-
რისი, რომ წარმოიქმნას მთელი ხილული სამყარო. თვითონ სურვი-
ლი ღმერთისა, როგორც ამბობს ორიგენი, იქცევა აგრეთვე ძალად
ღვთაებისა. უხილავისაგან (პირველსახისაგან) ხილული სინამდვილის
თვით ქმნადობა არის უაღრესად წმინდა, ჰაეროვანი აქტი, უსხეუ-
ლო რამ, სიტყვა. აზრი და ჰვრეტა იქცევა იდეალურ ძალმასილებად-
ეს იგივეა, რაზედაც პლოტინი იტყოდა: «...Все, что появляется
на свет, — это результат моего безмолвного видения, яв-
ляющегося одним из моих свойств; оно происходит из виде-
ния, любит видение и создает его благодаря присущей мне
способности видеть видение. ...Я—созерцаю, и предметы ма-
териального мира проявляются на свет, как бы выходя из
моего созерцания»⁵².

ახლა განვიხილოთ ქართული ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების
ხილვათა, ჩვენებათა თუ გამოცხადებათა ის პასაუები, სადაც ფან-
ტაზია-დეპიურვი მხატვრული სახეებით აშენებს თავის სამყაროს.
ხაზს ვუსვამთ, რომ ჩვენი ყურადღების საგანი ხელოვნების საშუ-
ლებებით, პოეტური გარდასახვით კონსტრუირებული ხილვები იქ-
ნება შხოლოდ და არ გვაინტერესებს „წმინდა“, „შიშველ“ ჩვენე-

52 მოგვაქვს წიგნიდან K. Гилберт, Г. Кун, История эстетики, стр. 134.

გათა და სასწაულთა ვრცელი სფერო, სადაც პოეტური მზერა გამო-
თიშულია.

როგორც სხვაგან, ისე აქაც ქართული ჰაგიოგრაფიის შესტკი-
რული არსენალს ბიბლიურ სახეთა გავლენის ბეჭედი აზის ხელშეკრულები
როგორც აკად. ქ. კიკელიძე აღნიშნავდა, ბიბლიამ „მისცა შეველ სა-
სულიერო მწერლობას ნიმუშები ლიტერატურული უანრებისა, პოე-
ტური ფორმისა, მხატვრული გემოვნებისა და ჩამოქნილი, დახვეწი-
ლი პროზაული ენისა. ძველი მწიგნობრები ბიბლიაში ეცნობოდნენ
ლიტერატურული სიტყვის ხერხებს და შემოქმედების ტექნიკა,
რომელიც ასე მნიშვნელოვანი იყო ორიგინალური საქმიანობის გან-
ვითარებისათვის. ისინი ცალი თვალით იყურებოდნენ ბიბლიაში,
სადაც პოულობდნენ საჭირო ნიმუშებს, მათ მეხსიერებაში ინახება
ძველისა და ახალი აღთქმის ისტორიის სახეები...“⁵³.

ქართველ ჰაგიოგრაფთა პოეტურ ხილვებში უფრო ძალუმია
ფსალმუნთა წიგნისა და აპოკალიპსის, მეორედ მოსვლისა და გან-
კითხვის დღის სურათების ზეგავლენა. პირველად მოვიტანთ ნაწყ-
ვეტს „ნინოს ცხოვრებიდან“, რომელსაც ფსალმუნის ახლახან მოხ-
მობილი მონაცემთის მხატვრული სახეებით შთაგონება ეტყობა. ნანა
დედოფალი და მირიან მეფე ნინოს სნეული ხუარას (რომელიც იყო
„მოგვ მთავარი სპარსი“) განკურნებას შესთხოვენ. მეფე მოციქულს
ეუბნება: „რომლისა ღმრთისა ძალითა იქმ საქმესა ამას კურნებისა-
სა? ანუ ხარ შენ ასული არმაზისი, ანუ შვილი ზადენისი, უცხოებით
მოხუედ და შეურდი, ხოლო მას ზედა-აც მოწყალებამ, და მიგანი-
ჭეს ძალი კურნებისამ, რამთა მით სცხოვნდებოდი უცხოსა ამას ქუ-
ეყანასა“. ნინოს პასუხი ღვთაების კოსმიური შემოქმედების პოე-
ტურ ხილვას წარმოადგენს: „მოავლინენ შენ ზედა ღმერთმან ციად
და ქუეყანისა შემოქმედმან, დამბადებელმან ყოვლისა დაბადებუ-
ლისამან, დიდისა დიდებისა მისისაგან, ვითარცა საკუმილისაგან ნა-
ბერწყალი ერთი მაღლისა მისისამ, რამთა სცნა და გულისხმა-ჰყო
სიმართლე ცისამ და სინათლე მზისამ, სიღრმეშ ზოვსამ და საძირ-
კუელნი მისნი, სივრცე ქუეყანისამ და საფუძველნი მისნი, და რამ-
თა უწყებულ იყო შენ, მეფე, თუ ვინ შემოსნა ცანი ღრუბლითა და
ქუხილნი კმითა ჰაერისამთა და იძრვინ ქუეყანას სიმძრაფრითა მისი-
თა და რბილდიან მეხის-ტეხანი, კუალს მისსა ეგზებინ ცეცხლი გუ-
ლის წყორმითა მისითა, ანუ ოდეს შეიძრის ვეშაპი იგი დიდი, რო-

53 ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1960, გვ. 428.

მელი ორს ზღუასა შინა, და შეძრის ყოველი ქუცანამ, ვიღემდის
დაირლვან მთანი მყარნი და კლდენი⁵⁴.

მსგავსი სურათია დახატული უწინარეს ამისა: კურუკუ ჟერა
ცა ქუხდა და ქუცანამ იძრვოდა, მთანი ჰკრთებოდეს ერევანში
იმღერდეს, ზღუად დვა, წყალნი აღმართ დიოდეს, ზაქარიას მე ივლ-
ტოდა და ჩუენ ყოველთა ზარი შეძრწუნებისამ დაგუეცა⁵⁵. ამ ჩევ-
ნების ფონზე გვეცხადება მესია.

პოეტურ ხილვათა მეორე რიგს შეადგენს მეორედ მოსვლისა და
განკითხვის უამის დრამატული სცენები. გიორგი მერჩულე მოგვი-
თხრობს: გრიგოლი რამდენიმე მოწაფის თანხლებით მოვიდა ხანდ-
თას, სადაც მონასტრის აშენება ღმერთმა გამოუცხადა მასა და
ბერს — ხუდიოსს. იქაურობა სრულიად უდაბური იყო. ბერებს,
ენთუზიაზმის გარდა, აქ არაფერი მოჰყოლიათ. მათს ცნობიერება-
ში ბუნებრივად გაიელვა შიშმა, — შესძლებენ თუ არა მონასტრის
აშენებას. ამიტომ იყო, რომ „წმიდამან გრიგოლ გონებითა შემუსრ-
ვილითა ლოცვად ესე ცრემლით კელგანპყრობით წართქუა...“. რას
წარმოადგენს „ლოცვად ესე“? ეს არის ჰეშმარიტი დრამატიზმით
შესრულებული ხილვა მსოფლიო განსჯის უამისა და ამასთან დაკავ-
შირებული შიშისა. შიშის ერთი გრძნობის გვერდით სრულიად მი-
ზანდასახულად მოხმობილია მეორე: „უამსა ამას უცხოებისა და
უპოვარებისა ჩუენისასა, ქრისტე, არა შემეშინოს ჩუენ ბოროტისა-
გან, რამეთუ შენ, უფალი, ჩუენ თანა ხარ განმზადებული ჩუენთვეს
ადგილსა ამას კეთილსა განსასუენებელსა ნებისა შენისასა, რომელსა
შინა მარადის ვედრებასა შევსწირავთ მოსალოდებელისა მისთვეს დოლ-
სა დიდებით მეორედ მოსლვისა შენისასა, ღმერთო! რაუამს-იგი სა-
შინელებათა ზარი და საყვრისა ოხრად შეაძრწუნებდეს დაბადებულ-
თა ყოველთა, რამეთუ უქადაგებდეს ცოდვილთა სატანჯველთა მათ
დაუსრულებელთა, ხოლო მართალთა ახარებდეს ცხორებასა დაუს-
რულებელსა. მაშინ ეტყებდენ ყოველნი ტომნი ქუცანისანი ამისათვეს,
რამეთუ მიეცემოდიან ყოველნი ბრალეულნი გუემათა და საარება-
თა. ხოლო მართალნი მათთვეს იგლოვდნენ, რამეთუ არს უბიშოთაცა
შეძრწუნება ზარი შენი, რომლისაგან მე ვძრწი, რამეთუ განუმზადე-
ბელ ვარ არათუ უმეტებისა აჩრდილთა შეყენებული, არამედ უდე-
ბებისა მედგრობათაგან ძლეული ვკმობ სულთქუმით: რაუამს

54 ძეგლები, I, გვ. 132—133.

55 იქვე, გვ. 127.

მოიწიოს დაქსნად გუამთად და მხილებად ცოდვათად და კუალად-გა-
ნახლებად და შეერთებად სულისა და კორცთად, რომელთად-მე ცხო-
ახბად საუკუნოდ და რომელთად-მე სატანჯველად საუკუნოფაში ჩადგინდა.
უნ ვინად იყოს ჩემდა ქსნად ბრალთა პატივისაგან?“⁵⁶

პირდღირი მიერ

შიშის, რომ ამ პირობებში ძნელია ღვთის ბრძანების შესრულე-
ბა, მწერალმა გმირის შეგნებაში დაუპირისპირა მეორე შიში, რას
უნდა მოელოდოს „უდებებისა მედგრობათაგან ძლეული“ განკითხვის
ფამს, თუ ეს ბრძანება არ იქნება განხორციელებული. მცირე ვნებას
აქევებს დიდი ვნება; ერთი შიში მოხსნა მეორემ, უფრო დიდმა, „გო-
ნების შემმუსვრელმა“ შიშმა. მწერლის ფსიქოლოგიური ალო-
თვალსაჩინოა. განკითხვის ზარისა და აქედან მომდინარე შინაგანი
ძრწოლის ასე დახვეწილი პოეტური განსხეულება მკითხველის წარ-
მოდგენას მწერლის შინაგანი ხილვის თანამგზავრად ხდის და თან
გაიყოლებს იმ უსიერ ტევრში, სადაც პოეტურსა ჲა მისტიკურს
შორის ზღვარი ქრება. მერჩულის ამ ხილვას შეიძლება გვერდში
ამოვუყენოთ დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანის“ ფი-
ნალური სურათი: „უამი რად წუხილთა და ავთა აღმოფშვნვათად წარ-
მოდგეს, ზარი მეფობისად წარქდეს და დიდებად დაშრტეს, შუებანი
უქმ იქმნენ, ყუავილოვნებად დავნეს, სხუამან მიიღოს სკიპტრაა,
სხუასა შეუდგენ სპანი, — მაშინ შემიწყალე, მსაჭულო ჩემო!“⁵⁷

გან-რაბ-ელოს წიგნი დღესა შრის სასჯელსასა და მე ქედდად-
რეკილი წარმოვიდგე განკითხვად, მსაჭული მართლ სჯიდეს, მსახურ-
თა რისხუად ქროდის, მართალნი ნეტარებდენ, ცოდვილთა პგუემ-
დეს ცეცხლი — მაშინ შემიწყალე, იყსუ ჩემო!“⁵⁸

მეორედ მოსელისა და განკითხვის მოტივი მხატვრულ სახეებ-
შია განხორციელებული, „შიოსა და ევაგრეს ცხოვრების“ ტექსტშიც:
„მაშინ არცა ქრთამი არს, არცა სიტყვს მიცემა, არცა შეწირულ
იქმნენ ცრემლნი, არცა დრო მოგცეცეს, არამედ წარვდგეთ შიშუ-
ელნი და თავდადრეკილნი ყოველნი ერთბამად და განეხუნენ წიგნნი
თითოეულისა საქმეთანი და მიეკადებოდის თითოეულსა თვისი ვალი
და თვისი აღთქუმად და თვისი საქმენი. და გამოვიდეს საშინელი იგი
ქმად, მიმწოდებელი მართალთა სასუფეველად, ხოლო წარმდევნელი
ცოდვილთად ცეცხლად უშრეტად. მ ჩემდა, ძმანო, ვითარ ვძრწი დღი-
სა მისგან, უკუეთუ ვიპოვო მარცხენით და მესმას კმად წარმგზავნე-

56 ძეგლები, I, გვ. 256.

57 ჩვენი საუნგე, I, გვ. 520—521.

ლი ჩემი სატანჯველად საუკუნოდ. რაღა-მე ყყო უბადრუქმან მაშინ, რამეთუ არღარა არს დასასრული სასჯელისად მის, არღარა არს ცხინება, არღა გარე-მოიქცეს საუკუნოდ იგი, არღა კუალად განჯორ. უსრულებული ციფრული დოკუმენტი

ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში შეიძლება გამოვყოთ შეზელი ციფრი იმ გამოცხადებათ, როცა წმინდანი ამ ქვეყანას ტოვებს და „ცად ადის“. წმინდა ნინო მოგვითხრობს: „(1) რიგსიმე დედოფალი და გაიანე დედამძუძშ და ორმეოც და ათი სული წარმოვემართენით თთუესა პირველსა ათხუთმეტსა და გამოვედით არეთა სომხითისათა, სამოთხესა მას თრდატ მეფისასა. იგინი მოიკლნეს მუნ თთუესა პირველსა ოც და ათსა, დღესა პარასკევასა. ხოლო მე დავშოთ ეკალთა შინა გარდისათა, რამეთუ ვარდი და ნუში ყუავოდა მას ჟამსა. (2) და ოდეს იგი აღმოცვიდოდეს სულნი წმიდათა მათ, ვიხილე ზეცით სამოსლის მსგავსად ჩამომავალი დიაკონი ოლარითა ნათლისამთა. და ჭელთა მისთა აქუნდა სასაკუმევლი, რომლისაგან გამოვიდოდა კუამ-ლი სულნელებისამ, რომელი ცათა დაპუარვიდა, და მის თანა სიმ-რავლი ერთა ცისათამ. და შეიერთნეს წმიდანი იგი სულნი ერთა მათ ზეცისათა და დიდებით აღმაღლდეს ცად. (3) ხოლო მე ვლალდყავ: „უფალო, უფალო, რად დამიტევე მე შორის ასპიტთა და იქედნეთა?“. კმაა მესმა მე მუნით, რომელი მეტყოდა მე: „ესრტოვე იყოს წარყვანებად შენი, ოდეს ეგ ეკალი, რომელი შენსა გარემოსა არს, ყოველივე იქმნეს ვარდ მეწამულ, სულნელ შენ მიერ“⁵⁸.

ეს სურათი მთლიანად ერთს საყურადღებო მხატვრულ სახეს წარმოადგენს მოცულობით და შემადგენელ ელემენტთა შინაგანი ბუნებით. პირობითად ამ პასაუში შეიძლება სამი მონაკვეთი გამოყ-ყოთ, როგორც ეს ტექსტში ჩვენი სახელდახელო ჩარევიდან ჩანს. სახის მთლიანი კონსტრუქციის პირველი მონაკვეთი რეალურ სინაზ-დეილეს მიემართება და ხილვის შემდგომ სიტუაციასთან მას კავშირი თითქოს არც აქვს. მონაკვეთს ხურავს თრდატ მეფის ვარდთა სამოთხეში მარტოდშოთენილი ნინოს პლასტიკური ხატი: „მე დავშოთ ეკალ-თა შინა ვარდისათა, რამეთუ ვარდი და ნუში ყუავოდა მას ჟამსა“. ამას მოყვება ჩამოქნილი სპირიტუალისტური მანერით შესრულებული ხილვა მეორე ნაწილისა, მესამე ნაწილში კვლავ ჩვენებაა, — ზეცი-ური ქმედება ახლა უშუალოდ ნინოს შეეხება. მაგრამ აქ უაღრესად

58 ასურელ მოლვაწეთა ცხ. წ. ძე. რედაქტირები, ვვ. 137.

59 ძეგლები, I, ვვ. 115.

საყველთაო-სულიერი შინაარსი პლასტიკური სახე-სიმბოლოებითაა გოწოდებული ჯერ ნინოს ღალადისში: „უფალო, უფალო, რად და- მიტევე მე შორის ასპიტთა და იქედნეთა?“ — ხოლო მერე პლაზმურული ჟეციდან: „ესრცვე იყოს წარყვანებად შენი, ოდეს ეგე ეკალიტაზორის მელი შენსა გარემოს არს, ყოველივე იქმნეს ვარდ მეწამულ, სულ- ნელ შენ მიერ“. აქ უკვე არც ეკალი და არც ვარდი თავიანთი საგნობ- რივი მნიშვნელობით არ იგულისხმება. ამ შინაარსის ზემოქმედება, როგორც საზის საშენი მასალისა, არ არის უგულებელყოფილი, მაგრამ იგი მაინც კარგავს იმ თავისთავადობას, რაც პირველ მონაცვეთში პქნდა, და უმაღლესი მხატვრული იდეის სამსახურში დგება. წარ- მართთა (ეკალი) შორის მოსულმა ქალმა ისინი უნდა გააქრისტიანოს („იქმნეს ვარდ მეწამულ, სულნელ შენ მიერ“). მაგრამ ერთგზნ სწო- რედ ყოფითი სინამდვილის წარმოსადგენად მოხმობილი „ეკალთა შინა ვარდისათა“ ხდის მეორეგან (ხილვის დასასრულს) სახე-სიმ- ბოლოდ მის ტრანსფორმაციას განსაკუთრებით შთაბეჭდავს. ძნე- ლი არ არის მიუვხვდეთ მწერლის ნაგულვებს. ვარდთა და ნუშთა ყვავილობის ქამს ეკალთა შორის მარტოდშენილობის ხატი ჩაფიქ- რებულია, რათა გრძნობად სინამდვილეზე მიმთითებლიდან ხილვის დასასრულს ზეგრძნობად-სულიერ ღვაწლზე მიმანიშნებელი მეწამუ- ლი და სულნელოვანი ვარდის შვენიერ სახე-სიმბოლოდ გადაიქცეს. ამგვარად, მოტანილი მონაცვეთის პირველი ნაწილი ორგანულადაა შეკავშირებული მეორე და მესამე ნაწილთან. მათი მთლიანობა ერთ კომპოზიციურ ერთეულს გვაძლევს, რომლის ფარგლებში შენარჩუ- ნებულია განსახიერების ერთი რაკურსი, ერთი ფორმა, რომლის დაშ- ლა აღარ შეიძლება.

სულთა ცად ამაღლების ასევე გამოკვეთილი სპირიტუალისტური. მანერით შესრულებული სურათი გვაძვს ვიორგი მერჩულესთან; ვგულისხმობთ ბერი მატოის ცად „ალყვანების“ ეპიზოდს. ანატოლე ლაყუდებულს გამოეცხადება „კაცი ბრწყინვალედ შემკობილი“ და წიყვანს „ხილვად დიდებით მიცვალებასა მისსა ამიერ სოფლით ზე- ცისა სასუფეველსა“. ანატოლე უყვება ომესტია დეკანოზს: „ხოლო მე შეუდეგ და მიმიყვანა ბორცუსა მახლობელია ბერთისა და მრქუა მე: მიხედე ბერთას ზედა და იხილე დიდებული ხილვამ. და მე კხე- დევდ სუეტსა ნათლისასა, რომელი შთამოიწეოდა ზეცით ზედა მო- ნასტერსა მას და სიმრავლე წმიდათა ანგელოზთას სუეტსა მას თანა გარდამომავალი. და ერთი ვინმე დიაკონის სახედ ოლარითა მათ თანა, რომელნი უგალობდეს ლმერთსა ბრწყინვალითა წმითა. და კუალად

8. გ. ფარულავა

ვიხილე ქრებული იგი წმიდათა ანგელოზთად, ეგრეთვე სახედ აღმა-
ვალი ზეცად და საშუალ მათსა წმიდად მატოდ კელ-ჰურობირ ჟღ-
ჰყანდა ნათელითა შემკობილთა მათ უკორცოთა დიდებითა გაძლიერებული-
ქუმელითა გალობით მაღალთა შინა“⁶⁰;

ცად ამაღლების ამ სურათებში ესთეტიკურ ფორმებს წარმოგ-
ული აქვს ყველაფერი, რაც ადამიანის გრძნობადი არსებობის მნიშ-
ვრულ პოთეოზს ქმნის. მთელი სურათი რაღაც უსხეულო სხეულს
წარმოგვიდგენს და ჰაერში ლივლივებს დროისა და სივრცის განხო-
მილებათა მიღმა. ამიტომ მოქმედების ფონი ხილულ საშეარის-
სცილდება და უსაზღვროებაში იკარგება. საგნები მოკლებულია სიმ-
ძიმეს, ფიგურები მოცულობას. ისინი გამოიყურებიან, როგორც ჰა-
ეროვანი ქმნილებები და ღვთაებრიბის ჰერთალი შუქით არიან გა-
ნათებული. სურათის სწორედ ისე წარმოსახვა, რომ ხილული სინაპ-
დვილე მკითხველის ფანტაზიაში, უსაზღვროებამდე შეიძლება განივ-
რცოს, იყო წყარო ამაღლებულის განცდისა, რაც თავის მნიშვ-
რლვითისკენ მიმსწრაფი ადამიანის სუბსტანციასთან მიახლოების მი-
ზანს ემსახურებოდა, ~~შუა~~ საუკუნეთა ხელოვნების მკვლევარი შექს-
დვორეკი ამბობს, რომ ღვთაების შემეცნების მოცანასთან ერთად,
ქრისტიანული ხელოვნების ნაწარმოებებს „აბსტრაქტული მხატვრული
ლი ორგანიზაციის დინამიკის მეშვეობით უნდა აღეძრა საზეიმო და
ღვთაებრივი განწყობილება. როგორც ლოცვასა და გალობას, ისე
ქრისტიანული ეკლესიის სურათებისა და ქანდაკებების წყებას მოი-
ცავდა ახალი რელიგიური გრძნობის არსის განმსაზღვრელი პროცე-
სი ადამიანისა და ღმერთის მიმართებისა“⁶¹. საზეიმო და ღვთაებ-
რივი განწყობილების გაღვივება ისევე დამახასიათებელია ჰავორგ-
რაფიული ხილვებისათვის, როგორც რიტუალის თვალისმომჭრელი
ბრწყინვალებისათვის იყო იგი მოუცილებელი.

იმავე მოტივის ვარიაციას წარმოადგენს ის ხილვა, რომელიც
„გარდმოავლინა უფალმან“ აბოს ალსასრულის გამო, რითაც „პატივ-
სცა თჲსსა მას მარტვლას“⁶². „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“
ტექსტიც გვითვალისწინებს „ანგელოზთა მწყობრის“ გამოცხადებას,
რომელთაც „ზეცას ალიყვანეს ყოლად სანატრელი იგი სული მისი“⁶³.

60 ძეგლები, I, გვ. 285.

61 М. Дворжак, Очерки по искусству средневековья, М., 1934,
стр. 96.

62 ძეგლები, I, გვ. 74.

63 ძეგლები, გვ. 342.

უგულებელყოფს რა ობიექტურ პრაქტიკასა და გამოცდილებას, ფანტაზია-დემიურგი ისეთ სიტუაციებს ქმნის, რომლის სახე და სტრუქტურა დემონსტრაციული რიგის ამოცანებითაა განსაზღვრული. ღვთაებრივი ძალაუფლების დემონსტრაციის ამოცანა კარისტიკული მწერალს ხასიათსა და კომპოზიციას ხილული სურათისა, საღარულოებას და სტრუქტურა ემპირიული სინამდვილისა ხშირად შეტრიალებულია. ზღვარი შესაძლებლობისა აქტივიზირებული შინაგანი ჭვრეტისათვის ფაქტიურად არ არსებობს.

„ნინოს ცხოვრება“ მოგვითხრობს: „იხილეს სასწაული დიდი და საშინელი“ იმასთან დაკავშირებით, რომ ქართლი მოიქცა და მოხდა „აღმართებად პატიოსნისა ჯუარისა მცხეთისაა: „აპა ესერა სუეტი ნათლისაა სახედ ჯუარისა დგა ზედა ჯუარსა მას და ათორმეტნი ანგელოზნი დაგვრგვნებულ იყვნეს გარემოს მისა, ეგრევე სახედ ათორმეტნი ვარსკულავნი დაგვრგვნებულ იყვნეს.“ ხოლო ბორცვი იგი ჯუარისაა ერთ-სახედ კუმიდა სულნელად. ...მერმე კუალად იხილეს სხუად სასწაული პატიოსნისა ჯუარისაა; ვითარცა ცეცხლი დგა და ვითარცა ალი ეგზებოდა ზედა თავსა ჯუარისასა სამგზის მზისა უბრწყინვალესი, და ვითარცა საჯუმილისა რად ნაბერწყალი აღვალნ ძლიერად, ეგრძ სახედ იყო: აღვიდოდეს ანგელოზნი და გარდამოვიდოდეს ზედა პატიოსნისა ჯუარსა. ხოლო ბორცვი იგი ჯუარისაა იხარებდა ძლიერად და ყოველი ქუეყანად იძვროდა, და მთათა და ბორცვთა და ლელეთა არმტრი სურნელებისაა - აღვიდოდა ცამლჲ, და კლდენი შეიმუსრვოდეს...“⁶⁴. ამავე რიგის „სასწაული საშინელი და სასმენელად საზარელი“ წარმოსახულია „დავით და კოსტანტინეს წამებაში“⁶⁵.

შინაგან ხილვაზე ერთიანად ორიენტირებული მზერა უაღრესად გამმსპეციალურია. „თუ სულიერი თვალი განხმულია, მიწა გამჭვირვალეა სულისათვის“⁶⁶. „საღმრთოეთა მით სლეითა გონებისამთა“ მწერალი ზეცად აღწეული სულის თანამგზავრი ხდება. ვიორგი მთაწმინდელის დატირების დახვეწილი ინტიმით გამთბარ ეპიზოდს ასე ამთავრებს გიორგი მცირე: „განთავისუფლებულ იქმნა საკრველ-

64 ძეგლები, I, გვ. 155.

65 ჩვენი საუნდე, ტ I, გვ. 44.

66 რუდოლფ შტაინერის სიტყვები მოგვაქვს მ. გოგინეშვილის ნაშრომიდან - „მზანი ლამე“ ვეზნისტყაოსნისა და ქრისტიანული შსოფლმშედველობის ზოგი საკითხი. კრებ. „ძველი ქართული მწერლობის საკითხები“, III, 1968 (ცალკე ამონაბეჭდი), გვ. 53.

თაგან ქორცთავსა, საბრევ შეიმუსრა, ხოლო სირი აღფრინდა, დაუ-
ტევა ეგვატე, რომელ არს ცხორებად ესე ნივთიერი, და წიაღ-გლ
არა თუ ზღუად იგი მეწამული, არამედ შავი ესე და წყუდიადი ზორ-
ად ამის საწუთროებას, შევიდა ქუეყანასა მას აღთქული გადა გადა
კამლი სულისამ, და რათა საღმრთოეთა მით სლვითა გოხ-
ბისათა წმიდასა მას ქუეყანასა შინა უნივორდ იმოთხვილეს...⁶⁷. აქაც
სილამაზის ნიშნითა საგნები შერჩეული და კომპოზიცია აგებული;
ზოგადი არსი „საკრველთაგან ქორცთავსა“ განტევებული სულისა
თავისუფალი ფრინველის ცად აფრენის ხატშია დანახული. ბინდის-
გვარი ამ ქვეყნიდან რომ თვალშეუდგამი მზით განათებულ აღთქმულ
ქვეყანაში მიეღწია, სულმა „წიაღვლო არა თუ ზღუად იგი მეწამუ-
ლი, არამედ შავი ესე და წყუდიადი ზღუად ამის საწუთროებას“.
საწუთროს შავსა და წყუდიად სამყოფელს განრიდებული სული მი-
წიერი საფარველისგან იძარცვება, რათა თავის თავს დაუბრუნდეს
და უსხეულოდ შეერთოს მარადიულ ნათელს ღვთაებისა, ასევე
უნივორისა და უსხეულოს. ეს არსი „კამლ-წარწედილი“ სულის ლივ-
ლივი მატერიალური სამყაროს ზემოთ, როცა ხილულ საგნებში ოდ-
ნავ აირეკლება მშეენიერება უხილავისა.

რა არს ყველაზე ზოგადი ნიშანი ამ ხილვათა და გამოცხადე-
ბათა? ასეთი ნიშანი შემოქმედისა და აღმქმილის ცნობიერებათა სუ-
ბიექტივიზმში დევს. ხილვის შინაგანის შესაგნებად აუცილებელი
ბიყექტივიზმში დევს. ხილვის შინაგანის შესაგნებად აუცილებელი
იყო, რომ მკითხველის აზროვნების სუბიექტივიზმი პირდაპირ პრო-
პორციული ყოფილიყო მწერლის აზროვნების სუბიექტივიზმისა.
„ქრისტიანობას შეეძლო უფრო აღვილად მიმხრობოდა, ვიდრე ყვე-
ლა სხვაგვარს, იმ ხელოვნებას, რომელიც საგნებს წარმოადგენს არა
ისე, როგორც ისინი ეძლევა ობიექტურ გამოცდილებას, არამედ,
როგორც ისინი წარმოუდგება სუბიექტურ აღქმას: არამატერიალურ
შთაბეჭდილებებად გარდაქმნილად; ზუსტად ასევე, ქრისტიანულ
აზრსაც შეეძლო მიმხრობოდა ნეკლატონურ ფილოსოფიას, რომე-
ლიც შეუდგა სამყაროს გაგებას, როგორც სულის პროდუქტისა, ხო-
ლო სილამაზის წყაროს ძებნა გრძნობად გარემოში სულიერი სინათ-
ლის გამოშუქებაში დაიწყო“⁶⁸.

ჟალრესად დიდია მასშტაბი და შინაგანი ძალა იმ მოქმედებათა,
რომლებიც ჩვენებებშია ასახული. მაგრამ ეს მოქმედებანი ადამია-

67 დევლები, II, ვ. 194.

68 М. Дворжак, Очерки по искусству средневековья, стр. 52.

ნისგან არ წარმოდგება. მათ საყოველთაო სუბსტანციური ჭალები გაითამაშებენ ხოლმე. ეს არის ამოსავალი შემოქმედისთვისაც და მკითხველისთვისაც. ამიტომ „არავინ არ მოითხოვს მთხოვობების დამაჯერებლობას, მსგავსებას, არ ამოწმებს მას რეალურად დანახულ ფაქტებთან შესატყვისობის ოვალსაზრისით. პირიქით, მსმენელთა შორის გამეფებულია ნდობა ინდივიდუალური ცნობიერების წმინდა ქმედებისადმი, იმ საყაროსადმი, რომელიც ადამიანის შინაგან მზერას წარმოუდგა. ის, რომ ეს სრულდება, როგორც ჩვენება, ხილვა, ინდივიდის ცნობიერებაში ყოვლისშემძლე ძალის მიერ შეტანილი, თითქოს მეტაფორაა ინდივიდუალური ფანტაზიის ძალია, საზომია მისი სიმძლავრისა“⁶⁹.

ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ხილვათა და გამოცხადებათა ჰერიტი შინაარსის რეალიზება გარკვეულ ცოდნას გულისხმობდა და ყოველგვარი მკითხველისათვის არ იყო გამიზნული. ეს მომენტი რომ გაცნობიერებული იყო მაშინდელ ქართულ ლიტერატურულ წრეებში, ამას გიორგი მცირის ერთხელ უკვე მოხმობილი სიტყვები გვიდასტურებს: „...თუალნი სულისანი მარადის უხილავსა მას დიდებასა ღმრთისასა უხილავად განიცდიან, რომელ ესე მცირეთა მიერ მოსაპოვნებელ არიან“. ადამიანის სულიერ შესაძლებლობათა გვირკვინად შინაგანი ხედვის ნიჭი ითვლებოდა. „ნეტარმან იოანე (ზედამხნელმა) იხილა რა გონიერებად ჭაბუქისა მის (შიოსი, — გ. ფ.) და შინაგანი მხედველობა მათ გულისქმა-ყო სულითა სიმაღლე სულისა მისისა“⁷⁰. ფსევდო-დიონისე არეოპაგელის სიტყვით, ღვთაებრივი ხილვა „...მხოლოდ მათ ოდენ გამოუჩნდების დაუფარველად და ჰეშმარიტებით, რომელნი წმიდათაცა და არა წმიდათა ყოველთა თანა წარყდებიან და, ყოველსავე ყოველთა წმიდათა მწუერვალობად აღსლვასა ზეშთა-ალკდებიან და ყოველთავე საღმრთოთა ნათელთა ქმებსა და სიტყუებსა ზეცისასა ქუე დაუტევებენ და ნისლსა მას შევლენ, სადა-იგი ნამდვლვე არს“. ღვთაებრივი ხილვა, ამბობს მეორეგან იგივე ავტორი, ყველასათვის არ არის დანიშნული, „...რამეთუ არა ყოველნივე წმიდა არიან, არცა ყოველთა არს მეცნიერებად“⁷¹.

პლოტინიც („ენეადები“) თვლიდა, რომ პირველსახისკენ მიმარ-

69 Теория литературы, кн. I, стр. 218.

70 ასურელ მოღვაწეთა ცხოვ. წ. ძვ. ჩელაქციები, გვ. 73.

71 ვერ ი ბერი ე ლ ი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შამოება. ს. ენექაშვილის გამოცემა, თბილისი, 1961, გვ. 124, 105.

თული ყოველგვარი ხილვა უცილობლად გულისხმობდა „შალაური სულიერი პოტენციალის პიროვნებას, რომელიც შეძლებდა წვიმების მეცნების გზით მიახლოებოდა და მიმსგავსებოდა წევზემცირულების. როგორც მიუთოთებენ, ის მომენტი, რომ „მსგავსი მსუბუქი შეიცნობს“, — იყო საფუძველი ეზოტერიული წვდომისათვის ქრისტიანობამდე კარგა ხნით ადრე, ნეოპლატონიზმში და ქრისტიანობაშიც. ნათლად იყო შეგნებული, „რომ მოუმზადებელი პიროვნება ვერ ერეოდა უმაღლეს იდეებს და მათი შეუგნებელი ათვისება გზას უხსნიდა ფანატიზმს, ბორკავდა პიროვნებას და თავისუფლების ნაცვლად იდეებს მონად აქცევდა“⁷². ყოველივე ეს ალეგორიულადაა გამოთქმული ქართულ რედაქციაში თხზულებისა „სიბრძნე ბალაჟარისი“: იოდასაფი ზანდან მზარდულის მეთვალყურეობით იზრდება განცალკევებით. უფლისწული შეიქნა „ფრიად მიმღებელ სიბრძნისა და შემწყნარებელ სწავლულობისა და გამომეძიებელ ყოველთა სიტყუათა გონიერებისათა. ...მას უამსა შინა ბალაჟეარ ცნა სულიია წმიდითა, ვითარმედ ძესა მეფისასა სწადის ნახვამ კაცთა ღმრთის მსახურთამ“. აიღო ყუთი და ვაჭრულად გამოწყობილი მიადგა იოდასაფის ქალაქს. ზანდანს ეუბნება, რომ აქვს უფლისწულისათვის თვალი პატიოსანი, რომელიც „ბრმათა აღუხილავს თუალთა და ყრუთა ასმენს, და უტყუთა ატყუებს, და უძლურთა ჰკურნებს და ნაკლულევანთა განამდიდრებს და მტერთა ზედა მძლე ჰყოფს, და ყოველსა საწადელსა გულისასა მოატყუებს“. სინამდვილეში ყუთი ცარიელია. ორი შენულ სიკეთეთა მომნიჭებლად იგულისხმება ქრისტეს ჭეშმარიტება, რომელსაც „ყოველთა სიტყუათა გონიერებისათა გამოშეძიებელი“ უფლისწული უნდა აზიაროს ბალავარმა. ზანდანი მოითხოვს, აჩვენონ თვალი პატიოსანი. ბალავარის პასუხია ამჯერად ფრიად საყურადღებო: „ვერვინ შემძლებელ არს ხილვად მისა, არა თუ იყვნენ მის თანა ორნი საქმენი: სიფრთხილე თუალთამ და სიწმიდე კორცთამ. ხოლო უკეთუ იხილოს იგი მძიმედ მხედველმან და ცოდვასა ზედა დადგრომილმან, ნათელი თუალთამ მოაკლდეს და საცნობელი გონებისამ. და მე კაცი ვარ მკურნალი, და ვხედავ მძიმედ მხედვარებასა შენსა და მეშინის, ნუუკუ მიგიტაცის სინათლე თუალთამ, არამედ მასმია მეფისა ძისა სიწმიდით ცხორებამ, და ყრმა

72 ვანანა ვიგინე შვილი, „მზანი ღმე“ ვეფხისტყაოსნისა და ქრისტიანული მსოფლმხედველობის ზოგი საკითხი, კრ. „დველი ქართული შეერლობის საკითხები“, III (ცალკე მონაბეჭდი), გვ. 36.

არს, და მახულ თუალითა, და იგი შემძლებელ არს ხილ-
ვად მისა⁷³. უზენაეს ჭეშმარიტებათა სამყაროში გზას გაიგ-
ნებს ის, ვინც თვალს შეუდგამს იქაურ ნათელს სულიერი ესტიტუტული
მძიმედ მხედველს ეს მზე თვალთა სინათლეს მისტაცებს, პრინცესის მუსეა
განხმული გონების თავისისუფალი აღმაფრენის ნაცვლად პიროვნებას
წყვდიადი ბორკავს.

ქრისტიანულ ხილვათა სრულყოფილი წვდომა გულისხმობს
ამაღლებულ გონებას, „მღვიძარეთა სულითა“, როგორც ქართველი
ჰავიოგრაფები იტყვიან.

3

ხილვათა და გამოცხადებათა სფეროში ფანტაზია თვითმიზანია,
მოითხოვს მისი ნაყოფი რეალობად ვცნოთ. მხატვრული ფანტაზია
სხვა ბუნებისაა. იგი საშუალებაა მხატვრული სიმართლის შესაქმნე-
ლად, მასალაა სახის ასაშენებლად. „ფასეულობა პოეტური ილუზი-
ია, სულიერად რომ წმენდს ადამიანს, რელიგიურ ნიადაგზე აღმო-
ცენებულ ილუზიასთან შედარებით, იმაში მდგომარეობს, რომ ივი
სცნობს თავის თავს ილუზიად“⁷⁴.

ფანტაზიისა და გამონაგონის უცილობლობა ხელოვნების საფუ-
ველში დევს და იმ ცნობილი ანტინომიდან მოდის, რომ მხატვრუ-
ლი სინამდვილე არ დგას ემპირიული სინამდვილის გარეთ, მაგრამ
არც ემპირიულ სინამდვილეს ემთხვევა. მხატვრულ სურათში ბევ-
რი რამ მოდის ობიექტური რეალობიდან, მაგრამ იგი მაინც „სურა-
თია“ (სახე), სადაც ეს რეალობა ადამიანის სულშია რეპროდუქცი-
რებული ახალ რეალობად. ეს ახალი სინამდვილე (მხატვრული) ექ-
პირიულ სინამდვილესთან ადამიანის ესთეტიკური მიმართების პრო-
დუქტია. ერთი რეალობის მეორე რეალობად გარდაქმნა-სახეცვლა—
მხატვრული აზრის მოქმედება შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ფან-
ტაზიის გარეშე. თვით ელემენტარული მხატვრული სტრუქტურაა
კი (მაგალითად, შედარება — „ვითარცა მჯეცი მძვინვარც ყიოდა“)
შემოქმედის ფანტაზიის გარკვეული დანახარჯის ნაყოფია, „დიდ“
ლიტერატურულ სახე-ხასიათებზე რომ არაფერი ვთქვათ.

ანტიკურ სამყაროში უკვე გაცნობიერებული პქონდათ, რომ

73 ჩვენი საუნგვ. I, გვ. 239.

74 Кристофер Кодуелл, Иллюзия и действительность (Об ис-
точниках поэзии), М., 1969, стр. 339.

ასლგადალება არაა ხელოვნების საქმე. ჰესიოდეს („თაღოვანობა“) ეკუთვნის უძველესი მითითება, რომ მხატვრული ნაწარმოები გამონავონის, ნამდვილთან დამსგავსების გზით იქმნება. ერთგული შესაფერო ამ უბრალო განმარტებაში საქმაოდ რთული და წინაშეძლევაზე უყვარ აზრია ჩადებული: ის, რასაც მხატვრული სახე გვაძლევს, გამონავონია, მაგრამ გამონავონია ნამდვილთან დამსგავსების გზით. ე. ი. მხატვრული ფანტაზია არაა წმინდა ფანტაზია, მაგრამ იგი არც ობიექტური რეალობის განვეობაა. არის ტოტელე ამბობს, რომ „პოეტის საქმეა თქვას არა ის, თუ რა მოხდა, არამედ ის, თუ რა მოხდებოდა“ (§ 9). ბალზაკის სიტყვებია: ხელოვნების ოსტატნი „გამოიგონებენ სიმართლეს ანალოგიის მიხედვით“⁷⁵. მარტინ ჰაიდეგერის მიხედვით, ის საყარო, რომელშიც ლიტერატურულ ნაწარმოებს შევყავართ, თვითქმარია (გასაზიარებელია ეს-თეტიკური თვალსაზრისით თვითქმარობა, თორებ ისე ნაწარმოების სინამდვილე მეორადია), წარმოადგენს ხილვას მიწიერ მომენტია, რომელსაც უპირისპირდება მიწიერისგანვე განუყოფელი არამატერიალური (სულიერი) ფასეულობანი. ეს უკანასკნელი შეფარულია მიწიერში. ხილვისა და შეფარვის, მიწიერისა და არასაგნობრივის ამ დაპირისპირებაში ნაწარმოებში და ნაწარმოების ფორმით იბაღება ჰეშმარიტება სილამაზის სახით. „ჰეშმარიტება, როგორც ხილვა და შეფარვა არსებულისა, წარმოადგება, როცა მას თხზავენ“⁷⁶ (ლაპარაკია მხატვრულ სიმართლეზე).

ასეთია მხატვრული გამონავონის შინაგანი წინააღმდეგობრივი ბუნება. სახე ამ წინააღმდეგობათა დიალექტიკური მთლიანობისა და მოხსნის აქტს წარმოადგენს. ნათქვამი რომ უფრო ცხადი იქნეს, საკირო ცხოვრებისეული და მხატვრული სიმართლის ურთიერთმიმართების ბუნებაში გავერკვეთ.

ცხოვრებისეული სიმართლე არ არის ფაქტის სიმართლე. როცა ნაწარმოებში ცხოვრებისეულ სიმართლეს ვეძებთ, ჩვენ მოვითხოვთ, რომ ნაწარმოების სინამდვილე სავსებით გარკვეულად იყოს ობიექტური სინამდვილის თანხმიერი. ამ უკანასკნელში ერთეული და განუმეორებელი კი არ წარმოვიდგენია, არამედ ისტორიულად კანოზომიერი და ადამიანური თვალთახედვით არსებითი. როცა განსახი-

75 «Бальзак об искусстве». М.-Л., 1941, стр. 183.

76 მოგვაქვს წიგნიდან M. Верли, Общее литературоведение, M., 1957, стр. 82.

ერებას საფუძვლად ოდენ ფაქტის სიმართლე ედება, ფანტაზია გან-
დევნილია, განზოგადება და ესთეტიკური შეფასება არ ხდება, უდი-
ბულობებ ნატურალიზმს და არა მხატვრულ სიმართლეს. ერთ-ერთ ული-
კა ამონაგონი პოეზიის შინაარსს კი არ წარმოადგენს, პალი-ეტიკურობა

„გაძოხავონი პოეთის ტეატრის კუთხის და მას შემდეგ გამოიწვია მას გამოსახულებისა. გეოლოდ საშუალებას ცხოვრებისეული შინაარსის განსახიერებისა. გეოლოგების კერძონების ნაწარმოებში აუცილებლად ისმის ბეჭედოვნების საშუალებით ნაწარმოებში აუცილებლად ისმის ბეჭედოვნებისა და ხმა ხელოვანისა... და მხატვრული სიმართლე ხელოვანებისაში არ შეიძლება გაგებულ იქნას ობიექტურისა და სუბიექტურის ამ როტული დიალექტიკის გარეშე. ხელოვნებაში წარმოსახვითი საშუალებას გვაძლევს გავიგოთ კავშირი სინამდვილესა და იდეალის შორის, იდეალებს ამოწმებს ცხოვრებით, ხოლო ცხოვრებას აფისებს, იდეალის პოზიციიდან. ასე გვაძლევს ხელოვნება საშუალებას კერძორიება და სიღამაზე დავინახოთ ერთად”⁷⁷.

როგორ უნდა შეიტყოს ობიექტური და სუბიექტური მომენტები, მხამარეული პასუხი ამაზე არ არსებობს. მხატვრული ფასეულობის პროცესი არასოდეს განისაზღვრება ნორმატივიზმით, პიროვნებით, იგი ყოველთვის უკავშირდება თითოეული ნაწარმოების თვითმიმართვასა და განუმეორებლობას. ლიტერატურის ისტორია სავსეა მაგალითებით, როცა პოეტური ფანტაზია ძალიან შორდება განსაზირების საგნად ალებულ ობიექტს. რათა სრულად გვაჩიაროს საგნის არს და მშენიერებას, სწვდეს მის სულსა და ფარულ შინაგან ჟავშირებს, ხელოვანის წარმოსახვა ხშირად მიმართავს, როგორც საშუალებასა და იარაღს, უაღრესად ფანტასტიკურ სურათებს. ისმება კითხვა — სადაა საზღვარი ფანტაზიის გაფრენისა? ზოგადი პასუხი კითხვისა ასეთი შეიძლება იყოს: ხელოვანის სუბიექტურ წარმოადგინება ასეთი შეიძლება იყოს, როგორც საგნის შესაცნობად, უფლება აქვს დასცილდეს ცხოვრებისეულ სინამდვილეს ისეთ მანძილზე, საიდანაც ცნობიერებას კვლავ ძალუძის დაუბრუნდეს განსახიერების საგანს, რომელსაც ამ აქტის შედეგად ვკერებთ არა უბრალო ემპირიულ საგნად, არამედ როგორც ჭეშმარიტებასა და სილამაზეს ერთად. თუ საგნად, არამედ როგორც ჭეშმარიტებასა და სილამაზეს ერთად, თუ წარმოსახვა იმდენად სცილდება საგნის სიმართლეს, რომ საგანს ვერ წარმოსახვა იმდენად სცილდება საგნის სიმართლეს, რომ საგანს ვერ ვგრძნობთ, ვეღბულობთ უსაზრნო ფანტასტიკას, წარმოსახვის აქტობატულ თამაშს. როცა ჭეშმარიტი პოეტური წარმოსახვა სცილდება საგნის სინამდვილეს, მათს დამაკავშირებელ არტერიებში „სის-

⁷⁷ Н. Гей, Образ и художественная правда, Теория литературы, кн. I, стр. 133—134.

ხლის მიმოქცევა“ კი არ სუსტდება, ძლიერდება, და წარმოადგინა უმაღლეს წერტილზე გამოაშუქებს ის საოცარი სინაფლე. როთა ნათელფენილი მოსავალი (ემპირიული) საგანი იქცევული და გადატყუჩებული ტიურ საგნად, რომელიც „მსგავსია“ ემპირიული საჭმრული მსგავს დიდი ალლო ესთეტიკურად მოზომილი ჰარმონიისა, რათა „მსგავს“ საგანში (სახეში) ხელიდან არ გავიქრეს შეგრძნობა იმ საგნისა, რო- სი მსგავსიც იგია. თუ ხელოვანმა ეს შეძლო, უაღრესად ფანტასტი- კურ სახეშიც კი შევიცნობთ ლრმა ცხოვრებისეულ შინაარსს და მკითხველს სჯერა მწერლისა. მაგალითად, მკითხველს სჯერა ოდისევ- სის ბედის ფანტასტიკურ უკულმართობათა ჰომეროსთან, ქაჯებისა რუსთაველთან, გველის ბუნების კაცთმოყავრეობით აღვსებისა ვა- უა ფშაველასთან, ლერმონტოვის დემონისა, შეჩდრინის ფანტასტი- კური სახეებისა... ყველა ამ შემთხვევაში სინამდვილის ტრანსფორ- მაცია დანიშნულია ცხოვრების ისეთ არსებით მხარეთა შესაცნობად, რომლებიც ადვილად აღსაქმელი არა, ლრმა და ფარულია. მოჩვენე- ბითი, ფანტასტიკური გარეგნობა საგნებისა, ლრმა და ცხოვრებისე- ულ ჭეშმარიტებას გვაზიარებს (მაგალითად, თვით გველური ბუნების გამლხობ მშვენიერებას მამულისათვის დაცემული ვაჟკაცობისა — ვაჟის „ბახტრიონში“).

ამ გვარად, მწერლის წარმოსახვა იმისათ- ვის სცილდება საგანს, რომ უფრო დაუახლოვ- დეს მას. ესთეტიკური აღმართმ საგნის მთელი შინაარსის სიღრ- მის ადექვატური იყოს, მხატვრული ფანტაზია ცვლის საგნის გარეგნო- ბას. მრავალი ხელოვანის გამონათქვამი შეიცავს მითითებას ამ ან- ტინომიაზე. ჩინელ მხატვარს ცი ბაი შის უთქვამს თავის დროზე: „მხატვრული ოსტატობის საიდუმლოება მსგავსებასა და განმსგავ- სებას შორისაა“. მეჩვიდმეტე საუკუნის იაპონელი დრამატურვი- ტაქიმაცუ მონახამონი თვლიდა, რომ „ხელოვნება იმყოფება ძე- ბური შესაცნობ ზღვარზე იმისა, რაც არსებობს და იმისა, რაც არ არ- სებობს“. და შემდგომ იძლევა სრულიად დამთავრებულ ანტინომის: „ხელოვნება არ არის ის, რაც არის, იგი არ ისაა, რაც არ არის“⁷⁸.

დამრიგად, თუ მხატვრული ნაწარმოები ფანტაზიის გარეშე ვერ იარსებებს, ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ საგნის მხატვრული სა- ხის შექმნა არის სუბიექტურ წარმოსახვაში ჩაძირვა და ინდივიდუა- ლიზაცია. მხატვრული სახე მეტს აძლევს მის აღმქმელს, ვიდრე უშუ-

78 მოგვაძეს წიგნიდან Н. Гей, Искусство слова, М., 1967, стр. 219.

ალო ცქერა იმ საგნისა, განსახიერებას რომ დაედო საფუტულად გართალია, ხელოვანი ინდივიდუალურის ფორმით ჭრებს ჰეშმარი ტებას, მაგრამ ინდივიდუალური არ უდრის აქ ერთეულს, სირთულეზე გადასახლება საგანთა ასესითი ნიშნები, ე. ი. განსახიერების ობიექტი „გაზრდილია“ (ამიტომაა საჭირო გარევნულ ფორმათა ტრანსფორმაცია). ხელოვნება ყოველ-თვის „უმატებს“ არსებულს (ხელოვნება არის გადაჭარბების ერთ-ერთი სახეო, — უთქვაშ ასკარ უაილდ), მაგრამ „მიმატება“ ნებისმიერი არ არის, იგი ყოველთვის უნდა მოთავსდეს შესაძლებლის ფარგლებში. მიბაძვის თეორიის საფუძველი სწორედ ესაა — განსახიერება არსებულისა, როგორც შესაძლებლისა, არსებულის შესაძლებელი სილამაზის რანგში აყვანა. ასე შევდივართ ესთეტიკური იდეალის სფეროში, რომელიც სინამდვილის პოტენციალური შესაძლებლობებითაა ნაკვები.

ასეთია მხატვრული ფანტაზიის დიალექტიკური ბუნება, თანმხლები ყველა დროის ხელოვნებისა. თავს იჩენს იგი ქრისტიანულ ხელოვნებაშიც. უფრო მეტიც: მხატვრული სახის აღნიშნული ანტინომია ასე გამოკვეთილად ყველაზე ადრე ქრისტიანული ესთეტიკის ფუძემდებელს — ნეტარ ავგუსტინეს აქვს გაცნობიერებული. ხელოვანის ნაწარმოებს, გვეუბნება ავგუსტინე, აქვს მიღრეკილება, იყოს ის, რადაც მთლიანად ვერასოდეს იქცევა. დახატული ადამიანი კერასოდეს იქნება სრული ადამიანური არსება, რისკენაც ის, ერთის შეხედვით, მიისწრაფვის. მაგრამ გმონავონის აკტორის ნება სიმართლის წვდომისკენაა მიმართული და მოჩვენებითი გარეგნობა აქ მართლი განსახიერების უცილობელი პირობაა. ჩვენს წინაშეა მსახიობის ფენომენი: ავტორის ნება აქცევს მსახიობ როსკიუსს ცრუ ჰეცუბად, მაგრამ იგივე ხდის მას ჰეშმარიტ ტრაგიკულ მსახიობად. რჩება რა იმად, რაც არის (როსკიუსად), მსახიობი უნდა იქცეს სრულიად სხვად (ჰეცუბად). აქედან გამომდინარე, ასკვნის ავგუსტინე, ხელოვნების ნაწარმოები მართალია მისთვის ნიშანდობლივი სიკრუუის წყალობით. მსახიობი ვერ დადგება მოწოდების სიმალეზე, თუ იგი, ცნობილი აზრით, არ ტყუის. გამოსახულება ადამიანისა თუ ცხენისა ვერ იქნება ჰეშმარიტი გამოსახულება, თუ იგი არ არის ხელოვნური ადამიანი ან ცხენი⁷⁹.

79 მოგვავს წიგნიდან K. Гильберт, Г. Кун. История эстетики, стр. 144. ივე (გვ. 170) აღნიშნულია, რომ შეა საუკუნეებში წარმოსახვას ზოგჯერ უშოდებ-დნენ პატარა ნაკა, რომელიც ზეცისა და მიწიერ სფეროთა შორის დაცურავს

ამგვარად, უგრუსტინეს სავსებით ნათლად აქვს გადგარისტინებული მხატვრული სიმართლის რაობა, განმარტავს მას, ორგონული ცხოვრებისეულ სიმართლეს, ხორცშესხმულს ხელოვნებრივი კულტურული ბებით.

ქართველ ჰაგიოგრაფთა ნაწერებში ვერ ვპოულობთ რაიმე მათითებას მხატვრული სიმართლის თაობაზე. გამონაგონ თემას, ფაბულასა და გმირს კი ქართული ჰაგიოგრაფია არ იცნობს და იმდრო-ინდელი მხატვრული აზროვნება არ სცნობს. მაშინდელი თეორიული აზრის თანახმად, „გამონაგონი („ნატყუარი“)“ მწერლობის თემად არ უნდა იქცეს. ...მწერლობის თემად აღიარებულია მხოლოდ რეალური (ან რეალურად გამოცხადებული) ფაქტები. კონკრეტულ-ის-ტორიული პიროვნება განზოგადებულ უნდა იქნეს ადამიანის იმდრო-ინდელი იდეალის შესაბამისი გმირის სახეში⁸⁰. ანალოგიური მდგომარეობაა რუსულსა და სხვა ერთა ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაშიც⁸¹. ზემოთ ჩვენ ვცადეთ ძეელ მწერლობათა საერთო ფონზე აკვეხსნა ამ მოვლენის მიზეზები.

თემის მიღმა კი მხატვრული ფანტაზია საგრძნობლად მონაწილეობს ჰაგიოგრაფიული ნაწარმოების ორგანიზაციაში. ქართველ ჰაგიოგრაფთა ყურადღება მთლიანად მიკყრობილია ისტორიული სახელებისადმი, ამბებისადმი (ფაბულა), ცდილობენ ზუსტად მიკვენებ გარეგნულ მონაცემებს. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ისტორია აქ მაინც საშუალებაა ლიტერატურული სახის შესაქმნელად. უნარჩუნებს რა თავის გმირს ისტორიულ სახელსა და ძირითად ქარგის ამბისა, ჰაგიოგრაფი მწერალი ამ მონაცემებზე დამყარებით იწყებს განზოგადებას პერსონაჟისა გარკვეულ რელიგიურ-ესთეტიკური იდეალის კვალობაზე. იმისდა მიხედვით, თუ რა გაკეთა ისტორიულად გმირმა, მწერალი უმატებს დეტალებსა და ამბებს, რაც შეიძლებოდა ან უნდა გაეკეთებინა მას. ის, რასაც ამბობს ამის თაობაზე ძველი რუსული მწერლობის შესახებ დ. ლიხაჩივი, შეიძლებოდა გავე-მეორებინა ქართული ჰაგიოგრაფის მისამართით: „ყოველი ლიტერატურული გმირის სახელის ისტორიულობის მიუხედავად, ლიტერატურა სრულიად არ ასახვდა მხოლოდ ისტორიულ ფაქტებს. ყოველ განსასახიერებელ ისტორიულ პიროვნებაში ავტორები ცდილობდნენ“

80. რ. სირაძე, მხატვრული აზროვნების საკითხები უძველეს ქართულ მწერლობაში (V—XI სს), „მაცნე“, 1965, № 4, გვ. 139—140.

81. Д. С. Лихачев, Человек в литературе древней Руси, М.-Л., 1958.

ხორცი შეესხათ ეპოქის იდეალებისათვის...“ ამა თუ იმ ისტორიული პიროვნების სახეში „...ავტორები იმდენად არ ანსახიერებდნენ იმ ნიშანებს, რომლებიც ამ რეალურ პირებს ახასიათებდათ (თუმცა რეალურ აი ნიშნები მათში მეტნაკლებად შენარჩუნებული იყო), რამდენიმეს ცრულება გაინცდამაინც იმ თვისებებს, რომლებიც უნდა ჰქონდათ მათ, როგორიცაა მაინცდამაინც იმ თვისებებს, რომლებიც უნდა ჰქონდათ მათ, როგორიცაა გორც გარკვეული სოციალური ჯგუფის თუ წმინდანთა გარკვეული კატეგორიის წარმომადგენლებს“... სავალდებულოსა თუ აუცილებელის რანგში გმირის აყვანა კი იდეალიზაციის გზით ხდებოდა. „...ამ იდეალიზაციაში გამოიხატება შუა საუკუნეთა მხატვრული განზოგადება“⁸². განზოგადება კი მხატვრული ფანტაზიის და გამონაგონის ფაქტია უკვე.

მხატვრული ფანტაზიისა და გამონაგონის მომენტი თვალსაჩინოა პირველივე ქართული ჰაგიოგრაფიული თხზულების გმირთა ჭავებში, ისევე როგორც ნაწარმოების მთელ დანარჩენს სახეობრივ სტრუქტურაში.

ისტორიული ფაქტია ვარსკენის სარწმუნოებრივ-ეროვნული ღალატი, მასთან შუშანიკის დაპირისპირება და ამ უკანასკნელის ტრაგიული ხელრი ექვსი წლის მანძილზე. ეს ისტორია ეგვა უფრო გრძელი ტემატიული იყო, ვიდრე სცენაზე გათამაშებული ზოგი მოქმედება, ისევე როგორც ცხოვრება ზოგჯერ უფრო შშენიერია, ვიდრე რომელიმე ფერწერულ ტილოზე მოჩანს იგი. ასებულის (მომხდარის) დრამატული ტონუსიდან გამომდინარე, იყობ ხუცესი ამუქეშს სალებავებს, ქმნის ფანტასტიკურ სურათს, რათა სიტუაციის რეალურ, მაგრამ მძაფრ სინამდვილეში ჩაგვახედოს. თავი რომ გავანებოთ სხვა დეტალებს, გავიხსენოთ ეს სურათი: წამების მეშვიდე წელს უკვე შუშანიკის „წყლულებანი დიდ-დიდნი იყვნეს და მატლიცა დასხმული წყლულთა მათ, რომელ-იგი აღილო კელითა თუსითა და მიჩურნებდა მე და ჰმადლობდა ლმერთსა. და თქუა: „ხუცეს, ნუ მძიმე გიჩნ ესე, რამეთუ მუნი იგი მატლი უდიდშს არს და არა მოკუდების“. და მე მიუგე და მე, ვითარცა ვიზილე მატლი იგი, მოუკონებელად დიდად მწუხა-რე ვიყავ და ვტიროდე ფრიად. კუალად მრქუა მე რისხევით: „ხუცეს, რად მწუხარე ხარ? ვიდრე უკუდავთა მათ მატლო შეკმასა, უმჯობეს იყავნ ამათ მოკუდავთა შეკმას აქავე ამას ცხორებისა“. და მე მიუგე და ვარქუ: „ძაძისა სამოსელი მცირედ-ღა შეგერაცხა საგუემელად და აწ მატლო მაგათავს მხიარულ ხარ?“⁸³. აკად. კ. კეკელიძეს გარდა აწ მატლო მაგათავს მხიარულ ხარ?

82 Д. С. Лихачев, Человек в литературе древней Руси, стр. 121.

83 ძეგლები, I, ვ. 25.

კვეული აქვს ლიტერატურული წყაროც, რომლის გავლენითაც უნდა იყოს შექმნილი ეს ფანტასტიკური სურათი: „უნდა ფიფიქოზ, — ამბობს იგი, — ეს ეპიზოდი იყობმა შე თ ხ ა სვიტერნის“⁸⁴ (პერე-რების“ მიხედვით⁸⁵ (ხაზი ჩვენია; იგულისხმება სვიტერნის უფროსი, — გ. ფ.).

ასე „უმატებენ“ ხშირად ქართველი ჰავიოგრაფები ისტორიულ სინამდვილეს, აფართოებენ რეალური პირის მოქმედების დიაპაზონს, ემპირიული სინამდვილიდან მხატვრულში გადავყავართ. ამ ტრანსფორმაციისას ისინი გმირს იმას „აკეთებინებენ“, რაც მას „შეიძლებოდა გაეკეთებინა“ ან „უნდა გაეკეთებინა“ (გარკვეული იდეალის კვალობაზე) იმისდა მიხედვით, რაც ამ გმირის შესახებ იყო ისტორიულად ცნობილი. ⁸⁶ შემოქმედებითი ფანტაზია მასალას არაშვიათად კრებდა ლიტერატურული სესხების გზით. ლიტერატურული სესხების გზითაა წარმოსახული, მაგალითად, „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ ლამაზი პოეტური სურათი იმისა, თუ როგორ განედლდა „რტოხ ბახახასა მრავალყამეული“⁸⁷. როგორც ჩანს, ეს სურათი მწერალს შთააგონა ბიბლიურმა მოთხრობამ წმინდა ხარლამპის წამების შესახებ.

ერთი დიდი ადამიანური პრობლემა, რომელსაც კაცობრიობის ფილოსოფიური და მხატვრული აზროვნება შეუნელებლად დასტრიალებს ცნობიერების გაჩენის დღიდან, არის მსოფლიო პარმონიის, სიკეთის განუყოფელი სუფევის თემა. კაცობრიობის ამ საუკუნეოპრივო ცნებას გარკვეული პასუხი გასცა ქრისტიანობამ. ბიბლიის თანახმად, ღვთის მიერ შექმნილ სამყაროში თავდაპირველად სრული პარმონია სუფევდა, იყო მხოლოდ სიკეთე და არ იყო ბოროტება, ბრძოლა, წინააღმდეგობა, შიში; თხა და მგელი ერთად სძოვდნენ, მხეცი და ადამიანი მოყვარენი იყვნენ ურთიერთისა. ცოდვის გზით მერე გაჩნდა ბოროტება, დაირღვა პარმონია. „მოელი ისტორიის აზრი მას შემდეგ იმაში მდგომარეობს, რომ აღდგენილ იქნას ეს პირველური მოქალაქე „ლმერთის სუფევისა“ მოწოდებულია ხელი შეუწყოს ამას. განსაკუთრებით თავს იჩენენ ამ მიმართულებით ე. წ. „წმინდანები“ და „მართალნი“, რომელთაც შესძლეს ასეთი პარმონიის აღდგენა და დამყარება არა მარტო თავის საკუთარ პიროვნებაში, — სულსა დ ხორცს შორის, — არამედ გა-

84 ეტიუდები, 2, გვ. 103.

85 ძეგლები, 1, 336.

არშე, ფიზიკურ ბუნებაშიც⁸⁶. ქრისტიანულ მწერლობაში პოპულარულ ამ მოტივს თავი უჩენია ქართულ ჰაგიოგრაფიაშიც. გიორგი მეტეხულე მოგვითხრობს, რომ ირემა, რომელსაც მონადირები მოსდევდნენ, გრიგოლს მიაშურა, „თავი თვის ზედა კელთა მტკაწმუნებელი დისათა დადვა და რეცა ტიროდა მოწევნულისა მისთვის ბოროტებული მოცეკვების თანა ზედაზნელის ცხოვრების აღმწერი მოგვითხრობს: კეთილისენ მომწოდებელი „სიტყუად რა ესმა დათუსა ბერისაგან, ვითარცა მონა მორჩილი და შეკდიმებული ლირისაგან, თავდადრეკით და შეუდროებით წარვიდა“ და ამის შემდეგ არავისოვის უვნია რამე დავით გარეჭელს და მის მოწაფეს, ლუკიანეს, ირმები ჰკვებავენ ჩინით. ყველაზე პოპულარული მტაცებელ მხეცთა ადამიანისადმი დამორჩილება-დამეგობრების მოტივი ყოფილა. „შიო მღვიმელის ცხოვრებაში“ მოთხრობილია, თუ როგორ განაწესა შიომ მგელი მონასტრის სახედართა მწყემსად და რა პირნათლად ასრულებდა ივი ამ მოვალეობას ექვს წელს. კ. კეკელიძესვე აქვს გარკვეული, რომ ეს ეკიზოდი თხზულების ავტორს გერასიმე წიალიორდანელის ცხოვრების ანალოგით გაუმართავს⁸⁷. უაღრესად ადამიანური შინაარსი — ბუნებასთან ადამიანის მთლიანობისა; ჰარმონიისა სამყაროში ფანტასტიკურ-რელიგიურ ასპექტშია გაფორმებული.

ჩვენს წინაშეა შემოქმედებითი ფანტაზიის გზით ისტორიული სინამდვილის მხატვრულ სინამდვილედ ტრანსფორმაციის აქტი. დაკუშავთ, რომელიმე ისტორიკოსმა გადაწყვიტა, თავისი გერი რაც შეიძლება დიდებულად წარმოგვისახოს და საამისოდ იყენებს ხატოვან ენას ან ლექსით საზომს. მივიღებთ თუ არა ხელოვნების ნიმუშს? ამ კითხვაზე არისტოტელეს „პოეტიკაშივე“ გაცემული უარყოფათი პასუხი: „პეროდოტეს ნაწარმოები შეიძლებოდა გალექსილიყო და ის მაინც ლექსად გმოთქმული ისტორიული ნაწარმოები იქნებოდა არანაკლებ, ვიღრე პროზით დაწერილი“ (ს. 9). მაგრამ აი, გატაცებულმა ისტორიკოსმა „გადააბიჯა დასაშვებ მიჯნას და შეთხსა ორასმი გმირობა, ხოლო შემდეგ — კიდევ და კიდევ. გმირს რალაც საოცარი მოსდის; თითქოს ეს ისაა, მაგრამ ამავე დროს, არა ის. გმირობანი, რომლებიც მიეწერება, მას არ ჩაუდენია, მაგრამ თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, რაც მის შესახებაა ცნობილი, შეეძლო კიდეც მათი ჩადენა. გამორიცხული არაა, რომ ისინი ვიღაც სხვამ ჩაი-

⁸⁶ კ. კეკელიძე, ეტიუდი, 2, გვ. 103—104.

⁸⁷ კ. კეკელიძე, ეტიუდი, 2, გვ. 103—104.

დინა, მაგრამ ახლა მოექცნენ ორბიტაში, ოდნავ შეცვალეს ფასა-
ფართოვეს მისი გაქანება. მაშინ, თუ ტენდენცია — გამოწავონების
მიმართულება — დაემთხვევა ცხოვრების შესაძლებლურებულ რაოდ გა-
ნაკვეთობა ხარისხს გადასცემის განვითარებას და მას განვითარებას
როვნება. რეალური პირისაგან განცალკევდება სახე⁸⁸. შემოქმედე-
ბითი ფანტაზიის ჩარევით ქართველ პაგიოგრაფთა თხზულებებში
ასე არიან განცალკევებული თვეინთი ისტორიული პროტოტიპები-
საგან შუშანიკი და აბო ტფილელი, მიქაელ-გობრონი და კოსტანტი,
სერაპიონ ზარზმელი, გრიგოლ ხანძთელი და გიორგი ათონელი.

ჩ. ბარამიძე ამბობს: „ქართველი პაგიოგრაფები შემოქმედება-
თი ფანტაზიის საშუალებით ქმნიან მთელ რიგ სცენებს და სურა-
თებს, გადმოგვცემენ პერსონაჟების განცდებს, რის შედეგადაც ახლე-
ნენ მოქმედების მოტივაციას და რეალობის სრულ ილუზიას ქმნიან,
რაც განსაკუთრებულ დამაჯერებლობას ანიჭებს მათ ნაწარმოებებს.
მაგალითად, იყობ ცურტაველი არა იშვიათად აღწერს შუშანიკის
ციხეში ყოფნის განცდებს და ფიზიკურ მდგომარეობასაც იმ შემთხ-
ვევაში, როდესაც ის იქ არ არის და ვერც ხედავს⁸⁹. მსგავსი სიტუა-
ციები მრავლად შეიძლება მოვიგონოთ ყველა პაგიოგრაფიული ტექ-
სტიდან; მაგალითად, საპყრობილები აბოსთან შედიან „ცრუ-მოძღვ-
არნი და შემასმენებლნი“. განა „მშვენიერი სიცრუ“ (ასე უწოდებ-
და მხატვრულ გამონაგონს სტენდალი)⁹⁰ არ არის ის სიტყვები, რომ-
ლითაც ისინი აბოს მიმართავენ: „შვილო, ნუ განუირავ თავსა შენ-
სა, ნუცა სიჭაბუქესა შენსა განკვაჭი ქრისტიანედ და ნუცა ძმათა
და ნათესავთა შენთა განეშორები, რამთა არა შეამთხვო ქრი თავსა
შენსა და შეგუაწუხნე ჩუენ ყოველნი⁹¹. მოგზაუნილთა სიტყვების
ზუსტად ფიქსაციის მოჩვენებითობაა აქ „სიცრუ“, მაგრამ ეს არის
შესაძლებლიდან ამოსული წარმოსახვა, რომელიც ქმნის მშვენიერ
ხატს იმ ადამიანთა სულიერი სინამდვილისა, რომლებიც ამ სიტყვებს
წარმოსქვამენ. სახეობრივი აზრი, რომელიც ამ სიტყვების საგნობ-
რივი შინაარსის იქნეთ იკვეთება, ჩვენს წინ აშიშვლებს სულს ფარი-
სეველთა და ვერაგთა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ცრუ-

88 Теория литературы, кн. I, стр. 86.

89 ჩ. ბარამიძე, ნარკვევები მხატვრული პროზის ისტორიიდან, 1966,
23. 147.

90 «Литературные манифести французских реалистов», Л., 1935. стр. 40.

91 ძეგლები, 1, გვ. 66.

მოძღვართა ლიქვნა მოწამის წინაშე უმრავლეს მარტინოლოგიურ მეგლებში იჩენს თავს, გამოდის, რომ საქმე გვაქვს წმინდა ლიტერატურულ მოტივთან და წარმოდგენილი სცენა, საერთოდ, თაურიული ბოლომდე მხატვრული გამომგონებლობის ნაყოფად შეიძლება უზრუნველყოფა კულტურული გულეოთ. ამგვარად, ეს სიტუაცია ჩაფიქრებულია, როგორც მხატვრული სახე იმ გარემოებათა, რომლებშიც აირევლება აბოს ხასიათი (ციზოდს აგრძელებს მოწამის რეაგირება), ხოლო აბოს მოქმედება, თავის მხრივ, შუქს ჰქონდება იმ გარემოებას, რომელშიც ხასიათია მოქცეული.

განა მშეენიერი პოეტური ფანტაზიის ნაყოფი არ არის ფსიქოლოგიურად სამაგალითოდ მოტივირებული პასუხები იმავე აბოს სულის მოძრაობისა, როცა ეს უკანასკნელი ციხის საკანში პირისპირ აჩება საკუთარ თავთან, თავის ფიქრებთან: ან ტკივილითა და სასოფთო გაელენთილი მონოლოგი შიონი „მღვმესა მას ბნელსა შინა ქუე სილრმეთა მიწისათა“ (ორივე პასაუზე საგანგებოდ შევჩერდებით შესდგომ თავში). აქაც პერსონაჟთა სიტყვებისა და განცდების ფიქსაციის ილუზია მხატვრული გამოგონების საგანი⁹².

შეიძლებოდა კიდევ მრავალი მაგალითი მოგვეტანა იმისა, თუ როგორ გვისურათხატებენ ქართველი ჰაგიოგრაფები პერსონაჟის ქცევის ან სულიერი მდგომარეობის ისეთ მომენტებს, რომელთა წყაროდ მწერლის წარმოსახვის გარდა, ვერაფერს მივიჩნევდით. ამის საუკეთესო ილუსტრაციას თავისითავად მოგვცემს ჩვენი მსჯელობა სხვა საკითხებზე.

მეორე თავში ჩვენ უკვე მივუთითეთ, თუ როგორ ცვლის იაყობ ხუცესი ისტორიულ რეალიას, როცა ეს რეალია ზედაპირულად და შემთხვევითად მიაჩნია არშუშა პიტიახშის პიროვნების ჭრშემარიტი რობის შესაგნებად. ისიც ვნახეთ, რომ ისტორიულ სინამდვი-

92 მოვიტანთ ერთ საგულისხმო ფაქტს. დოსტოევსკის თხზულებას „უწყინარი“ ასეთი ქვესათაური აქვს: „ფანტასტიკური მოთხოვნა“. ნაწარმოებში გადამცემულია კაცის ფიქრები, განცდები, მოქმედებანი, საუბარი საკუთარ თავთან, წარმოდგენილ აუდიტორიასთან, იმ ქალთან, რომელიც შისი ცოლი იყო და ახლა მოთხოვნის დასაწყისიდანვე) მაგიდაზე ასვენია, — თავი მოუკლავს. დოსტოევსკი მოთხოვნის შესავალში („ავტორისაგან“) განმარტავს, თუ რატომ უწოდა ნაწარმოებს „ფანტასტიკურის“: „სტროგრაფს რომ შეძლებოდა, მიეყურადებია მისთვის და ყველაფერი ჩაეწერა, გამოვიდოდა ცოტა უფრო მქისე და გაერანდავი, ვიღრე მე წარმოვადგინე, მაგრამ, როგორც მე მეჩვენება, ფსიქოლოგიური წყობა, შეიძლება იგივე დარჩენილიყო“. ი. ფ. მ. დოსტოევსკი. Повести и рассказы (в двух томах), т. 2, М., 1956, стр. 619.

ლეს მხატვრული იდეალის კვალობაზე გიორგი მეტველეც მოვალეობის მთავარი გმირის მონუმენტურობისათვის. ეს შემთხვევაშიც მხატვრული ფანტაზიის აქტიურობაზე მიგვითითებენ. თხზულების დასასრულს იაკობ ხუცესი გეოგრაფიული გარემოს ხატებზე მდგრადი რომელიც გარკვეულად მიზანდასახული ფონის ფუნქციას ასრულებს მთავარ გმირთან დამოკიდებულებაში. ჩვენ უკვე მივუთითეთ, რომ შუშანიკის ხვედრის ტრაგიზმის წარმოსაჩინებლად მწერლის წარმოსახვა ცვლის ფაქტობრივ რეალობას, ქმნის მხატვრულ სურათს უაღრესად გამუქებული საღებავებით.

მაგრამ ზოგჯერ პავიოგრაფი მწერალი თითქმის არაფერს ცვლის ისტორიულ მონაცემთაგან, არაფერს უმატებს რეალურ პირს. პავიოგრაფიული ლიტერატურა, როგორც ითქვა, სინკრეტული ლიტერატურაა და განმსაზღვრელი ესთეტიკური კრიტერიუმის გარდა, მას ისტორიული კრიტერიუმიც წარედგინებოდა. ამიტომ იქ მხატვრული ფანტაზია ისე მძლავრი ვერ იქნებოდა, და ვერც ზუსტად იმნაირი ბუნებისა, როგორც თანამედროვე ხელოვნებაში.

მხატვრული წარმოსახვის თავისებურება პავიოგრაფიულ მწერლობაში განზოგადების მეთოდითაა განსაზღვრული. როგორც ითქვა, პავიოგრაფიულ ნაწარმოებში განზოგადება იდეალიზაციის გზით ხდება. ამიტომ ისტორიული მონაცემები მხატვრულ ორგანიზმში გარკვეული „გაცხრილვისა“ და გამორჩევის ნიადაგზე შეიტანება. ისტორიულ მონაცემთაგან პავიოგრაფი ტოვებს იმას, რაც უპასუხებს და შეესატყვისება რელიგიურ-ესთეტიკურ იდეალს ქრისტიანული პოეზიისა. ასე შეჩრჩეულ შტრიხებს კი ქრისტიანული ხელოვნების აღიარებულ გმირთა ნიშან-თვისებებს მიუსადაგებს. ამისდაკვალად, ისტორიული პირისგან კვლავ განცალკევდება სახე, იდეალიზებული ხასიათი. ესგავს შემთხვევაში, როგორ იტყოდა პ. პალიევსკი, „გამოგონება ჩახშულია მხოლოდ ერთის შეხედვით: მისი ფარული მუშაობა არაა შეწყვეტილი“⁹³. მხატვრული წარმოსახვის ასეთი თავისებური მუშაობითაა ორგანიზებული მეტნაკლებად ქართული პავიოგრაფიის პერსონაჟთა მთელი სამყარო. მრავალთაგან მოვიტანთ ორიოდე მაგალითს. გიორგი მცირე მოგვითხრობს იმ დიდ ზრუნვაზე, რაც გიორგი ათონელმა გაუწია საქართველოში შეკრე-

⁹³ Теория литературы, кн. I, стр. 86. ივე პ. პალიევსკი მმბობს: ასე წარმართული ფანტაზიის, ოლონდ ტიპიზაციის მეთოდზე დამყარებულის, ნაყოფის გორგის ლიტერატურული პორტრეტები და „უკიდურესად ზუსტი, ფოტოგრაფიული რომ გეგონებათ“, ქრამსკოს თუ გოლგენის პორტრეტები.

ბილ ოთხმოც უდედმამო ბავშვს, რომლებიც მან მთაწმინდაზე წაიყდანა. თავისი გმირის ლვაწლის მნიშვნელობის წარმოსაჩენად პწერალს მოაქვს ანალოგიური მაგალითები ქრისტიანული ლიტერატურული რიდან. გახსენებულია ის, რასაც მოგვითხრობს „წიგნი მეფეში და მას უკავებელი და დამალული იეზუაბელისაგან ქუაბა ერთსა შინა უამ რავდენმე გამოზარდნა“. შემდგომ მოხმობილია მოთხოვნანი „წმიდისა კლიმისთვეს და წმიდისა ზოტიკე ხუცისათვეს და სამფსონ უცხოთა შემწყნარებელისა და წმიდისა ბაბილანსთვეს ანტიოქელ პატრიაქისა“. ყველა მათგანის ქველი საქმე კონკრეტულადა შედარებული გიორგის ლვაწლთან და გახაზულია ამ უკანასკნელის უპირატესობა⁹⁴. მეორე ნიმუში: კ. კიკელიძე სრულიად ცხად ანალოგიათა და პარალელთა საფუძველზე აჩვენებს, რომ „გრიგოლის „ცხოვრების“ დაწერისა და გაფორმებისას გიორგი მერჩულეს მისაბად მაგალითად უკველად საბას „ცხოვრებაც“ პქონდა⁹⁵.

ქართული პაგიოგრაფიის გმირთა ლიტერატურულ პორტრეტებში ისტორიული რეალიები ძირითადად ზუსტადაა შემოტანილი (ამ გარემოებას უკავშირდება საცდური პაგიოგრაფიული ლიტერატურის საისტორიო მწერლობად კვალიფიკაციისა), მაგრამ ისინი აღნიშნული პრინციპითაა გამოწვლილული, მსოფლიო საქრისტიანო მწერლობის პოპულარულ გმირთა თარგზეა გამოჭრილი, შეფერილი და ამგვარად განზოგადებული.

დავუბრუნდეთ ნაცნობ სურათს სტეფანე მტბევარის თხზულებიდან: აბულ-კასიმი და მისის ჯარი „მოვიდეს და მოადგეს ციხესა მას ყველისასა, გარე შეადგეს კარვები იგი მათი, ვითარცა თოვლი, რომელი ხუთისა სოფლისა საზღვართა და-ოდენ-ეტივნენ იწროებით. და საბელი იგი კარვებისა მათისანი განეთხნა ურთიერთავა. რამეთუ ესე იყო ჩეულებად დადგრომისა მათისამ, ნათესავთა მათ საძაგელთა, უღმრთოთა, ფიცხლად მოისრთა, რომელი ჰამდეს ძალთა, თავუსა, კაცსა და ყოველსა არაწმიდასა. და ესრეთ განეძნება ბრძოლად ფილეკავნებითა მრავლითა. და სიმრავლე ტყირცებულთა მათ ისართა შეიძყრობდა პაერსა მზისასა, რომელსა აქუნდა ასეული ტვრთი აქლემისამ ისარი ოდენ და ეგრეთვე პო-

94 ძგლები, II, გვ. 167.

95 კიმენი, ტ. 2, გვ. 128. იგულისხმება კირილე სკვითოპოლელის თხზება — „ცხოვრება საბა პალესტინელისა“.

აქ საქმე გვაქვს პოეტური ფანტაზიის გაბეღულ გაფრენასთან ფაქტის სიმართლიდან: გატყორცნილ ისართა სიმრავლე მზეს აპნე-ლებს და ციხე-ქალაქებში შემწყვდეული კალიასავით „მოსკომდეს ფურცელსა ხეთასა და მწუანვილოვანსა ქუცანისასა“. მაგრამ მკით-ველს სჯერა და ამ მოჩვენებითი საფირველის იქეთ (და ომავე ფორ-მის საშუალებით) უფრო ცხადად, ღრმად ხედავს და გრძნობს გან-საცდელის მთელ ნიხამდვილეს. მკითხველს კი ომიტომ სჯერა და „ხედავს“ წარმოსახულს, რომ აქ სახეში, მიბაძვაში, სასურველი


შინაგანი ნათესაობაა დაჭრილი იმ სინამდვილის შესაძლებლობებთან, რომელსაც ბაძავენ. დამსგავსების კეშმარიტება და ზემოქმედების ძალა ამ შინაგან ნათესაობაზეა დაყარებული. სინამდვილეები რაც არ შეფარგვებული განსახიერებს. ესაა ის, რასაც მოითხოვს მიბაძვის თეორია. ხოლო „მოთხოვნა — განსაკუთრებული საშუალებებით, განსაკუთრებული, გზით არსებული შესაძლებლის ფორმით იქნას გადმოცემული, გულისხმობს შესაძლებლის აყვანას არსებულის ჩანგში. ის, რაც არ გულისხმობს — ეს პარადოქსია, მაგრამ, ახდენს რა არარსებულის, არსებობს — ეს პარადოქსია, მაგრამ, ახდენს რა შეუძლებელზე, ხელოვნება ლის მოდელირებას, ლაპარაკობს რა შეუძლებელზე, ხელოვნება შეწვდება რეალურის ისეთ სფეროებს, რომლებიც მიუღწეველია შემცნების სხვა სფეროებისათვის“⁹⁷.

იოანე საბანისძის თხზულებაში ასეთი ეპიზოდია: აბო უკანასკნელ დაკითხვაზე მიჰყავთ მსაჯულთან. მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, არ დამორჩილდეს მისი გრძნობის შეურაცხმყოფელთ, თავი გასწიროს აწმენისათვის. „გამოიყვანეს იგი ეგრტვე ბორკილითა ფერზთა და კელთათა; და მიჰყანდა იგი შორის ქალაქსა და რომელნი პხედვიდეს მას ქრისტეანენი და მეცნიერნი მისნი, ცრემლოოდეს მისთვს... ხოლო იგი მოვიდოდა, კითარცა ვინ მოგზაურ ექმნის მუდარსა, ეგრე პხედვიდა თუსსა მას გუამსა. და სულითა თვისითა მოგზაურ ქმნული თვთ ვიდა თუსსა მას გუამსა...“⁹⁸. ჩვენს წინაშეა დახვეწილი პოეტური სახე იტყოდა ფსალმუნსა... ანტისიკედილო ეშაფოტზე მიმავალი კაცის სულის მოძრაობისა. ანტიკური გმირივით ამაყი და თავაწეული მიაბიჯებს აბო სიკვდილის კაზაზე, ანუგეშებს კიდეც მისთვის ცრემლის მლვრელთ. მაგრამ მოწიგნი მის სულში მთელი არსების შემძვრელი ზმანება დაბორიალობს: მის სულიერ თანამგზავრად „ქმნული თვთ იტყოდა ფსალმუნსა“. მის არის პოეტური ნათელმხილველობის იშვიათი ნიმუში ანა მხოლოდ ქართული მწერლობის მასშტაბით.

ის, რაც არ არის (ფაქტობრივად, ემპირიულად შეუძლებელია კაცი საკუთარ ცხედარს მიაცილებდეს), არსებობს (ვითარცა ადამიანის ღრმა სულიერი სინამდვილე), — გვიმტკიცებს იოანე საბანისძე, ისევე, როგორც ყველა ნამდვილი ხელოვანი. ფაქტობრივი სინამდვილე აქ „გადატრიალებულია“ პერსონაჟის წარმოსახვაში.

97 Н. К. Гей, Искусство слова, М., 1967, стр. 220.

98 ძეგლები, I, გვ. 69—70.

მაგრამ ემპირიული სინამდვილის სწორედ ეს უცნაური სურათი ანათებს და საცნაურს ხდის თვალშეუდამ სიღრმეს ადამიანის ჟელის სინამდვილისა. ხელოვნების უმაღლესი ამოცანა ცატეფერულია. გარემომცველ სინამდვილეს იგი ადამიანის თვალშემთხვეულების და ბუნების თვალწარმტაც სურათშიც ჩვენს საოცარ სულზე გვესაუბრება. ქრისტოფერ კოდუელი ამბობს: „არავის ძალებს შეხედოს თავის თავს უშუალოდ, მაგრამ ხელოვნება გადააქცევს სამყაროს სარკედ, რომელშიც ჩვენ ვიჭიროთ წარმავალ შთაბეჭდილებებს ჩვენსავე შესახებ. მათში ჩვენ ვხედავთ ჩვენს თავს არა ისეთებად, როგორიც ვართ სინამდვილეში, არამედ, როგორიც შეგვიძლია ვიყოთ, შევიცვლებით რა საზოგადოების ზეგავლენით. ხელოვნება ჰგავს მაგიურ პროექტორს, რომლის დახმარებით სამყაროს ფონზე ვპროექტირდებით თვითონ ჩვენ. ხელოვნება მოვითხრობს იმის შესახებ, რაზეც არ ძალებს მოვითხროს მეცნიერებამ, რომლის წინაშე უძლურია რელიგია“. ანიჭებს რა გარემომცველ სინამდვილეს ადამიანის გულიდან მომდინარე ემოციურ ხმიანობას, ხელოვნება გადაქცევს „მთელს ჩვენს სინამდვილეს, თვით სიკვდილსაც, უფრო საინტერესოდ, ვინაიდან იგი უფრო მართალი ხდება“⁹⁹. ასე ულრმესი სიმართლითაა მართალი სიკვდილის იოანე საბანისძისეული სურათი. და აქ ჰავიოგრაფს ადამიანური სინამდვილის ისეთ სფეროში შეკყავართ, რომელიც, მართლაც, მიუწვდომელია შემეცნების სხვა დარგებისათვის. მწერალი ადამიანის შინაგან სამყაროზე, გრძნობებზე, ემოციებზე მოვითხრობს, ხოლო თხრობა იმავე სამყაროს, გრძნობებისა და ემოციების ენაზე მიმდინარეობს. იოანე საბანისძი სინამდვილეს შესაძლებლისა და შეუძლებლის, ერთეულისა და ზოგადის, უსახოსა და მშვენიერის მთლიანობაში აღიქვამს. ეს კი განმსაზღვრელია ხელოვანის მსოფლალქმაში, მაგრამ არა ისტორიკოსისა.

ხელოვანის მსოფლალქმა წარმმართველია ქართულ ჰავიოგრაფიაში. იგი ჩვენ უხვად წარმოგვიდგენს პერსონაჟის ქცევის ან სულთერი მდგომარეობის ისეთ მომენტებს, რომელთა წყაროდ, მწერლის წარმოსახვის გარდა, ვერაფერს მივიჩნევდით.

•

99 Иллюзия и действительность (Об источниках поэзии), стр. 333—334.

მეოთხე თავი

მოქმედება და სულის მოძრაობა

აღამიანის წარმოსახვის საშუალებად პოეტურ ხელოვნებაში იქცა განსახიერება მოქმედება-მოძრაობისა. უფრო მეტიც, პოეზია არა მხოლოდ განასახიერებს მოქმედებას, გენეტიკურად თვითონაა პროდუქტი მოქმედება-მოძრაობისა. პოეზის სათავეების ძებნას უშუალოდ მივყავართ პირველყოფილი აღამიანის შრომის პროცესთან, იმ დღესასწაულებთან, რომლებიც სინკრეტულ მოქმედებათა გზით გამოსახავდნენ თესვის, ხენის, მოსავლის აღების, ნადირობის, ბრძოლისა და სხვა რიტუალს. ა. ნ. ვესელოვსკის თავის „ისტორიულ პოეტიკაში“ მოაქვს მდიდარი მასალა ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელების, ავსტრალიელების, კუნძულ ბორნეოს, ბრიტანეთის გვინეისა და აველი რუსეთის ბინადართა, კამჩადალებისა და სხვათა ცხოვრებიდან იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ წარმოიშვა შრომის დღესასწაულების სინკრეტულ მოქმედებათა პროცესში სიტყვის ხელოვნება; ვესელოვსკი აჩვენებს ამ უველეს მოქმედებათა კავშირს შრომით საქმიანობასთან, არყვევს, რატომ გამოიყო ისინი შრომის პროცესიდან და საით წარიმართა შემდგომი განვითარება. უფრო ზოგადთეორიულ ასკექტში იმავე საკითხს ეხება ინგლისელი ესთეტიკოსი ქრისტოფერ კოდუელი თავის წიგნში „ილუზია და სინამდვილე (პოეზიის წყაროთა შესახებ)“. საინტერესო დაკვირვებებსა და დასკვნებს ვთავაზობს გ. გაჩევი გამოკვლევაში „სახეობრივი ცნობიერების განვითარება ლიტერატურაში“. გ. გაჩევის თანახმად, როცა რიტუალის ბევრითი, ხმოვანი მხარე (რომელშიც გახსოვა იყო რიტმი) პასიური მასალიდან, ფორმიდან თავისთვის ფასეულობად იქცევა, იგი აღიქმება, როგორც აზრი და ამ გზით ჩაირთვება აღამიანური არსებობის მეორე დიდი სფერო (პირველია შრომა) — აზროვნება. სხეულის მოძრაობა, შრომის პროცე-

Сис гаნмасасаხიერებელი რიტუალში, таნდათან გადარის ცოდნული, ცნობიერების სფეროში. და აი, რიტმი გვევლინება აზრებისა და ასოციაციების მოძრაობად. „მთავარი ტენდენცია ისაუკავშირებულება თავის თავში იწოვს სანახაობას, თავისი თავიდან იწყებს და მომზადებას აგებას. ...აქ უკვე გვაქვს არა სიტყვა—სიგნალი, სახელდება, არამედ აზრი — წინადადება. იგი ჯერ მხოლოდ აღნიშნავს სანახაობას, რომელიც ახლა სრულდება. მაგრამ მან უკვე შეისრუტა სანახაობა მის მდინარებაში და გახდა აღეჭვატური სანახაობის მოძრაობისა. აქა გამოსავალი წერტილი. იწყებს რა ამ წერტილით, სიტყვა ისწრაფვის, შთანთქოს სანახაობა ყველა მის ეტაპზე. სიტყვა ამოზრდება სანახაობის მეორე პლანად, ახდენს მის ღუბლირებას“¹.

ამგვარად, ის, რაც სიტყვის ხელოვნების გენეტიკურ საფუძველშივე დევს, გვევლინება მის უმთავრეს საშუალებად (არა მასულად, ასეთია სიტყვა) ადამიანის განსახიერების პროცესში. ჯერ კი დევს არისტოტელეს „პოეტიკაში“ გარკვევითაა ნათქვამი, რომ „ასაპვა ხდება მოქმედების საშუალებით“ (§ 6). არისტოტელე მეორე განაც მიუთითებს, რომ საგნობრივ-გრძნობად სახეს ლიტერატურა მოქმედება-მოძრაობის სურათოვნებით ქმნის².

პორაციუსი თავის „პოეტურ ხელოვნებაში“ პოეტს ასეთ რჩევას აძლევს (ჩვენს მიერ ერთხელ უკვე მოხმობილ სიტყვებში):

«Лучше ты илионскую песнь перекладывай в действо,
чем первым

То на подмостку вводить, что совсем неизвестно
и ново». (129—130).

თანამედროვე ესთეტიკური აზროვნება ამ საკითხის გადაწყვეტისას ძირითადად ემყარება ლესინგის ცნობილ წიგნს . „ლაიკონი ანუ ფერწერისა და პოეზიის საზღვართა შესახებ“. ლესინგი განმარტავს: „ფერწერისა და განასახიერებს სხეულებს და გაშუალებულად, სხეულთა დახმარებით, მოძრაობებს. პოეზია განასახიერებს მოძრაობებს და გაშუალებულად, მოძრაობათა დახმარებით, სხეულებს. მოძრაობათა რიგს, მიმართულს ერთიანი საბოლოო მიზნისებ, ეწოდება მოქმედება“³. როგორც ვხედავს, მოვლენათა თანმიმდევრობა დროში ცხადდება პოეზიის სფეროდ, ხოლო იგივე თანმიმდევრობა

¹ Теория литературы, кн. I, стр. 201—202.

² Античные мыслители об искусстве, М., 1938, стр. 200—201.

³ Лаокоон, стр. 423.

სობა სივრცეში — ფერწერის სფეროდ. რითაა განპირობებული
სუერთა აღნიშნული დანაწილება, რატომ არ ივარგებს პოეტი
ნაწარმოებში სხეულის მატერიალურ-საგნობრივი აღწერილობა, რომელიც
რცეში? ლესინგი უპასუხებს: „...მატერიალური საგნების ყუშებულება მართა
რი განსახიერება სიტყვის საშუალებით აღვევს იმ ილუზიას, რომ-
ლის შექმნა წარმოადგენს პოეზიის მთავარ ძოლურათაგან ერთს. ეს
ილუზია ირლვევა იმით, რომ სხეულთა თანამიმდევრობა სივრცეში
ეჯახება აյ სიტყვის თანმიმდევრობას დროში“. სხეულის სილამაზე
გულისხმობს პარმონიულ შერწყმას შემადგენელი ნაწილებისა, რომ-
ლებიც ერთი შეხედვით შეიძლება აღვიქვათ ერთბაშად. ამიტომ
უცილობელია, რომ ეს ელემენტები ერთმანეთის გვერდით იყვნენ
მოთავსებული. მწერალი „უნდა გრძნობდეს, რომ ამ ელემენტებს,
განსახიერებულთ დროულ თანამიმდევრობაში, არავითარ შემოხვე-
ვაში არ ძალუბთ მოახდინონ ის შთაბეჭდილება, როგორსაც ახდე-
ნენ, როცა მოცემული არიან ერთდროულად, ერთიმეორის გვერდით;
რომ მათი ჩამოთვლის შემდეგ ჩვენი მზერა ვერ მოკრებს სილამაზეს
ამ ელემენტებს მწყობრ სახედ“⁴. ამ დებულებათა საუკეთესო ილუ-
ტრაციად გამოდგება არმაზის კერპის აღწერილობა „ნინოს ცხოვრე-
ბილან“: „დგა კაცი ერთი სპილენძისამ, და ტანსა ეცუა ჭაჭვ ოქრო-
სამ, და თავსა მისსა ედგა ჩაფხუტი ოქროსამ და სამჯარნი ოქრო-
სანივე და თუალნი ვითარცა ფრცხილი და ბივრიტი, და კელსა მის-
სა აქუნდა ჭრმალი, ვითარცა ელვად რამ ბრწყინვიდა და იქცეოდა
კელსა შინა მისსა, რეცა რომელიცა შეეხებოდის, ვითარცა თავი
თვისი სიკუდილად განწირის“⁵. ამ აღწერილობის დეტალები („კაცი
სპილენძისამ, ჭაჭვ ოქროსამ, ჩაფხუტი ოქროსამ, სამჯარნი ოქ-
როსანივე“) ვინაიდან მოცემული არიან არა ერთდროულად, ერთი-
მეორის გვერდით, არამედ ერთმანეთის შემდეგ დროული თანმიმდევ-
რობით, არ ერწყმიან ერთმანეთს პარმონიულად, არ ქმნიან მთლიან-
სა და ცოცხალ პოეტურ ხატს. მკითხველი ვერ „ხედავს“ გამოსახუ-
ლებას, სანამ კერპის ხელში არ გაიღვებს „ჭრმალი, ვითარცა ელ-
ვად რამ ბრწყინვიდა და იქცეოდა კელსა შინა მისსა, რეცა რომე-
ლიცა შეეხებოდის, ვითარცა თავი თვისი სიკუდილად განწირის“. ამ
უესტის მეშვეობით კი გამოსახულება ამოძრავდა, ფიგურა გამოი-
კვეთა და მას უკვე „ვხედავთ“.

⁴ Плоюони, стр. 206, 232.

⁵ ძეგლები, I, გვ. 119.

ფერწერული ხელოვნება თავის ობიექტს უძრავ სხეულულ ჭრას. მოგვიდგენს და მხოლოდ სხეულის საშუალებით გადმოგვცემს შოპ-რაობას, მაშინ, როცა პოეზიას ადამიანისა თუ სხვა ურთისესობის წევა-ნობრივ-ხილული წარმოსახვისათვის სხვა გზა არა აქვთ, თუ პლ. შოპ-რაობა. ეს განსხვავება სახეთა საშენი მასალის სხვაობითაა განპირობებული. ფერებს, შუქ-ჩრდილებსა და ხაზებს სიტყვის საპირისპიროდ მხოლოდ უძრავ ხატთა შექმნა ძალუდთ.

თავისი თვალსაზრისის საილუსტრაციოდ ლესინგს მოაქვს მაგალითები სხვადასხვა ეპოქების ლიტერატურულ ძეგლთაგან, განსაკუთრებით კი „ილიადიდან“. იგი ამ თხზულებასთან დაკავშირებით წერს: „...პომეროს არაფერს არ ანსახიერებს გარდა თანმიმდევრული მოქმედებისა, და ყველა ცალკეულ საგანს იგი ხატავს მოქმედებაში მათი მონაწილეობის საზომით... როცა პომეროსს სურს მოვკითხოს, როგორ იყო ჩაცმული აგამემნონი, იგი იძულებს შას ჩვენს თვალწინ ერთმანეთის მიყოლებით ჩაიცვას მორთულობის ნაწილები: რბილი პერანგი, განიერი ლაბადა, ლამაზი სანდლება, ხმალი. მხოლოდ ჩაცმული იღებს მეფე სკიპტრას. ჩვენ ვხედავთ ტანსაცმელს, მაშინ, როცა პოეტი თვით ჩაცმის პროცესს ანსახიერებს“⁶.

როგორც ნ. პარტმანის ესთეტიკური მოძღვრებიდანაა ცნობილი, ნაწარმოების სიტყვიერი გარსი მხატვრული სახის მოცემულობის (მოვლინების, გაცხადების) პირველ, წინა პლანს ქმნის. მხატვრული სახის მთელი სიმძიმე ამ პირველი, ხილული ფენის უკან მდებარეობს და ქმნის მეორე, უკანა პლანს. პოეტური ხილვა „...გრძნობადი ფორმით კი არ გვეძლევა, არამედ გრძნობადადა გაშუალებული“. უკანა პლანი თავის მხრივ რამდენიმე ფენის შეიცავს გრძნობადად გაშუალებული პირველი ფენიდან საყოველთაო შინაარსის, ზოგადი იდეის აბსტრაქტულ ფენამდე. მწერალი მიმართავს გარეანულს: უესტს, მიმიკას, მეტყველებას, ხილვად მოქმედებას, რეარქებას. ეს უკანასკნელი ამჟღავნებენ შინაგანს, სულიერს. ასე წარმოიქმნება მხატვრული სახის სტრუქტურაში თავისებური საგნობრივი შუალედური ფენა, რომელიც თუმცა ირეალურია, როგორც ნამდვილი უკანა პლანი და, მეტად რომ განვსაჯოთ, მასვე განეკუთვნება, „...მაგრამ მაინც გრძნობადი გვარეობით უშუალოდ ხილვადია, თუმცა იგი თვით გრძნობებს არ მიემართება, არამედ მხოლოდ

6 ლაოკოონ, ცр. 189, 192.

ფუნტაზიას. იგი აიძულებს პერსონაჟის სახეს კონკრეტულად ასენ-
ტენის წარმოდგენაში, ქმნის რა ამით სახეობას მეორე წინა პლანისა,
ეს უმცირესი უმცირესი მისათვის გრძნობადი მოცემული იქნება
რომელიც ყოველივე შემდგომისათვის გრძნობადი მოცემული იქნება
როლს თამაშობს, ვინაიდან პოეტური განსახიერება საჭიროებს ასევე ეს ერთ-ერთ
შუალედურ წევრს⁷. ესტის, მიმიკის, მოძრაობის, მეტყველების,
რეაგირების, მოკლედ, — საგნობრივი შუალედური ფენა ფორმის
სფერო ესთეტიკური საგნის სტრუქტურაში.

სფერო ესთეტიკური საგანი ტექნიკა
ა ერთი ეპიზოდი ვეფხისტყაოსნის მდ თავიდან, საღაც მოთხ-
რობილია ტარიელის ხატუელებთან შებრძოლების ამბავი:

„შები ვთხოვთ, ხელი ჩავყავ მუშაორადის დასარტმელად;
საომარად ატენილი ვიყავ გათად გამტებელად;
ერთსა წავსწლილი უტევანსა, წავგრძელილი და წავი გრძელად.
მათ ურიცემი რაზმი ეშუო, წყანარა დგეს-და აუჭლელად.
ახლოს მიეკი, შემომჩედეს, „შავიაო“, ეს იქვესა.
მენ მივჰართო მელავ-მაგარმან, სად უზრუნისი ჯარი დგესა;
კაცს შები ვკერი, ცხენი დავიც, გართ ორნივე ვიპხდეს მშესა,
შები გატყდა, ხელი ჩავყავ, ვარებ, ხმალო, ვინც ვლესა!“

ამ ორ სტროფში თვალსაჩინო პლასტიკური სურათია დახატული. ჩვენ-საგნობრივად და ხელშესახებად აღვიქვამთ გმირის ქცევის დაძაბულ რიტმს („საომრად ატეხილი ვიყავ მათად გამტებელად“), პირისახეს („შემომხედვეს, „შმაგიაო“, ესე თქვესა“), სიგრძეს იშვიათობისა, რომელიც პერსონაჟს მოწინააღმდეგისაგან აცილებს, მტრის ურიცხვ რაზმს, მზის ნათელს გამოთხვებულ კაცსა და ცხენს. მაგრამ ადვილია იმის შემჩენვა, რომ ყველა დეტალი ამ პლასტიკური სურათისა მოძრაობას უკავშირდება ან მოძრაობითაა გამოხატული. ლესინგის სიტყვები რომ გავიმეოროთ, ჩვენ ვხედავთ სავანებს, მაშინ, როცა პოეტი მოქმედების პროცესს ანსახიერებს.

⁷ Н. Гартман. Эстетика. М., 1958, стр. 119, 158.

ერთი ნახევარი — თუნდ ორი წელიწადია, — ისე საცოდავად დალრეგით გადმოჰკიდებოდა ერთს ყუნწშა, ასე გვინია — ბოის დაუტერია საცემლადო და ის კი იწევსო, რომ როგორმე ხელიდამ დაუსხმობესო. ჭიის-კარიდამ იწყება კალო, დიალ მოზრდილი და გვიპარებულ ერთ მხრივ მთელ კალოს სამხრეთის ნაპირზედ გორასავით გაწოლილი იყო, ასე რომ იმისი ბოლო ზედ საბძელთან დააწყდებოდა. საბძელი იყო სასაცილო, ისე ცულელურად ჩაფიქრებული და გვერდაწეული მარტო ფრთა-მოტეხილი ბატი თუ მინახავს⁸. როგორც ვხედავთ, უსულო და უმოძრაო საგანთა მთელ წყებას მხატვრულ სინამდვილეში სიცოცხლეს ანიჭებს მოქმედება-მოძრაობის ფორმით განსახიერება. ილიას ამ მოთხრობის პერსონაჟები არყოფნისავენ მიემართებიან. რღვევისა და დაცემისავენ მოძრაობის ანალოგიური ბეჭედი აზის იმ საგნობრივ გარემოსაც, რომელსაც მწერალი ფონისა თუ ჩარჩოს ფუნქციის აკისრებს მოთხრობის საერთო განწყობილებაში. საგანთა „უესტიკულაცია“ პოეტურ სინამდვილეში მათი სიცოცხლის მთავარი საშუალებაა და მოტანილი სურათი არც ახალია და არც უცხო ამ აზრით. იმავე გზითაა წარმოსახული დავით კლდიაშვილის მოთხრობებში „ბინდის თალის ბადეში გახვეული ეზოები იმერეთისა“ (აკაკი გაწერელია). აი სურათი „ქამუშაძის გაჭირვებიდან“:

„ამასობაში სტუმარი აივანზე იჯდა და ბრეკიდან, რომელზედაც წამოსკუპებული იყო ოტიას პაწაწინა ორთვალიანი სახლი, გადასჩერებოდა მის თვალწინ გადაშლილ სურათს. თავდაშვებული შელმართი, რომელზედაც ოტიას სახლის გარდა კიდევ ბევრი მოსახლეები მოჩანდნენ, ქვევით ვაკდებოდა და ეს ვაკე დიდზე შორს მიჰყვებოდა, სანამ მაღლად ამართულ მთა-გორებს არ შეეფეთებოდნენ. ვატარა, უფრო ქოხების მაგვარი სახლები საცოდავად გამოიყურებოდნენ და ერთიმეორეს მისდევდნენ, არ შორდებოდნენ, თავშეურილად იყვნენ, თითქოს ეწადათ უფრო თვალსაჩინოდ დაენახვებინათ მათი პატრონების მდგომარეობა, თუ ვინმე მოიწადინებდა ამის გაგებას⁹. რამდენი მოძრაობაა ამ აღწერილობაში: „წამოსკუპებული იყო ოტიას პაწაწინა ორთვალიანი სახლი“. დაღმართი „თავდაშვებული“ მოჩანდა და „ქვევით ვაკდებოდა“. ვაკე „შორს მიჰყვებოდა, სანამ მთა-გორებს არ შეეფეთებოდნენ“. ქოხის მსგავსი სახლები „საცოდავად

⁸ თხზულებათა სრული კრებული, ტ. II, 1950, გვ. 125.

⁹ თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, ტომი პირველი, 1952, გვ. 203.

გამოიყურებოდნენ და ერთი მეორეს მისდევდნენ, ან შორდებოდნენ,
თვა-შეკრილად იყვნენ, თითქოს ეწადათ უფრო თვალსაჩინოდ —
ნახევებინათ მათი პატრონების მდგომარეობა“. საგნები ამ სურათზე წალენები
ხელშესახები გამოკვეთილობით წარმოგვიდგებიან და ეს სურათი რომელიც
მით ხერხდება, რომ აქ სინამდვილეში არავითარი „აღწერილობა“
არ არის ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. მწერალი სრულია-
დაც არ ჩამოთვლის დეტალებს და არ აღწერს ფერებსა და ფორმებს,
ივი „აჩვენებს“ საგნებს და აჩვენებს მოძრაობასა და მოქმედებაში
(მოძრაობითვე). დავით კლდიაშვილის მოთხოვნებში ბევრგან შევხვ-
დებით ანალოგიურ პასაკებს. „იმპრესიონისტული ესკიზივით შეს-
რულებული ეს სურათები, — წერს მათ შესახებ აკ. გაწერელია, —
რომლებიც ყურადღებას იქცევენ კონტურების მოულოდნელობით,
იმვიათად თუ მოგვავრნებენ რომელიმე სხვა ქართველი ბელეტრის-
ტის პროზის ადგილებს. მათი ანალოგიები მხატვრობაში თუ მოიძებ-
ნება“¹⁰. ლაპარაკია სურათების პლასტიკურ სისავსეზე, საგნობრივ
სიცხადეზე, ხელშესახებლობის ისეთი ხარისხის ილუზიის შექმნაზე,
რომელიც სიტყვიერ ხატს ფერწერული ხატის გვერდით აყენებს (მიწ-
ნათა ერთგვარ წაშლაზე ხელოვნების ორ დარგს შორის). ამ აზრით,
პლასტიკური შთაბეჭდილების სიძლიერის აზრით, ძნელად თუ შეეღ-
რება სხვა ქართველი ბელეტრისტი დავით კლდიაშვილს, თორემ სა-
შუალებას ამ შთაბეჭდილების შესაქმნელად ყველგან მოქმედების
პრინციპი წარმოადგენს.

ლესინგი არ იყო ზუსტი (როგორც ეს უკვე შენიშნეს მკვლევა-
რებმა), როცა კატეგორიულად აცხადებდა, რომ პოეტმა „სრულიად
უნდა თქვას უარი სხეულის სილამაზის განსახიერებაზე, როგორც
ასეთზე“¹¹. მოტანილი მაგალითებიდანაც ჩანს, რომ ლიტერატურას
ძალუბს სხეულთა „სივრცობრივი“ განსახიერება, პლასტიკურობისა
და საგნობრივ ხილვადობას აღწევს ბევრი პოეტური ხატი. მაგრამ
პოეტური სახის საგნობრივობა და ხელშესახებლობაც მხოლოდ მოძ-
რობის განსახიერებით აღიქმება და როცა ასეთ სახეში მოძრაობას-
თან შეწყვილია სივრცობრივი განსახიერება, პრინციპულად დომი-
ნირებს პირველი ტენდენცია — მოქმედება-მოძრაობის წარმოსახვა-
სა. სათანადო მაგალითებით ამაზე ფართოდ და საინტერესოდ მსჯე-
ლობს ვ. კოუინოვი.

10 ა კა კი გ ა წ ე რ ე ლ ი ა, რჩეული ნაწერები, წიგნი I, 1962, გვ. 173.

11 ლაოკიონ, ცტ. 233.

3. კოუინოვი ძირითადად „ლაოკონიიდან“ ამოდის ლისინგის დებულებებს მკვლევარი ახალი ნიუანსებით ამდიდრებს და დადასტურებას უძებნის არა მხოლოდ ლიტერატურული ფაქტებზე, არა მცდელობით ასაყურადღებოა, ლევ ტულაშვილის სანის, გორკის, ალ. ტოლსტოისა და მხატვრული სიტყვის სხვა ოსტატთა დაკვირვებებით, გამონათქვამებით. მკვლევარი მიუთითებს საყურდღებო გარემოებაზე: „უცილობელია, უწინარეს ყოვლისა, ნათლად გავარჩიოთ მეტყველება და ის, რასაც იგი „აყენებს“ მკითხველის წარმოსახვის წინაშე. ფერწერულ ტილოზე ჩვენ უშუალოდ ვხედავთ საღებავებს, შუქ-ჩრდილს, ხაზებს, მაგრამ აღვიქვამთ სხეულთა სივრცობლივ სახეს; რომანის კითხვისას, ჩვენ უშუალოდ გვეძლევა სიტყვები, მათი ურთიერთობავშირი და ორგანიზაცია, მაგრამ აღვიქვამთ ადამიანებისა და საგნების მოძრაობებს. მხატვრული მეტყველების პრობლემა, — ისევე, როგორც ფერისა და ხაზის პრობლემა ფერწერაში, — ეს არის ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევის თვისთავადი და მდიდარი საგანი. ახლა საქმე სხვა რამეს შეეხება: იმ „ობიექტებს“, განსახიერებული რეალობის იმ ელემენტებს, რომლებსაც პოეტური ნაწარმოების ფრაზები აყენებენ ჩვენი წარმოსახვის წინაშე; ეს ობიექტებია ადამიანთა და საგანთა მოძრაობანი. ...ამ ფრაზის შეუძლია უესტი პირდაპირ, შიშველად დაასახელოს და შეუძლია იყოს მეტაფორული; რთული და უბრალო; გრძელი და მოკლე. ყველა ეს საკითხი შედის უკვე მხატვრული მეტყველების, ნაწარმოების ენობრივი ფორმის პრობლემაში. მაგრამ ფრაზის შექმნის პროცესი შეუძლებელია საჭირო უესტის, ადამიანის ან საგნის მოძრაობის ხილვის, შემოქმედებითი გამოცნობის გარეშე¹². საქმე ეხება ორი პლასტის განსხვავებას: პირველია — სიტყვიერი, ენობრივი (თავისი აზრითა და წყობით), მეორეა — ის მოძრაობანი (ადამიანისა, საგნისა), რომლებიც ჩვენს წარმოსახვაში ენობრივი ერთეულებითაა კონსტრუირებული, მაგრამ მათივე იდენტური არაა.

1

განვიხილოთ საკითხი, თუ როგორაა განსახიერებული ქართულ ჰაგიოგრაფიაში ბუნებრივი, გეოგრაფიული და საგანთა გარემო, ადამიანის გარეგნობა, ბრძოლისა და ლვთაებრივ მოვლენათა სურათები.

¹² Сюжет, фабула, композиция. Теория литературы, кн. II, стр. 410, 418.

პირველად მოვიტანთ კლარჯეთის ბუნების ორ ცნობილ აღწერას ჩაილობას გიორგი მერჩულის თხზულებიდან. პირველი: „კეთილ ასე უდაბნოდ იგი მზისა მცხინვარებითა და ჰაერისა შეზავებითა უფლებულ რაც კირძო. და აქუს მას წყარომ მდიდრად გამომდინარე შუგლებული მომენტის გრილი და ჰამორ, და მაღნართა სიმრავლე ურიცხვ...“¹³. მეორე: „...ბუნებით ერთგუამ არს ქუეყანად უდაბნოთად მათ და კეთილად შეზავებულ მზისაგან და ჰაერისა, რამეთუ არცა ფრიადი სიცხც შესწუავს მათ და არცა გარდარეული სიცივე შეაურვებს მყოფთა მისთა. არამედ განწესებით დგას თვესა საზღვარსა უნოტიოდ, უხორშავოდ, უმიწოდ, მზუარშ, რამეთუ კაცთა ნახვნი ფრეჩანი არა ოდეს თიკიან ექმნებიან სლევასა მათსა. ხოლო წყალი კეთილი და შეშამ ნებისა-ებრ უნაკლულოდ აქუს აღმოცენებული ქვშათა მათ შინა, ურიცხვ მაღნარი და კიმრავლე წყალთა ჰამოთად, ბუნებით მხიარულებად მიცე-მულ არს ღმრთისაგან. და არს იგი უგზო და მიუვალ რამთურთით სოფლისა წესითა მცხორებელთაგან, რამეთუ ღადოთა მთათა შინა მაღალ-თა არს მკვდრობად მათი. და მორტყმულ არს ერთ კერძო მთად იგი და ერთ კერძო შეკრებისა ღარემოსლვად გარე-მოსლვად გარე-მოადგეს ზღუდის სახედ უძრავისა“¹⁴. პირველი სურათის პლასტიკურ შინაარსს ქმნის „მზის მცხინვარების“, „ჰაერთა შეზავებისა“ და „მდიდრად გამომდინარე“, „გრილი და ჰამო“ წყაროების მოძრაობა-თა აღქმა. კიდევ უფრო დინამიკურია მეორე სურათის რიტმი: მზითა და ჰაერით შეზავებულ ამ მხარის ბინადართ „არცა ფრიადი სიცხც შესწუავს“, „არცა გარდარეული სიცივე შეაურვებს“, არც ფეხი „თიკიან ექმნებიან სლევასა“. ეს კუთხე თითქოს ადამიანივით განშე გამდგარა, განმარტოებულა და „დგას თვესა საზღვარსა უნოტიოდ, უხორშავოდ, უმიწოდ, მზუარშ...“. წყალი და შეშა ამ მხარეს „უნაკ-ლულოდ აქუს აღმოცენებული ქვშათა მათ შინა“. აქაურობას ერთი მხრივ მთა ევლება, მეორე მხრიდან „შავშეთის დიდთა წყალთა შეკ-რებისა გარემოსლვად გარე-მოადგეს ზღუდის სახედ“. ერთგულ დარა-ჯებს ძლიერ მკლავებში მოუქცევიათ შშვენიერი მხარე.

განსაკუთრებით ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს გაზაფხულის მოსკლის სურათი „დავით გარეჯელის ცხოვრებიდან“, რომელზედაც ჩვენ ერთხელ უკვე მივუთითეთ. გარეჯის სანახებში შეფარებულძა დავითმა და ლუკიანემ „საზრდელი მოიჩეშიან ძირთაგან რომელ-

¹³ ძეგლები, I, გვ. 262.

¹⁴ იქვე, გვ. 269.

თამე მდელოთასა და მწუანვილთაგან შუნ აღმოცენებულის კონკრეტული ითვარების მიზანი იყო არისათ, ოდეს მზისა მიერ და მყურვალებისა აღმო-იჩიდვიან მიწით დასაბამითგანვე ამას უამსა აღმორჩულთუ უფრო მეტად ბულნი ნერგნი და მწუანვილნი...”¹⁵. ეს არის ბუნებრივი მუსიკული მატერიალური ჰერეტის ერთი საუცხოო ნიმუში მთელი ქართული მწერლობის მასშტაბით. წარმოსახვის დაუძაბავად ხედავს პკითხვე-ლი, როგორ იშმუშნება ნაზამთრალი და გათოშილი მიწა „მზისა მი-ერ და მხურვალებისაგან“, სითბო ეღვრება უბეში და ივსება სი-ცოცხლით. წიაღში მთვლემარე თესლნი გაღივებულან, ნელა, მაგრამ ხარბად მიარღვევენ მიწას და მზისკენ იზიდებიან: „...აღმოიზიდვიან მიწით დასაბამითგანვე აღმორჩებად განწესებულნი ნერგნი და მწუ-ანვილნი“. ეს არის არა მხოლოდ წარმოსახვის თვალით აღქმული სურათი. ემოცია აქ ფიზიკურ შეგრძნებათა რეალობამდე აღწევს; აღმქმელისა და აღსაქმელის კონტაქტი უაღრესად საგრძნობია. ჰაგუ-ოგრაფს მალე გადავყავართ საპირისპირო ემოციებით შეფერილ სამ-ყაროში: „...წარჯდეს დღენი რაოდენნიმე, ზრქელ იქმნეს მდელონი იგი და განჯმეს უწინარეს აღმომაცენებელისა და აღმომზრდელისა მათისა მზისა მიერ. აწ დამჭნარნი და შემწუარნი, რამეთუ ყოველი დამატებად ვითარ მბრძოლი რაიმე განმხრწნელი თავისა თვისისა იქმ-ნების... უამი ზამთრისად მოწევნად იყო, რომელთა შინა ყინელსა მიმფენელი ჰაერი მიწასა ზედა არღა მერმეცა უტევებს აღმოცენე-ბად მწუანვილთა და ნერგთა ვორეოსა კერძოთათა და ჩრდილოთ მი-მართ წიაღსლვითა მზისამთა“¹⁶. საგნობრივი სიცხადით დატვირთუ-ლი ამ სურათის შესახებ საგანგებოდ ვილაპარაკეთ ზევით (მეორე თავი).

მთლიანად მოძრაობის ეფექტზეა გამიზნული ბუნების მოვლე-ნების სურათები „ნინოს ცხოვრებიდან“. აი არმაზის კერძოთა მსხერე-ვის ეპიზოდი: „და ვითარცა წამის-ყოფად თუალისად იყო, **დასავლით** ჰაერნი და ქარნი შეიძრნეს და კმა-სცეს ქუხილთა კმითა საზარელი-თა. და აჩნდა ღრუბელი მოწრაფე, ნიშან-საშინელი. და მოილო ნიავ-მან მზის დასავალისამან სული ჯერკუალი სიმწარისად და სიმყრალი-სად. **მაშინ** ივლტოდა ყოველი კაცი სოფლად და ქალაქად. და ეცა მათ დრომ, რამთა შეიჭრნენ კაცნი საყოფლად. და მეყს მოიწია რის-ხვისა იგი ღრუბელი და მოილო სეტყუად ლიტრისა სწორი მას აღ-

15 ასურელ მოლვაწეთა ცხ. წ. ძვ. რელაქციები, გვ. 154.

16 ასურელ მოლვაწეთა ცხოვ. წ. ძველი რედაქციები, გვ. 155.

გილსა ოდენ, და დალეწნა კერპნი იგი, და დაფქვნა და დააწულოლმა, და დაარღვნა ზღუდენი იგი ქარმან სასტიქმან და შთაყარა იგი ცლდესა¹⁷. შეიძლება ითქვას, რომ ამ სურათში კომბინირებულია მოძრავი უცხოურენული ობათა ისეთი მრავალფეროვნება, რომ მათ სრულყოფილად ჯრისაჭმულიყო და მკითხველის შეგრძნებათა მთელი კომპლექსია საჭირო. ხილვისა და შეხების შეგრძნებათა გარდა, აქ მოძრაობაზე მიმართულია როგორც სმენითს („ქარნი შეიძრნეს და კვა-სცეს ქუხილთა ქმითა სახარელითა“ და სხვა), ისე გემოსა და სუნის შეგრძნებებზე („და მოილო ნიავ-გან მზის დასავლისამან სული ჯერკუალი სიმწარისად და სიმყრალისად“). სენსუალისტურ ემოციათა ეს მრავალფეროვნებაც მოძრაობაში გვეძლევა.

აი ბუნების აღქმის ნიმუში გიორგი მთაწმინდელის თხზულებიდან: „და ვითარ იწყეს ლოცვად, პირველ სახარებისა წარკითხვისა გამოჩნდა მცირე ლრუბელი ერისონსა ზედა, და მასვე უამსა აღივსო ცად ლრუბლითა და ვიდრე უამისა ზიარებადმდე შეიქმნა წვმად საში-ნელი, და დაათრო ყოველი ქუეყანაა“¹⁸.

ზოგჯერ ჰაგიოგრაფი ადამიანს ბუნების ფონზე ხატავს. ამ შეძ-ოხევაში მთები, მცენარეები თუ ცხოველები ადამიანის სიახლოვეს იხატება. ისინი ერთმანეთს გამოკვეთენ და განგვაცდევინებენ, რო-გორც, მაგალითად, ამ ეპიზოდში „ნინოს ცხოვრებიდან“: მირიან და ნანა დედოფლის წინამძღოლობით მოზეიმე ხალხი არმაზის დღესას-წაულზე იკრიბება: „...ალივსნეს მთანი იგი დროშახთა და ერითა, ვითარცა ყუავილითა“¹⁹. ყვავილთაგან მთის შემოსვის „უესტია“ აქ სურათის გრძნობადი აღქმის საფუძველი. გიორგი მცირის თხზულე-ბაში კი „ხენი დაფნისანი“ ჯილდოვდება ისეთი მოძრაობით, რომ ჩვენ ნამდვილ პოეტურ სანახაობას ვესწრებით. მწერალი მოგვითხობს, თუ როგორ გადასვენა გიორგი მთაწმინდელმა არსენი ნინო-წმინდელისა და იოვანე გრძელის-ძის ცხედრები ძველი სასაფლაო-დან ლიკრაში: „ხენი დაფნისანი აღმოსრულ იყვნეს საფლავსა მათ-სა ზედა, ხოლო ძირი ხისანი ქუე შთასრულ იყვნეს და გარემოის წმიდათა მათ ნაწილთა მოხუცულ იყვნეს და ესრეთ ვითარცა ცხო-ველთა (ცოცხლებს, — გ. ფ.) ზე ეტვრთნეს პატიოსანნი იგი ნაწილ-ნი მათნი“²⁰.

17 ძეგლები, I, გვ. 121.

18 ძეგლები, II, გვ. 68.

19 ძეგლები, I, გვ. 119.

20 ძეგლები, II, გვ. 133.

ანალოგიურადაა გაცოცხლებული ჩვენს წარმოსახვაში უკროდ ბაჲასაა მრავალუამეული“ (ხმელი), რომელიც სერაპიონ ზარზმელმა მიქელ პარეხელს „გამოულო კელთა მისთა და დაწერებული ქუშუნასა. ხოლო შემდგომად მცირედისა განედლდა და რტულგულფუნდუმა დაგებდა დიდებულსა მას სასწაულსა“²¹. განედლებული ბაია, რტო-გარდაფენით რომ მეტყველებს, იმ მინიატურების ორეულია, რომ-ლებითაც იმეამინდელ ხელოვანთ სიყვარულით შეუმჯიათ ძელი ქართული ხელნაწერები.

საიცარი სისათუთითაა აღვესებულ და იღუმალი რხევით გვიხმობს ხე, რომელიც „პატიოსნისა ჭუარისათვს“ მოეკვეთათ („ნინოს ცხოვრება“) და „მოაქუნდა იგი ათსა ათეულსა კაცსა ზე—ზურტომთურთ და ფურცლით შემოაქუნდა ქალაქად. და მისტყდებოდა ერი იგი მწუანის ფერობასა მას და ფურცლიანობასა ღლეთა ზაფხულის პირისათა, ოდეს სხუად ყოველი ხფ კმელ იყო, ხოლო იგი ყოლადვე ფურცელ-დაუცვნებელ და სულ-ჰამო, და ხედვად შუენიერ იყო. მაშინ ძირსა ზედა აღმართეს კარსა ეკლესიისასა, სამხრითსა. და პბერვიდა წყალთაგან ნიავი და შალვიდა ფურცელსა ხისა მისგან და აძრევდა რტოთა მისთა. და იყო ხილვად მისი შუენიერ და სულ-ჰამო“²².

გარკვეულ სულიერ შინაარსს გვიდგენს ფრინველთა მოქმედებაც ნინოს ჩვენებაში: „...მოვიდიან მფრინველნი ცისანი, შთავიდიან მდინარესა, დაიბანიან და მოვიდიან სამოთხესა მას, და ბაბილოსა მას მოისთულებდიან და ყუავილსა მას ძირდიან, და მოწლედ ჩემდამო ღალადებედ, რეცა ჩემი არს სამოთხე იგი. ვარე მომადგიან უღავილით და კმობედ ჩემდა მომართ მრავალფერად“²³.

ბუნება გამოკვეთილად ფონის როლს ასრულებს ამ ეპიზოდში „დავით გარეჯელის ცხოვრებიდან“. დავითის „...პბრანებისაებრ გამოვიდა ვეშაპი იგი საზარელი ბუდისაგან თვისისა, და წინა უძლოდა მას მჯეცთა ველურებასა აღვრ-მსხმელი ნეტარი დავით. ხოლო სლვასა მის ვეშაპისასა, რეცა თუ იძრვოლეს ლოდნი მის ადგილისანი და იატავი, რომელსა ზედა წარითრეოდა, საგონებელ იყო ძელთა სიძრავლისა წართრევად მას ზედა. რომელი-ესე იხილა რაო ლუკიანე, ზარ-განკლილი და შეშინებული დაეცა პირსა ზედა თვისსა და მდებარე იყო ვითარცა მკუდარი“. დავითმა მთა გადაატარა ვეშაპს, ხოლო

21 ძეგლები, I, გვ. 336.

22 იქვე, გვ. 148.

23 იქვე, გვ. 123.

მდინარის მახლობელ ველზე „...მეყუსეულად ცით შთამოტეჭაბული მენი ეცა ვეშაპსა მას და ალანთო იგი, ვითარცა თივან, და მეყასა შინ ნა სრულებით დაწუვა იგი“²⁴. დავითზე უფრო ამ ეპიზოდში უშუალო მოქმედება მხოლოდ ნახევრებია, მაშინ, როცა ლუკიანეს მოძრაობაზე კი არ „მოგვითხრობენ“, „გვაჩვენებენ“ თვით ამ მოძრაობას, საგნობრივი უშუალობით აღმართავენ ამ მოძრაობის ხატს ჩვენს წარმოდგენაში („ზარგანჯდილი და შეშინებული დაეცა პირსა ზედა თვესა და მდებარე იყო ვითარცა მკუდარი“). კიდევ უფრო ცხოველია ვეშაპის „სლვის“, მეხისცემისა და დაწვის განცდა, ვინაიდან შთამბეჭდავ მოძრაობებადაა დანახული ისინი.

სხვაგან იმავე თხზულებაში დავითისა და ლუკიანეს წყურვილით შეწუხებულ სახეებსა და სიარულით მიქანცებულ ფიგურებს ასეთნაირად ვხედავთ: „...წყლისა მოქენეთა აღსუბუქებად შინაგანსა შემწუველობასა მზისა დასავალთასა პოვეს რომელსამე ნაპრალსა შინა კლიდისასა წყალი მცირე, ცუართაგან წვმისათა შეკრებული, და ამისგან მიმღებელთა სუეს რაოდნ დამაცხრობელად წყურვილსა შემაშფოთებელსა, სადა აჩრდილსაცა მიმთხუეულნი და ნახეთქსა რომელსამე ქუეშე კლიდისასა მცირედ განსუენებად მიდრეს, ვითარშრომათაგან გზისათა მოუძლურებულნი“²⁵.

ჩვენ საგანგებოდ ვუვლით გვერდს პერსონაჟის გარეგნობის ისეთ აღწერილობებს, როგორიცაა, მაგალითად, გრიგოლ ხანძთელის პორტრეტი მერჩულის თხზულებიდან: „იყო ხილვითა დიდ, კორცითა თხელ, ჰასაკითა სრულ, ყოლად კეთილ, სრულიად გუამითა მრთელ და სულითა უბიწო“²⁶. ან დავითის პორტრეტი „დავით და კონსტანტინეს წამებიდან“: „იყო დავით უხუცეს დღითა, ჰაეროან და სპერტა კორცითა, მოწაბლე თმითა, შუენიერ გუამითა და კშირ წუერითა“²⁷. არ შეიძლება არ გვაოცებდეს ქრისტიანი მწერლის შეუფარავი აღტაცება ადამიანის სხეულის მშვენიერებით, მაგრამ ორსავე შემთხვევაში სუსტია მხატვრობა, აქ სწორედ აღწერილობაა და არ არის ხატი, გრძნობადი უშუალობით ვერ ვხედავთ იმ საგანს, რომელზეც მოგვითხრობენ. სხეულის სილამაზის აქ ჩამოთვლილ დე-

24 ასურელ მოღვაწეთა ცხ. წ. ძველი რედაქციები, გვ. 160—161.

25 იქვე, გვ. 152.

26 ძეგლები, I, გვ. 250.

27 ჩვენი საუნკე. ტ. I, გვ. 437.

ტალთა ერთ გრძნობად ხატში მოკრება, როგორც ლესინგი მამობს
მსგავს შემთხვევაში, ალემატება ადამიანური წარმოდგენის ძალის,
თუ აღნიშნული დეტალების სათანადო კომპინაცია უფრო უფრო მქონებოდა ფერწერულ ტილოზე, ისინი ვერ ქმნიან პროცესს მასში,
როცა სიტყვიერი შემოქმედება ხელოვნების მონათესავე დარგის
კვალს მიყვება. ლესინგს მოაქვს ანალოგიური მაგალითები არისტოს
პოეზიიდან და ცხადყოფს მათს უნაყოფობას.

განასახიერეთ, ამბობს ლესინგი, ის კმაყოფილება, სწრაფვა,
სიყვარული, ალფროთოვანება, რასაც აღძრავს სილამაზე, და ამით
განასახიერებთ თვით სილამაზეს. საილუსტრაციოდ მოტანილია
„ილიადის“ ის მონაკვეთი, როცა ელენე გამოჩნდება ტროელი ხალ-
ხის უხუცესთა კრებაზე. მხცით შემოსილნი ერთმანეთს ეუბნებიან:

„შეხვერს ვერ დასდებ ტროელებსა და შშევნიერ საბარკულიან აქაველუას,
რომ ამ ქალისთვის ხანგრძლივი უბედურებისათვის შეიცათ თავი;
სწორედ რომ უკვდავთაგანი ქალმერთის ბადალია იგი სახიერად“.

„რა მოგვცემს უფრო ცოცხალ წარმოდგენას ამ მომხიბვლელ
სილამაზეზე, — განმარტავს ლესინგი, — თუ არ ვნებაგაციებული
მოხუცების აღიარება, რომ იგი ღირსია ომისა, რომელიც ასე ბევრი
სისხლი და ცრემლი დაჯდა“²⁸.

შიო მღვიმელის მეტაფრასულ „ცხოვრებაში“ არის ერთი სუ-
რათი, რომლის მხატვრული კონსტრუქცია ჩამოგავს სცენას „ილი-
ადიდან“. ხელ-განცყრობით ცათა მიმართ მზირალ შიოს წარმოუდგება
ლვთისმშობელი: „და იხილა ქუაბისა მის კარსა მდგომარე დედაკაცი
ყოვლად დიდებული, რომლისა განცდად ულონო იყო, ხოლო ერთი
სხუად სახით მოლუაწეთახთა მამაკაცი ყოვლად დიდებული და სიშ-
რავლე ფრიად ერთა ზეცისათა, რამეთუ განლებულ იყო ზედა კარ-
ძო კლდისა მის, სადა იყო მცირე იგი ქუაბი და ცადმდე იხილვებო-
და მწყობრი ანგელოზთამ, რომელნი გალობდეს გალობასა სამწმა-
დასა ტებილითა რახთმე და მიუთხრობელითა ქმითა და ყოველნი
იყვნეს ნიშითა ჯუარისამთა შეჭურვილ, ხოლო საშინელებისა მისგან
დავაზრდა ნეტარი შიო ქუეყანასა ზედა, რამეთუ ვერ იტვრთვიდა
ბრწყინვალებასა მას განუდელსა, რომელი დედაკაცისა მისგან გა-
მოჰკრთებოდა“²⁹. ვინც ამ სურათს ქმნის, რა თქმა უნდა, იცის ფასი

28 ლაიკი ი. ცტ. 243—244. „ილიადიან“ მოხმობილი სტრიქონების
თარგმანი ძველი ძეგლის უნიდან ეკუთვნის გიგლა სარიშეოს.

29 ასურელ მოღვაწეთა ცხოვ. წ. ძვ. ჩედაქცები, გვ. 94—95.

თავისი ნახელავისა, იცის, რა ძალუძს სიტყვის ხელოვნებას. მაგრამ, ამჯერად კი ესაა ჩვენთვის მთავარი, მან ასევე კარგად იცის,  ძალუძს პოეზიას. მას, ჩვენგან უსახელოდ მიფარებულ ფქსტატერული პოეტური სიტყვისა, ნანახი ექნებოდა არა ერთი დიდებული ფრაგმენტის თუ ხატი ქართული ტაძრების ნიშებში (ეგებ ბიზანტიაშიც), რომ-ლებზედაც ღვთისმშობლის ქალწულებრივი სილამაზე პირისახის ყოველ ნაკვთსა და ხელების გრაციოზულ უესტშია დაუნჭებული. სიტყვის ხელოვანმა სრულიად შეგნებულად აუარი გვერდი დედოფლის სილამაზის ყოველგვარ აღწერილობას (გამოიყენა ერთადერთი ეპითეტი — „ყოვლად დიდებული“) და იმ ზემოქმედების განსახიერებით, რაც ღვთისმშობლის სილამაზემ მოახდინა, თვალსილულად გვაჩიარა ამ სილამაზეს. ლესინგის სიტყვებით რომ ვთქვათ, რა მოკვეუმდა უფრო ცოცხალ წარმოდგენას ხილულ სილამაზეზე, თუ ამ ის, რომ მხილველი დაემხო მიწაზე, „რამეთუ ვერ იტვრთვიდა ბრწყინვალებასა მას განუცდელსა, რომელი დედაკაცისა მისგან გამოკრთებოდა“. უმაღლესი სილამაზე გარდასახულია თვალშეუდგაშ სინათლედ, რომელიც გვაბრმავებს. მწერლის ესთეტიკურ ალოს საზრდოს, ალბათ, ქრისტიანული ფილოსოფიაც აძლევდა, რომლის თანაბმად, ჩვენს თვალებს არ შეუძლიათ განსცვრიტონ თვით ბუნება სინათლისა, ე. ი. მზის სუბსტანცია (ორიგენი). აღქმის საგანი, რომელიც ძალიან ალემატება აღქმას, შლის ან აჩლუნგებს გრძნობის ორგანოს. ,

როცა „შიოს ცხოვრების“ ავტორს კიდევ ერთხელ დასჭირდება ღვთაებრივი გარეგნობის პოეტური წარმოჩინება, მწერალი იმავე გზით აღწევს მხატვრულ ეფექტს. შიოსა და ევაგრესთან მოვა ქართლის მეფე ფარსმანი. შიო „...გამოვიდა კარსა ზედა ქუაბისასა. მიხედნა უკუ მეფემან და იხილა რამ ხატი მისი, ზარი განკდა, რამეთუ მადლი რამე ღმრთისამ იხილა მის ზედა საშინელი და მყის დააგდო ქუეყანად შარავანდი მეფობისამ და განიჯსნა სარტყელი და მიისწრაფა და დავარდა ფერწა თანა ბერისათა“³⁰. რა თქმა უნდა, როგორც პირველს, ისე მეორე შემთხვევაში, ბრწყინვალება, რომელიც აბრმავებს და „ზარ-განხდილს“ ქმნის მჟღვრეტელს, არ არის წმინდა არქიტექტონიკული სილამაზიდან წარმომდგარი, იგი მშვენიერი სულის ექია, გამონაშუქია. მაგრამ საინტერესო ისაა, რომ უშამლესი სულიერი სინათლე გარეგნულ ხატში გარდატეხილად მოგვეფინება, შინაგანად მსვეალავს არქიტექტონიკულ ფორმას.

³⁰ ასურელ მოღაწეთა ცხოვ. წ. ძვ. რედაქციები, გვ. 109—110.

გარეგნული სილამაზის სიტყვიერი მოდელირების ეს გზა გვკ-
ნობიერებული საეკლესიო მწერლის მიერ, გაზიარებული ჩანს „უ-
ფხისტყაოსანში“. გავიხსენოთ „ამბავი ტარიელის გამინურებისა“:

„ასმათ ფარდაგასა ახილნა, გარე ვდევ მოფარდაშუ შესაბურებელი ერთეული
ქალა შევხედენ, ლახვარი შეცა ცნობასა და გულსა“.
„დავეცი, დავგნდი, წამიხდა ძალი მხართა და მეღავისა“.

ფატმანი ასე „აღწერს“ ნესტანის გარეგნობას:

„რა მობრუნდა ქალი ჩემქე, შემოადგეს სხივი კლდესა,
ღაწვთა მისთა ელვარება ელვარებდა ზესთა ზესა;
დავიწუხენ თვალნი, ყოლა ვერ შევაგენ, ვითა მხესა“.

იმ შთაბეჭდილებისა და ზემოქმედების ხატოვანი წარმოსახვა,
რასაც გმირის გარეგნობა ახდენს, ხდება საფუძველი ამ გარეგნო-
ბის პოეტური სურათისათვის. ამიტომ ლაქონიური მონახაზიც ვი-
ორგი თოონელის შესახედაობისა — „იყო რად კორცთა შინა, კორც-
თაგან მიცვალებულ იყო“³¹, ცხადად და ხილულად აღიქმება, თუმცა
იგი სწორედ სინამდვილის, ხორციელი სინამდვილის განლევას წარ-
მოგვიდგენს. ანდა გავიხსენოთ ექვსი წლის ნაწამები შუშანიქის ასე-
ვე ლაქონიური პორტრეტი: „არცალა მცირედ სადა სცა კორცთა
მისთა განსუენებამ, და შეიქმნა და დადნა ვითარცა ავლი“³². წარმო-
სახეის მატერიალიზაცია იმით ხერხდება, რომ „კორცთაგან მიცვა-
ლება“ უშუალო და ცოცხალ მდინარებაში გვეძლევა. იგვე განა-
პირობებს ბერი მატოს გარეგნობის შთამბეჭდავობას გიორგი მერ-
ჩულის ნაწარმოებში: „...გარდარეულისა შრომისაგან მოუძლურდა,
რამეთუ მოუკლებელი ლოცვამ, წყურილი და შიმშილი მარადის, და
უძილობამ, ზედგომამ და მუქლთა მოღრეკამ ფრიადი აქუნდა ნე-
ტარსა მას, დასცემდა ვნებასა კორცთასა და სულისა მტერნი მო-
უძლურნა“³³.

არც გრიგოლ ხანძთელის იმ პორტრეტს აკლია გრძნობადი უშუ-
ალობა, რომელიც ჯავახეთის კრებაზე შეკრებილ ბერ-მონაზვნებს
წარმოუდგათ: „...იგი მომავალი კარაულითა შორის კრებულსა მას
მამათასა საკურველად ხილვითა. რამეთუ სამოსელი იგი შეურაცხი,
რომელ ემოსა მოხუცებულსა მას, ესრეთ ჩნდა, ვითარცა სამოსელი
ნათლისა ბრწყინვალისა განუცდელისამ. ხოლო თავსა მისსა კუკული

31 ძეგლები, II, გვ. 186.

32 ძეგლები, I, გვ. 24.

33 იქვე, გვ. 284.

ახილვებოდა, ვითარცა გვრგვნი სამეუფოო პატიოსანთა თუალთა და
შარგალიტთაგან ფასდაუდებელთა აღმყული³⁴. ასე წარმოუდგება
მთავარი გმირი სხვა პერსონაჟებს, ასე „ხედავენ“ ისინი გრიჭარაში წარმოიქმნა
ერთი პერსონაჟის მიერ მეორის აღქმაც იმავე საშუალებითაა (ზორ
ასობა) განხორციელებული, რომლითაც მკითხველს საერთოდ წარ-
მოუდგება ყველა გმირი. პერსონაჟის „ხედვა“ აქ მიღწეულია რო-
გორც გმირის მოქმედების, ისე იმ შთაბეჭდილებისა და გაოცების
განსახიერებით, რომელსაც სულიერი მამის გამოჩენა აღძრავს მის
თაყვანის მცემელთა შორის. აი შთაბეჭდილების ფიქსაციაზე დამყარე-
ბული ზოგადი ხატი გარეგნობისა ბასილი ზარზმელის თხხულები-
დან: სერაპიონსა და მის მოწაფეებს ტბის ნაპირებიდან გადმოხეთ-
ქვის საშინელების მნახველი „...კაცნი იგი უცხონი — ვითარცა მკუ-
დარნი ხილვითა“³⁵ წარმოუდგებათ.

პოეტური წარმოსახვის მატერიალიზაციის ხელოვნებით იაკობ
ხელვესი განსაკუთრებით გამოიჩინა. ეს ეხება არა მხოლოდ იმ
შემთხვევებს, როცა მწერალი გმირის სულიერ სამყაროს ასურათებს.
შეტყველ უსტსა და მოძრაობაში პერსონაჟის გარეგნობასაც თვალ-
საჩინოდ ვჰვრეტთ. აი ერთი მაგალითი. გატანჯული დედოფალი
ვარსექენს სასახლეში მიჰყავს: „და ეგრეთ წმიდად შუშანიკ თქევით
მოითრია თიკათა შიგან და ეკალთა ზედა ეკლესით ვიდრე ტაძრადმ-
დე, ვითარცა მკუდარი მიეთრია. და ადგილდ-ადგილდ ქუე ძეძვ დაეფი-
ნა. და თვთ ფერწნი დაიღნის ძეძუსა მას ზედა, და კუბასტნი შუშანი-
კისნი და კორცი წულილ-წულილდ დაებძარნეს ძეძუსა მას“³⁶. ისე
ზუსტია მწერლის თვალი მოძრაობათა შერჩევისას, რომ ფიზიკუ-
რიდაც კი განვიცდით გმირის ტკივილებს. ყველაზე ძლიერ შთაბეჭ-
დილებას მაინც ტკივის შუშანიკის ის გოდება, რომელშიც დედოფ-
ლის მომხიბლავი გარეგნობა იქვეთება: „...მან უკამოდ ნაყოფნი
ჩემნი მოისთულნა და სანთელი ჩემი დაშრიტა და უუავილი ჩემი და-
აჭნო, შუენიერებას სიკეთისა ჩემისაა დააბნელა და დიდებაა ჩემი
დაამდაბლა“³⁷. აქ პირისპირ ვდგავართ წარმოსახულთან, სახეში
გვცემს სიცივე მსახვრალი ხელის თარეშისა, ნაყოფთ რომ უცამოდ
სცელავს, სანთელს შრეტს, ყვავილს აჭნობს, მშვენიერებას წყვდია-
დით მოსავს და დიდებას მიწასთან ასწორებს. ეს ხატი ნიმუშია იმ

34 იქვე, გვ. 287.

35 ძეგლები, I, გვ. 332.

36 იქვე, გვ. 19—20.

37 იქვე, გვ. 26—27.

დებულებისა, რომ სიტყვიერი ხელოვნებისათვის მოქმედებს მენტია უახლოესი არქიტექტონიკული სილამაზის საწყდოძალ.

ქართულ ჰაგიოგრაფიაში რამდენიმე ბატალიური სტრიქონული და ტერიტორიული გაშლილ სივრცეში სხეულთა პოეტური წარმოშობის სტრიქონული განვითარების სიტყვის ხელოვნების ფუნდამენტური კანონზე-მიყრების ცოდნისა და რეალიზაციის ბეჭდინი მაგალითებს იძლევიან. შეუდარებელია ამ მხრივ აბულ კასიმის საქართველოში შემოსევის სურათი, სტეფანე მტბევარისაგან დახატული. „გარე შეადგეს კარვები იგი მათი, ვითარცა თოვლი“, „და საბელნი კარვებისა მათი-სანი განეთხნა ურთიერთას“, „სიმრავლე ტყორცებულთა მათ ისარ-თად შეიპყრობდა ჰაერსა მზისასა“, „დაპხოცდეს მბრძოლთა მათ და დაპყრიდეს ჭორცა მათთა, ვითარცა სკორესა“, „ვითარცა მკალნი მოსჭამდეს ფურცელსა ხეთასა და მწუანვილოვანსა ქუეყანისასა“, — აი ის მოძრაობანი, რომელთა დინამიკურ რიტმში და ინდივიდუალურ შინაარსში მეითხველის თვალწინ გადაიშლება აღმაინის ფი-გურებით, საგნებით, შუქჩრდილებით და განწყობილებებით მდი-დარი ეპიური ტილო.

სტეფანე მტბევარის ნახელავს მხოლოდ ერთი სცენა თუ „შეიძლება ამოვუყენოთ გვერდში „ნინოს ცხოვრებიდან“: „სამთავე კართა სცა ზარსა ლაშქარმან ძლიერმან და დალეშწეს კარნი ქალაქისანი, და აღივსო ქალაქი სპარსთა ლაშქრითა და მეყსეულად შეიქმნეს ზარის აღსაფდელი ზრინვანი და ყივილნი და კლვად ერისამ, ვოთარმცა სისხლი დიოდა. და აღივსო ყოველი ადგილი. და მოვიდა ჩუენზედა სიმრავლე ზახილთამ და მახვლთამ, და დაღნეს ჭორცნი ჩუენნი და განილია სული ჩუენი“³⁸. ეს არის ემოციური შინაარსით უაღრესად დატვირთული სურათი. დატვირთულობა განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით: პოეტურ ხილვათა სიხშირით, სწრაფი მონაცვლეობით და შინაგანი ინტენსივობით. სურათის პლასტიკურ-საგნობრივი შინაარსის შემქმნელ მოძრაობათა რიცხვი სამი წინადადების მანძილზე ათხე მეტია; თვითეული მათგანის სიტყვეერი მოცულობა უაღრესად მინიმალურია; პოეტური ხილვის შინაგანი ინტენსივობა კი განსახიერებული მოძრაობის შინაარსითა და ამპლიტუდით მიიღწევა. ყოველ მოქმედებაში არის სხვადასხვა საფეხური, ყოველ მოძრაობას აქვს სხვადასხვა ამპლიტუდა, გაქანება. მწერალი ცდილობს გაქანების უმაღლეს წერტილში იღიქვას მოძრაობა, ყოველი მოქმე-

დება თუ მდგომარეობა გამოვლენის უმაღლეს ხარისხამდე აყვანი-
ლად განაცლევინოს მყითხველს. ჩევნი მზერა და სმენა შესამჩნევად
იძაბება ამგვარ შოძრაობათა მთელი კომპლექსით: „სამთავე კართუ-
ლის ზარსა ლაშვირმან და დალექწეს კარნი ქალაქისანი“, „უშვილის მოედანი ზარის ალსახდელი ზრინვანი და ყიფილი და კლვად ერისად“, „ძოვი-
და ჩუენ ზედა სიმრავლუ ზახილთად და მახვილთად“, „დადნენ ჭორუ-
ნი ჩუენნი და განილია სული ჩუენი“. თუ იმ გარემოებასაც არ ჩავ-
თვლით შემთხვევითობად, რომ სამი წინადაღების ფარგალში ათვზის
მეორედება კავშირი „და“, შინაარსობლივად ინტენსიური პასაკი ბედ-
ნიერად მიგნებულ დინამიკურ რიტმში გაფორმებულად წარმოგვიდ-
გება.

39 ქავლები, I, გვ. 127.

40 ქეგლუბი, I, ვ. 133.

41 ०३३०, ३३. १५५.

შთათა ჩამოქცევისა და წყალთა გარდმოხეთქვის ხატში ვჰკორის ამ
თრთოლვას ნინოსა და „ათორმეტთა დედათა“ ხილვაში: „უთარცა
შუვა ღამე ოდენ იყო, წარმოიქცეოდეს ორნი ესე მფანერულებული
ზადენ, რეცა თუ ესრულ ჩამოირლუვეოდეს, და დაუენდეს უწულევი
წყალნი იგი.. და მტკუარმან გარდამოხეთქა და წარპქონდა საშინე-
ლად ქალაქი. და მიერ შეიქმნეს კმანი საშინელნი და საზარელნი
ტყებისა და სივრცოლისანი. ეგრევე არაგვ გარდამოკლა ციხესა ზე-
მოთ და იქმნებოდეს საშინელნი გრგვნვანი“⁴². ამ ხილვას თვით ნი-
ნო ასე ხსნიდა და „....ღალადებდა: „ნუ გეშინინ, დანო ჩემნო, მთანი
იგი მუნვე ჰგიან და წყალნი იგი მუნვე დიან და ერსა ყოველსა სძი-
ნავს, ხოლო ესე, რომელ რეცა მთანი დაირლუეს, სამართლად გუა-
ჩენებს, რამეთუ ურწმუნვებისა მთანი დაირლუეს ქართლს შიბა
და წყალნი, რომელ დაეყენნეს, დაეყენა სისხლი იგი ყრმათა ეშმაკ-
თა შეწირვასამ, ხოლო კმანი ესე ტყებისანი არიან ეშმაკთა სიმრავ-
ლისანი, რამეთუ ეგლოვიან თავთა მათთა ოჯრებასა, რამეთუ არიან
იგინი მეორტ ამით ადგილით ძალითა მაღლისამთა და ჯუარითა ქრის-
ტიშითა“⁴³. შეგუბებული წყალი, რომელმაც „გარდამოხეთქა და
წარპქონდა საშინელად ქალაქი“, კერპებისადმი შეწირულ ყრმათა
სისხლზე გვესაუბრება. ქართველთა წინაპრების მიერ კერპებისაღ-
მი ჩვილთა შეწირვის თემას კიდევ ერთხელ უბრუნდება ავტორი
„წიგნში, რომელი დაწერა მირიან მეფემნ ქართლისამან უამსა სი-
კუდილისასა“. ტრაგიული ექსტაზის მწვერვალამდე აღწევს ასეთი
წარმოსახვა: „და შეკამნეს შვილნი მათნი მსხუერპლად კერპთათვს
საძაგელთა, და უბრალოდ იგი ერი ქუეყანისამ მის. და რომელნი
შვილთა მათთა ვითარცა თივასა თიბდეს, მამანი ჩუენნი, რათა სათ-
ნო ეყვნენ კერპთა...“⁴⁴. მისივე ბადალია ხატი: „....დადნეს კორცი
ჩუენნი და განილია სული ჩუენი“. იგი ჩამოგავს ერთ პასაქს ნეტარი
ავგუსტინეს „აღსარებიდან“: «...Я носил мою растерзанную
и окровавленную душу, и не мог ее вынести, и не
находил места, куда положить ее»⁴⁵ (ხაზი ჩვენია. გ. ფ.). ახალ
ქართულ პოეზიაში ნიკოლოზ ბარათაშვილმა დაუდგა თავისი ლირი-
კული გმირის გალეულსა და მიქანცებულ სულს ასევე ხელთუქმნე-

42 იქვე, გვ. 139.

43 იქვე.

44 ძეგლები, I, გვ. 158.

45 История эстетики. Памятники мировой эстетической мысли, т. I,
стр. 262.

ლი ძეგლი („გინახავთ სული, ჯერეთ უმანქო, მხურვალე ლოცვით
გიქანცებული?..“).

დიდი ხელოვანის ფანტაზიას ძალუძს შვას ასეთი პოეტური ქართული
ნახაობა: „წყალნი აღმართ დიოდეს“, რომელიც მერე ასეთ ჰადაბეჭირით იმარ
ჩებას მიიღებს დავით აღმაშენებლის საგალობელში: „...ხუთქალა-
ქელთა შეგინებისა მწვრე უფროსად ვამრავალშილე, ვითარცა რად
აღმართ მსრბოლმან მდინარემან უკეთურებისამან“⁴⁶. დიდი მწერ-
ლის ხელში იძენენ უბრალო სიტყვები ამდენ ძალას: „...ხოლო დაი
მისი მიეგბევოდა შესუარული ცრემლითა, ვითარცა სისხლითა“⁴⁷.

მოხმობილ პასაკებზე თანაბრად ვრცელდება ის დასკვნა, რაც
ზემოთ ერთ სურათზე დაკვირვებისას მივიღეთ: თორქმის ყველა მოძ-
რაობას გაქანების უმაღლეს წერტილზე, მდგომარეობას უმაღლეს
ხარისხში აღიქვამს და განგვაცდევინებს მწერალი (ქრისტეს ნათელს
ზიარებული ბრანჯნი სამაღლობელ ღალადისს აღუვლენენ მას, „...რო-
შელი არს უფროს უმაღლეს ყოველთა მაღალთა და უქუესქნელეს
ყოველთა ქუესქნელთა“). „ნინოს ცხოვრების“ ავტორს სტატიიური
ყოფის ხატვა არ იზიდავს და ხშირად გვამყოფებს ესთეტიკური და-
ძაბულობის ზღვართან. მოთხოვთ მთელ სიგრძეზე იგრძნობა შე-
ნაგანი დრამატული წევა. თუმცა იძავე მწერლის ნახელავია ვარდ-
თა და ნუშთა ყვავილობის უამს „ეკალთა შინა ვარდისათა“ მარტოდ-
შთენილი ნინოს ხატი (იხ. წინა თავი), სადაც იმდენი სინაზე და ლა-
მაზი მოწყენილობაა, რამდენიც მხოლოდ იმ ფრესკებზე გვინახავს,
მოციქულს რომ ღვთისმშობლის თმებით შეკრული ჯვარი ვაზისა
უპყრია ხელთ.

ზემოთ უკვე მოხსენიებულ თხზულებაში სტეფანე მტბევარს
მაპმადიანთაგან ქართველთა ხოცვა-ქლეტის ასეთი შემაძრწუნებუ-
ლი სურათი აქვს დახატული: „...ვითარცა მკეცნი ბოროტნი გნძვე-
ბულნი შეერინეს აღრეულად და ერთიერთსა უსწრობდეს, რომელნი-
მე მახვლითა სცემდეს, რომელნიმე პოროლითა და ისრითა შესჩუ-
ებდეს და დასჭრიდეს კორცთა მათთა, დანებითა განაპებდეს, და
ლკძლები იგი მათი, ვითარცა ძალთა პირითა განეტაცა, და ესრულ
დასთხინეს სისხლნი მათნი, და ესრულ იქმნა წამებად მათი
ქრისტის მიერ“. მოყვასთა ამ ულეტას საგანგებოდ აუზრებინებენ
გობრონს: „...ცემასა მას მათსა უწყალოდ სისხლი მათი ეპკურებო-

46 ქართული პოეზია (15 ტომად), ტ. I (V—XII ს.), 1979, გვ. 166.

47 ძეგლები, I, გვ. 129.

და მას, და რომელიმე გუამი დავარდის მის წინაშე და რომელისამე გუამი შეგორდის ქუეშე ფერკთა მისთა⁴⁸. ხოლო „დაეთ და კონსტანტინეს წამებაში“ ღრუბლის, მკალისა და მუმლის შემცირებულისა—სურათხატებული მურვან-ყრუს ლაშქრის შემოსევა: მწიდარი მუს მის ეფინა ვითარცა ღრუბელი ბნელისათ, სიმრავლითა, ვითარცა მკალი და მუმლი, არეთა ჩრდილოსათა და დაფარა პირი ქუეყანისად⁴⁹.

ქართულ ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში, როგორც საერთოდ ქრისტიანულ ლიტერატურაში, სუსტია ბუნების მოვლენების, საგანთა გარემოსა და აღამიანის გარეგნობის მხატვრობა. ეს მომენტი აღვილად ასახსნელია ქრისტიანული ცილოსოფიის საფუძველზე, რომელიც ბუნებრივ-გრძნობად გარემოში არ ჭრეტს სუბსტანციას: „ზღვებმა, მთებმა, მდინარეებმა და ხეობებმა, წყაროებმა, დრომ ზაღამებმ, ისევე როგორც ბუნების საყოველთაო პროცესმა, დაყარგეს თავიანთი მნიშვნელობა აბსოლუტურის განსახიერებისა და შინაარსთან მიმართებაში. ...ყველა დიდი საკითხი სამყაროს წარმოშობის შესახებ, საკითხები იმის შესახებ, თუ საიდან მომდინარეობს, რის-თვის არსებობს და საით მიემართება შექმნილი ბუნება და კაცობრიობა... დაიკარგა ღვთაების სულში ხილვასთან დაკავშირებით“. სულიერ სფეროში კი ჭრელი, ფერადოვანი სამყარო კლასიკურად ფორმირებული ხასიათებისა, მოქმედებებისა, ამბებისა ერთი წერტილისაკენ მიიმართა. „ამის წყალობით მთელი შინაარსი კონცენტრარებულია სულის შინაგან ცხოვრებაზე, გრძნობაზე, წარმოდგენაზე, გულზე...“⁵⁰. ყველა ეპოქის ლიტერატურა თავის ძირითად ამოცანას აღამიანის სულიერი სამყაროს გამოსახვაში ხედავს. ამ მხრივ ქრისტიანული ხელოვნება გამონაკლისს არ წარმოადგენს. განსხვავება იმაშია, რომ სხვადასხვა ეპოქისა და მსოფლგანცდის ლიტერატურას სხვადასხვაგვარად ესმის კავშირი სხეულისა და სულისა, გრძნობადმატერიალური სინამდვილით სულიერი სინამდვილის განპირობებულობა. თუ ანტიკური მსოფლგანცდა ამ ორ მომენტს შორის ტოლობის ნიშანს სვამს იმ პირობით, რომ ამოსავლად მატერიალური სინამდვილე მიიჩნევა, ქრისტიანობა ერთადერთ სინამდვილეს სულიერ ცხოვრებაში ხედავს. აქედან გამომდინარე, ქრისტიანული მწერლობა გამოკვეთილად აღამიანის სულის მწერლობაა.

48 ძგლები, I, გვ. 180—181.

49 ჩვენი საუნგვ, I, გვ. 436.

50 გეგელი, Сочин., т. XIII, с. 94.

ადამიანის სულიერი სამყაროს გამოხატვაც პოეზიაში მოქმედების — ქცევის, უესტის, სიტყვიერი უესტის და საკუთრივ ჟურნალურული სულიერ მოძრაობათა საშუალებით ხდება. სწორედ „მოქმედებული“ სულიერ ნათელი და გამომსხველი გადმოშლა ადამიანისა, უველაზე ნათელი და გამომსხველი გადმოშლა როგორც მისი გუნება-განწყობილებისა, ისე მიზ-გადმოშლა როგორც მისი გუნება-განწყობილებისა, ისე მიზ-ნებისა. ის, რასაც ადამიანი წარმოადგენს თავის ულრმეს სა-ფუძველში, პირველად განხორციელდება მხოლოდ ქმედების საშუა-ლებით...“ თუმცა ფერწერასა და ხელოვნების სხვა დარგსაც ძალუშს მოქმედების გადმოცემა უესტით, მიმიკითა და სხეულთა ურთიერთ-მიმართებით, მაგრამ ამ გზით მოქმედების მხოლოდ ერთი მომენტის ფიქსირება შეიძლება. დასახელებული საშუალებები, გამოსახვის ნადაც ქმედება სულიერი წარმოშობისაა, იგი უდიდეს სიცხადესა და ნადაც ქმედება სულიერი წარმოშობისაა, იგი უდიდეს სიცხადესა და განსაზღვრულობას სულიერ გამოხატვაში, სიტყვაში იღებს“. ამიტომ განსახიერება მოქმედებისა, როგორც ასეთისა, „....უპირატესად პო-ეზის საგნს შეადგენს“⁵¹.

ამგვარად, არა გარეგნული სახე ადამიანისა და საგნისა, არამედ მოქმედება, ფსიქოლოგიური კომპლექსის მოძრაობა შეადგენს უმ-თავრეს საგანს პოეზიის; ესაა პოეტური ხელოვნების უველაზე სპე-ციფიკური შინაარსი, ჰეგელის განმარტებით. თუ ლესინგმა მხატვ-ციფიკური შინაარსი, ჰეგელის გამოიჭნა მასალის (ფერი და სიტყვა) საშუალებით, რობა და პოეზია გამოიჭნა მასალის (ფერი და სიტყვა) საშუალებით, ჰეგელი უფრო შორს წავიდა და ხელოვნების ეს ორი მომიჯნავე სფერო სპეციფიკური შინაარსის (საგნის) მიხედვითაც განსახვავა.

ლიტერატურული ნაწარმოების სიმძიმის ცენტრი ამა თუ იმ უ-ხის უესტის მხატვრობაშია, ვინაიდან მასში და მისი საშუალებით მოჩანს ის, „რასაც ადამიანი წარმოადგენს თავის ულრმეს საფუ-ველში“.

გორქის უთქვამს, რომ ჭეშმარიტ პოეზიასთან მაშინ გვაქვს საქ-მე, როცა „სურვილი გებადება განსახიერებულს ხელით შეეხო“. ამისათვის საჭიროა, რომ პოეტურმა სიტყვამ „მკითხველის შეხსიე-რებაში უმაღვე გაამყაროს მოძრაობა, განსახიერებული პირის მეტყ-ველების მიმოხრა და ტონი“⁵².

⁵¹ Гегель, Лекции по эстетике, Сочин., т. XII, стр. 223.

⁵² М. Горький, Собр. сочин. в тридцати томах, т. 24, М., 1954, стр. 489—490.

ალექსეი ტოლსტოის ლიტერატურულ წერილებში პარი მართვა საყურადღებო შენიშვნები: „უესტში მე ვგულისხმობ არა მოლოდ ხელის უესტს, არამედ ადამიანის მთელს შინაგან ძლიერობულობაზე ცემულ წამში, ყველა მის მისწრაფებას“; „უესტს, პრიჭუჩანუ ეს მშენებლის მოძრაობას, უესტს, როგორც სულის მოძრაობას“. „ადამიანი გამუდმებით აეთებს უესტიყულაციას. ნუ გაიგებთ ამას სიტყვის უხეში აზრით. ზოგჯერ უესტი — ეს არის განუხორციელებელი ან შეკავებული სურვილი უესტისა. მაგრამ უესტი ყოველთვის უნდა იქნას გამოცნობილი...“⁵³. თუ დაჭერილია ცოცხალი და გამომსახველი უესტი, ფორმის ამ გამჭვირვალე კომპონენტს იქეთ იკვეთება ხასიათი, ბუნება იმ ადამიანისა, საგნისა (მხატვრულ სინამდვილეში საგანიც გარკვეული უესტითავა ალტურვილი; გავიხსენოთ თუნდაც ზემოა უკვე მოხმობილი ეზოს სურათი „კაცია ადამიანიდან“) თუ მოვლენისა, რომლის ექოდაც გვევლინება ეს მოძრაობა.

აი ერთი ეპიზოდი „შუშანიკის წამებიდან“. დედოფალმა ვარსკენის შივრიკისაგან გაიგო ქმრის გამაზდეანების ამბავი. „ვითარცა ესმა ნეტარსა შუშანიკს, დავარდა იგი ქუეყანასა ზედა და თავსა დამართ სცემდა და ცრემლითა მწარითა იტყოდა: „საწყალობელ იქნა უბადრუკი ვარსკენ, რამეთუ უვარყო ჰეშმარტი ლმერთი და ალი. არა ატროშანი და შეერთო იგი ულმრთოთა“. და ალდგა და დაუტევა ტაძარი თვისი და ღმრთის მოშიშებით ეკლესიად შევიდა, და თან მიიყვანნა სამნი იგი ქენი მისნი და ერთი ასული...“⁵⁴. ჩვენ ვხედავთ მკვეთრ მოძრაობათა რიგს: ქმრის ამბავი რომ გაიგო, „დავარდა იგი ქუეყანასა ზედა და თავსა დამართ სცემდა და ცრემლითა მწარითა იტყოდა... ხოლო შემდეგ შუშანიკი „ალდგა და დაუტევა ტაძარი“, „ეკლესიად შევიდა, და თან მიიყვანნა. სამნი იგი ქენი მისნი და ერთი ასული...“. მკითხველს პირველი წარმოდგენა უჩნდება გმირის ხასიათის შესახებ: ეს ქალი ღრმა რწმენის, მტკიცე ნების და თვის შინაგან ძალაში დაჭრებული არსება უნდა იყოს.

შუშანიკი საღმომდე ეკლესიაში დარჩა. აქ მას საშუალება ჰქონდა თვის ფიქრებთან განმარტოებულიყო, გაეზომ-აეწონა თავისი ნაბიჯი, ქმრის მოსალოდნელი რეაქცია და ოჯახის მომავალი, საერთოდ. მწერალი განაგრძობს: „და ვითარცა მწუხრის ქაში აღასრულეს, სახლაკი ერთი მცირე პოვა მახლობელად ეკლესიასა და შე-

53 «Алексей Толстой о литературе», М., 1946, стр. 384, 76, 330—331.

54 ქვევლები, I, გვ. 12—13.

ვიდა მუნ შინა სიმწარითა სავსფ და მიეყრდნა ყურესა ერთსა და
მწარითა ცრემლითა ტიროდა⁵⁵. ჭეშმარიტი ხელოვანის გამმსკვალა-
ვი მზერა ძერწავს ამ სცენას. ისე მეტყველია მოძრაობა, რომ პლა-
ტიური ფორმის უკან უცხადესად იკვეთება გმირის სულიერდებული მო-
დარება. მომავალზე ქალის ფიქრს დაფერფლილი ბეღდნიერების აჩო-
დილი ასდევნებია. სიმწარითა სავსე დედოფალი „მიეყრდნა ყურესა-
ერთსა და მწარითა ცრემლითა ტიროდა“. მკითხველის მზერა მიჯავ-
ერთსა და მწარითა ცრემლითა ტიროდა⁵⁶. მგოდებელ ქალზე; თითქმის
ვულია ყურეში „მწარითა ცრემლითა“ მგოდებელ ქალზე; თითქმის
იმასაც ვხედავთ, როგორ უთორთის მხრები⁵⁷. ასეთ მხატვრობაზე აქ-
ბობდა გორკი, — ხელით გინდა შეეხო გამოსახულებასო. ახალი
ნიშნებით შეივსო პერსონაჟის ხასიათის მკითხველისეული წარმო-
სახვა: ამ ღვთისმოსავი ქალისთვის ამქვეყნიური ცხოვრებაც ძნელად
დასათმობი იქნება.

მიცვეთ მოქმედებათა ამ რიგს, რომელთა საშუალებით ახალი
დეტალებით ივსება გმირის ხასიათი ჩვენს აღქმაში, მისი კონტურე-
ბი მეტ გარევეულობას და სიმყარეს იძენს. ეპისკოპოსის, ჯოვიკისა
და მისი ცოლის დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ დედოფალი სასახ-
ლეში დაბრუნდა, მაგრამ „რაჯაშ შევიდა იგი ტაძრსა მას, არა დაჭ-
და იგი თვისსა მას გალიაფა, არამედ სენაქსა შინა მცირესა“. ვარსკე-
ნი გადაწყვეტს, შინაურულ წრეში, სუფრასთან მოელაპარაკოს გან-
დოგმილ ცოლს. „და ვითარცა მოიწია უამი პურისამ, შევიდეს ჯო-
ვიკ და ცოლი მისი წინაშე წმიდისა შუშანიკისა, რამთამცა მასცა
აქამეს პური, რამეთუ ყოველნი იგი დღენი უშმასა გარდაევლნეს.
და ვითარცა მეტად აიძულეს, და ძლით წარიყვანეს ტაძრად. ხოლო
გემოხ არარახსად იხილა. ხოლო ცოლმან ჯოვიკისამან მიართუა ღვნოდ
წმიდამან შუშანიკ რისხვით: „ოდეს ყოფილ არს აქამომდე, თუმცა
მამათა და დედათა ერთად ეჭამა პური!“ და განყარა კელი და კი-
ქა იგი პირსა შეალეწა და ღვნოდ იგი დაითხია⁵⁷. ამ მოქმედებაში-
ნაც იგი პირსა შეალეწა და ღვნოდ იგი დაითხია⁵⁷. ამ გაჯიქებული ქალის გამომწვევი პოზა და უმწეო ბრაზი იხატება. ამ
უკანასკნელს გმირის შინაგანი ნებელობა ლაგამს ვერ ამოსდებს და
სრულიად გაუმართლებელი მიმართულებით წარმართავს. მოქმედე-

55 იქვე, გვ. 13.

56 რ. ბარამიძის სიტყვით, ეს არის „უალრესად პლასტიკური სურათი“. ის.
მისი — ნაჩვევები მხატვრული პროზის ისტორიიდან, გვ. 139.

57 ძეგლები, I, გვ. 16—17.

ბათა ჯაჭვში ასე თანდათან ლრმავდება ჩვენი ნაცნობობა პერსონაჟ-თან. ასე, ზოგჯერ ეგებ ჩვენდა გაუცნობიერებლადაც, შევდივართ ნაწარმოების მხატვრულ სამყაროში.

ეროვნული

ისტორიოსი მოგვითხრობს იმას, თუ რა მო ხდება ჩეკულებების მქონებაში, — თუ როგორ მოხდა. შეუძლია წაშების აღნიშნულ ეპიზოდებს ისტორიოსი დაახლოებით ასე მოგვაწვდიდა: შეუძლია რომ ქმრის განდგომის ამბავი შეიტყო, ძალიან დამწუხრდა, სასახლე მიატოვა და შვილებიანად ეკლესიის მახლობელ ერთ სახლაქში დაიდო ბინაო. მაგრამ დამწუხრებაც და სასახლის მიტოვებაც ისეთნაირი არსებობს ან იმდენნაირად შეიძლება, რამდენნაირიცაა ადამიანი. იაკობის ნაწარმოებში კი ეს ზოგადი მოქმედებანი ინდივიდუალური სიცოცხლითაა გაცხადებული, აი „ამ“ კონკრეტულ ადამიანს — შუშანის ახასიათებს. ფაბულური სქემა (რა მოხდა), რაც ისტორიულ მონათხრობშიცაა და მხატვრულშიც, ამ უკანასკნელის სიუკეტში ისხამს ხორცს (როგორ მოხდა). „ფაბულა შხოლოდ გვატყობინებს ობიექტური მოქმედების შესახებ, მიუთითებს მასზე, ინფორმაციას გვაძლევს მის მთავარ პერიპეტიათა შესახებ. სიუკეტი აყენებს ჩვენს წინ მოქმედებს, როგორც რაღაც ისეთს, რაც ჩვენს თვალშინ ხდება. ...პოეტურ ნაწარმოებს გააჩნია ხარისხობრივი თავისებურება, ვინაიდან იჯიკი არ მიუთითებს მომხდარ ფაქტებზე, არამედ აყენებს მას ჩვენს წინ, როგორც მოქმედების მთლიან განვითარებას. ნაწარმოებს „სურს გამოვლინდეს, როგორც მოქმედება, თვითონ იქცეს მოქმედებად“⁵⁸.

თანდათანობით, მოქმედება-მოძრაობის ცოცხალ ნაკადში იწყება ჩვენი ნაცნობობა იაკობის თხზულების მეორე მთავარ გმირთან—ვარსკენ პიტიახშთან. პურობის აღნიშნულ ეპიზოდამდე ვარსკენი ორიოდეგერ გამოჩნდება თხრობაში, ძუძუად მოხაზული ორიოდე უესტით. ამის შესაბამისად მკითხველის წარმოდგენაც მის ბუნებაზე მკრთალია და მიახლოებითი. ის მოქმედება, რომლითაც პიტიახში რეაგირებს ცოლის ქცევაზე პურობის უამს, მწერლის საგანგებო ყურადღების საგანი ხდება და პერსონაჟის ხასიათი პირველად სწორედ ამ სცენაში იძენს გარკვეულობას და უფრო ნათლად ავლენს თავის არსს: „მაშინ იწყო უჯეროსა გინებად ვარსკენ და ფერკითა თვისითა დასთრგუნვიდა მას; და აღილო ასტამი, და უხეთქნა მას თავსა, და ჩაჭოლა, და თუალი ერთი დაუბუშტა: და მჯილითა სცემდა პირსა

58 Теория литературы, кн. II, стр. 430.

გისსა უწყალოდ და თმითა მიმოიტრევდა; ვითარცა მკეცი მძვნვარზე
ყიოდა და იზახდა ვითარცა ცოფი. მაშინ შეუელად აღდგა ჭოჭიკ,
ქმარ მისი, და იბრძოდეს, ვიდრემდის ვუემა იგიცა, და კუბასტიცა
თავსა მისსა მოხეთქა და ჭირით, ვითარცა კრავი მგელსა, გამოსწეულული
კელთა მისთა და ვითარცა მკუდარი იდვა წმიდად შუშანიკ ჰქონის მუსიკის
სა ზედა, და აგინძებდა ვარსკენ თესლ-ტომსა მისსა და სახლისა მათ-
კრებელად სახელ-სდებდა მას. და უბრძანა შეკრვად მისი და ბორ-
კილთა შესხმა ფერწო მისთა⁵⁹. ამ პასაუში ეპიზოდურ როლს ჭო-
ჭიკიც ასრულებს. პიტიაბშის ძმა. ეპიზოდური მოქმედებიდანაც ჩანს
მისი სათნო და კეთილი ხასიათი, რასაც ჩვენ კიდევ უფრო შთამბეჭ-
დავად ვგრძნობთ უწინარეს ამ პასაუშია, როცა მაზლი მხურვალედ
ევედრება რძალს სასახლეში დაბრუნებას: „უწყი მე, აშ მოავლინნეს
მსახურნი და თრევით წარგიყვანის შენ. ხოლო წმიდამან შუშანიკ
პრეზა: „უკეთუ შემკრას და მითრიოს, მიხარის, რამეთუ მით სახი-
თა იყოს განჩინებამ ჩემი მისგან“. და ვითარცა ესმა ესე მისგან,
ცრემლოდეს ყოველნი. და ჭოჭიკ აღდგა და ცრემლით გარე გან-
ვიდა⁶⁰. ჭოჭიკი შეაძრწუნა ქცევამ და სიტყვამ რძლისა, რომელსაც
უკვე გამოუგლოვია თავისი ბედი. მამაკაცი უსიტყვოდ „აღდგა და
ცრემლით გარე განვიდა“. ეს არის ნიმუში ესთეტიკური ზომიერები-
სა, როცა მწერალი კი არ „აწვალებს“ მკითხველის ცნობიერებას
გმირის განცდებზე ლაპარაკით, არამედ განკვრეტს, გამოიცნობს იშ-
ერთადერთ უესტს, მოძრაობას, რომელიც მერე თავად ამეტყველდე-
ბა და საზრდოს მისცემს ჩვენს წარმოსახვას. ამაზე ამბობდა ა. ტოლ-
სტოი: „თუ თქვენ, მწერალმა, იგრძნეთ, წინასწარ გამოიცანით უეს-
ტი პერსონაჟისა, რომელსაც თქვენ აღწერთ (ერთი უცილობელი პი-
რობით, — რომ თქვენ ნათლად უნდა ხედავდეთ ამ პერსონაჟს),
თქვენს მიერ გამოცნობილ უესტს კვალდაკვალ მოჰყვება ის ერთად-
ერთი ფრაზა, სიტყვების სწორედ ისეთი განლაგებით, სიტყვების
სწორედ ისეთი შერჩევით, სწორედ ისეთი რიტმიკით, რომლებიც
უესტს შეესაბამებიან“⁶¹.

აი მაგალითები „აბო ტფილელის წამებიდან“. მეათე დღეს „მო-
იშინეს მსახურნი იგი მსაჭულისანი“ და აბო განსაკითხვად წაიყვა-
ნეს. მიმავალი თვალებში შესცეკრის სიკვდილს და დიდი შინაგანი

59 ძეგლები, I, გვ. 17.

60 იქვე, გვ. 15—16.

61 «Алексей Толстой о литературе», стр. 331.

დაძაბულობის ფასად გარეგნულ სიმშვიდესა და სიამუქს იხილა-
ნებს: „და ესროთ მიწია იგი კარსა მას მსაჯულისა მის ამრისასა;
და რაც ამს მიიწია, კადნიერად დასწერა ჭურაშვილის ტუ-
და თვთუა დაიბეჭდა ჭუარი და წარადგინეს იგი წიჩქერებულისა
მის, და პრეზა მას მსაჯულმან: „რამ არს, ჭაბუკო, რამ განიზრახე
თავისა შენისაა?“ ხოლო წმიდად მოწამუ აღივსო სულითა წმიდათა
და პრეზა მას: „მე განვიზრახე და ქრისტიანე ვარ!“⁶² აბოს გმირულ
სწრაფვას — სიკვდილის ეამსაც ამყი და შშვიდი წარსდგეს მოძა-
ლადეთა და შეურაცხმყოფელთა წინაშე, ცხადად გვაგრძნობინება
ეესტი: „კადნიერად დასწერა ჭუარი კარსა მას და თვთუა დაიბეჭდა
ჭუარი...“. უკომპრომისო გადაწყვეტილების შეუვალობაზე გვესა-
უბრება მოწამის მოჭრილი ფრაზაც: „მე განვიზრახე და ქრისტიანე
ვარ!“ აღიშნული ეესტის შემდეგ ამ ფრაზას იმდენი რეალობა ენი-
ჭება, რომ მას „ხედავთ“ თოქოს, როგორც გმირის სულის მოძრა-
ობას, ოლონდ სიტყვით ფორმირებულს.

მსგავსი სულიერი განწყობილება იყითხება აბოს მოქმედებაში
ჯალათთა წინაშეც. როცა ჯალათებმა მოწამეს ბორკილები და ჯავე-
ბი მოხსნეს, „...ნეტარმან მან თავით თვისით მსწრაფლ განხეოქა სა-
მოსელი იგი, რომელ ემოსა, და განშიშულებულმან დაიბეჭდა ჭუ-
არითა პირი და გუამი თვისი და თქუა: „გმადლობ და გაკურთხევ შენ
სამებაო წმიდაო, რამეთუ ლირს მყავ მე მიმთხუვად ლუაწლსა მას
წმიდათა მოწამეთა შენთასა!“ და ესრეთ რამ თქუა, უკუნ ისხნა
კელნი თვსნი ჭუარის სახედ ზედა ზურგსა თვისსა და მხიარულითა
პირითა და კადნიერითა სულითა ღალად-ყო ქრისტიშს მიმართ და
მოუდრიე ქედი თვისი მახვილსა⁶³.

„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ მოთხრობილია სამონასტ-
რო მიწების შემომტკიცების ამბავი. ბერები იმ აღვილს მიადგნენ,
რომელსაც საძმო ეწოდებოდა. საძმოს ბინადართ, მათი მიწები რომ
ეკლესიას არ ჩაეგდო ხელში, ბერები გამოურეკავთ. „ჩუენ გუენ-
ბა, — ყვება ერთი მოწაფე სერაპიონისა, — რამთა გარე-შეწერით
შემოვლოთ სიმგრგულე მათ აღვილთამ, ვინამ პირი სამხრით ვიქტი-
ეთ თანა-აღყოლად ერთისა მის მდინარისა. ხოლო გვილნეს რამ
კაცთა მის დაბა-წისქვლისათა, იწყეს ყენებად ჩუენდა, და ვითარცა
ცოფნი წინა რბილდეს. ხოლო ჭაბუკი იგი (მეგზური, — გ. ფ.) აყი-

62 ძეგლები, I, გვ. 70.

63 ძეგლები, I, გვ. 71.

ნებდა მათ...“⁶⁴. მოქმედებაში „კაცო მის დაბა-წისქვლისათა“, რომ-ლებიც ცოფიანივით გარბიან, წინ უხვდებიან და აყენებენ ბერებს, კარგად ჩანს იმათი გუნება-განწყობილება.

„შიო მღვიმელის ცხოვრება“ მოგვითხრობს: შიოს დაემზუზდებირი მოვა ევაგრე, რომელიც „იყო შემდგომად მეფისა განმგებელ სამეფოსა და საქართველოსა“. ფარსმან მეფემ რომ თავისი სპასპეტის შემონაზვ-ნება შეიტყო, თვით მოვიდა ბერებთან. „და იხილა რამ შემოსილი სამოსლითა მოღუაწეთათა, რაოდენი რამ ვინ თქუას, აჩუენებდა ნამეტნავსა მშუხარებასა გულისასა ცრემლთა ცხელთა დათხევითა ქედსა მისსა ზედა და ევედრებოდა ესრეთ მრავალ უამ, რათა კუა-ლად განვიდეს მის თანა სოფლად და არა ობოლ ყოს იგი მამულისა-გან თუსისა“⁶⁵.

გიორგი მთაწმინდელის გარდაცვალების ამბავში ერთი ასეთი სცენა იქვს დახატული გიორგი მცირეს: მომაჯვდავის ოთახში სხვებ-თან ერთად არიან „კაცი მოხუცებულნი და აზნაურნი პატიოსახ-ნი — სტეფანე და სვემონ“. „ხოლო მოხუცებულნი იგი ზემოქსენე-ბულნი, პატიოსახნი, ერთსა ვისმე მღდელთაგანსა, თავით კერძო ნეტა-რისა მის მდგომარესა, ეტყოდეს, რამთა დაასხნეს ჰელნი თუალთა მისთა წმიდათა, განმანათლებელთა ჩუენთა. ხოლო იგი განცვბრე-ბული და ვითარცა გონებამიღებული აქა და იქი იხედვიდა და მქსინ-ვარედ ეტყოდა ბერთა მათ, ვითარმედ: „სძინავს მამასა ჩუენსა“. ხოლო მას არავისი მსახურებად ეკმარებოდა“⁶⁶. ქართველთა დიდი განმანათლებლის სიკვდილის ცქერამ სულიერი წონასწორობა და ცნობიერების სინათლე დაურღვია გულმართალ მღვდელს, მას არ ძალუდს თვალები დაუხუჭოს სულიერ მამას, გონდაკარგულივით აქეთ-იქით იყურება და წყრომით ამბობს: „სძინავს მამასა ჩუენსა“.

იოანე და ექვთიმე მთაწმინდელების „ცხოვრების“ ერთი პასა-უი იმ მონაზონს წარმოსახავს, რომელმაც ექვთიმეს მოკვლა განიზ-რახა. ექვთიმეს ერთი მოწაფეთაგანი, მოძღვრის სამყოფელიდან ვა-მოსული, კიბით დაბლა ეშვებოდა. „და ვითარცა მცირედ შთავლო კიბეთა გოდლისათა, შეემთხვა მას განცოფებული იგი მონაზონი და პრქუა, ვითარმედ: „წინაშე მამისა აღვალ და მიუამე“. ხოლო იგი ეტყოდა, ვითარმედ: „არა ჯერ-არს ესრეთ უკმილ აღსლვად მაში-სა“. და იგი ეტყოდა: „შეუძლებელ არს, ვითარმცა არა აღვედ!“ და

64 ძეგლები, I, გვ. 328.

65 ასურელ მოღვაწეთა ცხ. წ. ძ. რედაქციები, გვ. 109.

66 ძეგლები, II, გვ. 186—187.

ვითარ არა უტევებდა აღსლვად სანატრელი იგი მოწაფე მამისად, შეყსეულად განკოფებულმან მან იქადა მახვლი იგი საუშმაკო და ესრეთ უწყალოდ დაჩხუება სანატრელი იგი ძმაც და თუმ ჩუქუტულები წარსლვად, და ვითარ-იგი ივლტოდა, შეემთხვა მაჟ აზურიფერულ წაფე მამისად და იგიცა დაჩხუება მახვლით“⁶⁷.

ამ სურათში კი, რომელიც ვიორგი მერჩულეს ეკუთვნის, ქალის ექსპრესიულსა და ნერვიულ მოძრაობებში იხატება მომაკვდავი შვილის შემყურე დედის განცდები. თხზულების ეს თავი გრიგოლ ხანძთელის მოწაფეს ეპიფანეს შეეხება. „ზაფხულისა უამსა მთათა მათ ხორასუნთა გარდამოვიდოდა იგი და მის თანა ძმანი. და იხილეს ადგილი მარჯუე და პურისა ჭამად დასხდეს. და მასვე გზასა დედა კაცი ერთი ვინმე მოეიდოდა და თანა ჭყვანდა ძჭ შვდისა წლისაა. და იყო ყრმაც იგი ხილვითა კეთილ და გონებითა ფრთხილ. და ვითარ მოიწინეს საჩინოსა ნეტარისა მამისა ეპიფანესსა, ყრმასა მას სალმობანი სიკუდილისანი ეწინეს და სენისა მისგან წრტიალისა ისწრაფდა სული განსლვად გუამისა მისგან. ხოლო დედამან მისმან გოდებითა მწარითა აღიტაცა ძღ თვისი და მირბიოდა წმიდისა მის და კობდა ესრეთ საწყალობელად:

„მ წმიდაო ღმრთისაო, შეეწიე შეუწევნელსა ამას, რაძეთუ მომიკუდების შვილი ესე ჩემი, და შემღომად ღმრთისა შენდა მოკვივლტი“. და ძჭ იგი თვისი დააგდო წინაშე ფერვთა ეტვანესთა. ხოლო იგი ცრემლითა სავსე აღდგა, რამეთუ იყო ბუნებით მოწყალე, და დავარდა წინაშე ქრისტიშა და ოქუა: „უფალო ღმერთო ჩუენო, ისუ ქრისტე, იხილენ ცრემლნი ჩემნი და ცრემლნი საწყალობელისა ამის დედაკაცისანი და წყალობა ყავ ყრმასა ამას ზედა...“⁶⁸.

„ნინოს ცხოვრების“ უაღრეს (შატბერდულ) ტექსტში ქართველთა განმანათლებლის მამის — ზაბილნის მიერ განდგომილ ბრანგთა (ფრანგთა) დამარცხების ამბავია გადმოცემული. რომის იმპერატორმა დამარცხებულებს სიკვდილი გადაუწყვიტა. ბრანგთა მეცემ და მთავრებმა ვედრებით ითხოვეს: მოგვნათლეთ და შერე მოგვალითო. ნათელს ზიარებულნი მაღლობას შესწირავენ ქრისტეს, მოთქმით მოიგონებენ სამშობლოში დატოვებულ შვილებს — „მკვდრთა ბნელისათა“ და ჯალათს მიმართავენ: „მოვედინ მეკრმლშ ეგე და აღისუენთ თავნი ჩუენნი ჩუენგან“. ავტორი განაგრძობს: „ამას რაო

67 ძეგლები, II, გვ. 87.

68 ძეგლები, I, გვ. 291.

ჰედვიგა ზაბილოვნ, ალიძრა გონებითა და ტიროდა, რამეთუ ფოთი-
ცა ცხოვართა თავნი თვესი კლვად წარეპყრნეს და ვითარცა კრავთა
შვილთა მათთა სწყალობდეს“⁶⁹. მწერალმა მკითხველიც უთქმიშენული
„აღძრა გონებითა“, როცა სიცოცხლესთან გამოსალმებისა და ჭარბი იყენება
შოს უმწეო სიბრალულ-სიყვარულის განცდას ამდენი რელიეფურო-
ბა მიანიჭა. ცოტა ხნის შემდეგ კი ჰაგიოგრაფი თვითონ ზაბილოს
წარმოგვიდგენს მსგავს ემოციურ სამოსელში. ნინო რომ თორმეტი
წლის გახდა, მშობლებმა „განყიდეს ყოველი, რაცცა აქუნდა, და
წარვიდეს იერუსალიშმდ“. თვით ნინო ყვება: „მაშინ მამამან ჩემმან
დაიშერა ჯუარი პატრიაქისაგან და განიჯმნა დედისაგან ჩემისა და
შემიტკბო მე მკერდსა მისსა და დამალუარნა ვითარცა ღუარნი
ცრემლნი თვესი თუალთა და პირსა ჩემსა და მრჯუა: „შენ, მხოლო-
ვო ასულო ჩემო, ესერა დაგიტევებ შენ ობლად ჩემგან და მიგითუ-
ალავ შენ ღმერთსა ცათასა, მამასა ყოველთა მზრდელსა და უფალსა,
რამეთუ იგი არს მამა რბოლთამ და მსაჯული ქურივთამ. ნუ გეში-
ნინ, შვილო ჩემო!“⁷⁰.

მირიან მეფეს რომ თხოთის მთაზე მზე დაუბნელდა, უკანასკნე-
ლად ნინოს ღმერთს შესთხოვა შველა. მხოლოდ „მაშინ განთენა და
მსწრაფლ გამობრტყინდა მზე“. ახლა მწერლის ამოცანაა მკითხვე-
ლის წარმოსახვა დაუახლოვოს აფექტის სიმძაფრესა და განცდის
სტიქიონურ ძალას, რაც მირიან მეფეს უნდა დაუფლებოდა ამ აქ-
ტის შემდეგ. ამ ამოცანის შესრულებაც შინაგანი ძაბვით გამორჩე-
ულ მოძრაობათა კომპლექსს დაეკისრა: „მაშინ გარდამოვიდა მეფე
ცხენისაგან და დავარდა პირდაქცევით ქუეყანასა ზედა სულ-თქუ-
მით და ტირილით. და აღდგა და განიპყრნა კელნი აღმოსავლეთით და
თქუა: „შენ ხარ ღმერთი ყოველთა ზედა ღმერთთა და უფალი ყო-
ველთა ზედა უფალთა“⁷¹.

„წმიება დავით და კონსტანტინესი“ სამცხიდან იმერეთში მურ-
ენ-ყრუს შემოსევას გვისურათებს: „წმიდამან დავით სახელი ქრის-
ტესი ფარად მიუპყრა და განაძლიერა გუნდი თვის და უშიშ-ყვნა
იგინი, აღიზახა ვითარცა ლომმან, და აოტნეს და განაბნინეს იგინი
და ურიცხვ მოსრეს, და აღუდგინეს ძლევად დიდი ქრისტეანეთა. მა-
შინ მეორნი უკუნიქცენ და უთხრეს მურვან ყრუსა, რამ-იგი მოწევ-
ნულ იყო მათ ზედა, ვითარმედ წინამბრძოლნი და ლაშქარნი რჩეულ-

69 იქვე, გვ. 108.

70 ძეგლები, I, გვ. 110.

71 იქვე, გვ. 135.

ნი შენი მოსრეს შეშის მსახურთა. ხოლო გან პირსა დავსახურობ იყონა კელნი თვალი და ოქუა, ვითარმედ: „და ვინ ას მყალრე, რომელიც უწინა აღუდგა დიდსა მოციქულსა მუჭმადსა, დედის მტკრიცე მუსახური“ წინა აღუდგა დიდსა მოციქულსა მუჭმადსა, დედის მტკრიცე მუსახური“ ესე თქუა და შეუზახა ყოველსავე სიმრავლესა წარმართებას. და წარმოემართნეს, ვითარცა ქვშად სიმრავლითა, და მოვიდეს ქუფანად არგუეთისა და შეიცვეს ტყე და ველი და მთანი და ბორცუნი⁷².

დავითის გამბედაობას და სიმამაცეს წარმოგვიღენს ხატი „აღიზახა ვითარცა ლომმან“. სისხლს დახარბებულ და გამძვინვარებულ მტარვალს ვკერტეთ მურვან-ყრუს შთამბეჭდავ უსტში: „ხოლ მან პირსა თვალსა იქნა კელნი თვასნი და თქუა...“. აღზევებული მტრის სტიქიონისებურ განცდას ქმნის ახეთი სურათი: „...და წარმოემართნეს, ვითარცა ქვშახ სიმრავლითა, და მოვიდეს ქუეყანად არგუეთისა და შეიცვეს ტყე და ველი და მთანი და ბორცუნი“.

ჩვენთვის საინტერესო საკითხის არს, როგორც დასაწყისში უფრო მეტი არ გვითვით, არ ქმნის მსჯელობა იმ ენობრივ მასალაზე, რომელშიც ესა თუ ის მოქმედებაა გაფორმებული. მხატვრული ენა ამ შემთხვევაში გარეგნული ფორმაა მოქმედება-მოძრაობის იმ კომპლექსისა, რომელთა განსახიერებითაც კონსტრუირდება მკითხველის ცნობიერებაში ბუნება და ხსიათი გმირისა. როდესაც ნაწარმოებში ვკითხულობთ: „ხოლო მან პირსა თვესა იქრნა კელნი თვესნი...“ ან: „ჯოგიპალდგა და ცრემლით გარე განვიდა“, — ფრაზა პირდაპირ, უშუალოდ მიუთითებს, აჩვენებს უესტის (და ამ უკანასკნელის გზით — პერსონაჟის სულის ვითარებას). ხოლო როცა სხვაგან მწერალი გვაუწყებს: „აღიზახა ვითარცა ლომმან“ ან: „ვითარცა ცოფნი წინა რბილდეს“, — ფრაზაში უესტი გაშიშვლებული კი არაა, შეფარულია; მწერალი შემოვლითი გზით აჩვენებს, — შედარება-მეტაფორებით, წარმოსახვა გაშუალებულია⁷³. აქ უკვე მხატვრული მეტყველების, ნაწარმოების პირველი, გარეგნული ფენის (რომელშიც მხატვრული აზრია გასაგნებული) ასპექტში შევდივართ, მაგრამ მთავარი ისაა, რომ „ამ ენობრივი ფორმის „ქვეშ“ იმაღლება მწერლის აზროვნების შინაგანი ფორმა — მის მიერ (ხოლო შემდეგ მკითხველისაგან) ზო-

72 ქეგლები, III, 1971, ვ. 251—252.

73 პირველი ტენდენცია განსაკუთრებით დამახასიათებელია, მაგალითად, ვაკა ფშაველას პოეზიისათვის. გაშუალებული წარმოსახვა გაბატონებულია „ვეზუ ჩინისტუარსაზი“. ჩვენ ტენდენციათა ინტენსივობას ვგულისხმობთ, თორემ ორივე მწერლის შემოქმედებაში საპირისპირო წარმოსახვის შრავალი და საგულისხმო მდგარობითა.

ლული, გაცნობიერებული დამახასიათებელი მოძრაობანი, უესტები
ადამიანებისა და საკნეებისა. სწორედ ამ უესტების წარმოსახვასა და
შექმნაშია შემოქმედებითი მოღვაწეობის საფუძველი“.¹ ანალიზურული
სათვის შეიძლება მივმართოთ ფერწერას, სადაც აგრეთვე შემტკიცება
გვაქვს გარეგან და შინაგან ფორმასთან. პირველს ის ფერები და ხა-
ზები ქმნიან, რომელსაც საგნობრივად ვხედავთ ტილოზე, მეორეს—
ის გარეგნობა თუ სხეული, რომელსაც ეს ფერი და ხაზი წარმოვ-
ვიდგენს. თვითონ ფერმწერს ბოლოსდაბოლოს „საქმე აქვს სწორედ
სხეულის ფორმასა და ფერთან, ხოლო სალებავები და ხაზები წარ-
მოადგენს საშუალებებს ამ წარმოსახული და ხილული გარეგ-
ნობის ზუსტი ხორცშესხმისათვის, ისევე, როგორც ფრაზა გვევლი-
ნება გამოცნობილი უესტის ხორცშესხმის საშუალებად. მაყურეი-
ლი სალებავებსა და ხაზებში განსახიერებული საგნის გარეგნობას
აღიქვამს; მკითხველი ფრაზაში აღიქვამს უესტს. რა თქმა უნდა, მა-
ყურებელმაც და მკითხველმაც შეიძლება განიცადოს აღფრთოვახე-
ბა და ტქბობა თვითონ სალებავებისა და თვით ფრაზის სიზუსტითა
და სილამაზით, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ მიერ და-
ნახულია ის, რასაც ეს სალებავები თუ ეს ფრაზა ხორცს ასხამს“².

3

აქამდე ჩვენ ისეთ მოქმედებათა შესახებ ვლაპარაკობდით, რომ-
ლებიც ფიზიკური ობიექტურობით არსებობენ, რომელთა თვალით
დანახვა შეიძლება. როცა ნაწარმოებში ვკითხულობთ: „მიეყრდნა
ყურესა ერთსა და მწარითა ცრემლითა ტიროდა“, — როგორც უკვე
ვთქვით, ჩვენი წარმოდგენითი მზერა მიგჭვულია ფიგურაზე, იძა-
საც ვხედავთ, როგორ უთროთის ქალს მხრები, ხელით გინდა შეენო
გამოსახულებას. ან როცა მწერალი იმ ქართველობას, ეროვნული
გრძნობა რომ შესუსტებია, ადარებს გალეულ ლერწამს, რომელიც
დღეს თუ არა ხვალ წელში გადატყდება „ქართაგან ძლიერთა“, სუ-
რათის გამომსახველობითი ძალა მთლიანად მხედველობით შთაბეჭდი-
ლებაზეა დამყარებული. ყველა მსგავს შემთხვევაში ლიტერატურუ-
ლი სახის გამომსახველობითობა გარკვეული საზომით მხატვრობის
ელემენტებს შეესაბამება.

მაგრამ თუ მივიღებთ, რომ ლიტერატურული სახის გამომსახ-

ველობითობას მხოლოდ მხედველობითი შთაბეჭდილება განსაზღვრავს, მაშინ რა ვუყოფ იმ პოეტურ სახეებს, რომელიც საკნობრივი იღებაზე არაა აღმოცენებული, მაგრამ რომელთა გამოსახული ძალას ვერსად გავეძლევით. აი მაგალითები:

„შუშანიკის წამებიდან“: „ეშმაკი თხრიდა გულსა მისსა“ (ვარსკენისა);

„ნინოს ცხოვრებიდან“: „შეეურვა სულსა ჩემსა“ (ნინო ამბობს);

„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებიდან“: „მწუხრ არს და მიღრეკილ დღე“.

სიტყვის მრავალწახნაგოვნება და უნივერსალობა ამ ხატებში ცხადად გადის მხედველობითი აღქმის ფარგლებს გარეთ. ეს აღლევს საშუალებას იაკობ ხუცესს გამოსახოს ის მოძრაობაც, რომელსაც მხოლოდ ვარსქენი განიცდის და არ შეიძლება გრძნობის ამა თუ იმ ორგანოთი აღიქვას ვინმემ გარედან. შეიძლება მხატვარმა დახატოს ეშმაკი, რომელიც მისდგომია და თხრის ადამიანის გულს, მაგრამ ფერწერული სახე მაშინ ისეთ ესთეტიკურ შინაარსს შეიძენს, რაც ლიტერატურულ ნაწარმოებში არ არის (ეშმაკი, რომელიც სულში ჩაძვრომია პიტიაბშს და გულს უთხრის, რთულ, მრავალგვარ და სრულიად ინდივიდუალურ იმპულსებითა ნაკვები). სხვის რომ თავი დავანებოთ, ფერწერულ ტილოზე ამ მრავალგვარობისა და ხაზგასმული ინდივიდუალურობის გამოსახვა არ მოხერხდება იმ გარკვეულ შეზღუდულობათა გამო, რაც ნიშანდობლივია სახვით ხელოვნებათათვის). მიუხედავად ამისა, იაკობ ხუცესის ნახელავს სიცხადე და გამომსახველობითობა სრულიად არ აკლია, როგორც არ აკლია იგი ნინოს დრამატული შინაგანი განცდის პოეტურად გამოქანდაკებას: „შეეურვა სულსა ჩემსა“. მწუხარებს და კვნესის ადამიანთა სიბრალულით შეკირვებული სული მოციქულისა. რავი არც ერთი და არც მეორე ხატი არ შეიძლება გადატანილ იქნას ფერწერულ ტილოზე, ეს არ აფერმერთალებს მათს კონკრეტულობას და სიცხადეს. თუ ჩვენ გარემომცველი ფიზიკური სინამდვილის საგანთა ზემოქმედებაზე უფრო მძლავრად, კონკრეტულად და ხელშესახებად ხშირად განვიცდით და აღვიქვამთ ზემოქმედებას ჩვენივე სულიერი ცხოვრებისა, განა იმ სურათების განსაზღვრულობასა და კონკრეტულობაში შეიძლება დავეჭვდეთ, რომლებიც მას გამოსახავენ? ისინი ხომ სრულიად შესაცნობი ნამდვილობითა და ანგარიშგასაწევი ძალით აღელვებენ და კვალს დააჩნევენ ჩვენს სულს.

როცა ვკითხულობთ: „მწუხრ არს და მიღრეკილ დღე“, არ შე-

ովլեցա առ ցացառութեա Սօրպյան ցամոմսաեցելոծոտմա հալամ. կը ուր-
յուլո ցանեցա զի ագուլագ Շեամինեց, հռմ ասետ Շարմուսաեցամո պաջո-
տո Շեսարպյանութեա (Սօրպյան) օցոնհութեանու, ուշերիս (մուսալամո-
ցանու) աղթերուլոծոտմա նապալու, ուսետո համա Շեմուտացանցութեանու մի ժամանակակից աղթեալու պայմանական պայմանական աղթեալու մելու հիշեց անցահոնիս. ցրունուլ սալապահաց ենամո սաւեցնու շրնչուց-
ուլո, սացնոծրուց մենշենելոծա պյան ասետ Սօրպյան Շեսամենա-
մութեակուլո ադամինո» (մացալուտագ, սերբանց մեծեցարուս մոտերո-
ծանու զածրոնի մոմարտաց ամորաս: «Մյ პուրպելագաց ցոտեան Շեն ահա
մութեակու յիրութեա սպանացան», «մութեակուլո եց». ասետո
մենշենելոծա մաշնուց ոյարցեա, հռուս «ադամինուս» տու «եօս»
նապալու հիացամո «ըլլես». ելլուգան ցըլլեցա շրնչուցուլ-սաց-
նոծրուց Շինաարսո Սօրպյանս «մութեակուլո» ճա օնացեա աხալո, ցալ-
քանոտո մենշենելոծա. մեաթշրուլմա անրունենամ նելապորուցան Սօրպ-
յանուս սոլրմեշո Շեալիս, ոյ մուլլեմարց პուրենցուալուրո Շեսամեն-
ուլոծան ցամուցեա. Տօրպյա աելագմունցութեանու ցերցուոտ օա-
մուերա. սպանաց մելուցուլոծոտմա նելապութեանու ճամպահութեանու ց-
ամոմսաեցելոծոտմա Սօրպյանս — «մութեակուլո» հիյրո, հատա «ըլլ»
Սօրպյաստան Շեեցեժուրուսու Շարմունշաս ախալո շրնչուցութեանութեանու
Շինաարսո, սագաւ ծնեցնուս անույթուրո ցամունցունեա (մուսալամուցեա)
ադամինուս սուլիսա ցալաթենու, մաստան ցմուուր միմարտեամոա
ցամուուր ցամուուր. ուս, հռմ ախալո, ցմուուրո Շեցուրուլոծա սունցիւն
Շեայց անույթու, ցմուուրուս նամցուլոծան ճա սուցեացու առ սարպուց.
ամուսնուս անույթու, առու պուրուր Տօրպյաս, հռմելու ամ ցմուուր սամ-
պահութեա ցայսայնիւրունեա, առ այլուս շրնչուցուլոծա ճա մալուս ցամու-
սաեցելոծոտմա Սօրպյանու ցոլոծուց. «Պութիս, — ամենամ ի. կուլու-
լո, — անույց հրալուր սամպահուս ցմուուր Շեցուրուլոծան. ... ունիս
ցամու, հռմ ց ցմուուրո սալցազեա ահա մեւնուրուլո (ոցուլու-
թեա) — ունիուրուր հրալոծոտմա առ ահսենուս, մացալուտագ, «մութեա-
կուլո գլու», — ց. ց.), ահարյալուր հռուցա. ուսնու եռմ տուու ցենու-
թեանու ունիոնյերեա աեսուացնուս, եռլու ց ունիոնյերեա ուսցու հրա-
լուրու, հռցարու տուու մութի. մենշենելոծա პութիսուս, հռմելու ա-
մութեա պահութեա սամպահուս ցանսայցուրութեան սաեցս ամուցեա, ունիս
ցամու կուրութեա սասարուլոծան ցենութեանու ցուատա — ցալաայցուս սամ-
պահու տացուսու սաեցս Շեսամինուս ճա մեցացսա, համու ոց մուլմուցա
միարդ Շարմաթեանու աղթեացս»⁷⁵.

75 Иллюзия и действительность, стр. 269—280.

ასე, ემოციურ პლანში ადამიანის შესაბამისადაა გადაკეთებულ ბუნებრივი მოვლენა „მიღრეკილი დღის“ ხატში. სიღრმეში მთელი მარე ენერგიით დამუხტულმა სიტყვაზ „მიღრეკილურებულ ჭრაშა დვილებე მიუთითა, რომელიც პოეტური აზროვნებისა და მუსიკურის იქნა აღმოჩენილი (ხოლო აღმოჩენილ იქნა იმიტომ, რომ არსებოდა; არსებობდა, ვთარცა სინამდვილე სულისა, იდეალურად). „მიღრეკილი დღის“ ხატში ნაგრძობია შენელებული მაჯისცემა დროის მდინარებისა, სული დალლილობისა ადამიანის თუ სამყაროს მოძრაობაში. ამ რიტმის აღდგენაში, ამ სულის საგრძნობობაშია სწორედ გამომსახველობითი ძალა და სიცხადე სურათისა.

ეს მით უფრო ნათელი გახდება, თუ გავითვალისწინებთ იმ კონტექსტს, სადაც ეს სახე გვხვდება. სერაპიონ ზარზმელი და მისი მოწაფები ცისკრიდან მოყოლებული მიიკვლევენ გზას ტყესა და ლრჯში, რათა, რაც შეიძლება მეტი მიწა შემოიმტკიცონ. იმდენი ვიარეთო, ამბობს ერთი ბერი, „არლარა იყო ჩუენ თანა სახე სამოსელთა ჩუენთად და ყოვლითურთ დაბძარულ იყვნეს ასონი ჩუენნი“. სერაპიონის მეორე მოწაფე, „მაშვრალობისაგან მგზავრობისა“ ქანკაწყვეტილი, წამოიძახებს: „აპა ესერა, არა დაშოომილ არს სული ჩუენ თანა...“. აი, ასეთ სიტუაციაში ამბობს მეგზური ია: „მწუხარ არს და მიღრეკილ დღე“⁷⁶. როგორც ვთქვით, ამ ხატში ბუნების ობიექტური გამოვლინება ადამიანის სულშია გადატეხილი, მასთან ეს-თეტიყურ მიმართებაშია გარდაქმნილ-გამდიდრებული, ემოციურადაა შეფერილი (თუმცა ეს სახე წარმოშობით სახარებისეულია, მავრამ, როგორც კონტექსტიდანაც ჩანს, იგი ორიგინალურ წარმოსახვაშია „გადახარშული“. იგი საუკეთესო ნიმუშია ლიტერატურული სახის სპეციფიკური გამომსახველობითობისა, რაც ამჟერად საგაბებოდ გვაინტერერესებს).

სამივე მხატვრულ სახეს ისეთ სფეროებში შევყავართ, რომლებიც სულიერ (იდეალურ) სინამდვილედ არსებობენ და სადაც ხელი არ მიუწვდება ფერწერას. აქ პოეტური ხელოვნების სპეციფიკურ შინაარსთან გვაქვს საქმე, რომელიც, ჰეგელის თანახმად, „...თავის უდიდეს სიცხადესა და განსაზღვრულობას იძენს მხოლოდ და მხოლოდ სულიერ გამოხატვაში, სიტყვაში“⁷⁷. სულიერი, იდეალური სინამდვილის კონკრეტულობა, რა თქმა უნდა, იმ ხელოვნებაში მია-

76 ქეგლები, I, გვ. 330.

77 Лекции по эстетике, Сочин., т. XII, стр. 223.

ლებს მეტს გამომსახველობით სიცხადეს, რომლის მასალა (სიტყვა) თავად იდეალური წარმოშობისაა, სულის პროდუქტია. სიტყვიერი სახის გამომსახველობით შესაძლებლობათა უსაზღვროება სულურუფული გისი იდეალური ბუნებიდან წარმოდგება.

გიგანტური გამომსახველობით სიცხადეს, რომლის მასალა (სიტყვა)

გოეთეს ლიტერატურულ ნააზრევში არის საინტერესო მითითებული პრეტერი გამომსახველობის თავისიც ბური, განუმეორებელ ხასიათი. „...ამ ნაცრისფერ ცრემლებსა და ოქროსფერ მდელოებს ვერ განასახიერებ ფერწერაში: ეპითეტები სუგესტურია ტონის, აღქმის სიცხადის, საგნის არამატერიალური თვისობრიობის აზრით. საბერძნეთის ღმერთებს ყოველთვის ისე არ ხატავდნენ, როგორც აღწერდნენ ხოლმე; ძოწისთითება ერთი ეკუთვნის პოეზიას, არა ფერწერას, ისევე, როგორც შექსპირისეული სახე შეფაკლული დილისა, რომელიც ელალ-წაბლისფერ მოსახვში მოემართება აღმოსავლეთით მდებარე დაცვარულ გორაკებზე“⁷⁸.

მთელი ამ მსჯელობიდან ის უცილობელი დასკვნა შეიძლება შევილოთ, რომ ლიტერატურული სახის გამომსახველობითი კონკრეტულობა სულ სხვა ხასიათისაა, ვიდრე იგივე მომენტი ფერწერული ხატისა. თავისიც უნივერსალობა და იდეალური ბუნება სიტყვისა ანიჭებს მისგან შექმნილ მხატვრულ კონსტრუქციას უნარს, გასცილდეს მხედველობითი აღქმის საზღვრებს და მძლავრად განვაცდევინოს არამატერიალურ თვისობრიობათა სიცხადე, ნამდვილობა. ლიტერატურული სახის ეს უნარი კარგადაა გაანალიზებული ნ. გეის მიერ: „მწერალი აზროვნებს, რა თქმა უნდა, არა მარტო, დროდადრო კი, არა იმდენად თვალსაჩინო, ფერწერული სახეებით, რომლებიც მერე სიტყვიერ სამოსელში გაეხვევა, „აღიწერება“ სიტყვით. მაგრამ ლიტერატურული სახე უკველად გამომსახველობითია, რადენენადაც რეალობის უტყუარობას გადმოვცემს მის თვისებათა და გამოვლინებათა მრავალფეროვნებაში, მის თვისობრიობათა საოცარ მრავალზომიანობასა და სიმდიდრეში“. კეშმარიტ პოეტურ სახეს „...შემოაქვს ნაწარმოებში თრთოლე, მოხიბვლელობა და სიცოცხლე იმისა, რაც შედარების საგნადაა გამოყენებული“. ამის კვალობაზე პოეტურ ნაწარმოებში გამომსახველობითობის საზღვრები განვრცობილია. „სამყაროს ასეთ წარმომადგენლობაში“, მისი „სიმდიდრისა და მრავალსახოვნების სახეში „გადატუმბვაში“ ვხედავთ ჩვენ სწორედ სიტყვიერი სახის გამომსახველობით ფუნქციას...“⁷⁹.

78 იბ. А. Н. Веселовский, Историческая поэтика, Л., 1940, стр. 84.

79 Искусство слова, стр. 104, 109.

ამრიგად, ლიტერატურული სახის გამომსახველობითობა და უ-
ცხადე სპეციფიკურია და მნიშვნელოვანწილად განუმეორებელა.

ახლა ჩვენ წარმოვაჩენთ მოქმედება-მოძრაობისურუსულ სახეებს ქართული ჰაგიოგრაფიიდან, რომელთა გამოსახული შეასრულა ეფექტი სპეციფიკურ-ლიტერატურულია და სადაც შესაღარებელსა და შედარებულს შორის უშუალო, მხედველობითი ადექვატურობა გამორიცხულია. მხატვრული სახეები ამ რიგისა პირობითად შეი-ლება რამდენიმე გვუფად გავაერთიანოთ.

ა) ხატები იმ მოქმედება-მოძრაობათა, რომლებიც ჰაგიოგრაფი-ული თხზულების მთავრი გმირის მთლიან-პიროვნულ სახეს, მის ზოგად ბუნებას წარმოვიდგენენ.

გიორგი მცირე:

პატარა გიორგი „ვითარცა მორჩი კეთილი აღმოცენებასავე თვსსა თანა ყოფადსა მას წარმატებასა აუწყებს ქუეყნის მოქმედ-თა... ესრეთ ვითარცა ახალნერგი შუენიერი იზარდებოდა მონას-ტერსა მას შინა“⁸⁰.

ბაგრატ მეფისაგან საქართველოში საგანგებოდ მოწვეული გი-ორგი: „დაცემულთა აღმართებდა, ხოლო დაცემადთა განაბრტყიცებ-და; მოწყლულთა ისრითა უხილავთა მტერთამთა განპეურნებდა, ხო-ლო მოწყლვადთა მათ მოწყლვისაგან უვნებელად დაიცვიდა; დანთქ-მულთა ლელვათა შინა ვნებათასა აღმოიყვანებდა, ხოლო დანთქმად-თა დანთქმად არა უტევვებდა, არამედ ვითარცა კელოვანი მენავეთ-მოძლუარი ზღვსაგან ამის სოფლისა დაუთქმებოდ განარინებდა“⁸¹.

იაკობ ხუცესი:

შუშანიქმა „ექუსი წელი ციხესა მას შინა ალასრულა და წესიე-რებითა საღმრთოთა ყუაოდა: მარხვითა, მარადის მღვარებითა, ზედგომითა, თაყუანის-ცემითა უწყინოდ და კითხვითა წიგნთამთა მოუწყინებელად. განაბრწყინა და განაშუენა ყოველი ციხე იგი სუ-ლიერით მით ქნარითა“⁸².

„ცხოვრება შიოსი და ევაგრესი“:

შიომ „მრავალნი ქამნი წარვლნა აღვზნებულსა მას საქმილსა შინა მარტოდმყოფობისასა...“⁸³.

მეტაფრასული რედაქცია „შიოსა და ევაგრეს ცხოვრებისა“:

80 ძეგლები, II, გვ. 112—113.

81 იქვე, გვ. 163.

82 ძეგლები, I, გვ. 22.

83 იქვე, გვ. 219.

შიო „უამთა მრავალთა მოთმინე იყო რად მღვმესა მას შინა მღვმეს და უწელი დუაწლება მოღუაწეთასა, განიკაფა ყოვლითურთ სხეული შინა შრომათა მიერ და ჭირთა, რამეთუ შეიღება იგი ფერსა სიშავისასა მიმღებელი ნოტიობისა და ძნელ-სულლობისა გესლითა სხუად მოწმეში წაცემა და უცხოდ ფერად შეცვალებული და სრულიად განლეული და დაკავშირდება“⁸⁴. კანარი კორცითა ტყავისა მიერ და ძუალთა დაიცვიდა ხატებასა“⁸⁴.

ერთის შეხედვით გვეჩვენება, რომ მხატვრული სახე, სადაც კეთილ ყლორტზე („მორჩი კეთილი“, რომელსაც მერე დემეტრე მეფის საგალობელში ვხვდებით), დაცემულთა ომართებაზე, ისრიო მოწყლულთა განკურნებაზე ლაპარაკი, სწორედ მხედველობითაც, საგნობრივ სიცხადეს ემყარება. მაგრამ არც ერთ შემთხვევაში მარტერიალურ თვისობრიობაზე არა ლაპარაკი და არც ერთი ხატის ფერწერული წარმოდგენა არ შეიძლება. გიორგი მცირე კეთილ ყლორტზე კი არ ლაპარაკობს, როგორც მატერიალურ საგანზე, არა მედ იმ არამატერიალურ თვისობრიობაზე, რომ მორჩი კეთილი აღმოცენებისთვის მიანიშნებს, „აუწყებს ქუეყნის მოქმედთა“ მოშავალ ნაყოფსავეცობას, „თანა ყოფადსა მას წარმატებასა“. მატერიალური საგნიდან გამოწვლილული ეს არამატერიალური თვისობრიობა, უფრო ზუსტად ის, რითაც სუბიექტი ამდიდრებს ობიექტს მასთან ემოციური მიმართების პროცესში, გამოყენებულია ასევე იდეალური შინარჩისი — პერსონაჟის სულიერი ბუნების წარმოსადგენად. უშუალო მხედველობით ასოციაციას, საგნობრივ ადექვატურობას, არც მეორე ხატი გულისხმობს, რომელიც დაცემულთა ომართებაზე, დაცემაზთა განმტკიცებაზე, ისრით მოწყლულთა განკურნებაზეა და დაყარებული; ამის საპირისპიროდ, როცა მწერალი („დავით და კოსტანტინეს წამების“ ავტორი) ამბობს, რომ დავითმა „განაძლიერა გუნდი თვისი და უშიშ-ყვნა იგინი. აღიზახა ვითარცა ლომ მან, და აოტნეს და განაბნინეს იგინი და ურიცხვ მოსრეს“. — ამ შემთხვევაში პერსონაჟის მოქმედებას უშუალოდ ვუკავშირებთ ლომის მოქმედებას, ადამიანის შეუპოვრიბას და შემართებას ნადირთა მეფის შემართებაში ვჭვრეტო პირდაპირ, საგნობრივად. ასევე პირდაპირ მხედველობით ანალოგის ეფუძნება, საგნობრივად კონკრეტულია ეს ხატი: მირიან მეფე „...დავარდა პირდაქცევით ქუყანასა ზედა სულთქუმით და ტირილით. და აღდგა და განიცყრნა კელნი აღმოსავლეთით და თქუა...“. ამათ საპირისპიროდ „მოწყლულთა ისრითა უხილავთა მტერთათა“ განკურნების ხატი უხილავს.

84 ასურელ მოღვაწეთა ცხ. წ. ძვ. რედაქციები, გვ. 140.

ვი, „ფარული სურათია“⁸⁵, მარტო მხედველობით კომპონინტებს მოკლებული, მაგრამ ავსებული სულიერი სათნოების კონკრეტულობით და ამ სათნოებასავით ცხადი, ზემოქმედი, ძალაშენიშვილის სამი სახე უფრო თვალსაჩინოდ ავლენს თავის მატერიალურ ცრონქ-ტურას.

ბ) მეორე ჯგუფად შეიძლება გამოვყოთ მთავარი გმირის ს მოქმედება-მოძრაობანი, რომლებიც უფრო კონკრეტულ თვისებასა და ქცევას წარმოგვიდგენს.

გიორგი მცირე:

კონსტანტინეპოლში ბიძამ და ფერის ჭოჭიერის ძის ქვრივმა გიორგი განსასწავლად მიაბარეს „კაცთა ფილოსოფოსთა და რიტორთა“. ყრმამ დაყო „...სწავლასა მას შინა ათორმეტი წელი, და ვითარდა ქუეყანამან კეთილი თესლი სწავლულებისაჲ შეიწყნარა ურნატთა შინა სულისა თვისისათა, რომელი-იგი უამსა თვისსა გამოლებად ედვა აღვეხდად სულსა შშიერთასა“⁸⁶.

გიორგის სულიერი ენერგია, სათნოება, რწმენისა და მშობლიური კულტურის სიყვარული, ორგანიზატორული ნიჭი გამოჩენდა, როცა იგი ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვრად აირჩიეს: „უკეთუ არა პოოს ჰელოანმან ნივთი შემსგავსებული თვისისა ჰელოვნებისაჲ, ვითარ გამოაჩინოს ბრწყინვალებაა საქმეთა თვესთად?! ანუ თუ ვითარ საცნაურ იქმნას მენავეთ-მოძლუარი, უკეთუ ღელვათა შინა ზღვსათა არა გამოიცადოს?! გინა მკედრისა ახოვნებად ვინაო სასმენელ იქმნას და იდიდოს, უკეთუ განწყობილთა არა ეკუეთოს მრავალგზის?! ეგრეთვე წმიდამან ამან ოდეს მიიღო კუერთხი მწყემსობისაჲ, მაშინდა საცნაურ იქმნა სრულიად დაფარული იგი სიბრძნე სულსა შინა მისსა“⁸⁷.

ფსიქოლოგიური მრავალმხრივობით გვხიბლავს ის სურათი, სა-დაც გადმოცემულია, თუ როგორ ეგებება სიკვდილს გიორგი მთა-წმინდელი. ეკლესიისა და მშობლიური კულტურის სამსახურში მრა-ვალ ბრძოლაგამოვლილი, რიცხვმრავალ მოწაფეებზე ზრუნვაში დაღ-ლილი, ღმერთისა და საკუთარი მრწამსის წინაშე ვალმოხდილი და დამაშვრალი უდრტვინველად და მშვიდად ხედება გიორგი კარზე

85 როგორც ანალოგიურ შემთხვევაში ამბობს ვ. სკორინივი; იხ. მიხე - А. Блок против декаданства, В сб. «Современные проблемы реализма и модернизма», М., 1965, стр. 246.

86 ძეგლები, II, ვ3. 118.

87 იქვე, ვ3. 129—130.

შომდგარ სიკვდილს: „...მშვიდმან მან და მყუდრომან უამსა მასწავლებელისასა მისისასა მყუდროებად იკუმია, რამეთუ ვითარუა კულოვანმან მენავეთ-მოძღვარმან, რომელსა მრავალნი უფსკრიფტის ნულები განევლნიან და მრავალთა ღელვათადა ბრძოლა-ეცის და ნავთხუად ულისა მიმართ მხიარული შესლვად განემზადის, გინა ვითარუა მშე-დარი ძლევაშემოსილი, რომელსა-იგი ურიცხუნი სპარაზენნი მოესრნი-ან და მრავალნი ძლევანი და ბრძოლანი ექმნიან, და ყოველსავე ში-ნა განმარჯუებული მივალნ მეფისა თვისისა, ანუ თუ ვაჭარსა, რო-მელსა მცირითა რამთმე საფასითა ურიცხვ სიმდიდრე შეეკრიბის და საუნგისა მიმართ თვისისა მხიარული მიისწრაფინ, გინა თუ ვითარ-ცა მუშავი ურნატ-სავსე ნაყოფთა ზედა თვისთა მხიარულ არნ, ეკრეთ-ვე წმიდად ესე უამსა მიცვალებისა თვისისასა ამათ ყოველთავე ზემო-წერილთა მიემსგავსა“⁸⁸.

„ცხოვრება იოანე ზედაზნელისა“:

იოანეს წინაშე ძნელი საკითხია: ღვთისმშობლის ბრძანებით უნდა გამოარჩიოს თავის მოწაფეთაგან თორმეტი და წავიდეს ქართლს. მაგრამ ვინ დატოვოს? „...ესრეთ უნდა დატევებაა, ვითარ-ცოცხლივ ჯოჯოხეთს შთასლვა“⁸⁹.

„ნინოს ცხოვრება“:

ნინოს შემოსვლა საქართველოში, გვეუბნება მწერალი, უნდა აღ-ვიქვათ, „...ვითარცა ბნელსა შინა მთიები რამ აღმოჰყდის და ცისკა-რი აღილის, და მისა შემდგრმად აღმოვალნ დიდი იგი მფლობელი დღისაა“⁹⁰.

დრამატულად მძაფრია ნინოსეული განცდა საკუთარი აღსას-რულისა: „ესერა მოსრულა სული ჩემი კორქად ჩემდა, დამეძინე-ბიან ძილითა მით დედისა ჩემისათა საუკუნოდ“⁹¹.

გ) მთავარი გმირის ეს მოქმედებანი მიმართულია არა ვინმეს-კენ კერძოდ. ახლა მოვიტანთ იმ მოძრაობათა სურათებს, როცა მთა-ვარი გმირის მოქმედება სხვა, მეორეხარისხოვან პერსონაებს შეი-მართება.

„ცხოვრება შიოსი და ევაგრესი“:

კათალიკოსი და მღვდელთ-მოძღვარნი აიძულებენ შიოს, რათა „მოილოს კელდასხმად ხუცობისაა“ (მღვდლად ეკურთხოს). ბერ-

88 ძეგლები, II, გვ. 185—186.

89 ასურელ მოღვაწეთა ცხ. ძვ. რედაქციები, გვ. 79.

90 ძეგლები, I, გვ. 125.

91 იქვე, გვ. 105.

მონაზვნული ცხოვრების მოტრფიალე შიო სასტიკად წინ აღმართა ამ სურვილს: „ვითარცა კრმალი ორ-პირი განეწყო ყოველთა წინა...”⁹²

სასიკვდილოდ მიმავალი კაცის სულის მძაფრი მოძრაობას კვა-
გრძნობინებს შიოს სიტყვები მოწაფეთადმი მღვიმე შემოწმებული არის: „სიკუდილი ახლოს არს, ახლოს და კართა ზედა, და კრძალს შეუფე: იღვიძებდით, რამეთუ არა იცით, ოდეს მოვიდეს მპარავი, ნუჟრუ განჯურიტოს გუერდი სახლისა თქუენისაჲ, ოდეს არა უწყოდით და მიგპაროს სული თქუენი...”⁹³.

გიორგი მერჩულე:

აშორ კურაპალატისადმი მიმართულ ამ მოქმედებაში გრიგოლ-
თან ერთად ფეხრონიაც იგულისხმება:კორციელად ძლიერსა
კელმწიფესა სულითა ძლიერთა კაცთა სძლეს, შეჭურვილთა მათ სა-
ღმრთოთა შურითა”⁹⁴.

გიორგი მცირე:

ბაგრატის მიერ საქართველოში საეკლესიო რეფორმებისათვის
მოწვეულმა გიორგიმ „პირველად ყოვლისა აღლესა მახვლი მხილები-
საჲ მეფეთა მიმართ მრავალთა უწესოებათათვს უშიშად და თუალუ-
ხუავად...”⁹⁵.

(დ) როგორც ქვემოთ ვნახავთ, გარკვეული მიზეზის გამო ჰაგიო-
გრაფი ძალიან ნაელებ ყურადღებას აქცევს მეორეხარისხოვან პერ-
სონაჟთა მთელ ანსამბლს. ნაწარმოების სტრუქტურულ პლანში მთა-
ვარი გმირისა და სხვა გმირთა ურთიერთმიმართების პრინციპი გან-
სხვავდება ანალოგიური მიმართებისაგან თანამედროვე ნაწარმოებში.
მოვიტანთ ძირითად ნიმუშებს მცირერიცხოვან შემთხვევათაგან,
როცა ხატოვნადაა წარმოსახული მოქმედება მეორეხარისხოვანი
პერსონაჟისა.

გიორგი მერჩულე:

ტაო-კლარჯეთის სავანეთა წინამძღვარი მამების შესახებ რომ
მოგვითხრობს, მწერალი საგანგებოდ ჩერდება უკეთურ ცქირზე.
რომელმაც „მძლავრებით დაიპყრა“ ანჩის საეპისკოპოსო კათედრა:
„ხოლო შორის იფქვლთა მათ წმიდათა იპოვა ერთი ვინმე, ვითარცა
ღუარძლი სარწებს აღმოცენებული...”⁹⁶.

92 ასურელ მოღვაწეთა ცხ. წ. ძვ. რედაქციები, ვ3. 112.

93 იქვე, ვ3. 133.

94 იქვე, ვ3. 297.

95 ძეგლები, II, ვ3. 162.

96 ძეგლები, I, ვ3. 305.

პიორგი მცირე:

კუნძღვიდს რომ იყვნენ, გიორგისთან მიეიღა ერთი მთავარი და-
ქნი, რომელსაც „ზოგადი იგი მტერი ნათესავისა ჩუენისად ეკუთხა-
სიქაბუკისა გულის-თქუმათა მიერ“. ეს მტერი ღვინის სიყვარული
იყო. ბერმა გულწრფელად მოახსენა გიორგის თვისი გაჭირვების
მბავი და შველა შესთხოვა. გიორგი დიღხანს ესაუბრა ახალგაზრდა
ბერს და დამოძლვრა იგი. მოძლვრის საკნიდან გამოსული ბერი
„იხილვებოდა ვითარცა ბრძმედისაგან გამოსრული ყოვლითურთ მხი-
რული და თავისუფალი“⁹⁷.

„ვითარცა იხილა ღმრთის-მსახურმან ამან შეფერმან ბაგრატ ეს-ვითარი ესე მოქალაქებად მისი (გიორგისა, — გ. ფ.) და უსხეულო-თა მსვანესი ცხორებად... ყოვლითურთ იწყლა სული მისი სიყუარუ-ლითა მისითა და ღონესა ეძიებდა, რამთამცა თვესსა მამულსა წარიყ-ვანა“⁹⁸. ბაგრატის სული დაიკოდა გიორგის სიყვარულით.

შიო მლვიმელის მეტაფრასული „ცხოვრება“:

„ვტორი იმ განცდებს გვისურათებს, რაც შშობლების გულში აღძრა შვილის გადაწყვეტილებამ — შემონაზენებულიყო: „მამია მისისა გული ვითარცა ცული საბეჭდავისაგან ეგრეთ აღმოიტკორვა- რა...“⁴⁹⁹.

საერო ცხოვრება რომ მიატოვა და შიოს დაემოწაფა, ევაგრემ „...შორს ყო გონებად თვისი ყოველთვე ქუეყნიერთა ზრუნვათაგახ ხედვად ღმრთისა მიმართ, ხოლო მეგვატელნი — შემაწუხებელნი სულისანი, ბოროტნი გულის-სიტყუანი—დაანთქნა სილრმეთა შინა დავიწყებისათა და ყოვლითურთ დაფარნა იგინი სამ-მოქცევთა შინა მითინარებრთა ცრუემლთა ნაკადულისასა“¹⁰⁰.

„იღანი ზედაზნელის ცხოვრება“:

„ ზედაშნის მკვიდრი წარმართები იქ ახლადდამკვიდრებულ ქრისტიან იოანეს მტრობენ. „ამას ესევითარსა მოღუაშებასა შინა მყოფსა ხედვიდეს რაა კეთილის მოძულენი იგი ეშმაკი, განიხერხებოდეს შურითა და ვითარ მახვლითა განიჭრებოდეს რისხვითა აღბორგებული, რამეთუ ვერ მოითმენდეს ესევითარად ხილვასა წმიდისასა, ვიდრე-ლა დღესა ერთსა სრულიადისა ურცხვნოებისა შემმოსელი კათინიერებით ზედა მიუკდეს წმიდასა იოანეს და მრავლად აშინებ-

97 ქავლები, II, გვ. 165.

98 ძეგლები, II, ამ. 138—139.

99 Տաղաւոր Թողովանի գիրքը, 33. 75.

დეს მას მრისხანებასა და გულის წყრომასა სასტიკებრი მართვა
ბელნი მისა მიმართ¹⁰¹.

„დავით გარეჯელის ცხოვრება“:

ეროვნული

როცა კახელმა მონადირეებმა მათგან დევნილი მიშებრუებული-
თან შეფარებული და „ლუკიანე ჩეულებისამებრ მწულელი მათი“
იხილეს, „ზარ-განჯლილნი“ ჩაუვარდნენ ფეხებში დავითს და დამო-
წაფებას შესთხოვდნენ. ბერმა მათ ეს განზრახვა ვერ შეაცვლევინა,
....რამეთუ განჯურვებულ იყვნეს გულნი მათნი ქრისტეს უღელსა
ტკბილსა აღებად მქართა ზედა და შედგომად მისსა¹⁰².

„ნინოს ცხოვრება“:

სუჭი დედოფალი „ვითარცა ყრმა ძუძუისთვეს დედისა თვესისა,
ეგრეთ სურვიელ იყო ხილვისათვეს სასურველისა თვესისა¹⁰³ (ნინოს-
თვის).

ე) საგანგებოდ უნდა გამოიყოს გმირის განცდათა ის მოძრა-
ობანი, რომლებიც სხვა გმირის აღქმას გამოხატავენ და ასახული (აღქ-
მული) საგნის ბუნების გარდა, ზოგჯერ უფრო ნათლადაც, აღქმებუ-
ლი სუბიექტის შინაგან მდგომარეობას ვისურათხატებენ. ეს არის
ხატი ერთი პერსონაჟისა, როგორც იგი მეორის აღქმაში აირეკლება,
ერთი გმირის პროექცია მეორეში. მაგრამ პროექცია უშრავლეს შევ-
თხვევაში ცალმხრივია. პაგიოგრაფიაში იშვიათად შევხვდებით
რთულს, ორმხრივ პროექციას, რაც ასე დამახასიათებელია ახალი
მწერლობისათვის. მაგალითად, დავით კლდიაშვილის მოთხრობებში
პერსონაჟთა ავტორისეულ ხედვას ხშირად ცვლის სხვა პლანის აღქ-
მა, პერსონაჟთა ურთიერთში ასახვა. მწერალი საგანგებო ყურადღე-
ბას აქცევს იმას, თუ როგორ პროექცირდება, მაგალითად, სოლო-
მან მორბელაძის აღქმაში ბესარიონ საქარაძე. მეორეს მხრივ, განსა-
ხიერების ობიექტია იქცევა სოლომან მორბელაძის ხასიათის ბესა-
რიონ საქარაძისეული განცდა. ტოლსტოის „პაჭი-მურადში“ ნიკო-
ლოზ პირველი აირეკლება შამილში, შამილი — ნიკოლოზში, ორივე
მათგანი კი თავიანთ გაიძევრა მოხელეებში. ურთიერთში ასახვის ეს
რთული და ინდივიდუალობის მომენტით ღრმად აღეცდილი ასპექ-
ტი მხატვრული აზროვნების გვიანდელი მონაპოვარია.

პაგიოგრაფიულ ნაწარმოებში ცალმხრივი პროექცია ხშირად

101 იქვე, გვ. 43

102 სურველ მოლვაწეთა ცხ. წ. ძვ. ჩედაქციები, გვ. 165.

103 ძეგლები, I, გვ. 161.

მიმართვის ფორმაშია ჩამოყალიბებული; ასე რომ, ასახული პირდა
პირ ჭვრეტს თავის პროექციას ამსახველში. ბუნების ესთეტიკული უძველესი საუნგეთაგან ნასესხები სიმბოლოებით ძერწავს გიორგი მუწერული მარტინი გიორგი მალდაუტანებელი აღფრთოვანებისა და შეუძლვრეველი სიყვარულის იმ განცდას, რაც გრიგოლისა და მის თანამოძმეთა მოსვლამ აღძრა ხანძთის უდაბნოში მარტოდმყოფი ბერის ხუედიოსის გულში: „თქუ-
ენ ხართ სიწმიდისა ნაყოფი, მცენარენი სულნელნი, ვარდნი შუენა-
ერნი, ფინიკი კეთილნი და ზეთისხილნი ნაყოფსავსენი, ზეთითა მით
სიწმიდისათა პოხილნი, რომელთა ხილვითა დღეს განიპოხა სიბერშ
ჩემი და ამაღლდა სიხარული ჩემი, ვითარცა რქად მარტორქისა. ამიერითგან იხარებდინ უდაბნო ესე თქუენ, ქრისტეს ნების მყო-
ცელთა, ამას შორის დანერგვითა“¹⁰⁴. ძნელი წარმოსადგენია მარ-
ტოდმყოფი კაცის კმაყოფილებისა და ანკარა სიხარულის უფრო გა-
თვალსაჩინოება, ვიდრე აქა მიღწეული. მარტოდშთენილობით, შე-
ჭირხლული სული ხუედიოსისა გამლევალა და იქ „მცენარენი სულ-
ნელნი, ვარდნი შუენიერნი, ფინიკი კეთილნი და ზეთისხილნი ნა-
ყოფსავსენი“ გალივებულან. ეს საოცრად გამჭვირვალე სახე-სიქ-
ბოლოები, გმირის განცდებს რომ ვვიმხელენ, დინამიკურობის უფრო
საგრძნობი ძალით იმოსებიან სურათის მეორე ნახევრიდან: „...რო-
მელთა ხილვისა დღეს განიპოხა სიბერშ ჩემი და ამაღლდა სიხარუ-
ლი ჩემი, ვითარცა რქად მარტორქისად“. დასასრულ ამ სიხარულის
ამაღლებულობა დადასტურებულია აღაშიანთან ბუნების ერთიანობის
ხარში: „ამიერითგან იხარებდინ უდაბნო ესე თქუენ, ქრისტეს ნე-
ბის მყოცელთა, ამას შორის დანერგვითა“. ხუედიოსის აღქმაში
არეკლილია გრიგოლი და მისი მოწაფეები, მაგრამ, როგორც დასა-
წყისში ვთქვით, ასეთ მხატვრულ სახეში აღმქმელი სუბიექტის შინა-
განი მდგომარეობა უფრო ხორმშესხმული. ხუედიოსის ღალადისი,
შინაგან განცდათა წარმომაჩინებელი, სამადლობელ ლოცვას გავს
„...და სულნელებამ ლოცვათა მისთავ, — მერჩულესავე სიტყვები
რომ ვთქვათ, — ვითარცა კეთილი საკუმეველი აღიწეოდის წინაშე
ღმრთისა“.

აი, მეორე მაგალითი იმავე მოთხრობიდან. მერეს დედათა მო-
ნასტრის გარდაცვლილ დათა სულიერი კდემამოსილება და ღვაწლი
ასეა პროექცირებული გრიგოლის მათდამი მიმართვაში: „თქუენ,
ბრძნეთაგან ნეტარნო და უვიცთაგან უცნაურნო, უოხვნოსა სიმ-

104 ძეგლები, I, გვ. 255.

დიდრესა კეთილთაებრ ვაჭართა საწუთროეთა მომსყიდვლნო, ხოლო აშ მძინარენო კორცითა და მღვდარენო სულითა, მუდრად შერაცხილნო მყუდართაგან და უკუნისამდე ცხოველი განა, ტაძრითა მით სულისამთა ქუეყანისა ცად შემცვალებელზე, გან, ტაძრითა მით სულისამთა ქუეყანისა ცად შემცვალებელზე, ქალწულებისა უყავილნო, მიმსგავსებულნო დედასა ღმრთისასა, მხიარულნო მის წინაშე საუკუნოდ დიდებულსა მას მოსლეასა, ძისა მისისასა მომლოდებელნო!“¹⁰⁵

სარა მიაფორი ასე ჰერეტის ნინოს ღვაწლს და ქალის ამ სწორ-უპოვარ მისიას, სულიერ ძლევამოსილებას ასე წარმოსახავს: „ვხე-დავ, შვილო ჩემო, ძალსა შენსა, ვითარცა ძალსა ლომისა მუვისასა, რომელი იზახებნ ყოველსავე ზედა ოთხფერვსა, გინა ვითარცა ორბი დედალი, რომელი აღვიდის სიმაღლესა აერთასა უფროეს მამლისა და ყოველი ქუეყანად გუგასა თუალისა მისისასა, მცირესა მარგა-ლიტისა სწორსა, შეაყენის და განიხილის, განიცადის საჭმელი მისი ცეცხლებრ, დაინახის, მოუტევნის ფრთენი შრიალებად და მიმარ-თის მის ზედა. ეგრეთ იყოს ცხორება შენი წინამძღურებითა სულისა წმიდისამთა“¹⁰⁶.

აბიათარ მღვდელი ყვება ნინოს შესახებ: „მაშინ ნეტარმან მან ალალო პირი თვისი, ვითარცა ჯურლუმულმან აღმომდინარემან და ვი-თარცა წყარომან დაუწყუდელმან. იწყო საუკუნითვანთა, ჩემია წიგნთა ზეპირით წარმოიტყოდა და განმიმარტებდა; და ვითარცა მძინარესა განმაღვებდა და ვითარცა დასულებულსა განმანათლევ-და...“¹⁰⁷.

მირიან მეფისეული განცდა ნინოს სიკვდილისა: „ფრიად შევ-ძრწუნდი სულითა ჩემითა. და ყოველი ნათესავი ჩრდილომასად აღივ-სო მწუხარებითა, რამეთუ აღმო-ოდენ-სრულ იყო მზჟ სიმართლისად და მო-ოდენ-ფენილ იყო ჰეშმარიტი. და დაფარა ღრუბელმან წმი-დად ნინო. ხოლო წმიდად იგი ყოლადვე ნათელსა შინა არს და ყო-ველთა განგუანათლებს“¹⁰⁸.

105 ძეგლები, I, გვ. 300—301.

106 იქვე, გვ. 111.

107 ძეგლები, I, გვ. 145.

108 იქვე, გვ. 161.

მეცნიერებების თავი

სიტყვა გმირისა

ჩვენ წარმოვაჩინეთ ადამიანის შინაგანი, სულიერი მოძრაობანი, რომლებიც ყველაზე შესატყვისად და ორმად სწორედ სიტყვიერი მხატვრული სახით გადმოიცემა. ხშირად ეს ისეთი შინაარსია, რომელზედაც მხოლოდ ლიტერატურულ სახეს მიუწვდება ხელი, რომელც სპეციფიკურ ფორმას სპეციფიკური (პოეტური) შინაარსია. გორც სპეციფიკურ ფორმას სპეციფიკური (პოეტური) შინაარსია. გორც სპეციფიკურ ფორმას სპეციფიკური (პოეტური) შინაარსია. გორც სპეციფიკურ ფორმას სპეციფიკური (პოეტური) შინაარსია.

ვინაიდან ამ ღრივისათვის ფაბულაა ძირითადი ესთეტიკური კატეგორია, „საწყისი“ და „სული“ ნაწარმოებისა (იხ. III თავი), აღნიშნული შინაგანი, სულიერი მოძრაობანი აცოცხლებენ, ხორცი ასხამენ ფაბულის ამა თუ იმ ნაწილს, სიუჟეტში რეალიზებულია ფაბულა. სიუჟეტური ქსოვილი (შინაგან მოძრაობათა გამომხატველი სახეები) ფუნქციურია, მან უნდა შემოსოს, გააცოცხლოს, ხორცი შეასხას ფაბულური ჩონჩხის გარევეულ მონაკვეთს.

ის სიუჟეტური ფენა, რომელსაც ხეედიოსის შინაგანი სამყაროს მოძრაობის ხატები ქმნის, უშუალოდაა დაკავშირებული გრიგოლისა და მის თანამოძმეთა ხანძთაში მოსვლასთან, ყველა დეტალში ამამბავთანა გადაბმული, პირდაპირ არყვავს ფაქტს, მოტივირებულია მისით. უფრო მეტიც, შინაგანი მოძრაობა გადაშლილია ამბის მოქმედთა თვალწინ. ესაა ფაქტობრივი სიუჟეტი.

მაგრამ ქართულ ჰაგიოგრაფიაში არის ისეთი მხატვრული სახე-ებიც, რომლებიც ადამიანის „წმინდა“ სულიერ მოძრაობებს, სულის თავის თავთან მიმართების აქტებს გვისურათხატებენ. ამჯერად სიე-

უეტი არ არის მხოლოდ საშუალება ფაბულის განვრცობის, ისის თქმა კი არ შეიძლება, რომ ამ შემთხვევაში წარმოსახულება ცუსტებრ-ლოგიურ აქტებს საერთოდ არა აქვთ კავშირი ფაბულის ფაზე მომდევნობას. ულრმეს საფუძველში ყველაზე თავისთავადი სულიერი მოძრაობანიც ფაქტობრივ ვითარებაშე არიან აღმოცენებული, მაგრამ ისინი დამოუკიდებელი არიან იმ აზრით, რომ გარკვეულ სტადიაზე მათ უფრო კვებავს და აფორმებს სხვა, სულიერი მომენტები. ეს არის ფსიქოლოგიური სიუჟეტის სფერო, რომლისკენაც თანდათანობით მიისწრაფვის მხატვრული აზროვნება, როგორც ამას სახეობრივი ცნობიერების ისტორიულ განვითარებაზე დაკვირვება გვიდასტურებს. შექმნილის ტრაგედიაში „ქარიშხლისებული მოქმედების შუაგულში ჰამლეტი უეცრად წარმოთქვამს არავისკენ მიმართულსა და არავისგან აღქმულ სიტყვებს — „ყოფნა, არყოფნა...“ რომელიც შინაგანი მოძრაობების ჯაჭვს წარმოგვიდგენს“. ანალოგიური სურათები წარმოსახავს „...დამოუკიდებელს, სხვას რომ არ ეხება, ისეთს „შინაგან მოძრაობას“, რომელიც რაღაც გარკვეული დროით მოელის სიცხადით ცვლის ამბავისათვის დამახასიათებელ მოქმედებას. იკავებს მის ადგილს სიუჟეტის განვითარებაში“¹.

ასეთია გრიგოლ ხანძთელის ლირიკული მონოლოგი აშოტ კურაპალატის სიკვდილთან დაკავშირებით . „ტკივილისა ცრემლითა“ აღვხებული ბერი „გლოით იტყოდა: „მ მეფეო ჩემო, ძლიერო და დიდებულო, სიმტკიცეო ექლესიათაო და ზღუდეო ქრისტიანეთაო, სადათ-მე მოგელოდი, აღმოსავლით-მე ანუ დასავლით, ჩრდილოეთ-მე ანუ სამხრით? რამეთუ ყოველთა ზედა ნათესავთა მფლობელი იყავ, რომელიცა წყობით კელმწიფეთა დაიმორჩილებდ, საკვრველი ეგვ დიდებული, ღმრთის-მსახური კელმწიფეც! აწ ვითარ-მე მიეცი კელსა შეურაცხთა უშკულოთა და უნდოთა კაცთასა, რომელნი-ივი იუდას მსგავსად შენ უფლისა თვისისა მკვლელ იქმნეს მოსაკუდინებელად ჩუენ, გლახაეთა მლოცველთა შენთა, უკუნისამდე?“²

ასეთივე ელიოზის დედის სისხლის ცრემლებიანი გოდება მშობელი ერის ბედზე („ნინოს ცხოვრება“): „მშვიდობით, მეფობაო ჰურიათაო, რამეთუ მოპეალთ თავისა მაცხოვარი და მქსნელი, და იქმნენით ამიერითგან მტერ შემოქმედისა. ვად თავსა ჩემსა, რომელ არა უწინარშ მოვკუდ, რომელმცა ესე არლარა სმენილ იყო, და არ-

¹ Теория литературы, кн. II, стр. 455.

² ძეგლები, I, გვ. 264—265.

ცა კინ უკუნახსრტ დავრჩი, რომელმცა მეხილვა ნათელი გამოიწვია წყინვებული წარმართთა ზედა და დიდებად ერისა ისრაჟლისამა”³.
ორსავე შემთხვევაში საქმე გვაქვს სუფთა ფსიქოლოგიური ცენტრული კართან, როცა მოხსნილ-გადამუშავებული სახით შეინიშნება პერსონალის კარგის ბიძგის მიმცემი ფაქტი. ფაქტიურ-საგნობრივი რეალია სულის ჰარივან მოძრაობადა სუბლიმირებული.

რადგან სულის ერთადერთ რეალობად აღიარება ქრისტიანობის საფუძველთა საფუძველია, ამ ნიადაგზე დამყარებული ხელოვნება ბუნებრივად მიაყრობს მთელ ყურადღებას ადამიანის ღრმა შინაგან სულიერობას. სხეულისა და სულის ანტიკურ იგივეობაში ტოლობის საფუძველი სხეულია (პეგელი). ამიტომ ადამიანის სულიერ მოძრაობათა სამყარო აქ შედარებით მკრთალია. ქრისტიანული ხელოვნება კი, შეიძლება ითქვას, სულის ხელოვნებაა. ფილოსოფიური რეფლექსის აზრით, იგი ახალი, შალალი საფეხურია (ამაზე უფრო ფართოდ იხ. პირველ თავში).

განსაკუთრებული ყურადღება სულის მოძრაობისადმი ქართულ ჰაგიოგრაფიაში იმ უბრალო გარემოებიდანაც ჩანს, რომ აღნუსხულია ამ მოძრაობის ყოველგვარი ნიუანსი: „იხარებდა სულითა“, „სულითა გულისჯა-ყო“, „სულითა ბრწყინვალენი“, „ფრთეთა სულიერთა მიმხუმელი“, „მდუღარებად სულისად“, „ენად სულისად“, „ცხორებად სულისად“, „გამლი სულისად“, „კარავი სულისად“, „მოწყალებად სულისად“, „სიკეთე სულისა“, „სულისა სურვილი“. „თუალნი სულისანი“, „სულიერი ქნარი“, „სულიერი შვილი“, „სულიერი ქორწილი“, „სულიერად მშობელი“, „სულიერი სიყუარული“, „სულიერად ძმა“, „სულიერად მოძლუარი“, „სულიერი საბჭოდ“, „იწყლა სული“ და სხვ.

ყურადღება უნდა მივაყროთ იმ პასაკებს, სადაც ჰაგიოგრაფული გმირის სულის მოძრაობა ეგზალტიური თავდავიწყების პროცესშია წარმოსახული. ესთეტიკური და მისტიკური პლანი აქ ერთ-მანეთში გადადის. ასეთია ევსტათი მცხეთელის ღალადისი თავის მოკვეთის წინ: „უფალო ღმერთო, ყოვლისა მპყრობელო, რომელსაც ყოველთა კაცთა გნებავს ცხორებად, რომელნი ესვენ სარწმუნოებით სახელსა წმიდასა შენსა, რომელმან ისმინე ლოცვად პირველთა მათ მოწამეთა, რომელნი პირითა მახვილისათა მოსწყდეს, რომელნიმე ტბასა შინა ყინელითა, რომელნიმე ზოუასა შინა შთაყრითა მოსწყ-

დეს, რომელნიმე ცეცხლითა და რომელნიმე მკეცთა მუქ შეივინეს
 სახელისა შენისათვეს და მოიღეს შენმიერი იგი ალქუმელი, რომელი
 თუალმან არა იხილა და ყურსა არა ესმა და გულსა ჟადებენ რეალურ
 უკდა, რომელი-იგი განუმზადე წმიდათა მათ მოწამეთა შენთა, მეცა,
 უფალო, ლირს მყავ მონაწილე მათ თანა და სამკუდრებელსა მათ თანა,
 სიხარულსა მათ თანა, უოხცნოსა შეებასა მათ თანა...“⁴. საგულის-
 ხმო სურათია, ფსიქოლოგიური ქვეტექსტებით გამდიდრებული.
 როცა ბუზმირ მარზაპანმა „ვერ შენებითა და ტანჯვითა და ვერცა
 კეთილისა ქადებითა არწმუნა მამული რჩული“ ევსტათის, იხმა
 მსახურნი და უბრძანა: „წარიყვანეთ ეგე საპყრობილედ და იღუმალ
 ღამით თავი წარპეკუეთეთ“. ევსტათი თვითონ ისმენს სიკვდილის მა-
 განაჩენს, იმასაც, რომ მის გვამს შეურაცხვყოფენ და ლოცულობს
 იმ სიტყვებით, რაც ჩვენ ზევით მოვიტანეთ. მაგრამ უზენაესისადმა
 მა მიმართვაში ჩვენ გვეძლევა არა მხოლოდ თავდავიწყებული სიკ-
 ვარულის განცდა, არამედ მოწამის შინაგანი ყოფა მისევე სულიერ
 აღქმაში არეკლილ-გაცნობიერებული. დავაკვირდეთ მოწამის სი-
 ტყვებს უფლისადმი: „...რომელმან ისმინე ლოცვად პირველთა მათ
 მოწამეთა არმელნი პირითა მახვლისახთა მოსწყდეს, რომელნიმე
 ტბასა შინა ყინელითა, რომელნიმე ზღუასა შინა შთაყრითა მოსწყ-
 დეს, რომელნიმე ცეცხლითა და რომელნიმე მკეცთა მიერ შეიქამნეს
 სახელისა შენისათვეს...“. როგორც ჩანს, აქ ისტორიულად დადასტუ-
 რებული მარტვილობანი, კონკრეტული მოწამენი იგულისხმება.
 პ. კეკელიძეს აქვს გარკვეული, რომ ერთ შემთხვევაში „ნაგულისხ-
 მევი არიან 40 სებასტიელი მოწამენი, რომელნიც, როგორც ბასილა
 კესარიელი გადმოგვცემს, ყინულიან და ცივ ზამთარში შიშველნი ტბა-
 ში ჩაყარეს“⁵, ცნობილ მარტვილობათა გახსნება მოწამის ცნობიე-
 რებას საკუთარი თავის ორგანიზაციისათვის სჭირდება. სიკვდილის
 თავს-წამომდგარი აჩრდილით შემკრთალი სული ადამიანისა ისტო-
 რიული ხსოვნის შორეთიდან გამოუხმობს ქრისტესოვის წამებულთა
 ლანდებს, თვალწინ გაიტარებს იმათ თავგანწირვასა და სიმტკიცეს,
 რათა თავად განმტკიცდეს და არ მოიდრივოს უკანასკნელი და
 ყველაზე დიდი განსაცდელის წინაშე. სწორედ სიკვდილის შიშის
 დათრგუნვით, — შეახსენებს მოწამის სული თავისავე თავს, —
 მიიღეს მათ „იგი ალქუმული, რომელითუალმან არა იხილა და ყურ-

⁴ ძეგლები, I, გვ. 44.

⁵ ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, გვ. 514.

სა არა ესმა და გულსა კაცისასა არა მოუყდა“. ხოლო იმ მომენტში
როცა ევსტათი წარმოთქვამს: „მეცა, უფალო, ღირს მყავ მოწარილი
მათ თანა და სამეციდრებელსა მათ თანა, სიხარულსა მათ აზრული
უობებისა შეუბასა მათ თანა...“, მოწამე უკვე გაწონასწორებული სისტემა
ძალმოსილი და შემართული სული სულ ახლოს ჭვრეტს მზით გახა-
თებულ ქვეყანას ნეტარებისა. ამ პასაუში გმირი ობიექტურ სახედ არ
წარმოვიდგება, იგი ღმერთსა და თავის თავს ესაუბრება. ჩევნ უფ-
რო გვესმის მისი, კიდრე ვხედავთ მას. ადამიანს აქ ენაცვლება მისი-
ვე სიტყვა, სულის ღალადისი თავის თავთან. სუბიექტის თვითშეგნე-
ბა გმირის საერთოდ ობიექტური სახის ერთ-ერთი კონსტრუქციული
მომენტია. ამ მომენტში პერსონაჟის შინაგანი სამყარო მწერლისე-
ული (გარედან ობიექტური) აღქმის საგანი კი არ არის, არამედ საგ-
ანია თვით გმირის რეფლექსისა.

მაგრამ თუ ევსტათის თვითშეგნება მხოლოდ ერთი მომენტია მისივე მყარი მხატვრული სახისა, იმანა საბანისძე თავისი მთავარი გმირის ცნობიერების, რეფლექსის ობიექტად ხდის გაცილებით მეტ ნაწილს გარემომცველი რეალობისა და პერსონაჟის საკუთარი ცხოვრებისა. ამის ერთი საუკეთესო მაგალითი ჩვენ უკვე მოვიტანეთ წინა თავში (სასიკვდილოდ მიმავალი აბო ხილვა). პოეტური ნათელმხილველობის ამ თვალშეუღამ სიმაღლეზე ასასვლელად მკითხველი მთლიანადა მომზადებული სურათებით იმ მტანკველი ცხრა დღისა, როცა ციხის საკანში თავის თავთან შეტოვებული აბო შიშითა და ახოვანებით, ცრემლითა და ღიმილით ერკინება კართან მომდგარ სიკვდილს, თავისივე განსამტკიცებლად ღალადებს: „ჯერ-ას ჩემდაცა დღესა ამას, რათა განვიძარცო შიში ჭორუთა ამაო ჩემთამ, რომელი სამსესელ არიან სულისა ჩემისა...“⁶. აღზევებული სული მოწამისა მაცხვიარს ეალერსება, მასა და მარადიულ არყოფნას შორის ჩასადგომად უხმობს.

ახლა მოვიტანთ ნაწყვეტს შიო მლევიმელის შეტაფრასული ცხოვ-
რებიდან, სადაც ბერის სულის მოძრაობა იმავე სულის ძრფოლის
ხატავს მომავალ განკითხვის დღესთან დაკავშირებით: „მაშინ არცა
ქრისტიანი არს, არცა სიტყვს მიცემა, არცა შეწირულ იქმნენ ცრემლ-
ნი, არცა დრო მოგუეცეს, არამედ წარვდგეთ შიშუელნი და თვ-
ნი, ადრე ერთ კილნი ყოველნი ერთბაშად და განხეუნენ წიგნი თითოეული-
დადრეჯილნი ყოველნი ერთბაშად და განხეუნენ წიგნი თითოეული-
სა საქმეთანი და მიექადებოდის თითოეულსა თვსი ვალი და თვსი

ალთქუმად და თვისნი საქმენი. და გამოვიდეს საშინელი იგზ კმა, მიმწოდებელი მართალთა სასუფეელად, ხოლო წარმდევნელი ცოდნა-ვილთად ცეცხლად უშრეტად. მ ჩემდა, ძმანო, ვითარ მართალი უშრეტად მისგან, უკუეთუ ვიპოვო მარცხნით და მესმეს კმად წარმგნავნელი ჩემი სატანგველად საუკუნოდ. რაღალ-მე ვყო უბადრუებან მაშინ, რამეთუ არღარა არს დასასრული სასჯელისად მის, არღარა არს ლხი-ნებად, არღარა გარე-მოიქცეს საუკუნოდ იგი, არღა კუალად გან-ჭორციელდეს ქრისტე...⁷.

მეორედ მოსვლისა და განკითხვის დღის წარმოდგენით აღძრული მოძრაობა გრიგოლ ხანძთელის სულისა ჩენ უკვე გავაანალიზეა წინა თავში. ორივე შემთხვევაში პერსონაჟის რეფლექსის საგნად ქცეულა მისივე ცნობიერების შინაარსი — შიში. მხატვრულ სახეში გვეძლევა გრძნობა შიშისა მომავალი სავარაუდო შიშის გმო. აქ-ტივიზიზრებული შინაგანი ჭვრეტა განსაცდელ გრძნობებს ისეთ სი-ცხადეს ანიჭებს, რომ იგი გმირის აწმყოს ინტენსიურ ვითარებად აღიქმება⁸.

განსაჯუთორებით ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს შიო მღვიმელის ცხოვრების უკანასკნელი პერიოდის სურათი იმავე მეტაფრასული რედაქციით. შიო მოწაფეებს დამშვიდობა და სიცოცხლე ბნელ-სა და ღრმა მღვიმეში დასასრულა ყველასაგან განმარტოებით: „წმი-დად და სანატრელი შიო შთაგდა მღვემესა მას ბნელსა შინა ქუ სილ-რმეთა მიწისათა, რათა სიმპალესა ჭორცისა მიცემითა აღმოაჩეკი-ლოს ქუვილი წმიდად და რამეთუ იფქლიცა, ესრეთვე მიწად შთა-თესული და სიმპალესა მიმთხუეული, გამოიღებს ნაყოფსა კეთილსა არა შეშთობილი ეკალთაგან, არამედ ღრმად შთამტევებელი ძირია, ვინად და წმიდაღცა ესე მიმცემელი მიწად თავისა თვისისა აღინილ-ვიდა ზენა მთათა მიმართ თუალთა გონებისათა და მოელოდა შეწევ-ნასა ცუართა, საკურნებელთა სულისათა, რომელთა მიერ განაპოხ-

7 ასურელ მოლვაქეთა ცხ. წ. ძვ. რედაქციები, გვ. 137—138.

8 ეს არის შებრუნებული სახე იმ ტენდენციისა, რაც ხშირად ვლინდება, მაგალითად, გ. ტაბიძის პოეზიაში. „იგი თავის წარსულზე ხშირად ლაპარაკობს, მაგრამ იშვეარად, რომ განცდის ხარისხით ეს წარსული აწმყოსაგან არ გამოირ-ჩევა. ეს არის წარსულ გრძნობათა ხელახალი აღდგენა ისეთი ძალით, რომ მათ არ ეტყობათ ინტენსივობის ოდნავი შენელებაც კი“. ,იხ. გ. კინაძე, მეტაველე-ბის სტილის საყითხები, 1957, გვ. 314. გარკვეული აზრით ეს ტენდენციაში ან-ლოგიურია ერთმანეთისა: ხდება აწმყოს რეალური მდგრამარეობიდან ღრით და-შორებულ განცდათა გათანამედროვება.

ნეს იგინი ღმრთისა ზედმოხილვისა წემათა მიერ მორწყულთა
...დავრდომილი მიწად დაალტობდის იატაკა ცრემლთა მიერ, რო-
მელნი შთამოდიოდეს თუალთაგან მისთა, ვითარ წყარონი ღუჩქიშვილი
ედელნი ცრემლთა ჩემთასა: ნუ დაიდუმებ, — მეტყუელებჭმნაშე მომისა
ჩამეთუ მსხვე ვარ მე შენ წინაშე და მომიტევე, რათა განვისუენო
პირველ წარსლვისა ჩემისა. ხოლო აღდგომილსა ზე ეპყრნიან თუალ-
ნი გრძნობადთა კელთა თანა მვედრებელსა: წარემარ-
თენ, — იტყოდის, — ლოცვად ჩემი, ვითარცა საკუმეველი, შენ წი-
ნაშე. ხოლო აღყრობანი კელთა ჩემთანი, ვითარცა მსხურპლი საპ-
წუხრო. და კუალად მცირედ განსუენებად რად მისცის სხეულსა,
თუსაგან მდუმრიად იტყოდის: დავიდევ მე ნებსით მღვმესა ამას ჭუ-
ესკნელსა ბნელსა შინა, ვინამ, მოწყალე, ნუ გარე-მიიქცევ პირსა
შენსა ჩემგან, ნუ სადა ვემსგავსო შთამავალთა მღვმედ ჯოჯოხეთისა,
არამედ აღმოყვანე საპყრობილისაგან ბოროტთასა სული ჩემი აღ-
სარებად სახელისა შენისა, რამეთუ თმენით დაგიოთო შენ, ვიღრემ-
დის მომხედნე და ისმინო ლოცვისა ჩემისა და აღმიყვანო მღვმი-
საგან გლახაკობისა ჯორცამასა და თიკისაგან უყისა ბრალთამასა.
...იტყვა მეტყუელი: არა ვსცე ძილი თუალთა ჩემთა და პრული წამთ.
და განსუენებად ჯორცთა, ვიღრემდის ვპოვო ადგილი უფლისად. სუ-
ლითა მეტყუელებდის: შენ განანათლე სანთელი ჩემი, უფალო, და
განაბრწყინვე ბნელი სულისა ჩემისად, ლმერთო, რამეთუ ბნელი ესე
ხილული შენგან არ დაბნელდეს, ნათელო თუალთ შეუდგამო; ხო-
ლო ღამე, ვითარცა დღე, განათლდეს...”⁹.

უპირველეს ყოვლისა, ის უნდა ითქვას, რომ გარეგნული მდგო-
მარეობა, რომელშიც შიო წარმოგვიდგება, უალრესად ნოყიერი ნე-
ადაგია ეგზალტიური თავდავიწყების, მისტიკური ჰერეტისა და რეფ-
ლექსიისათვის. ჩვეულებრივ ცხოვრებისეულ გარემოცვაში ადამი-
ანის ცნობიერებაში ნებსით თუ უნებლიერ იქრება გრძნობადი. სა-
ნამდვილის ესა თუ ის საგანი ან მოვლენა. შესაბამისად, მათს ასაქ-
მელად, მისაღებად თუ დასაძლევად იხარჯება სულიერი ენერგიის
გარევეული ნაწილი. გასაგებია, რომ ასეთ ვითარებაში ძალიან ძნე-
ლია მთელი შინაგანი ძალების კონცენტრაციით სული მიიმართოს
თავისავე თავისაკენ. ღრმა და ბნელ მღვიმეში განმარტოებით კი
შიოს მძლავრი ზღუდე აუშენებია ცნობიერებასა და გარეგნულ
შთაბეჭდილებათა შორის. გრძნობადი სინამდვილის სარბიელზე მოძ-

⁹ ასურელ მოლვაშეთა ცხ. წ. ძ. რედაქციები, გვ. 138—140.

რაბიდან გამოთიშული, ერთი წერტილისაკენ კონცენტრირებული სული მხოლოდ თვის სინამდვილეს სცნობს — ყველაფრის ტრის-ფორმაციას ახდენს. შიო ამქვეყნიურ სურვილებს კონცენტრირებული სიმპალესა კორციასა მიცემითა აღმოაჯევილოს კუტილისტიკურ ფა რამეთუ იფქლიცა ესრეთვე მიწად შთაოსული და სიმპალესა მიმ-ოხუეული გამოიღებს ნაყოფსა კეთილსა არა შეშთობილი ეკალი — არამედ ღრმად შთამტევებელი ძირთა“. შემაშთობელი ეკალი — ამქვეყნიური ვნებანი — აქ თვითონ სულს შეუშთვია და ასე განრ-ყივრებულ ნიადაგში ძალუმად გაუდგამს ძირი. „სიღრმეთა მიწისა-თა“ დაფლული ხორცისაგან „აღმოჯევილებული“ სული ღვთაებრი-ვი ყოფის „მთათა მიმართ“ აღორძინებულა: „მიმცემელი მიწად თა-ვისა თვისისა აღიზილვიდა ზენა მთათა მიმართ თუალთა გონებისათა და მოელოდა შეწევნასა ცუართა საკურნებელთა სულისათა, რომელ-თა მიერ განაპოხნეს იგინი ღმრთისა ზედამოხილვისა წემათა მიერ მორწყულთა“.

აქამდე, სურათის ამ პირველ ნაწილში, გმირის სულის მოძრაო-ბა და თვითშეგნება ობიექტური საგანია, მოცემულია ისე, როგორც იქნა აღქმული, გაგებული, ფორმირებული გმირის ცნობიერებისგან დამოუკიდებელ ავტორისეულ წარმოსახვაში. გმირის ცნობიერება ავტორისეული ცნობიერების ჩარჩოშია ჩასმული, გაზომილ-აწონი-ლი, შეფასებული, დამთავრებული, გმირი ობიექტური რეალობაა.

ამის შემდეგ კი გმირის მხატვრულ სახეში დომინანტა ხდება მისივე თვითშეგნება, პერსონაჟის „სულის მეტყველება“, როგორც თვით ავტორი ამბობს. გმირის ცნობიერების მუშაობა, ხულის მოძ-რაობა პირველ პლანზე გადმოდის, სიტყვა თვითონ გმირს ეძლევა თავის თავზე: „ნუ დაიდუმებ, — მეტყუელებდის, — რამეთუ მსხევ (უცხო მხარეში მყოფი, — გ. ფ.) ვარ მე შენ წინაშე და მომიტევთ. რათა განვისუენო პირველ წარსლვისა ჩემისა“. აქედან მოყოლებული გმირის ობიექტური ნიშან-თვისებანი, პოზა, ფიზიკური მდგომარე-ობა, სულიერი განწყობილება და განცდათა შინაარსი იქცევა თვით პერსონაჟის რეფლექსის საგნად. თითქოს ბერის სულის ორეული განზე გამდგარა და იქედან შემოსცერის თავის ხორციელ სამყო-ფელსა და თავის თავს. ეს იდუმალი ორეული ყველაფერს აღნუს-ხავს და გაიცნობიერებს; პირველად თავის გასაგნებულ ლალადისა ხედავს და პოზას მლოცველისა: „წარემართენ, — იტყოდის, — ლოცვად ჩემი ვითარცა საკუმეველი შენ წინაშე. ხოლო აღყრობანი კელთა ჩემთანი, ვითარცა მსხვერპლი სამწუნროდ“. შემდგომ გერის

ფიზიკური მდგომარეობა, სამყოფელი აღგილის უკეთურობა და
„საპყრობილისაგან ბოროტთასა“ აღმოყვანის იმედია წარმოშეძე-
ბული: „დავიდევ მე ნებსით მღვმესა ამას ქუესქელსა ბნელსა შინა-
ვინაა, მოწყალე, ნუ გარე-მიიქცევ პირსა შენსა ჩემგან, ნუ მთხოვთ ნუ უკი-
კემსგავსო შთამავალთა მღვმედ ჯოჯოხეთისა. არამედ აღმოშეძენებულ
საპყრობილისაგან ბოროტთასა სული ჩემი აღსარებად სახელისა
შენისა, რამეთუ თმენით დაგიოთმო შენ, ვიდრემდის მომხედნე და ის-
მინო ლოცვისა ჩემისა და აღმოყვანო მღვმისაგან გლახაკობისა კორ-
ცთახსა და თიკისაგან უყისა ბრალთახსა“. „საპყრობილისაგან ბო-
როტთასა“ აღმოყვანის იმედი სულიერ ვალდებულებათა შეგნების
გრძნობითაა დადასტურებული: „არა ვსცე ძილი თუალთა ჩემთა და
ჰრული წამთა და განსუენებად კორცთა, ვიდრემდის ვპოვო აღგილი
უფლისად“. უკანასკნელ ღალადისში სული თავის თავს კვლავ ღამე-
ულ ბინდში ჭვრეტს, როცა სანთელი ასანთებია, სულიერი სიბნელე
საგასაბრწყინვებელია: „სულითა მეტყველებდის: შენ ვანანათლე სან-
თელი ჩემი, უფალო, და განაბრწყინვე ბნელი სულისა ჩემისაა,
რმერთო, რამეთუ ბნელი ესე ხილული შენგან არა დაბნელდეს, წა-
თელო თუალთა შეუდგამო; ხოლო ღამე, ვითარცა დღე, განათლდეს“.
ასე წარმოუდგება სულს თავისი თავი, როცა გონების შინაგან სარ-
კეში ჭვრეტს მას ა.ი., ამ წუთში. ეს არის ერთ-ერთი, კერძოდ,
ბოლო განცდა და სუბიექტური განწყობილება სულისა და, როგორიც
ასეთი, არ გულისხმობს ობიექტურ საგანს და ამ საგნის ჩაჭრდვეს
ობიექტურ განზომილებათა ჩარჩოებში, მის დამთავრებულ და ყვე-
ლასათვის ცხადად აღსაჭმელ სახეს. პირიქით, ეს არის სუბიექტური
სურათი თვითგაცნობიერების პროცესის ჯაჭვიდან, სახე იმისა, რაც
მხოლოდ სუბიექტს შეუძლია აღმოაჩინოს თვითშეგნების, თვით-
გაცნობიერების აქტში. ასეთ შემთხვევაში გმირი, მ. ბახტინის ლრმაზ
ანალიტიკური მსჯელობა რომ მოვიშველიოთ, ავტორს აინტერესებს,
როგორც „განსაკუთრებული თვალსაზრისი სამყაროზე და თავის
თავზე, როგორც აზრობლივი და შემთხვებელი პოზიცია თავის თავი-
თან და გარემომცველ სინამდვილესთან დამოკიდებულებაში“. მწერ-
თან და გარემომცველ სინამდვილესთან დამოკიდებულებაში“. მწერ-
თან „მთავარია არა ის, რას წარმოადგენს მისი გმირი სამყა-
როში, არამედ, უწინარეს ყოვლისა ის, თუ რას წარმოადგენს გმი-
რისათვის სამყარო, და რას წარმოადგენს თვითონ თავისი თავისათ-
ვის. ...მაგრამ მას მეშვეობით გმირის ყველა მყარი ნიშან-თვისება,
ჩჩება რა შინაარსობლივად იმად, რაც იყო, განსახიერების ერთი
პლანიდან მეორეში გადაყვანისას იდენს სრულიად სხვა მხატვრულ

მნიშვნელობას: მათ უკვე არ ძალუდთ დაამთავრონ და ფაქტური გრძელი, აავონ მისი მთლიანი სახე, მოგვცენ მხატვრული პასუხი კითხვაზე: „ვინაა იგი?“ ჩვენ ვხედავთ არა იმას, ვინ არის შინული უნიკატი, როგორ გაიცნობიერებს იგი თავისი თავს, ჩვენი მხატვრული უნიკატი კი კი გმირის სინამდვილის წინ კი არ აღმოჩნდება უკვე, არამედ მის მიერ ამ სინამდვილის შეგნების წმინდა ფუნქციის წინაშე¹⁰. ყველაფერი გმირის თვალთახედვაში შეაქვს მწერალს, პერსონაჟის რეფლექსის საგნად აქცევს. მწერლისეული კვრეტისა და განსახიერების ობიექტი კი ხდება თვით ეს ფუნქცია თვითშეგნებისა. იმ მხატვრულ სამყაროში, რომელსაც მ. ბახტინის ციტირებული სიტყვები გულისხმობს, ასეთი პლანი კონსტრუქციული დომინანტაა გმირის მთლიან მოდელში: ჩვენს შემთხვევაში კი თვითშეგნება მხოლოდ მომენტია გმირის საერთოდ მყარი მხატვრული სახისა, გარედან მისი ობიექტური კვრეტისა, როცა ავტორის თვალთახედვა ფარავს და ამთავრებს საგნას. მაგრამ „გაობიექტურების“ ამ საერთო ფონზე სულის სიღრმეთა გამომეძიებელი ქრისტიანული ლიტერატურა ხშირად თვითონ სულ „აძლევს სიტყვას“. ეს არის ახალი ასპექტი, პრინციპულად უცხო ანტიკური ლიტერატურისათვის. გაანალიზებული მონაცემის თვით ავტორი შენიშნავს სრულიად გასაგებად, რომ ყოველივე ამას გმირი „სულითა მეტყველებდის“. პერსონაჟი აქ „სულის მეტყველებაა“ და არა ობიექტური გმირი. ვერ „ვხედავთ“ გმირს, ვვესმის მისი. სიტყვა ფარავს პერსონაჟს, თვითონაა მხატვრული სახე.

* * *

უკანასკნელ მსჯელობათა მანძილზე ჩვენ უკვე სხვა სამყაროში ვიმყოფებით. მოყოლებული იმ მხატვრული სახეებიდან, როცა ერთი გმირის აღქმაში პროექცირებულია მეორე გმირი, საჭმებე გვაქვს უკვე არა პერსონაჟის მოქმედებასთან. ეს გადასვლა რომ ერთგვარად შეუმჩნევლად მოხდა, ამას გარკვეული შინაგანი გამართლება აქვს. „მწერალი უბრალოდ კი არ ჩასვამს რომანსა თუ დრამაში მის მიერ გაგონილ გამონათქვამებს რეალური ადამიანებისა, არამედ ქმნის გმირთა მეტყველების სახეებს — ისევე, როგორც იგი

¹⁰ М. Бахтии, Проблемы поэтики Достоевского, М., 1963, стр. 63—64.

ქმნის, მაგალითად, მათი უესტებისა თუ მიშიკის სახეებს. და გმირის/ უოველი გამონათქვამი არის აგრეთვე თავისებური სახის მოძრაო/ ობა, ადამიანური მოქმედება, რომელიც ხატავს ან შინაგან მოძრა/ ობას, განცდას, ან გარეთ მიმართული ნება-სურვილის გამოტრიტრინა/ ული/ ბას, — უკანასკნელ შემთხვევაში გამონათქვამი თითქმის შეუკეცილე/ წარმოადგენს¹¹. როცა მწერალს გამხვილებული სმენით აქვს დაჭე-/ რილი თავისი გმირის მეტყველების მიმოხრა, ინდივიდუალურ დ/ გამჭვირვალე სასაუბრო ნიუანსებში არა მარტო გვესმის ვიღაცის/ ხმა, ვხედავთ კიდეც მას. ა. გაწერულია დოსტოევსკისადმი მიძღვ-/ ნილ წერილში ამბობს, რომ „მები კარამაზოვების“ ავტორი პორტრე-/ ტული ხატვის მომენტს თავისი დიალოგებით ახორციელებს. მსოფ-/ ლიო პროზაში არ მოიპოვება უფრო დიდი ოსტატი დიალოგისა, კიდრე დოსტოევსკი. მისი პერსონაჟები, სტეფან ცვაიგის გადაჭირ-/ ბებული, მაგრამ მაინც მახვილი შენიშვნით, შეიძლება გრაფიკულად/ დაიხატონ მათივე საუბრების მიხედვით¹². ქართული მწერლობის/ მასშტაბთ, როგორც იმავე მკვლევარის საგანგებო დაკვირვებებიდა/ ჩანს, ამ თვალსაზრისით სანიმუშო დავით კლდიაშვილის შემოქმე-/ დება.

როცა ავტორის სიტყვისა და პერსონაჟის პირდაპირი მეტყვე-/ ლების შესახებ ვმსჯელობთ, არ ვაპირებთ შევიდეთ ლინგვისტიკის/ სფეროში. ჩვენ სიტყვა მის კონკრეტულ, ცოცხაო არსებობაში გვა-/ ინტერესებს, რასაც გვერდს უვლის ლინგვისტიკა. ლინგვისტიკას/ სიტყვის ლოგიკური და საგნობრივ-აზრობლივი მხარე აინტერესებს, მას ისიც აინტერესებს, რაც შესაძლებელი ხდის სხვა/ მიმართებებში სიტყვის არსებობას, გამოყენებას. ამის იქეთ ენათ-

11 Теория литературы, кн. II, стр. 416. როცა ვამბობთ, რომ ლიტერატუ-/ რული შემოქმედების საფუძველია განსახიერება უესტისა, მოქმედებისა, სიტყვი-/ ერი უესტისა, ჩვენ ხასს „უესტამთ ამ ხელოვნების ზოგად პრინციპს, ამსტრატულ/ ბუნებას. ესთეტიკური ეფექტი და კონკრეტულობა კი განპირობებულია თუა ხა-/ რისხით გამოსახული მოძრაობისა, ქცევისა, სიტყვიერი უესტისა, რეპლიკა. ან-/ წარმოების კეშმარიტი მხარვრულობისათვის არსებითა არა იმდენად ის, რომ წარმოების საერთოდ ადამიანთა და საგანთა მოძრაობანი, რამდენადაც ის, განსახიერდება საერთოდ ადამიანთა და საგანთა მოძრაობანი, რამდენადაც ის, თუ როგორი მოძრაობანი განსახიერდება. კეშმარიტი ხელოვანი დაიკერს ხოლმ-/ მთავარს, ადამიანისა და მოვლენის მთლიანი ახსის გამომსახველ უესტებს. განსა-/ ხიერდებული მოძრაობა საგანს არა მარტო წარმოადგენს ჩვენს წინაშე ცხადი/ ცხოვრებისეული უშუალობით, არამედ კიდეც აღბეჭდავს ღრმა აზრს საგნის შე-/ სახებ და მის ატრიუქ ესთეტიკურ შეფასებას“. იხ. იქვე, გვ. 420.

12 აკ. გაწერელი ი. რჩეული ნაწერები, I. გვ. 228.

შეცნიერება არ მიღის. იქედან, სადაც ჩერდება ლინგვისტიკა, იწყება უაღრესად საინტერესო უბანი სიტყვის კონკრეტული ცხრულები. სა, ცოცხალი მთლიანობისა. სიტყვის ამ მიმართებათურ შემცირებულ დისკიპლინას ზოგიერთი მეტალინგვისტიკა ეძახის: „მეტალინგვისტიკა“ ტიკა ემყარება ლინგვისტურ მონაცემებს, მაგრამ ისინი სხვადასხვა წერტილიდან უცქერენ ერთსა და იმავე საგანს.

მეტალინგვისტურ მიმართებათაგან ძირითადია ის მიმართება, რაც სიტყვიერ ერთეულთა შორის მყარდება დიალოგში. დიალოგურ მიმართებათა დროს მთავარია, რა კუთხით არიან სიტყვები (აქაც და სხვაგანაც ვგულისხმობთ სიტყვიერ გამონათქვამებს) შედარებული ან ურთიერთდაპირისპირებული.

ლინგვისტიკისათვის უცხო არ არის „დიალოგური მეტყველება“. მისი სინტაქსური და ლექსიკურ-სემანტიკური ბუნება. მაგრამ აქაც ამოსავალი ლოგიკური და საგნობრივი, წმინდა ენობრივი შინაარსია. ენათმეცნიერებას ხელი არ მიუწვდება რეპლიკათა შორის დიალოგურ მიმართებათა სპეციფიკაზე. მაგრამ დიალოგური მიმართება არ შეიძლება მოვწყვიტოთ საკუთრივ წმინდა ენობრივ სამყაროს. ენა სწორედ იმ კოლექტივის წევრთა დიალოგურ ურთიერთობაში ცოცხლობს და ვითარდება, რომელიც მას მოიხმარებს. მაგრამ ენათმეცნიერება თვითონ ენას, მის ლექსიკურ, გრამატიკულ, სემანტიკურ და სხვა ასპექტებს ეხება დიალოგური მეტყველების ანალიზისას, ე. ი. იმ მომენტებს, რაც შესაძლებელს ხდის დიალოგურ მიმართებას. ხოლო თვით „დიალოგური მიმართებანი არ დაიყვანება არც ლოგიკურ და არც საგნობრივ-აზრობლივ მიმართებამდე, რომელიც თავისთვალ მოკლებული არიან დიალოგურ მომენტს. ისინი უნდა შეიმოსონ სიტყვით, იქცნენ გამონათქვამებად, იქცნენ სიტყვაში გამოხატულ პოზიციებად სხვადასხვა სუბიექტებისა, რათა მათ შორის წარმოიქმნას დიალოგური მიმართებანი. ...ყოველგვარ გამონათქვამს, ამ აზრით, ჰყავს თავისი ავტორი, რომელსაც ჩვენ ვუსმენ თვით გამონათქვამში, როგორც მის შემოქმედს. რეალურ ავტორზე, რაშენადაც ის გამონათქვამის მიღმა იმყოფება, ჩვენ შეიძლება არც ვიცოდეთ რაიმე. ...დიალოგურ მიმართებაში პერსონიფიცირებულია ყოველგვარი გამონათქვამი, რომელზედაც რეაგირება ხდება“¹³.

13 მაგალითად, მ. ბახტინი, რომელსაც ვემყარებით მეტალინგვისტიკის საკითხებზე მომდევნო ზოგად მსეულობათა დროს. იხ. მისი — Проблемы поэтики Достоевского, 1963, стр. 243—253.

14 М. Бахтин, Проблемы поэтики Достоевского, стр. 245 — 246.

ლიტერატურულ ტექსტში დიალოგური მიმართება შეიძლება დამ-
ყარდეს არა მხოლოდ მთელ გამონათქვამთან, არამედ მის ნაწილთა-
ნაც, ერთ სიტყვასთანაც, თუ ამ სიტყვაში პიროვნება გამოკითხის,
პიროვნული პოზიცია ეტევა, თუ მასში სხვისი ხმა გვესმის. რომელიც იმ
როცა დიალოგურ მიმართებაზე ვლაპარაკობთ, ხაზი უნდა გულმარისეა —

ვას იმ პრინციპულ მომენტს, რომ „სიტყვას აქ ორგვარი მიმართუ-
ლება აქვს — სალაპარაკო საგნისკენაც, როგორც ჩვეულებრივ სიტყ-
ვას. და სხვა სიტყვისკენაც, სხვისი მეტყველებისაენ“¹⁵. უფრო
ადვილია პირველი მიმართულების შევრჩენება — გამონათქვამი პირ-
დაპირ მიემართება საგანს, ამოცანად მის აღქმას ისახავს. მეორე მი-
მართულების არსებობა შედარებით უფრო ფარულია, მაგრამ უფრო
პრინციპული დიალოგური სიტუაციისათვის. თუ ვერ ვვრჩენობთ აქ
მეორე კონტექსტს სხვისი სიტყვისა (მეტყველებისა) და დიალოგის
შემადგენელი რეპლიკა (ორი ხმიდან თვითეული) მხოლოდ თავის
უშუალო საგნობრივ მიმართულებაზე დაგვავს, დიალოგურ მიმარ-
თებათა სპეციფიკა გაუცნობიერებელი რჩება.

✓/ადამიანის არსი, მისი შინაგანი ბუნება ძალუმად ვლინდება სხვა
ადამიანებთან მიმართებაში. ურთიერთმიმართება და ურთიერთმშოქ-
შედება შეგვაცნობინებს თვალსაჩინოდ ადამიანში ადამიანს. ურთი-
ერთდამოკიდებულების პროცესი კი უმეტესწილად დიალოგურ მი-
მართებაში გამოიხატება. ამგვარად, დიალოგური მიმართება ადამია-
ნის არსისა და არსებობის საუკეთესო გამოხატულებაა („არსებობა
ნიშნავს დიალოგურ მიმართებას“). — ამბობს მ. ბახტინი). V

ძველ ქართველ მწერლებს ეს ჰეშმარიტება ნათლად ჰქონდათ
გააჩრებული. * გიორგი მცირე მიუთითებს, რომ ადამიანის ცნობიე-
რების მდგომარეობა და მეტყველება მის შინაგან სულიერ ვითარე-
ბას არყელავს. გიორგი ათონელზე იგი ამბობს: „...საცნობელთა
(ცნობიერების ორგანო, — გ.ფ.) მისთა დაწყნარებულება შინაგან-
თა სულისა ძალთა აღუძრველობასა (სიმშვიდეს, გაწონასწორებუ-
ლობას, — გ. ფ.) წარმოაჩენდა, ხოლო სიტყუათა მდაბალთა მიერ
და მახვლთა გონიერებასა სულისასა წამებდა“. ხოლო გიორგი მერ-
ჩულე სწორედ დიალოგურ სიტუაციაში შენიშნავს ერთ რეპლიკას-
თან დაკავშირებით, რომ ესა თუ ის სიტყვა, თუკი იგი უშუალო
განცდის მომენტში წარმოითქმება, ადამიანის გულის მოძრაობას
გასცემს („გესლი რად გულისად ბაგეთაგან იცნობა განუგებლად
სიტყვა განტევებითა...“). V

15 М. Бахтин, Проблемы поэтики Достоевского, стр. 245—246.

პირველივე ქართული ჰაგიოგრაფიული თხზულება — გვხდებოდა და დიალექტური მიმართებათა ფსიქოლოგიურად მეტყველი მხატვებული სახეებით. შუშანიკება რომ გამაზდეანებული ქრისტიანული ტოვა და ეკლესიის სენაკში განმარტოვდა, მასთან ხუცული წეველა „ვითარცა ვიხილე იგი განმწარებული, მეცა ვტიროდე მის თანავე. და ვარქუ ნეტარსა შუშანიკეს: „ლუაწლსა დიდსა შესლვად ხარ, დედოფალო, ეკრძალე სარწმუნოებასა ქრისტისსა, ნუუკუე მტერმას ვითარცა სრულმან საძოვარი პოოს შენ თანა“. ხოლო წმიდამან შუშანიკ მრქუა მე: „ხუცეს, და მეცა დიდსა ლუაწლსა განმზადებულ ვარ“. და მე ვარქუ მას: „ეგრჭით არს: მჯნე იყავ, მოთმინე და სულგრძელ“. ხოლო მან მრქუა მე: „ჩემდა მარტოხსა არიან ჭირნი ესე!“ ხოლო მე ვარქუ მას: „ჭირი შენი ჭირი ჩუენი არს და სიხარული შენი სიხარული ჩუენი არს. ჩუენი არა ხოლო თუ დედოფალი ოდეს იყავ, არამედ ჩუენ ყოველთა ვითარცა შვილთა გუხელევდ“. და ვარქუ მე სანატრელსა მას ხუშიადად-რე: „ვითარ გეგულების, მითხაო მე, რათა უწყოდი და აღვწერო შრომა შენი“. ხოლო მან მრქუა მე: „რახსა მყითხავ ამას?“ და მე მიუგე და ვარქუ მას: „მტერცა სლგაა?“ და მან მრქუა მე: „ნუ იყოფინ ჩემდა, თუმცა ვეზიარე საქ-მეთა და ცოდვათა ვარსკენისათა“. მე მიუგე და ვარქუ მას. „მწარე გონება აქუს მას, გუემასა და ტანგვასა დიდსა შეგაგდოს შენ“. ხოლო მან მრქუა მე: „უმჯობეს არს ჩემდა კელთა მისთაგან სიკუდილი. ვიდრე ჩემი და მისი შეკრება და წარწყმედა სულისა ჩემისა; რამეთუ მასმიერ მე პავლის მოცემულისაგან: არა დამონებულ არს ძმა გინა დამ, არამედ განეყენენ“. და მე ვთქუ: „ეგრეთ არს“¹⁶.

ამ ვრცელ დიალოგში მოქცეული თვითეული შესიტყვება ინტენსიურ სულიერ მდგომარეობას გვაგრძნობინებს. ჩვენს წინაშეა განცდათა ტალღისებური მოძრაობა: ხან მსასობელი და ფრთხილი, ხან შეუპოვარი და თავგანწირული, ხან თანამგრძნობელი, მანუგა-შებელი, ხან კი ნუგეშწართმეული და ხვედრთან შერიგებული. სასოება, გაფრთხილება და იდუმალი შიში ულერს იაკობის პირველ მიმართვაში დედოფლისადმი: „ლუაწლსა დიდსა შესლვად ხარ, დედოფალო, ეკრძალე სარწმუნოებასა ქრისტისსა, ნუუკუე მტერმას ვითარცა სრულმან საძოვარი პოოს შენ თანა“. ცხადი დრამატული ინტრანაცითაა დატვირთული ქალის პასუხი: „ხუცეს, და მეცა დიდსა ლუაწლსა განმზადებულ ვარ“. პაუზა, რომელიც აქ თანამოსაუბრალი და დიდი განმარტობის გამო გამოიყენება.

16 ქველები, I, 13—14.

რისადმი მიმართვას მოყვება („ხუცეს...“), არაა მხოლოდ ლოგიკური პაუზა, არამედ ის ინტონაციური ტეხილია, რომელიც სამცადეს პლასტიკურობას ანიჭებს სურათს, გამჭვირვალეს ხდის მთელ სიტუაციას. იგი ქალის ხმის ინტონაციასთან ერთად მის პოზასაც სიტუაციური გადასაცემი შესახვედრად შემართულ მის უსტურებულებებს მცირე პაუზა, რომელიც თანამოსაუბრისადმი მიმართვას მოყვება, ეს არის უფსკრული, ქალის წინ გაწოლილი. „და მეცა დიდია ღუაწლისა განმზადებულ ვარ“, — ეს უკვე თავგანწირვის ხმაა იმისა, ვინც ეს-ესაა თავს მისცემს ამ უფსკრულს. ინტონაციურმა წყობამ გამომსახველობითი კონკრეტულობა მიანიჭა ფრაზას, გაამყარა ემოციური სახე.

თავგანწირვისა და შეუდრეველობის ამ ხმამ პირვანდელი თრთოლვა და იდუმალი შიში გაუფანტა იაკობს. ახლა იგიც შემართულად და გამამნევებლად ამბობს: „ეგრეთ არს: მჯნე იყავ, მოთმინე და სულგრძელ“.

მცირე ხნის შემდეგ ბედთან მდურვისა და მტანჯველი შინაგანი გაორების მაუწყებელი ზარი ჩამორეკავს დედოფლის ხმაში: „ჩემდა მარტოსა არიან ჭირნი ესე! თანაგრძნობისა და თანადგომის სევდიან, მაგრამ გულითად ნუგეშს შეაგებებს ამას ხუცესა: „ჭირი შენი ჭირი ჩუენი არს და სიხარული შენი სიხარული ჩუენი არს. ჩუენი არა ხელო თუ დედოფალი ოდენ იყავ, არამედ ჩუენ ყოველთა ვითარცა შვილთა გუხედვედ“. ქალის გაბზარული ხმა კვლავ იჭვისა და შიშის განცდას აღუძრავს იაკობს. როცა წარმოიდგენს, რა შეიძლება მოყვეს დედოფლის განდგომას, „მტკიცედ სდგაა?“ — ეკითხება იგი შუშანიქს და უთვალისწინებს: „მწარე გონებამ აქუს მას, გუემასა და ტანჯვას დიდსა შეგადოს შენ“. შინაგანი წინააღმდეგობის დათრგუნვით და საბოლოო გადაწყვეტილების ტონით უპასუხებს ქალი: „უმჯობეს არს ჩემდა კელთა მისთაგან სიკუდილი, ვიდრე ჩემი და მისი შეკრებად და წარწყმედა სულისა ჩემისათ: რამეთუ მასმიერ მე პავლეს მოციქულისაგან: არა დამონებულ არს ძმამ გინა დამ, არამედ განეყენენ“. თანამოსაუბრე დასტურის სიტყვებს: „ეგრეთ არს“, — წარმოთქვამს როგორც შუშანიქის, ისე თავისი თავისი დასახერებლად და გასამხნევებლად, შინაგანი რწმენის განსამტკიცებლად.

აი, მეორე სცენა იმავე თხზულებიდან. განდგომილ ცოლს ვარსკენი ძმას, რძალს და ეპისკოპოსს მიუგზავნის, — მუქარით მოითხოვს

მის დაბრუნებას სასახლეში. „და ვითარ მიიწინეს და შევიძე წინა-
შე დედოფლისა და მრავალსა დასაჯერებელსა სიტყუასა ეტყოდეს
მას, მაშინ წმიდამან შუშანიკ პრქუა მათ: „კაცნ ბრტყლის უფლეს
კეთილად იტყვო, გარნა ნუ დაგიჯერების, თუმცა შემასტი ცურჭელ
ლა ვიყავ, მეგონა მე, ვითარმედ იგი ჩემდა მოვაქციო და ღმერთი
ჰეშმარიტი აღიაროს, და აწ მე მაიძულებთ ამას ყოფად? ნუ იყოფის
ეს ჩემდა! და შენ, ჯოგიკ, არღარა ჩემი მაზლი ხარ, და არცალა მე
შენი ძმის ცოლი, არცა ცოლი შენი და ჩემი არს, რომელნი მის კერძო
და მისთა საქმეთა ზიარ ხართ“. პრქუა მას ჯოგიკ: „უწყი მე, აწ მოავ-
ლინნეს მსახურნი და თრევით წარგიყვანოს შენ“. ხოლო წმიდამან შუ-
შანიკ პრქუა: „უკუეთუ შემკრას და მითრიოს, მიხარის, რამეთუ მით
სახითა იყოს განჩინებად ჩემი მისგან“. და ვითარცა ესმა ეს მისგან,
ცრემლოოდეს ყოველნი. და ჯოგიკ აღდგა და ცრემლით გარე განვი-
და. ხოლო წმიდამან შუშანიკ პრქუა ეპისკოპოსსა: „ვითარ მეტყვ მე
დაჯერებად ჩემდა, რამეთუ მან ღმერთი უვარ-ყო?!“ ხოლო ჯოგიკ
ევეღრებოდა და ეტყოდა: „და ჩეუენი ხარ შენ, ნუ წარსწყმედ სახლსა
ამას სადედოფლოსა“. პრქუა მას წმიდამან შუშანიკ: „უწყი, ვითარ-
მედ და ვარ, ერთგან განზრდილნი, ხოლო მაგას ვერ ვჰყოფ, ვითარ-
მცა მოსისხლეობად იქმნა, და თქუენ ყოველნი თანამდებ იქმნენით“.

და ვითარცა ფრიად აურვებდეს მას, აღდგა წმიდად და ნეტარი
შუშანიკ და თანა წარიტანა ევანგელი თვისი და ტირილით ესრულ
იტყოდა: „უფალო, ღმერთო, შენ უწყი, ვითარმედ მე გულითად
სიკუდილდ მივალ“.

ეს თქუა და წარვიდა მათ თანა და თანა წარიტანნა ევანგელი
თვისი და წმიდანი იგი წიგნნი მოწამეთანი. და რაუამს შევიდა იგი ტა-
ძარსა მას, არა დაჯდა იგი თვისსა მას გალიაკსა, არამედ სენაკსა შინა
მცირესა. და აღიპყრნა კელნი თვისნი ზეცად წმიდამან შუშანიკ და
თქუა: „უფალო ღმერთო, არცა მღდელთაგანი ვინ იპოვა მოწყალშ, არცა ერისა კაცი ვინ გამოჩნდა შორის ერსა ამას, არამედ ყოველთა
მე სიკუდილდ მიმითუალეს მტერსა ღმრთისასა ვაჩსქენს“¹⁷.

ეს არის ღრმა და მრავალსაპექტიანი დიალოგი. დიალოგურ მი-
მართებათა ფორმით ერთმანეთს ხვდებიან, ერწყმიან ან უპირისპირ-
დებიან, პარალელურად ან საჭინააღმდეგო შხარეს მიემართებიან,
ურთიერთს ეხლართებიან და ებრძევიან სხვადასხვაგვარად შეფერილი
განცდები და აზრები. სავსებით მიზანდასახულად და ნამდვილი ხე-

17 ძეგლები, I, გვ. 15—16.

ლოვანის ტაქტით მწერალი დიალოგს ემპირიულად საგულვებელზე დასაწყისიდან კი არ ხატავს, არამედ სადღაც შუა ადგილის სიახლოებიდან, იქედან, რაც მიგზავნილი „მრავალსა დასახერებელსა სულ მარცხეული ასა ეტყოფეს“ შუშანიკს. ასე რომ, როცა დედოფალი პირველი პუშკინის ლიკას წარმოოქმნაში — „კაცნო ბრძენნო, თქუნ კეთილად იტყვა...“, ჩვენ უკვე დამუხტული დიალოგური სიტუაციის ატმოსფეროში ვიმუოფებით. ამ რეპლიკის მეორე ნახევარში ვნებანი უკვე მაქსიმალურად დაძაბულია და ეს მომენტი კულმინაციურია მთელი პასუხის მასტრაბით: „...და შენ, ჯოგი, არღარა ჩემი მაზლი ხარ, და არცარა მე შენი ძმის ცოლი, არცა ცოლი შენი დამ ჩემი არს, რომელნი მის კერძო და მისთა საქმეთა ზიარ ხართ“. ახლა იმ გარემოებას მივაჟყროთ ყურადღება, რაზედაც ზევით ვლაპარაკობდით ზოგადად. დიალოგში გაერთიანებულ რეპლიკათა შემადგენელი სიტყვები, მიმართულნი ამა თუ იმ საგნისაჟენ, ამავე დროს, ინტენსიურად რეაგირებენ სხვის გამონათქვამზე, პასუხობენ წინამავალს და ითვალისწინებენ მოსალოდნელს. პასუხისა და წინასწარ განჭვრეტის ასპექტი თვალსაჩინოდ მსჭვალვს თვითეულ რეპლიკას, თვითეულ სიტყვის. სასახლეში დაბრუნების კარეგორიულ უარყოფას, კუშტსა და გამწირავ კიცხვას ჯოგიერ ასე უპასუხებს: „უწყი მე, აწ მოავლინეს მსახურნი და თრევით წარგიყვანის შენ“. ავილოთ ამ რეპლიკის დასაწყისი: „უწყი მე...“. ჯოგიერ ეს სიტყვები ჯერ უშუალოდ საგნობრივად მიემართება და გულისხმობს გარკვეულ მოვლენას, იმას, რაც იცის პერსონაჟმა. მაგრამ აქ მარტო ის კი არაა გამოხატული, რომ მე რაღაც ვიცი. ჯოგიერ სიტყვა დაძაბულად „იმზირება“ აგრეთვე შუშანიკის სიტყვებისაჟენ, რეაგირებს მასზე, უპასუხებს: მე ვიცი, მაგრამ შენც უნდა იცოდე, ანგარიში გაუწიო იმას, რაც მე ვიცა. ეს მეორე მიმართულება, მიმართულება სხვისი სიტყვის კონტექსტისაჟენ, სპეციფიკური შინაარსით მსჭვალვს რეპლიკის ყველა სხვა სიტყვასაც, ახლებურად ანათებს სიტყვის უშუალო საგანსაც (პირველი მიმართულება). მეორეს მხრივ, ჯოგიერ რეპლიკა თავის თავში ასახავს აღრესატის გასათვალისწინებელ შესიტყვებას, რეაქციას, ცდილობს გამოიცნოს და მოხსნას იგი. როგორც ვხედავთ, დიალოგური სიტყვის ამ მეორე მიმართულებას, თავის მხრივ, ორი ასპექტია აქვს. პასუხი ანუ რეაქცია წინამავალ სხვის სიტყვაზე და გათვალისწინება და განჭვრეტა საპასუხო სიტყვისა.

მეორე მიმართულების ამ ორივე ასპექტით მძლავრადაა აღბეჭდილი დედოფლის საპასუხო რეპლიკაც: „უკეთუ შემკრას და მოთ-

რიოს, მიხარის, რამეთუ მით სახითა იყოს განჩინებად ხემი შილანი. ამ რეპლიკაში ისე ღრმაა გათვალისწინებული ადრესატი, რომ მისი წინააღმდეგობის მოხსნაც ხერხდება: „და ვითარდა, ჩემი მიზანი მასა, ცრემლოოდეს ყოველნი. და ჯოჯი აღდგა და ცრემლით გარე განვიდა“.

ნაკლებ საგრძნობია ეს მეორე მიმართულება, როცა დიალოგური ისტუაცია ერთ რეპლიკამდეა დაყვანილი, ე. ი. როცა ერთის სიტყვა უცილობლობის მაღის ან სხვა გარემოების გამო არ აღმრავს მეორის სიტყვას. ამ პასაუში ასეთი სიტუაციაც არის: „და ვითარდა ფრიად აურევებდეს მას“, შუშანიკი ადგა და სასახლეში დასაბრუნებლად მოემზადა.ტირილით ესრული იტყოდა: „უფალო, ღმერთო, შენ უწყი, ვითარდედ მე გულითად სიკუდილდ მივალ“. ქალის ეს ფრაზა გარდუვალობით არავის მიემართება და პასუხსაც არ იწვევს. გამონათქვამი პირდაპირი საგნობრივი მნიშვნელობისაკენ (პირველი მიმართულება) მიისწრაფვის, მაგრამ მისით მაინც არ ამოიწურება. საპასუხო რეპლიკა არ არის, მაგრამ ფრაზას მისი აჩრდილი მაინც ადგას. ლოგიკური მახვილი და ინტონაცია ისეთია, რომ შუშანიკის რეპლიკას ცხადად აქვს არეკლილი სხვისი სიტყვა, რომელიც ფაქტოურად არ არსებობს. სხვისი სიტყვა, სავარაუდო თვალსაზრისი და პოზიცია მოხსნილ-გადამუშავებული სახით, პასური ფორმით არის შესული უპასუხოდ დატოვებულ ფრაზაში.

კიდევ ერთი ასპექტიც აქვს ამ ღრმა დიალოგს. სასახლეში დაბრუნებული შუშანიკი სადედოფლო ოთახში არ შესულა: „სენაქა შინა მცირესა“ დაიდო ბინა. თავის თავთან დარჩენილმა „ალიპყრნა კელნი ზეცად და თქუა: „უფალო ღმერთო, არცა მღდელთაგანი ვინ იპოვა მოწყალტ, არცა ერისა კაცი ვინ გამოჩნდა შორის ერსა ამას, არამედ ყოველთა მე სიკუდილდ მიმითუალეს მტერსა ღმრთისასა ვარსექნს“. თუმცა ქალი სრულიად მარტოა, მაგრამ აქაც დიალოგურ მიმართებასთან გვაქვს საქმე; ესაა ფარული დიალოგი. „მეორე თანამოსაუბრე ესწრება უხილავად, მისი სიტყვები არაა, მაგრამ ღრმა კვალი ამ სიტყვებისა (იგულისხმება — რეალურად არსებულ ყველა აზრისა, პოზიციისა, დამოკიდებულებისა, — გ. ფ.) განსაზღვრავს სიტყვას პირველი თანამოსაუბრისა. ჩენ ვერ მიზანი არ არის საუბარი, თუმცა მხოლოდ ერთი ლაპარაკობს, და საუბარი უაღრესად დაძაბული, რამდენადაც ყველა რეალურად არსებული სიტყვა მთელი არსებით ეხმიანება და რეაგირებს უხილავ თანამო-

საუბრესთან, მიუთითებს თავის გარეთ, თავის საზღვრებს მიღმა,
წარმოუთქმელ სხვის სიტყვაზე¹⁸.

ასეთია ამ ვრცელი დიალოგის მხატვრული სტრუქტურა. მთელი
სურათი იმ ფართო ფერწერულ ტილოს მოგვაგონებს, სადაც ჩატარდებოდა
დასხვა განწყობილების გამომხატველი ფერები ერთმანეთს ებოშვი-
ან და ბოლოს ერთ დიდ განცდაში მთლიანდებიან.

აი ერთი პატარა დიალოგი იმავე ნაწარმოებიდან. ნაგვემი შუშა-
ნიკი ციხეში შეამწყვდია ვარსკენმა. „და ჯაჭვ იგი, რომელ ედვა ქედ-
სა მისსა ზედა, ეგრეთვე ედვა, და დაპეკვდა ურჩულომან ვარსკენ
ბეჭდითა თვესითა. ხოლო წმიდამან შუშანიკ თქუა: „მე ამას მხიარულ
ვარ, რამთა აქა ვიტანჯო და მუნ განვისუნონ“. ხოლო პიტიახშმან
პრექტა მას: „ჰე, ჰე, განისუნენ“¹⁹. უალრესად მართალი ხელოვნები-
თაა აღბეჭდილი ეს სცენაც. ერთის შეხედვით, შუშანიკის სიტყვებს
მხოლოდ უშუალო საგნობრივი მიმართულება აქვს და თუ ამის იქეთ
კიდევ ვინძეს მიემართება, თითქოს ისევ ავტორს ნათქვამისა. მაგრამ
მხოლოდ ერთი შეხედვით. გარეგნულად მხოლოდ თავისთვის ჩალა-
პარაკებული ეს ფრაზა სინამდვილეში გამომწვევი რეაქციაა (მიმარ-
თულია) ვარსკენის მოქმედებაზე: რეპლიკას მიზნად აქვს სული
შეურყიოს ადრესატს, საშუალება არ მისცეს, გამარჯვებულად
გრძნობდეს თავს მაშინაც. როცა იგი მოპირდაპირეს ფიზიკურად
აუტანელ ვითარებაში აყენებს. ადრესატი უმაღლ გრძნობს ამ ფარულ
რეპლიკას და მისი იქედნური პასუხი ზუსტად ხვდება მიზანს. ორი-
ვე რეპლიკა მშვენივრად ანათებს ავტორთა ხასიათს.

წინა თავში ჩვენ საშუალება გვქონდა გაგვერჩია ის დიალოგუ-
რი სიტუაცია იოანე საბანისძის თხზულებიდან, როცა აბოსთან საპ-
ყრობილები „ცრუ მოძლუარნი და შემასმენელნი“ შედიან. პოეტუ-
რად ყველაზე მეტყველი კი ამ ნაწარმოებში ამირასა და აბოს საუ-
ბარია. უკანასკნელ დაკითხვაზე მიყვანილ აბოს ამირა მიმართავს:
„რაა არს, ჭაბუკო, რაა განიზრახე თავისა შენისაა?“ ხოლო წმიდამ
მოწმე აღიკვის სულითა წმიდითა და პრექტა მას: „მე განვიზრახე და
ქრისტიანე ვარ!“ პრექტა მას მსაჯულმან მან: „არა დაგიტევებიეს სი-
ცოცხლი იგი და უგუნურებაა შენი?“ პრექტა მას ნეტარმან პაბო: „უკე-
თუმცა უშეცრებასა და უგუნურებასა შინა ვიყავ, არამცა ლირს ვიქ-
მენ შედგომად ქრისტიან!“ პრექტა მას მსაჯულმან მან: „არა გიცნო-

18 М. Бахтин, Проблемы поэтики Достоевского, стр. 261.

19 ძეგლები, I, 21.

ბიესა, რამეთუ სიტყუანი ეგე შენნი მომატყუებელ სიტყდილა გვე-
მნებიან შენ?“ პრეზუა მას წმიდამან ჰაბო: „უკეთუ მოცეუდე, ძრშავს
მე, რამეთუ ქრისტშის თანა ვცხონდე, რამეთუ მე ვითმრტული შეუძლია
მაგას, რომელსა მიყრდნობილ ხარ, ეგრე არა მესმისში ცუდნების უგე
სიტყუანი შენნი, რამეთუ გონებად ჩემი ქრისტშის თანა არს ზეცას!“
პრეზუა მას მსაჯულმან მან: „რად ეგოდენი სიტყბოებად გაქუს ქრისტში,
შენისაგან, რომლითა სიკუდიდცა არა გეწყალის თავი შენი?“ პრეზუა
მას წმიდამან ჰაბო: „უკეთუ გნებავს ცნობად სიტყბოებად მისი, შენ-
ცა გრწმენინ ქრისტშ და ნათელ-ილე მისა მიმართ და მაშინდა ღირს
იქმნე ცნობად სიტყბოებისა მისისა“²⁰.

აქაც საქმე გვაქვს ცხადად გამოკვეთილ დიალოგურ მიმართე-
ბებთან, განცდათა და აზრთა დაძაბულ ჭიდილთან. ყოველი სიტყვა
აქაც ორგვარი მიმართულების ფოკუსშია მოქცეული, ერთი ხაზი
პირდაპირ სალპარაკო საგნისკენაა მიმართული. მეორე — სხვისი
სიტყვის კონტექსტისაკენ. აქტორუად მოქმედებს მეორე მიმართუ-
ლების ორივე ასპექტი: პასუხი, რეაქცია (წინამავალ უცხო სიტყვა-
ზე) და განკვრეტა (მომდევნოსი). ახლა დავაკვირდეთ სულ სხვა გა-
რემოებას. რეაქცია და განკვრეტა სხვისი სიტყვისა განსაზღვრავს
პერსონაჟის ფრაზის არა მხოლოდ ინტონაციისა და სტილს, არამედ
შინაგან აზრობლივ სტრუქტურას. ხდის მას შინაგანად დრამატულს,
ნერვიულს. ეს განსაკუთრებით ეხება აბოს სიტყვებს (თუ რატომ,
ამას ცოტა ქვემოთ ვნახავთ). ამირას სიტყვები შედარებით მშვიდია
(გარეგნულად მაინც). ყველა მისი ფრაზა გამოიყოთვის, გარკვევის,
შეხსენებისა და შევინების ფორმაშია მოწოდებული: ა) „რად არს,
ჭაბუკო, რად განიზრახე თავისა შენისამ?“ ბ) „არა დაგიტევებიეს
სიცოფც იგი და უგუნურებად შენი?“ გ) „არა გიცნობიესა, რამეთუ
სიტყუანი ეგე შენნი მომატყუებელ (მომანიჭებელი, — გ. ფ.) სიკვ-
დილისა გექმნებიან შენ?“ დ) „რად ეგოდენი სიტყბოებად გაქუს
ქრისტშს შენისაგან, რომლითა სიკუდიდცა არა გეწყალის თავი შენი?“

ხოლო აბოს საპასუხო რეპლიკაში ცხადად გვაგრძნობინებს
თავს შინაგანი დრამატული წნევა. ამირას პირველივე შეკითხვაზე
გაცემულ პასუხს აზის ნერვიული დაძაბულობის აშკარა დალი: „მე
განვიზრახე და ქრისტეანე ვარ!“ ზუსტად ასეთივე მეორე შეკითხ-
ვის პასუხიც: „უკეთუმცა უმეცრებასა და უგუნურებასა შინა ვიყავ,

20 ძეგლები, I, გვ. 70—71.

არამცა ლირს ვიქმენ შედგომად ქრისტია!“ მოწამის მესამე და მე-
ოთხე პასუხში ნერვიულად დაძაბული აზროვნების შინაარსს გამომ-
წვევი (გამაღიზიანებელი) შინაარსიც ემატება, შესაფერისი კილოორ
ხორცებს სხმული: „უკეთუ მოვკუდე, მრწამს მე, რამეთუ ქმნავთ უკუდესი
თანა ვცხონდე, ხოლო შენ რასა განაგრძობ? რამ გეგულების უკუდესი
უდიდა, იქმოდე, რამეთუ მე ვითარცა კედელსა მავას, რომელსა მიყრ-
ზედა, ექმდე, რამეთუ მე ვითარცა კედელსა მავას, რამე-
ღნობილ ხარ, ეგრე არა მესმიან ცულნი ეგე სიტყუანი შენნი, რამე-
ღნებილ ხემი ქრისტის თანა არს ზეცას!“ და: „უკუდეს გნებავს
თუ გონებაა ჩემი ქრისტის თანა არს ზეცას!“ და: „უკუდეს გნებავს
ცნობად სიტკბოებაა მისი, შენცა გრწმენინ ქრისტი და ნათელ-ილე
მისა მიმართ და მაშინდა ლირს იქმნე ცნობად სიტკბოებისა მისისა“.
შემთხვევითი არ არის, რომ აბოს პასუხები ძახილის წინადადებას
შესატყვევისი ნიშნებით იხურება.

²¹ М. Бахтин. Проблемы поэтики Достоевского, стр. 308.

სხვისი სიტყვის პასუხისა და განცემრეტის ფაქტორი ყოველთვეს
აჩენს გარკვეულ კვალს პერსონაჟის ფრაზის შინაგან აზრობრე
სტრუქტურას, ტონსა და სტილს. ამ კუთხით თუ მიუფარგებული
ტერესო მასალას ის ვრცელი დიალოგიც მოგვცემს „შემუშავების წილებ
ბიდან“, რომელიც ზემოთ უკვე განვიხილეთ.

ერთსა და იმავე მოვლენაზე თუ მდგომარეობაზე სხვადასხვა გმი-
რის სხვადასხვაგვარი რეაქცია ყველაზე გავრცელებული სქემაა დია-
ლოგურ სიტუაციებში. ასეთია ის პასუხი „სერაპიონ ზარზმელის
ცხოვრებიდან“, როცა „მაშვრალობისაგან მგზავრობისა“ ქანცგაწყ-
ვეტილი მოწაფეები და გარბანელი ევედრებიან სერაპიონს, შეისვე-
ნონ, შეჩერდნენ ღამის გასათვევად. შემოგებებულ გარბანელს სერა-
პიონი მიმართავს: „საყვარელო და ქრისტის მიერ ძმაო გარბანელო,
აწ აპა ესერა მცირედ თანალმობით შეეშვი მგზავრობასა ჩუენსა და
რამთა წარგვძლეულ ვიდრე მდინარემდე, რომელ არს ჩრდილოვათ ჩუ-
ენსა“. ხოლო გარბანელმა „იზილა რამ, — ამბობს ერთი მოწაფე, —
ვითარ იგი არღარა იყო ჩუენ თანა სახე სამოსელთა ჩუენთამ და ყოვ-
ლითურო დაბძარულ იყვნეს ასონი ჩუენნი, მაშინ ცრემლით მოეჭვა
და ამბორს უყოფდა ფერჯთა მის წმიდისათა. ...და ცრემლით ეტყოდა,
ვითარმედ: „არა ეგების ეგე, მ წმიდაო ღმრთისაო, რამეთუ ესერა
დასლვასა მზისასა ღმერთმან მოგიყვანნა ცოდვილისა მონისა თქუე-
ნისა და ვხედავ წყლულებასა ფერჯთა თქუენთასა და ევედრები, რამ-
თა მცირედ განისუენოთ მაშვრალობისაგან მგზავრობისა თქუენისა და
რამთა ზედამიწევნით ვცნა, უკეთუ რამ-არს ესოდენი ეს მდუღარე-
ბამ სულისა თქუენისამ, რომელ ესრეთ გაიძულა დადებად სული
უღლითურთ; მსგავსად სარეფთოელისა და სომანიტელისა შეუვრდეს
ფერჯთა წმიდისათა, და ვითარ ვერ არწმუნეს, მაშინ ჭაბუკი იგი, მოძ-
ლუარი შეუვრდა ძმასა მისსა იოვანეს და ეტყოდა: „აპა ესერა არა
დაშორმილ არს სული ჩუენ თანა, დავემორჩილნეთ კაცსა ამას, რამჲ-
თუ არღარა არს ჟამი სლვისამ“. ხოლო წმიდამ იგი ეტყოდა: „რო-
მელმან-იგი გაბაონს ისო ნავესსა და უყენა მზე და კუალად წმიდასა
მას ბერსა ბესარიონს, ამანვე ჩუენცა ღირს მყვნეს მზესა ამას თანა
ხილვად და თაყუანის-ცემად წმიდასა ხატსა მისსა“²².

22 ძეგლები, I, გვ. 331.

ის სიტყვები, რომლითაც მოწაფეები და გარბანელი ემუდონები ან სერაპიონს, ოვალსაჩინოდ ხატავს მათი სხეულისა და სულის მფლობელი გარეობას. მარტო სერაპიონის სული ვერ შეურყევია გაჭირებული ივი ყოველგვარ მაშერალობაზე ამაღლებულია და მიზნისკენ შინავალ გზაზე არავთარ კომპრომისს არ სცნობს. თუ მოწაფეების ნებისყოფა იმაზე იხარჯება, რომ სასურველი ჰარმონია გამოძებნონ სულიერ ამოცანასა და მიწიერ არსებობას შორის, სერაპიონის მთელი ნება იქითკენაა მიმართული, რომ პირველს მთლიანად დაუქვემდებაროს მეორე. აქედან წარმოდგება მის რეპლიკებში გაცხადებული შეურიგებლობა და შეუძრელობა.

* გიორგი შერჩულე დიალოგის ხატვის ხელოვნებითაც გვხიბლავს. სანიმუშოა ამ მხრივ ის მონაკვეთი თხზულებისა, სადაც აშორტ კურაპალატის მიზნურობის ამბავია გადმოცემული. თითქმის მთელი თავი დიალოგურ მიმართებათა ფორმითაა აგებული. პერსონაჟთა ქცევისა და რეპლიკებში აქაც ისე ცხადად ციმციმებს მათი განცდები და ვნებები, რომ მთელი ეპიზოდი რეალისტური სტილის საუკეთესო ნიმუშია. იმავე რიგში დგას ბავრატ კურაპალატის შესიტყვება საბა იშხნელთან იმასთან დაკავშირებით, რომ ეს უკანასკნელი არ გამოცხადდება ხელმწიფის ხმობაზე.

სიტყვა პერსონაჟისა, რამდენადაც ივი მის შინაგანობას წარმოაჩენს, მწერალს, საერთოდ, იმისთვის სჭირდება, რომ მყარი გახადოს გმირის სახე, ობიექტურობა მიანიჭოს მას. სიმყარე და ობიექტურობა კი ორგვარი ნიშან-თვისებების კომბინაციით მიიღწევა—სოციალურ-ტიპიურისა და ინდივიდუალურ-სახასიათოსი. პერსონაჟის გამონათქვამიც ან პირველის გამოშუქებაა, ან მეორისა, ან ორივესი ერთად, ჩვეულებრივ, რომელიმე მათგანის აქცენტირებით აშორტ კურაპალატის მამენტში წარმოგვიდგება, ინდივიდუალურ-სახასიათო ასპექტია აქცენტირებული. იგივე ასპექტი ბატონობს შუშანიკისა და აბოს იმ სიტყვებში, რომლებიც ჩვენ ზემოთ მოვიხმეთ. ხოლო საბა იშხნელის რეპლიკაში ბავრატ კურაპალატისადმი თვალში გვხვდება სოციალურ-ტიპიური განსაზღვრულობა. იგივე მომენტი დომინირებს სერაპიონ ზარზმელის იმ გამონათქვამებში, რომლითაც იგი თავის მოწაფეებსა და გარბანელს მიმართავს.

საყურადღებო დიალოგურ სიტუაციას ვხვდებით გიორგი მთაწმინდელის ჰავიოგრაფიულ ნაწარმოებში. ვგულისხმობთ იმ სცენას, რომლის დასასრულს ექვთიმე ცეცხლს მისცემს კვართს, რომელიც

მთავარდიაკონს ეკუთვნის. „დავით გარეჯელის ცხოვრებაში“ არის რეალისტურად მოხაზული სურათი დავითისა და ლუკაზის საუჩერე-სა.. იმავე ნიშნით გამოიჩინევა გიორგი ჩორჩაშვილის ფრენელი ზარზმელის კამათი მონასტრის ასაშენებელი აღვილის შერჩევის თა-ობაზე ბასილი ზარზმელის ნაწარმოებიდან.

ერთგვარად თავისებური დიალოგი გვაქვს „შუშანიკის წამება-ში“. ვგულისხმობთ ცოლ-ქმრის „დაუსწრებელ“ კამათს, მოციქულ-თა საშუალებით რომ მიმდინარეობს. ვარსკენი ეუბნება ხუცესთ: „რადა კელ-იწიფა ჩემ ზედა ცოლმან ჩემმან ესევითარისა საქმედ? აწ მივედით და არქუთ, ვითარმედ შენ ჩემი ხატი დამკუ და საგე-ბელს ჩემსა ნაცარი გარდაასხ, და შენი ადგილი დაგიტევების და სხუად წარსულ ხარ“. ხოლო წმიდამან შუშანიკ თქვა: „არა თუ მე აღმემართა ხატი იგი და მემცა დავაძყუ, ხოლო მამამან შენმან აღ-ჰმართნა სამარტვლენი და ეკლესიანი აღაშენნა და შენ მამისა შენისა საქმენი განპრყუნენ...“. ...ხოლო ჩუენ ესე ყოველი მიუთხართ პიტი-ახშას. ხოლო მან განიწყო გული და იბრდღუენდა მისთვის. მერშე მიავლინა ჯოჯიკ, ძმა თვისი, და ცოლი ჯოჯიკისი, ძმის ცოლი თვისი, და ეპისკოპოსი სახლისა თვისისად და პრქუა მათ: „ესრეთ არქუთ: ალდეგ და მოვედ ადგილას თვისსა და ნუ ეგვითარი გონებად გიპ-რიეს! უკეთუ არა, ურევით მოგითრიო“²³.

ამ „დაუსწრებელ“ დიალოგში ჩვეულებრივ დიალოგურ მიმართებათა ყველა ნიშანი მყრავნდება. აქაც სიტყვა ორი მიმართულების გადაკვეთის ცენტრშია მოთავსებული.

ნაკლები სიცხადით იგრძნობა ეს ორი მიმართულება დიალოგ-ში, რომელიც ერთი რეპლიკის ფარგლებში ამოიწურება. ასეთია „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრების“ ის ადგილი, სადაც იოანე საყვედურისა და მდურვის რეპლიკით მიმართავს სიმამრს აბუჰარბს: „რა არს ესე? ნუუკუ შვილ არა გესხნესა თქუენ? გარნა ესე ცხად არს, რომელ მათ სწყალობდით, ვითარცა თვსთა შვილთა, და ეჯ ჩემი, ვითარცა ობოლი, მძველად გასწირეთ! გარნა უფალმან შეგინდვერ თქუენ!“²⁴ ან ვარსკენის მაამებელი მიმართვა სპარსთა მეფისადმი: „რომელი-იგი ბუნებითი ცოლი არს და შვილნი, იგინიცა ესრევა მოვაქცინე შესა შეულსა, ვითარცა ესე მე“²⁵.

23 ქავლები, I, გვ. 14—15.

24 *đoàn*, II, 23: 43—44.

25 დეგლები, I, 33: 12.

ხოლო ლიტერატურულ ნამბობში (ცკავ), როცა ავტორი ახდენს
პერსონაჟის სიტყვების პერიფრაზირებას, მის ზოგად აზრს თვითი
სიტყვებით გადმოსცემს, მეორე მიმართულება კიდევ უფრო განვიწრონა აუდიტორის
თალებულია; ამ, მაგალითი გიორგი მერჩულის ნაწარმოებიდან ჭირობულია ეს არა აუდიტორის
ასტ მეფის მიერ საბა იშხნელის მოსაყვანად „...მივლინებული იგი
მოვიდეს და აუწყეს კურაპალატსა, ვითარმედ არა პნება ვს
კი ცას მას ღმრთისასა მოსლვა აქა აქა²⁶. ზოგჯერ კი
იგი საერთოდ არ იგრძნობა და ნაამბობს ერთადერთი, საგნობრივი
მიმართულება აქვს; მაგალითად, იაკობ ხუცესი წერს: „მყის მოი-
წია ჩუენდა დიაკონი შინაგათ და გვთხრა ჩუენ ესე ყოველი: მოსლ-
ვა პიტიახშისახ და საქმენი დედოფლისანი“²⁷, ან: შიომღვიმეს
მიახლოებული აბიბოს ნეკრესელი „...ევედრა მტარვალთა, რამთა
მივიდეს იგი ნეტარისა შიომხა მღვიმედ“²⁸.

მოხმობილ ეპიზოდთაგან ზოგიერთი არ წარმოადგენს „წმინდა“
დიალოგურ სიტუაციას (ვიწრო მნიშვნელობით ტერმინისა), რამ-
დენადაც მათში პერსონაჟის რეპლიკათა შივნით ზოგან ავტორისე-
ული თხრობა იქრება. მაგრამ კველა შემთხვევაში დომინირებს და
სურათის პროფილს დიალოგური მიმართება ქმნის.

პერსონაჟის სიტყვა დიალოგში არა მარტო საგნისკენაა მიმარ-
თული, არა მხოლოდ ასახელებს, მოვითხრობს, განასახიე-
რებს მას; თვითონ სიტყვა (ფრაზა) არის აქ განსახიერების
ობიექტი. არა მხოლოდ გვესმის გმირის ნათქვამი, ვგრძ-
ნობთ, თავისებურად ვხედავთ კიდეც გამოთქმულს, და ზოგჯერ,
როგორც ვნახეთ, საქმაოდ თვალსაჩინოდ.

განსახიერებულ ანუ ობიექტურ სიტყვასთან გვაქვს საქმე მა-
შინაც, როცა ჩვეულებრივ ავტორისეულ თხრობაში და რემარკებ-
ში ჩართულია პერსონაჟის პირდაპირი მეტყველება, სხვის სიტუ-
ვის კონტექსტისაკენ მიუმართავი (უადრესატო). ასეთ ფრაზას არა
აქვს მეორე მიმართულება, რაც უცილობელია დიალოგურ სიტუა-
ციაში, მას მხოლოდ პირველი — უშუალო საგნობრივ-ლოგიკური
მიმართულება გააჩნია. მაგრამ პირდაპირი მეტყველება გმირისა სხვა
სიბრტყეზე დევს, ხოლო მწერლის მეტყველება — სხვაზე. ნაწარმოე-
ბის მხატვრულ ქსოვილში პირდაპირი მეტყველების გამოყენება

26 იქვე, გვ. 273.

27 იქვე, გვ. 13.

28 იქვე, გვ. 243.

გამოწვეულია არა იმდენად იმ საგნის წარმოჩინებით, რომელსაც
იგი უშუალოდ მიემართება, არამედ იმის ბუნებისა და სიცოდის
შესაგნებად, ვინც ამ სიტყვებს წარმოთქვამს. ასეთი სიტყვა, რო-
გორც დამახასიათებელი, ტიპიური, კოლორიტული, გრაფიკული მართულების საგანი.

გმირისავენ მიმართულების, მასზე ორიენტაციის, მისი ბუნე-
ბის შეცნობის საგანია ის სიტყვები, რომლებსაც წარმოთქვამს ვარ-
სენის თანამზრანებელი სპარსი:შევიდა იგი წინაშე ნეტარისა
შუშანიკისა და ტირილით იტყოდა: „ესევითარი სახლი მშვიდობი-
სად ვითარ საწყალობელ იქმნა და სიხარული მწუხარებად ვარდა-
იქცა?“ ხოლო ზრახვითა იყო იგი ვარსენისათა და ზაკუვით იტყოდა
ამას და უნდა მონალირებად ნეტარისა მის“²⁹. ან ვარსენის სიტყვე-
ბი, როცა მას იაკობი შუშანიკისაგან დაბრუნებულ სამკაულებს ვა-
დასცემს: „მან მიიღო ჩემგან, აღიხილა, და იპოვა ყოველი გებულად.
და კუალად თქუა: „მერმეცა იპოვს ვინმე, რომელმან ესე შეიმ-
კოს“³⁰. საგნობრივ-ლოგიკური აზრი ამ სიტყვებისა ჩვენს წარმო-
სახვას ოდნავ თუ აღიზიახებს, არაფერს განსაკუთრებულს ის არ
გვაუწყებს. მაგრამ საგნობრივ აზრზე დაფუძნებით აღმოცენებულია
მეორე — სახეობრივი აზრი. მკითხველი გრძნობს, რომ გებულობს
რაღაც უფრო მეტს, ვიდრე ეს სიტყვების ლოგიკური აზრიდან პირ-
და რ გამომდინარეობს. ჩვენ არა მხოლოდ იმას შევიმეცნებთ, რა-
ზედაცაა ლაპარაკი, არამედ უფრო მეტს: ვინ ლაპარაკობს, რატომ
ლაპარაკობს, რა მოტივები და მოვლენები ენასკვებიან ერთმანეთს
ამ სიტუაციაში. სწორედ აქ, „არახელშესახების“ წვდომასა და გა-
მომზეურებაშია ფრაზის სიმძიმის ცენტრი, მხატვრულ ორგანიზმი
მისი არსებობის უცილობლობის პირობა.

6. ჰარტმანი შენიშვნავს: „ჰამსუნი ხშირად იძულებს თავის
პერსონაჟებს, მხოლოდ უმნიშვნელო საგნებზე ილაპარაკონ; მთავა-
რია არა ის, თუ რას ლაპარაკობენ ისინი, არამედ, როგორ ლაპარა-
კობენ. საერთოდ, მთავარია არახელშესახები. თავისითავად ცხადია,
საქმე იმაში კი არაა, რომ მეტყველების შინაარსს მნიშვნელობა არ
ჰქონდეს თითქოს. მაგრამ იგი არ არის ერთადერთი არსებითი. ყო-
ველთვის რჩება რაღაც გამოუთქმელი, გამოუხატავი“³¹.

29 ძეგლები, I, გვ. 14.

30 ძეგლები, I, გვ. 19.

31 Н. Гартман. Эстетика, стр. 257.

ამნაირი მხატვრობის, „ფრაზით ხატვის“ სამაგალითო ნიშვნებს გვაძლევს ეს ეპიზოდი „შუშანიკის წამებიდან“: „დიაკონი ვინმე ერთი მის ეპისკოპოსისა და წმიდისა შუშანიკის თანა მას უამშენერუცული მელსა გამოჰყვანდა იგი ტაძრით, და უნდა რათამცა ჰრესუში პატიონისა „მტკიცედ დეგ!“ და თუალი ჰკიდა პიტიახშმან, სხუად ვერღარამ სცალდა სიტყუად, ესთენ ოდენ ჰრესა: „მტკი“... და დადუმნა ხოლო და სივლტოლად იწყო სწრაფით“³². „მტკი...“ ეს გაწყვეტილი ფრაზა გვაგრძნობინებს სიტუაციის სიმძაფრეს“³³. ასეთ შემთხვევაში ჩვენ არა მხოლოდ იმას შევიმეცნებთ, რაზედაცაა ლაპარაკი, არამედ უფრო მეტს: ვინ ლაპარაკობს, რატომ ლაპარაკობს, რა მოტივები და მოვლენები ენასკვებიან ერთმანეთს ამ სიტუაციაში. სწორედ აქ, „არახელშესახების“ წვდომასა და გამოშეეურებაშია ფრაზის სიმძიმის ცენტრი, მხატვრულ ორგანიზმში მისი არსებობის უცილობლობის პირობა.

ამ პირობით აცოცხლებს ბასილ ზარზმელი იმ სიტყვებს, რომელსაც გაკვირვებული გიორგი ჩორჩანელი წარმოთქვამს, როცა თავის საბრძანებელში ბერთაგან აღზნებულ ცეცხლს შენიშნავს: „ვინაა არს ადგილსა იმას სიქშოდ კუამლისად, ანუ თუ ვის რად უკმის ცეცხლი? უკეთუ ვინმე ეძიებს ნადირთა, რად კადინიერ და ურცხვინო ქმნილ არს? დალათუ სხუად საჭირო რად ვის უკმის, ჩვენ ვითარ არა მეცნიერ ვართ?“³⁴ ფრაზა აქ ისეა დამუშავებული სტილისა და ტონის თვალსაზრისით, რომ მასში საგნობრივი აზრი, — ინტერესი იმისადმი, რატომ აუნთიათ ცეცხლი და უკითხავად ხომ არ ნადირობენ, — უკანა პლანზეა გადასული და თვალში გვხვდება. შეუვალი და ზვიადი ფეოდალის კოლორიტული ფიგურა.

მ. ბახტინი ამბობს, რომ, როცა ავტორის კონტექსტში არის პირდაპირი მეტყველება ამა თუ იმ პერსონაჟისა, ჩვენს წინაშეა ორი სიტყვიერი ცენტრი და ორი სიტყვიერი მთლიანობა ერთი კონტექსტის ფარგლებში: „მთლიანობა ავტორისეული გამონათქვამისა და მთლიანობა გმირის გამონათქვამისა. მაგრამ მეორე მთლიანობა არაა თავისთავადი, დაქვემდებარებულია პირველს და ჩართულია მასში, როგორც მისი ერთ-ერთი მომენტი. სტილისტური დამუშავება ერთისა და მეორე გამონათქვამისა სხვადასხვაგვარია. გმირის

32 ძეგლები, I, გვ. 20.

33 რ. ბარამიძე, ნარკვევები მხატვრული პროზის ისტორიიდან, გვ. 140.

34 ძეგლები, I, გვ. 325.

სიტყვა დამუშავებულია, როგორც სწორედ სხვისი სიტყვა; ორგონი სიტყვა პირისა, რომელიც ხასიათობრივად თუ ტიპიურად ვანძა-ზღვრულია, ე. ი. მუშავდება, როგორც ობიექტი ივტორისეული ავ-
გებისა, და სრულიადაც არა თავისი საკუთარი საგნორისეული რესტაუ-
რაციის თულების თვალსაზრისით. ავტორისეული სიტყვა, პირიქით, მუშავ-
დება სტილისტურად თავისი პირდაპირი საგნობრივი მნიშვნელობის
მიმართულებით. იგი უნდა იყოს ადექვატური თავისი საგნისა... იგი
უნდა იყოს გამომხატველობითი, ძლიერი, მნიშვნელოვანი, მოხდე-
ნილი და ა. შ. თავისი პირდაპირი საგნობრივი ამოცანის თვალსაზ-
რისით — რაღაც გამოხატოს, გვაუწყოს, განასახიეროს“³⁵. რას ნიშ-
ნავს ის, რომ მთლიანობა გმირის გამონათქვამისა არა თავისთავადი,
რომ იგი ავტორისეული გამონათქვამის მთლიანობას ემორჩილება
და ემსახურება. ამის გასაგებად საჭიროა ზემოთ მოტანილი საში
ნიმუში პერსონაჟის პირდაპირი მეტყველებისა დავუპირისპიროთ
წინა ქვეთავში გაანალიზებულ იმ მონოლოგებს, როცა გმირის რეფ-
ლექსის საგანია საკუთარი პიროვნება და შინაგანი სამყარო, რო-
ცა სიტყვა თვითონ გმირს ეძლევა თავის თავზე, მაგალითად, მღვი-
მეში განმარტოებული შიოს სულის მეტყველებას თავის თავზე. ამ
ეპიზოდში შიოს სიტყვების მთლიანობა არ არის დამორჩილებული
ავტორისეული სიტყვების მთლიანობას, ე. ი., ის განცდები, რომ-
ლებსაც შიოს მონოლოგი გადაგვიშლის, გარედან ამ განცდებზე,
როგორც ობიექტზე, საგანზე დაკვირვება-ჰერეტისაგან კი არ წარ-
მოდგება, არამედ იქედან წარმოდგება, რომ მწერალი თვალს მია-
კყრობს და უსმენს იმას, თუ რას ფიქრობს ადამიანის სული თავის
თავზე, როგორ წარმოუდგება თავისი თავი მას. აქ მთავარია არა ის,
თუ რას წარმოადგენს გმირი სამყაროში, როგორც ობიექტი, არამედ
უპირველესად ის, თუ „რას წარმოადგენს გმირისთვის სამყარო და
რას წარმოადგენს თვითონ თავისი თავისათვის“. გმირი აქ ობიექტი
კი არაა, ობიექტურ განხომილებათა ჩარჩოებში მოქცეული, დამ-
თავრებული და ყველასათვის ცხადად აღსაქმელი (როგორც საგა-
ნი), არამედ სუბიექტია და, ამდენად, შემოფარგლული და დამთავ-
რებული არ არის, რამდენადაც იმ სახით გვევლინება, რაც მხოლოდ
თვითონ მას შეუძლია აღმოაჩინოს თვითშეგნებისა და თვითგაცნ-
ბიერების აქტში. მწერალს ყველათვერი პერსონაჟის თვალთახედვაში
შეაქვს, იმის რეფლექსის საგნად აქცევს. ავტორის ჰერეტისა და

³⁵ Проблемы поэтики Достоевского, стр. 266.

განსახიერების ობიექტი კი ხდება თვით ეს ფუნქცია გმირის თვით-შეგნებისა.

გასაგებია, რომ ასეთ ვითარებაში გმირის გამონათქვამზე როგორიც მისი სულის მუშაობაა ალბეჭდილი, დამოუკიდებელურული ანონდაა, ისევე, როგორც ამ კონკრეტულ მომენტში თვითონ პერსონაჟია დამოუკიდებელი (ამის საწინააღმდეგოდ არ გამოდგება ის არგუმენტი, რომ გმირი მთლიანად ერთი მომენტია ნაწარმოებისა და, ამრიგად, თავიდან ბოლომდე ავტორის შექმნილია. აյ წინააღმდეგობა არაა. მ. ბახტინს უწერია ამასთან დაკავშირებით: „გმირების თავისუფლებას მხატვრული ჩანაფიქრის ფარგლებში ვამტკიცებთ ჩვენ, და ამ აზრით იგი ისევე შექმნილია, როგორც შებოჭილობა ობიექტური გმირისა“).

ვარსკენის თანამზრახველი სპარსი, ვარსკენი და გიორგი ჩორჩანელი კი სხვა კუთხიდან და სხვა თვალსაზრისით ნახატი პერსონაჟებია (ისევე როგორც ძირითადად სხვა გმირებიც ქართული ჰაგიოგრაფიისა). ისინი ობიექტური გმირებია. მათი პიროვნება და სულიერი ცხოვრება აღქმულია, როგორც ობიექტური საგანი, მოცემულია. — ვწერდით ჩვენ ზემოთ, — ისე, როგორც იქნა აღქმული, ფორმირებული, გავებული გმირის ცნობიერებისაგან დამოუკიდებელ ავტორისეულ წარმოსახვაში. გმირის ცნობიერება ავტორისეული ცნობიერების ჩარჩოშია ჩასმული, გაზომილ-აწონილი, შეფასებული, დამთავრებული. ამისდაკვალად, მწერლისეულ განზომილებათა ჩარჩოებში ჩაქრდილი პერსონაჟი ვერ იქნება თავისუფალი, დამოუკიდებელი. იგი ისე გვეძლევა, როგორც გარედან ობიექტური საგნად ჭვრეტას წარმოუდგება და ამ წარმოდგენის ფარგლებშია მოქცეული, ასეთი წარმოსახვის შესაძლებლობებითაა შებოჭილი. აქედან ლოგიკურად ვლებულობთ, რომ ასეთი პერსონაჟის სიტყვაში ესა თუ ის საგანი, მოვლენა და მდგომარეობა ისე ირეკლება, როგორც მწერლის ობიექტურ ჭვრეტაში ჩამოყალიბებულ, შეფასებულ და საზღვარდადგენილ მისსავე ხასიათს და ბუნებას შეეფერება და შესწევს ამის ძალა. საგანი თუ მოვლენა იმნაირად და იმ ზომით მოჩანს გმირის გამონათქვამში, რანაირადაც და რა ზომითაც გმირი ხედავს მას და არა მთელი თავისი შესაძლებლობებით, სიღრმით, მრავალფეროვნებით. ამაზე ამბობს ბახტინი: „გმირის სიტყვა დამუშავებულია, როგორც სწორედ სხვისი სიტყვა, როგორც სიტყვა პირისა, რომელიც ხასიათობრივად თუ ტიპიურად განსაზღვრულია, ე. ი. მუშავდება, რო-

გორც ობიექტი ავტორის ეული გაგებისა, და მონაცემის ლიადაც არა თავისი საკუთარი საგნობრივი მიმართულების „ზვალ საზრისით“. აი ამ გზით ექვემდებარება გმირის გარემონტაჟული მთლიანობა ავტორის ეული გამონათქვამის მთლიანობაში, რომელიც არის პერსონაჟის პირდაპირი მეტყველება თავისთვადი.

თუ პერსონაჟის გამონათქვამში საგანი ან მოვლენა იმ ზომითა და იმ შეფერილობით გამოიყურება, რანაირადაც და რა ზომითაც ხასიათობრივად თუ ტიპიურად საზღვარმიჩნილ გმირს ძალუს ეს, სამაგიეროდ მწერალი თავის საკუთარ კონტექსტში მოქცეულ საგანზე დაკვირვებისას სრულიად თავისუფალია, მისი ხედვის უნარი და ფარგლები არ არის გარედან ვინმესგან ობიექტურად განსაზღვრული. ამიტომ მწერლის სიტყვა „მუშავდება სტილისტურად თავისი პირდაპირი საგნობრივი მნიშვნელობის მიმართულებით“. მწერალი ცდილობს საგნის მისეული წარმოსახვა მაქსიმალურად აღექვატური იყოს თვით საგნისა. მწერლის ენა ისტრაფვის, იყოს რაც შეიძლება „გამომხატველობითი, ძლიერი, მნიშვნელოვანი, მოხდენილი“, რათა ამოწუროს საგანი. პერსონაჟის გამონათქვამში საგნის მისეული აღქმა გვეძლევა, ხოლო ავტორის ეულ კონტექსტში საგნის ობიექტური სახე (ეს არის ობიექტურობა მწერლის შესაძლებლობათა ფარგლებში და არა „წმინდა“ ობიექტურობა).

თქმულის საილუსტრაციოდ მეტნაკლებად ზემოთ მოტანილი სამიკე მაგალითი გამოდგება. მოვიტანთ კიდევ ერთ ნიმუშს, უფრო თვალსაჩინოს იმ აზრით, რომ აქ ავტორის ეული კონტექსტი სრულ ყოფილადაა დამუშავებული. „გიორგი ათონელის ცხოვრება“ მოგვითხრობს: ბაგრატ მეფის მოწვევით გიორგი საქართველოში ჩამოვიდა საეკლესიო რეფორმების გასატარებლად. ხუთი წელი დაცყო სამშობლოში. საბერძნეთში დაბრუნების წინ სამხრეთ საქართველოში გადავიდა, რათა ობოლი ბავშვები შეეკრიბა ათონზე წასაყვანად და ნათესავები მოენახულებინა. ეს იყო მძიმე პერიოდი დიდი თურქობისა. მხარე შიმშილსა და გაჭირვების მოეცვა. „სალმონაა იგი განმამრუდებელი სიყმილისად ღირსად და სამართლად ყოველსა აღმოსავლეთსა ზედა მოიწია სიტყვსაებრ მოსე წინაწარმეტყუელისა, და მრავალსახენი და უწესონი საქმენი კაცთა ბუნებასა ზედა შემოსრულნი იხილვებოდეს, და არაწმიდანი საჭმელნი ქრისტეანეთათვს საჭამადად დაყენებულნი ნიჭად დიდად შიმშილსა მიეძღუნებოდეს, და შვილნი სასურველნი და საყუარელნი მშობელთანი და

ლოცვით მოთხოვილნი ღმრთისაგან საწყინო და საძულველ-შემობელთა იქმნებოდეს. ...რომელნი ამას საზარელსა ბოროტსა მძღვე ექმნება და კინ ოდენ სიყმილისა სიკუდილსა დაუშთეს და ჭრის მიზანი მას განსაცდელისასა მცირედ თანაწარკდეს, მას ოდენ უამას შეიცინებით ჩუქუნ აღმოსავლეთს; რამეთუ დაღაცათუ მცირედ უმოლხინეს ქმნილ იყო უამი იგი, გარნა წუთ ნეშტი განსაცდელთა იწროებისად სრულიად არა თანა-წარსულ იყო. და, თუცა ვინ დაშთომილ იყო, მრავლითა ჭირითა ცხონდებოდა და შორის სიკუდილისა და ცხორებისა მყოფ იყო.

და ესე ყოველი რამ იხილა წმიდამან მამამან გიორგი, სულთანქუნა მწუხარებით და ცრემლით იტყოდა: „შ მე, რადსათვსმე მოვიწიე ამას ჭუებანასა ხილვად ესევითართა ამათ ბოროტთა?“³⁶

ავტორის კონტექსტი და პერსონაჟების სიტყვა ერთი მოვლენისკენაა მიპყრობილი, მაგრამ სტილისტურად ისინი სხვადასხვაგვარადაა დამუშავებული. ავტორის სეულ აღქმაში მოვლენა მრავალი მხრიდან არის განათებული. მწერალი ცდილობს ამოწუროს თავისი საგანი. შექმნილ მდგომარეობას ავტორი ჯერ სარწმუნოებრივ საფუძველს უკავშირებს. მერე საქართველოს განსაცდელი წარმოდგენილია, როგორც ნაწილი სხვა ხალხთა, „ყოველსა აღმოსავლეთსა ზედა“ მოწეულ გაჭირვებათა. მწერალი შემდგომ იმ უზნეობათ მიაპყრობს ყურადღებას, რაც ხალხის ყოფა-ცხოვრების წესებსა და ტრადიციებში გაჩერილა. უამის სიავეს ადამიანთა უახლოეს ნათესაურ დამოკიდებულებაზეც კი ბოროტი კვალი დაუჩნევია. გამოსათქმელი ზემოქმედი და მნიშვნელოვანი ხდება იმით, რომ იგი ბეღნიერად მიკვლეულ გამომსახველობით ფორმებშია განსხეულებული: „შეილნი სასურველნი და საყუარელნი მშობელთანი და ლოცვით მოთხოვნილნი ღმრთისაგან საწყინო და საძულველ მშობელთა ექმნებოდეს“. ან: „თუცა ვინ დაშთომილ იყო, მრავლითა ჭირითა ცხონდებოდა და შორის სიკუდილისა და ცხორებისა მყოფ იყო“. ავტორი ავეჯამიანობისა და დაცემის ეპიურ სურათს ქმნის, შინაარსობლივად მრავალმხრივსა და მართალს.

ამ ფონზე მწერალს შემოაქვს გულის სილტოდან ამოტანილი სიტყვები გიორგი ათონელისა: „შ მე, რადსათვს-მე მოვიწიე ამას ჭუებანასა ხილვად ესევითართა ამათ ბოროტთა?“ ეს არის ხატი იმისა, თუ როგორ გადატყდა გიორგის სუბიექტურ განცდაში ის ობი-

36 ძეგლები, II, გვ. 168—169.

ექტური ვითარება, რაც ეპიურ სტილში გარდასახა მწერალშა. ქს
ამოძახილი გიორგის ბუნებისა და პიროვნების გამოშეფერებულ-კულტუ-
რულ მოვლენასთან მიმართებაში და არა ამ მოვლენის ფაზიზმულ
შინაარსზე მომთხრობი. გიორგის სიტყვა დამუშავებულია, როგორც
ობიექტი გიორგის ავტორისეული გავებისა და „სრულიადაც არა
თავისი საკუთარი საგნობრივი მიმართულების თვალსაზრისით“. გმი-
რის სიტყვა ავტორისეული სიტყვის, თვალსაზრისის ჩარჩოშია
მოქცეული, მას ემორჩილება.

მემკვეთი თავი

პერსონაჟთა იერარქია

თანამედროვე, ლიტერატურული ნაწარმოების ესა თუ ის გმირი ორგანულადაა დაკავშირებული სხვა გმირებთან. რომლებიც გარემოსა და სიტუაციების რეალს ქმნიან მისოვის. ერთი გმირის ხასიათის ფორმირება მიმდინარეობს სხვა გმირთა ორგანული ზემოქმედებით; მეორე მხრივ, გარემოსა და სიტუაციების მთლიან სახეში გარკვეული წვლილი აქვს თვითოეულ მოქმედ პირს. მყითხველი უმეტესად თვალს ადევნებს ხასიათის ჩამოყალიბებას დასაწყისიდან დასასრულამდე და აღიქვამს მას, როგორც პროდუქტს სუბიექტურ და ობიექტურ გარემოებათა სინთეზისა. ამა თუ იმ პერსონაჟის ხასიათო კომპლექსში ბევრი რამაა განპირობებული სხვა გმირთა გარემოს ბუნებით და ზემოქმედებით. მაგალითად, დავით კლიდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალში“ ადამიანები და სიტუაციები ისე არიან განლაგებული, რომ ქმნიან მჭიდროდ შეხლაროულ კვანძს. ბეკინა სამანიშვილის ხასიათი აირევლება პლატონის ცეცხასა და მოქმედებაში, პლატონი — ბეკინას, კირილე მიმინშვილის, არისტო ქვაშავიძის, ელენესა და სხვათა მოქმედებასა და პიროვნულ თვისებებში. ყველა ისინი ერთ მხატვრულ სამყაროს ქმნიან, მათ აერთიანებს მოქმედების საყოველთაო საფუძველი — გარემოებანი. მეორეს მხრივ, თვითოეული მათგანის ქცევა და განცდა, აზროვნება და მეტყველება ინდივიდუალურია, განუმეორებელია, შინაგანად პირობადებულია. თვითოეული მათგანი ავტორსა და მყითხველს თავისთვალიც აინტერესებს, როგორც დამოუკიდებელი პიროვნება (ამ დიალექტიკურ წინააღმდეგობათა მორიგებასა და გადაწყვეტას წარმოადგენს ხასიათი). მხატვრული კონცეფცია რეალზებულია ყველა პერსონაჟის ურთიერთდამოკიდებულებაში, ცენტრალურისა და მეორეხარისხოვანისა, დადებითისა და უარყოფითისა. თანამედრებულია მეორეხარისხოვანისა, დადებითისა და უარყოფითისა:

როვე ლიტერატურის ყველა გმირი ესთეტიკურად თანასწორობაზე ლებიანია.

ამის საპირისპიროდ, ქართულ ჰაგიოგრაფიაში თავცუ, ჩექეშენ ჰუცული სონაუთა ესთეტიკური არათანასწორუფლებიანობა, მოქმედება ესთეტიკური საღმი მეორეხარისხოვან გმირთა იერარქიული დაქვემდებარება. სხვა პერსონაჟთა მიმართება მთავარი გმირისაღმი მექანიკურია და არა ორგანული; მეორეხარისხოვან გმირთა მოქმედებასა და ქცევას არ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა ჰერნდეს მთავარი გმირის მოქმედებასა და განცდებზე, სახასიათო კომპლექსის ფორმირებაზე, ნებისყოფის მიმართულებაზე.

* ჰაგიოგრაფიის მთავარი გმირის ირგვლივ მოქმედ პერსონაჟებს მეკურად ფუნქციური მნიშვნელობა აქვთ და ესთეტიკური თავის-თავაღობის, თვითღირებულების მომენტს, საერთოდ, მოკლებული არიან. ისინი ფონს ქმნიან მხოლოდ მთავარი გმირის სახის წარმოსაჩინებლად, გასანათებლად, გამოსაყოფად.

„ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ იმ ეპიზოდში, როცა იგი ვეჯან ბუჭმირთან უნდა წაიყვანონ განსაკითხვად, გამოჩნდება მოწამის ნათესავთა სახეები: „ვითარ წარემართებოდეს ევსტათი და სტეფანე ტფილისს, პრექუა ევსტათი სიდედრსა თვსსა და ცოლსა და შეილთა თვსთა და მონა-მეჯვალთა თვსთა: „გმნულმა ვარ მე თქუენგან, რამეთუ მე აქ არღარა მოქცევად ვარ, და ქრისტუ მე არა უვარ-ვყო, და მათ მე არღარა განმიტეონ ცოცხლებით, ხოლო სიკუდილი ჩემი ტფილის ყოფად არს საპყრობილება და თავი მოკურეთად არს ჩემდა, ხოლო გუამი ჩემი მოიწიოს აქვე ნებითა ღმრთისამთა“. და ეითარუა ესე პრექუა, იქმნა ყოველთაგან“¹.

ამ ეპიზოდში ევსტათის უახლოეს ნათესავთა სახეები მექანიკურად „მიდებულია“ მოწამის სახესთან. მათი გამოჩენა მთავარი გმირის გვერდით არაფერს შესძრავს ამ უკანასკნელის მოქმედებასა და განწყობილებაში. ევსტათის ხასიათის სიმტკიცე და სულის გაუტეხელობა თავიდანვე განსაზღვრული და ცოლისა და შეილების შემოყვანა მხოლოდ იმიტომ დასჭირდა ავტორს თხრობაში, რომ მათი ცრემლებისა და სიმძიმილის ფონზე უფრო ცხადად გაუსვას ხაზი გმირის მოქმედების ფასსა და მნიშვნელობას.

ასევე აშეარად „მიდებულია“ მერჩულის თხზულებაში მიქელ პარეხელის სახე გრიგოლისას, ხანძთის წინამძღვრის სულიერი ძა-

¹ ძეგლები, I, გვ. 34—35.

ლის წარმოსაჩინებლად. გიორგი მერჩულე მოგვითხრობს: ხანძთის
მონასტერი რომ სახელოვანი გახდა, „...მიძნაძოროვთ ხანცთაც. მო-
ვიდა დიდი მეუღლაბნოე მიქელ მამამ, რომელიცა დაემკვდრა ჰერიტენული
თა, რამეთუ იყო იგი მეგობარ ნეტარისა მამისა გრიგოლისა. ...ნო-
ლო იყო უამსა რომელსამე მამამ მიქელ განშორებულად სენაკის
თვესია, მდგომარე მალალსა კლდესა ზედა მცირედ რამე უდბად, და
კადნიერ იქმნა მის ზედა ბელიარ და სიმაღლისა მისგან გარდამოაგ-
დო ქუე“. ბერი გადარჩა და გრიგოლს უხმო, ეშმაკი განმარიდეო.
„და წმიდად იგი მსწრაფლ მივიდა შეწევნად მმისა თვესისა ძალითა
უფლისამთა და განამჯნო იგი სულითა და ახლად კელითა თვესითა
შექმნა ძლევისა მომცემელნი ქრისტში ბეჭედნი, ორნი ჭუარნი
ძელისანი, საფრენელად მისა და განსაოტებლად მტერთა...“. ამის შემ-
დეგ მიქელმა „პოვა სრულიად განსუენებაა“².

მიქელი მხოლოდ გრიგოლთან მიმართებაში აინტერესებს მწე-
რალს, — მასთანაა დაკავშირებული ხანძთელთა წინამძღვრის სუ-
რალს, — მასთანაა დაკავშირებული ხანძთელთა წინამძღვრის სუ-
ლიერი ძლევამოსილების ერთი ფაქტი. მიქელი, თუ შეიძლება ასე
ითქვას, „საგრიგოლოდა“ შემოყვანილი თხრობაში და ავტორი ამის
შემდეგ მხოლოდ იმას გვამცნობს, რომ მიქელი „...პარეხთა შინა
მრავალთა წელიწადთა ცხოვნდა და ალ-რაბ-ესრულა, მუნვე დაე-
გარხაო“. ზუსტად ანალოგიურია „ოპიზელი მამის“ ეპიზოდი იმავე
თხზულებიდან.

ამ ნაშრომის მეორე თავში კი ჩვენ უკვე მივუთითეთ, რომ მერ-
ჩულეს გრიგოლის პოეტური სახის გამოქანდაკება-განდიდება ჰქონ-
დება გრიგოლის გრიგოლის მიზნად და უკელა ისტორიული პირი მხოლოდ ამ-
დენად დასჭირდა და ამ მიზანს დაუქვემდებარა. * აშოტ და ბაგრატ
კურაპალატების სახელშიიფონებრივი საქმიანობა აქ ძირითადად
ცხოვრების ის რეალიები, რომელიც გრიგოლის მონუმენტური
ფიგურის-გასანთებლადა გამიჩნეული.

მთავარი გმირი ზემოქმედებს სხვებზე, მეორეხარისხოვან პერ-
სონაჟებს კი მთავარი გმირის ქცევასა და ნებისყოფის მდგომარეო-
ბაზე მნიშვნელოვანი გაელენა არ აქვთ, არავითარი კორექტივი არ
შეაქვთ ხასიათის მიმართულებაში, არ ცვლიან, არ ამატებენ, არა-
ფერს აკლებენ მას. *

„დავით გარეგელის ცხოვრების“ ერთ-ერთი პერსონაჟია ლუქი-

² იქვე, გვ. 280—281.

ანე. ამ გმირის შეტყველება და მოქმედება ჩაფიქრებულია, რომელიც ფონი და შტრიხი, რომელმაც მყითხველს დავითის სიდიადა უნდა ჩაუნერგოს. მთელი ეპიზოდი კონტრასტულ პლანშია წერტილების უნდა არს. გარეჯას რომ მოვიდნენ, დავითს მოეწონა იქანონობა: „[... წერტილების არს ადგილი ესე და თავისუფალ შფოთთაგანო“, მართალია, ძნელი გასაძლებია, მაგრამ ღმერთი არ დაგვივიშებსო. იმავე პირობებში ლუკიანეს შეეშინდა: „...ჩუენ კაცნი ვართ, მერმეცა კორცთა ბუნებისა უძლურებასა შინა მყოფნი და მეშინის, ნუსადა ვერ შეუძლოთ მოთმენად ჭირთა და იწროებათა ამის უდაბნოებათა“. ამის საწინააღმდეგოდ, დავითმა სულის სიმშვიდე გამოამულავნა და გაამხნევა მოწაფე. შემდეგ, როცა ზაფხულში უდაბნოში ყველაფერი გადახმა და საჭმელი გამოელიათ, ლუკიანემ კვლავ წუწუნი დაიწყო. დავითის სულიერი წონასწორობა არც ახლა შეძრულა, გაამხნევა შეძრწუნებულის.

ეს კონტრასტული პლანი გრძელდება ვეშაპის ეპიზოდშიც. ლუკიანემ რომ ვეშაპი იხილა, „ზარ-განკდილი და შეშინებული და-ეცა პირსა ზედა თვსსა და მდებარე იყო ვითარცა მეუდარი“. ხოლო დავითმა რომ იგივე ვეშაპი იხილა, „საზარელი ხილვითა და განსაკურვებული სიდიდითა, რომელიცა ყოვლად არად შეპრაცხა ღირსმან ამან, არამედ ზედა მიადგა მას უშიშითა გონებითა და მრისხანებითა...“. ანგელოზი საგანგებოდ ეუბნება სულით მხნე და ამაყ დავითს: „ლუკიანე დაცემული მდებარე არს პირსა ზედა შიშისაგან ვეშაპისა. ხოლო შენ უპყარ კელი და ალადგინე და განაძლიერე და განამტკიცე იგი...“³. და ალადგინა დავითმა.

ლუკიანე „მცირედ მორწმუნება“, ხიფათის და განსაცდელის უამს „დაცემულია“, დავითი კი აღმდგენელი და განმამტკიცებელია. ლუკიანეს ძრწოლა და „დაცემულობა“ ის ფონია, რომელზედაც კონტრასტული რელიეფურობით იკვეთება დავითის სულის შეუძრველობა და ამაღლებულობა. მოწაფის ყველა მოძრაობა და განცდაცხად კარალელადაა ჩაფიქრებული დავითის მოქმედებისა და განცდებისა და განცდებისათვის. ვერ ვიპოვით ისეთ მოქმედებას, უესტს, შესიტყვებას, რომელიც არ იყოს გამიზნული, რაიმე შტრიხით გაამკვეთროს ან რომელიმე კუთხით გაანათოს მოძრვრის ფიგურა. ლუკიანეს პიროვნებას ავტონომიური ესთეტიკური მიზანდასახულობა სრულიად არა აქვს ავტორის მხატვრულ ჩანაფიქრში.

³ ასურელ მოლვაწეთა ცხ. წ. ძვ. რედაქციები, გვ. 152—157.

⁴ იქვე, გვ. 159—162.

ასევე „საშუალება“ და „იარაღია“ ამ მოთხრობაში მფლობელი პერსონაჟი — დოდო. დავითმა დავალა მას მონასტრის აგება „ჩქა-
სა მას კლდისასა“. დოდოს ცხოვრებიდან წარმოჩინებულია დაქანიშვილი მონასტრის აგება, დავითის ბრძანებით მონასტრის აგება და
ნება, დავითის მითითებით ბუბურის ოჯახში მისვლა. ეს უკანასკ-
ნელიც მხოლოდ „დავითისთვის“ არის მოხმობილი — ბუბაქრს
წმინდა მამაზე აღმართული ხელი შეახმება; ხოლო მონანიების შემ-
დევ იგიც და მისი შვილიც დავითის ლოცვით განიერნებიან.

„გორგი ათონელის ცხოვრება“ განსაკუთრებით გამოირჩევა
პერსონაჟთა სიმრავლით. ყველა მათგანი იერარქიულადაა დაქვემ-
დებარებული მთავარი გმირის სახეს, მხოლოდ მასთან მიმართებაში
არსებობს. ერთი მათგანია ჭყონდიდელი ბერი, რომელსაც „ზოგადი
იგი მტერი ნათესავისა ჩუენისა ეკუეთა სიჭაბუკისა გულისთქმათა
მიერ“. „ზოგადი იგი მტერი“ ლვინის სიყვარული იყო. ბერი გიორ-
გისთან შედის სენაკში და შველას თხოვს... იქედან რომ გამოვიდა,
....ინილვებოდა ვითარცა ბრძმედისაგან გამოსრული ყოველითურთ
მხიარული და თავისუფალი“. მწერალს ჭყონდიდელი ბერის არც
ერთი სხვა სახასიათო დეტალი ან ცხოვრებისეული პერიპეტია არ
აინტერესებს. საინტერესო ისაა, რომ გიორგი მცირე ერთგვარად
ანზოგადებს ასეთ მიღვომს, როცა აღნიშნული ეპიზოდის დასას-
რულს გვამცნობს: „ესე იმისთვის წარმოვთქმუთ, რამთა გეუწყოს, თუ
ვითარი შუამდგომელი იყო (გიორგი, — გ. ფ.) შორის ლმრთისა და
კაცთა, და თუ ვითარისა სიმრთელისა მომცემელი იყო სულისა და
ჯორცთაა, და თუ ვითარსა სარწმუნოებასა მისცემდა მისა შევეღ-
რებულთა“⁵. რაც ჭყონდიდელი ბერის შესახებ მოგითხრეთ, იმის-
თვის დამჭირდა, რომ გიორგის ღვთისმოსავობა გამეთვალისწინები-
ნა თქვენთვისო, — გვეუბნება მწერალი.

მოწაფეთა სახეები ერთგვარ დამატებებს წარმოადგენენ ცენ-
ტრალური გმირის სახისა და ამ უკანასკნელის გარეშე არც წარმო-
იდგინებიან, საერთოდ. სიმპტომატურია გიორგი მცირის აზრთა
წყობა: ჭყონდიდელ ბერს „ზოგადი იგი მტერი ნათესავისა ჩუენი-
სა ეკუეთა... რამეთუ თუსსა მოძლვარსა არა ეახლა, რომელსა თანა
გულის-სიტყუად თვისი დაედვა. და პოა რამ იგი თვნიერ მოძლური-
სა, მაშინ ბრძოლა-სცა“.

5 ასურელ მოლვაწეთა ცხ. წ. ძვ. რედაქციები, გვ. 166—167, 170—175.

6 ძეგლები, II, გვ. 164—165.

* წმიდა მამათა მოწაფეებს და თანამოაზრეებს, როგორც დამატებასა და შევსებას მთავარი გმირისა, წართმეული ქართველური სახე; განსაზღვრულ სიტუაციებში ყველა მათგანის წუმარებულება და მეტყველება ცენტრალური გმირის მოქმედებასა და მეტყველებამდეა დაყვანილი „უნაშოოდ“, გამრსახულია ერთადერთი ფორმით. იქმნება თვალშისაცემი ილუზია, რომ ყველა მათგანი მთავარ გმირშია „მოთავსებული“, რომ თხზულებაში ერთი გმირია. *

გიორგი მერჩულე მოგვითხრობს, რომ გრიგოლი და მისი შოწაფეები დაემშვიდობნენ. ხუედიოსს „და შთამოვიდეს ადგილსა მას ლმრთისა მიერ ჩინებულსა სამონასტრედ“. მშენებლობის დაწყების წინ გრიგოლმა მხურვალედ ილოცა. ხოლო „ამისა შემდგომად იწყო მან ხანცითისა შვენებად. ...ხოლო ნეტარმან მამამან გრიგოლ პირველად აღაშენა ძელისა ეკლესიად და შემდგომად საყუდელი თვის და თითო სენაკები ძმათა მათთვეს მცირტ და ერთი სენაკი საოსტიგნედ დიდი“⁷. სულიერ ძმათა კრებულის მოქმედება აქ მხოლოდ გრიგოლის მოქმედებადაა წარმოსახული. ანალოგიურ სიტუაციაში მწერალი მეორეგან წერს: „მამამან გრიგოლ სარწმუნოებისაებრ მეფისა აღაშენა მონასტერი და უწოდა სახელი მისი უბაშ...“⁸.

„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ დასაწყისში გადმოცემულია გიორგი ჩორჩანელის მამულში ბერების გამოჩენის ამბავი. გიორგი მათი ვინაობის გასაგებად ორ მთავარს მიავლენს ბერებთან. ბასილი განაგრძობს: „ხოლო წარმოვიდეს კაცნი იგი. და ვითარცა მოიწინეს წინაშე წმიდისა მის მამისა, და იხილნა იგინი და გულისაკმა-ყო, რამეთუ მთავარნი არიან და საკუთარხი დიდისა მის მთავრისისანი, მიეგება და მოწლედ მოიკითხა წმიდამან მან...“⁹. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს სერაპიონი მარტოა, მაშინ, როცა იქ ექვსი ბერია.

სერაპიონი ორ მოწაფესა და მეგზურ ჭაბუქთან ერთად იმ ადგილს მივა, რომელსაც ბაჟთა ეწოდება. „...მიიხილა წმიდამან და იხილა აღმოსავლით კერძო ქედსა ზედა მას ტბაჲ აღრეული ლალითა“¹⁰. სხვები არ იხედებოდნენ, სხვებმა ვერ იხილეს? ავტორს თითქოს არც ეგულება ვინმე მთავარი გმირის გვერდით. მაგრამ აქ სე-

7 ძეგლები, I, გვ. 256—257.

8 იქვე, გვ. 268.

9 ძეგლები, I, გვ. 325.

10 იქვე, გვ. 329.

აპიონის მოქმედება ყველას მოქმედებას ნიშნავს და გამოსახულს, იგულისხმება, რომ სხვებიც ზუსტად იგივეს სჩადიან.

* კიმპტომატურია იმ თხზულების სათაური, რომელიც პერსიანული თა სიმრავლით გამოირჩევა ქართულ ჰაგიოგრაფიაში; გორგაში შეტემობისა ჩულეს ასე დაუსათაურებია თავისი ნაწარმოები — „შრომა და მოღუაწებაა ღირსად ცხორებისაა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისაა, ხანცოისა და შატბერდისა აღმშენებლისაა, და მის თანა კავნებაა მრავალთა მამათა ნეტართაა“. ამ წიგნში, მიგვითითებს ავტორი, გრიგოლ ხანძთელის „შრომა და მოღუაწებაა ღირსად ცხორებისაა“ იქნება გაღმოცემული, სხვა მამანი კი მხოლოდ მოიხსენიებიანო „მის თანა“¹¹.

• აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ქართული ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებები (განსაკუთრებით „ცხოვრებანი“), გარკვეული აზრით, ერთგმირიანია. *

ჰაგიოგრაფიული თხზულება ერთ გმირზე იყო ორიენტირებული და, როგორც ჩანს, მკითხველი ამას ჩვეულებრივ ლიტერატურულ ნორმად აღიქვამდა. ქართულ ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებებში პასუებისა და მთელი თავების მითითებაც კი შეიძლება, სადაც მოქმედებს მოწაფებითა და თანამრაზრებით გარშემორტყმული მთავარი გმირი და მისი საქუთარი სახელი არ მოიხსენიება.

„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ მეხუთე თავში მოთხრობილია სამონასტრო ადგილის ძებნის ამბავი. ამ მგზავრობისას სერაპიონს თან ახლავს ხუთი მოწაფე: „...სლევას მას მათსა, ვითარცა სამეუფოთა პალატთა, უჭირველად ვიდოდეს, ვიდრემდის მოიწინეს მთასა მას, ვითარცა სიმაღლესა ცისასა აღძრულნი, და დადგეს ადგილსა მას, რომელსა ბერას ჯუარ ეწოდების. ხოლო წმიდამან მან ვითარცა თითოთა უჩუენა მათ ადგილი იგი. სადა ეგულებოდა აღმენებაა მონასტრისაა. და ვითარცა შთამოვიდეს დასასრულსა მას კევისასა, რომელ არს უტყვასა, მოვიდეს ადგილსა რასმე ძინძედ სახელ-დებულსა, განიმსტურეს რამე და განიცადეს, და იხილეს, რამეთუ უდაბნო იყო შეცვლ ტყეთა და კევთა. და შეიუარეს იგი მმათა მათ. ხოლო წმიდა იგი ეტყოდა, ვითარმედ: არა არიან

¹¹ გორგი მერჩულის თხზულების ისტორიული თვალსაზრისით განხილვისას აყალ. ივ. ჭავახიშვილი შენიშნავდა: „რასაკვირველია, ჩვენს „აღმშერელს“ გრიგოლ ხანძთელის მოწაფეთა შესახებ გაცილებით უფრო მეტის მოთხრობა შეეძლო, ვიდრე მას აქვს ნამბობი“. იხ. მისი „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“, გვ. 117.

სასწაული იგი ადგილსა ამას...“ შემდეგ დაწვრილებითაა გადაწყვეტილი, როგორ გამორეკეს ბერები „უფალთა მის დაბისათა“. ბერები მდინარეზე გადავიდნენ, „ადგილთა ყოვლად ტურისტულთა კაცთა მიერ“ იარეს და ერთ ბორცვიან ადგილს მიადგინებელ მიმოგანიმსტურეს და იხილეს, და არა იპოვა ადგილი ველოანი და ფართობით შემწყნარებელი მათი. და უბრძანა წმიდა მან მან, რათა საშუალ წყაროსა მას და ბორცვსა მოიქმნას ადგილი და აღეშენოს მცირე ტალავერი, რომელი ეჭმნა მათ შემწყნარებელ უცხოებისა მათისა, და რათა ცხოველი იგი ხატი მას შინა თაყუანის-იცემებოდის მათ მიერ“¹².

მთელ თავში მოქმედების ძირითადი ხაზი სერაპიონს მიყავს, თუმცა მისი სახელი ერთხელაც არაა ნახსენები. ნაცვლად ამისა ვეითხულობთ: „წმიდამან მან ვითარცა თითოთა უჩუნა...“, „წმიდამ იგი ეტყოდა...“, „უბრძანა წმიდამან მან...“. თუმცა სერაპიონის მოწაფებიც წმიდანი არიან და ასევე მოიხსენიებიან იქვე („წმიდანი ეს მოიყვანენს პირამდე მის მდინარისა...“), მაგრამ იმ დროს, როცა ნაწარმოების თვითეული პერსონაჟი ერთი გმირის გამოყოფისა და განდიდებისათვის იყო „დასაქმებული“, მკითხველს ყველა მსგავს შემთხვევაში მთავარი გმირი ჰყავდა მხედველობაში.

მეცხრე თავში იმავე თხზულებისა, რომელიც მოცულობით ოთხ-ჯერ სჭარბობს განხილულ თავს, პერსონაჟთა გაცილებით ფართო წრე-ში სერაპიონია თორმეტგზის წარმოგვიდგება მოქმედად და არც ერთხელ მისი სახელი არაა ნახსენები (სტერეოტიპულად მეორდება: „წმიდამან მან ჯუარი დასწერა...“, „იხილა რა წმიდამან მან კაცი იგი...“). ყურადღება მივაკიოთ დასახელებული თავის ერთ მონაკვეთს. სამონასტრო მიწების შემოსამტკიცებლად „მოგზაურ ქმნული“ სერაპიონი და მისი მოწაფები კარზე მიადგებიან და მეგზურობას თხოვენ გარბანელს. გარბანელი „გულს-მოდგინედ და ცრემლით“ ევედრება „წმიდასა მას“ შეისვენონ და მასთან გაათიონ ლამე. სერაპიონი სასტიკ უარზეა. „ხოლო შერბიოდა შინა კაცი იგი და კუალად გამოვიდა თანა მეულლითურთ: მსგავსად სარეფთელისა და სომანიტელისა შეუცრდეს ფერჯთა წმიდა ისათა, და ვითარ ვერ აჩწმუნეს, მაშინ კაბუკი იგი, მოძლუარი ჩუენი (გიორგი ჩორჩანელისაგან ბერების მეგზურად დანიშნული, — გ. ფ.), შეუცრდა და მასა მის სა იოვანეს და ეტყოდა: „აპა ესერა არა დაშთომილ ასე

¹² ძეგლები, I, გვ. 323—324.

სული ჩუენ თანა, დავემორჩილნეთ კაცსა ამას, რამეთუ არღარა არსებობი სლვისაა“ ხოლო წმიდად იგი ეტყოდა: „რომელმან-იგი გაბარინს ისონ ნავესსა დაუყენა შეე და კუალად წმიდასა მას ბერსა ბესა რიონს, ამანვე ჩუენცა ლირს მყვნეს მზესა ამას თანა ხილვა ჩრდილოები რიონს, თაყუანის-ცემად წმიდასა ხატსა მისსა“ მაშინ წარმოუძლებ კაცები იგი...”¹³ სერაპიონთან რომ ვერას გახდნენ, მეგზური ჭაბუკი „შეუკრდა ძმასა მისსა იოვანეს“ ამის შემდევ რომ ვკითხულობთ: „ხოლო წმიდად იგი ეტყოდა...“, — იგულისხმება სერაპიონი და არა იმანე, როგორც თანამედროვე მკითხველს ლოგიკურად ეჩვენება კონტექსტის საფუძველზე ნაწარმოებში, სადაც ყველა პერსონაჟი მხოლოდ და მხოლოდ საშენ მასალას წარმოადგენს ერთი მთავარი გმირისათვის, საზღვრულის გარეშე ხმარებული წმიდად იგი“ ერთადერთ შინაარსს შეიცავდა. ასე მოხსენიება — ნახევრად დუმილით, „დუმილით წამება“ კვლავ იმას გახაზავდა, რომ საქმე გვაქვს განსაკუთრებულ გმირთან, ვინც „უზეშთეს კაცთა ბუნებისა არს“ (იქვე). მთავარი გმირის ეს გამორჩეულობა მასზე გამორჩეული მანერით მითითებითაც მიიღწეოდა. სახელით საგანგებოდ მოუხსენებლობა, მთავარი გმირის ისედაც საგულისხმო პირველობას მიანიშნებდა: იმას გახაზავდა, რომ ყველა მოქმედება ერთი წერტილისკენაა მიმართული და იქედანვე იღებს სათავეს. ბასილი ზარზმელის თხზულებაში მხოლოდ „წმიდას“ ფორმით სერაპიონის არც ერთი შოწაფე არა მოხსენიებული, რაც გასაგები იყო ჰაგიოგრაფის თანამედროვე მკითხველისათვის, საგანგებო ყურადღებას მოითხოვს დღეს.

ჩვენს თვალსაზრისს სხვა ჰაგიოგრაფიული ძეგლებიც ადასტურებენ. აღნიშნული ტენდენცია კიდევ უფრო ძლიერ გამოსჭვივის გორგი მცირის თხზულებიდან. ამ ნაწარმოების XIV, XV, XVI, XVII, XVIII, XIX, XX, XXI, XXII, XXIII, XXIV, XXV, XXVI, XXVII, XXVIII, XXIX, XXX, XXXI თავებში გიორგი მთაწმინდელის სახელი ერთხელაც არ მოიხსენიება. თუმცა ყველგან იგია მთავარი გმირი, მოწაფეთაგან და სხვა პიროვნებათაგან გარშემორტყმული. ყველა შემთხვევაში კვითხულობთ: „წმიდად იგი“, „წმიდამან“, „წმიდასა მას...“ პერსონაჟთა განლაგება აშკარად იერარქიულია, — ერთ სიბრტყეზეა გიორგი მთაწმინდელის სახე, ყველა დანარჩენი გმირი ქვედა საფეხურზეა თავმოყრილი.

13 ძეგლები, I, გვ. 331.

ასევე სახელის მოუხსენებლად მოქმედებს გრიგორ
ლი გორგი მეტჩულის თხზულების მრავალ ეპიზოდში (მაგრამ თად, ეპიფანესა და მატოს მასთან მოსვლის ამბავი); მაგრამ მასთან მოსვლის ამბავი).

„შიოსა და ევაგრეს ცხოვრების“ ერთი თვეი სამონასტრო ადგილის ძებნას შეეხება. შიო მოწაფეებითურთ აკა კლდის წვერზე. „ხოლო მოიწინეს რად მუნ, ევედრებოდა ბერი ღმერთსა მრავლითა ცრემლითა“. თუმცა აქ ყველა ბერია, ევაგრეც აქაა, მაგრამ იგულისხმება მხოლოდ შიო. შემდეგ ვკითხულობთ: „და მომღრეულთა თავისათა ილოცეს მუნ ერთბაშად და ევედრებოდეს ღმერთსა, რათა მან აჩუნოს მათ ადგილი, სადაცა თვთ მას ჯერ-უჩნს განმზადებად ტაძარი დიდებისა თვისისაა. მოიღრიკა მუკლნი და მყოვარ უამ მდებარე იყო ქუეყანასა ზედა“¹⁴. უკანასკნელ წინადადებაში ქვემდებარე სულ არაა, მაგრამ მაინც მაინც მაინც შიო უნდა წარმოვიდგინოთ. ისე არაა, რომ წინა წინადადებაში შიო იყოს მოქმედი, პირიქით, იქ სუბიექტი ბერთა კრებულია. როგორც სხვა ჰაგიოგრაფიული ძეგლების, ისე ამ თხზულების მოელ რიგ მონაკვეთებში (მაგალითად, ფარსმან მეფის, დიდებულებისა და ევაგრეს მოსვლა შიოსთან ქვაბაში) სუბიექტი ფორმალურად არაა კონკრეტიზირებული, მაგრამ გარკვეულ ლიტერატურულ ტრადიციებზე აღზრდილი მკითხველისათვის ეს არავითარ შეფერხებას არ ქმნიდა.

ის, რომ ნაწარმოების მხატვრულ კონსტრუქციაში მთავარი გმირი და მის ორგვლივ თავმოყრილი პერსონაჟები ესთეტიკურად არათანასწორნი არიან, თავს იჩენს ავტორისეულ ყურადღებაში ქვედა საფეხურზე განლაგებულ გმირებისადმი. „შუშანიკის წამებაში“ არც სახელდება „ძუძუმსმტჭ მისი საკუთარი“, „შუშანიკს რომ მიუგზავნა ვარსქენმა. გორგი მთაწმინდელის თხზულებაში იმ მთავარდიაკონის სახელიც კი არაა მოხსენიებული, რომელიც იყო „ლირი კაცი და შერაცხილთა შვილი და არა მცირედი საფასე მიეკა მონასტრისადა და თვისი შესამოსელი, რომელიც დაედვა ექლესის, არა ჰერიკნ, რამთაც ვინმე შეიმოსა იგი თვინიერ მასსა“. ექვთიმემ, როგორც თვის ადგილას ვნახეთ, „თვისითა კელითა შთააგდო კუართი იგი ცეცხლსა“. ესაა საქმაოდ დრამატული სცენა, — მწერალი ჩვენს წარმოსახვაში აცოცხლებს პირადულისა და საზოგადოს შეჯახებას ბერის პიროვნებაში. ამ ეპიზოდითან მთავარდიაკონის ხასიათიც გამოკრთის. მაგრამ დაძაბულ სი-

¹⁴ ასურელ მოლვაშვილი ცხ. წ. ძვ. რედაქციები, გვ. 106.

ტუაციას ომ ხატავდა, მწერალი იმით როდი ხელმძღვანელობდა, ასე რომ ასეთი ვითარება უფრო გამოავლენდა ბერის ხასიათის ბუნებას. ასე რომ ყოფილიყო, პერსონაჟის სახელი უნდა მოეხსენიებინა პირ ველ რიგში. მაგრამ მწერალს მთავარდიაკონის პიროვნება კურიერი მეს მორალური ძალის დემონსტრაციისათვის სჭირდება; შთავარი გმირის ნება შეუვალი და უკომპრომისო რჩება „ლირს კაცის“, „შერაცხილთა შეილის“, მონასტრის მოამაგისა და საეკლესიო ჩინის ავტორიტეტის წინაშეც, როცა ეს უკანასკნელი გადაუხვევს მართალი გზიდან.

არც გიორგი მერჩულეს აინტერესებს იმ „ოპიზელი მამის“ სახელი, რომელიც გრიგოლთან დაკავშირებით შემოყავს თხრობაში ერთგან.

„აბიბოს ნეკრესელის წამებაში“ „ვინმედ“ მოიხსენიებიან ის პირი, წმინდა მამის მტერთავან გამოხსნას რომ დააპირებენ. მწერლისთვის არავითარი მნიშვნელობა არა ქვს, ვინ და როგორნი არიან ეს პირი. მთავარი გმირის ხასიათი ჩამოყალიბებულია — იგი ასკეტია. გარეშე პირებთან შეხება ვერაფერს განსაზღვრავს და შეცვლის მასში. მიტომ ეს შეხება მხოლოდ გარეგნულია, საბაბია იმ შტრიხის გამოსავლენად, რომ აბიბოს „სუროდა მარტვლობად ქრისტესთვს“. გზად შეხვედრილნი, მართლაც, „ვიეთნიმე“ არიან მთავარ გმირთან მიმართებაში.

მთავარ გმირთან სხვა გმირთა ამ მიმართების პირდაპირპროპორციულია მთადამი ყურადღება ჰაგიოგრაფიისა. გრიგოლ ხანძთელს ხელით მარტინ გამოიტანა „მოახილვა ყოველნი სანახები ხანცოთისათ, და ფრიად შეუყუარდა წმიდასა გრიგოლს“. ამის შემდეგ გრიგოლი „მოიწია ოპიზის, ახარა ძმათა თვესთა ხილვად წმიდისა მის ბერისათ და ადგილისათ მის, კეთილისა ღმრთივ მოცემულისათ. და მსწრაფლ ხოლო მოვიდეს ამბა გიორგისა, ოპიზის წინამძღვრისა; და მოიღეს ლოცვად წმიდად მისი და ძმათა ყოველთათ და სიხარულით მოიწინეს ხანცოთად“¹⁵. რომ ახარა გრიგოლმა, რა შთაბეჭდილება მოახდინეს ხანცოთად. როგორ მიიღეს მოტანილი ამბავი და წინამძღვრილის განა ბერებზე, როგორ მიიღეს მოტანილი ამბავი და წინამძღვრილის გადაწყვეტილება? ჰაგიოგრაფს ეს არ აინტერესებს, არ გახაზავს. არ გახაზავს მიტომ, რომ მექანიკურად იგულისხმება; იგულისხმება, გახაზავს მიტომ, რომ მექანიკურად იგულისხმება; იგულისხმება, რომ სულიერი მამის აზრი და ნება საყველთაოა და მას უნდა დაემთვეს ლვთისმოსავი მოწაფის აზრი და ნება (სერაპიონ ზარზმელი

15 ძეგლები, I, გვ. 255.

სიკვდილის წინ მონასტრის წინამძღვრად ასახელებს გორგაზე და განმარტავს ამ არჩევანის საფუძველს. „ყოველთა მათ — გვეუბნება მწერალი მოწაფეთა შესხებ, — გნიხარეს, რამეთუ მაგალითები ვე მისა ხედვიდა ყოველი იგი კრებული“¹⁶). და მოწამეთა მაგალითები ნად სცირდება მწერალს აქ, რამდენადაც ისინი ამ საყოველთაოს გამოავლენენ მთავარ გმირში. ისინი გრიგოლის ნებისა და მოქმედების „სავნები“ არიან, მთავარი გმირის ერთგვარ მეორე სახეებს წარმოადგენენ. • მსგავსი მაგალითები თითქმის ყოველ ნაბიჯზე გვხვდება პაგიოგრაფიულ თხზულებებში.

პაგიოგრაფიული ნაწარმოების მხატვრული კონცეფციის სიმძიმე ერთს — მთავარ გმირს აწევს მთლიანად. თანამედროვე ნაწარმოების მხატვრული იდეა მოქმედებათა და სიტუაციათა მოელი ან-სამბლის ურთიერთგანპირობებულობის, ურთიერთშეხლართვის, ე. ი. ორგანული მთლიანობის ლოგიკური შედეგია. პაგიოგრაფიული ნაწარმოების მთელ პათოსს ქმნის მთავარი გმირის მოქმედება, მთლიანად განსაზღვრული და მომდინარე მისი შინაგანი მედანი. ამ შემთხვევაში ყველა სხვა გმირი, ყველა სხვა მოქმედება მხოლოდ საბაბია, მხოლოდ ბიძგს იძლევა, რათა მოძრაობაში მოვიდეს მთავარი გმირი, გამოვლინდეს იგი.

როცა განსაზღვრულია, ამა თუ იმ სიტუაციაში რა რეაგირებას მოახდენს გმირი, ყველა სხვა პერსონაჟსა და მოქმედებასთან მთავარი გმირის მიმართება მექანიკურია და არა ორგანულად მთლიანი. ასე იქცევიან მეორეხარისხოვანი პერსონაჟები პიედასტალად ცენტრალური გმირისათვის. ეს ქმნის პერსონაჟთა სახეების თავისებურ კომპოზიციას — მთავარი გმირისადმი სხვა გმირთა სახეების იერარქიულ დაქვემდებარებას; ესთეტიკურად არათანასწორუფლებიანნი არიან გრიგოლ ხანძთელი და ყველა სხვა გმირი გიორგი მერჩულის თხზულებისა, სერაპიონ ზარზმელი და მისი მოწაფეები, გორგი მთაწმინდელი და დანარჩენი პერსონაჟები გიორგი მცირის ნაწარმოებისა... ისინი სხვადასხვა სიბრტყეზე დგანან და სხვადასხვა კუთხით არიან დანახულნი. მთავარი გმირი ესთეტიკურ ფორმაშია განკვრეტილი, სხვა პერსონაჟთან მიმართებაში სახეობრივი მომენტი გამოთიშულია ან შესამჩნევად შემცირებული. ერთს „ხატავს“ მწერალი, მეორეს კი საერთოდ არ „ხატავს“ ან „იშვიათად ხატავს“. ბასილ ზარზმელის თხზულებაში საკმაოდ ხშირად გვევლინება მოქ-

მედად სერაპიონის ძმა ითანე. მაგრამ არც ერთი მისი მოძრაობა, განცდა თუ რეპლიკა არაა წარმოსახული მშვენიერების თვალსაზრის სით. ანალოგიურად წარმოგვიდგებიან გიორგი მერჩულის ნაწარმოების პერსონაჟები: გაბრიელ და ფანქული, თეოდორე, ქრისტიანები და ადარნერსე და სხვანი. მათი ქცევა და მოქმედებანი „მოთხოვილია“ ნაწარმოებში და არაა ცოცხლად აღმართული ჩვენს წარმოსახვაში. მშრალი ცნებებით გვესაუბრებიან მათს შესახებ და ვერ „ვხედავთ“ მათ. ვერ „ვხედავთ“ თორნიესა და კოსტანტი მეფეს („ცხოვრება იოვანესი და ექვთიმესი“), ბაგრატ მეფეს, მარიამ დედოფალს, თევ-დოსი პატრიარქს („ცხოვრება გიორგი ათონელისა“), უსტამ ციხის-თავს და არვანდ გუშნაბპს („ევსტათის წამება“), ნერსე ერისთავს („აბოს წამება“), ნანა დედოფალს („ნინოს ცხოვრება“) და მრავალ სხვას. ზოგჯერ მეორეხარისხოვანი პერსონაჟი სახეობრივ ფორმა-შია აღქმული, ერთს თუ ორ სიტუაციაში, მაგრამ თითქმის ყოველ-თვის მთავარი გმირის რაღაც კუთხით უკეთ განათებისათვისაა ეს „მხატვრობა“ გამიზნული. ამის მაგალითები თითქმის ამოიშურება იმ რამდენიმე ნიმუშით, რაც წინა თავში მოვიტანეთ. მთელ ქართულ ჰაგიოგრაფიაში მხოლოდ ორითვე შემთხვევაა, როცა მწერალი რამდენადმე თავისთავადი ინტერესით „ხატავს“ მეორეხარისხოვან გმირს (მაგალითად, აშოტ კურაპალატის მიქნურობის ფინალური სცენა).

თანამედროვე ნაწარმოების მხატვრული იდეის რეალიზებას უარყოფითი პერსონაჟიც ემსახურება. ჰაგიოგრაფიული თხზულების უარყოფით გმირს კიდევ უფრო ცხადად აქვს წართმეული თა-ვისთავადი ესთეტიკური ფასეულობა, კიდევ უფრო შემთხვევითია და მექანიკური მისი არსებობა მთავარი გმირის გვერდით და მოქმედების მაგისტრალურ ხაზზე (გამონაკლისია ვარსკენის სახე იყობ ხუცესის თხზულებიდან). ქართველი ჰაგიოგრაფები ისე ხატავენ ზოგჯერ უარყოფით პერსონაჟს, რომ იმის მიხედრაც ძნელია, ამ უსახ არსებაში ადამიანთან გვაქვს საჭმე თუ რაღაც სხვა ქმნილებასთან. ასეთ გააზრებაში ბევრი რამა საინტერესო მომავალი კვლევისათვის.

ჰაგიოგრაფიული ნაწარმოების მეორეხარისხოვანი პერსონაჟის მეტყველებაში, მოქმედებაში, აზრში, უესტსა და განცდაში არ არის არც ერთი დეტალი, საიდანაც ხილული თუ უხილავი სხივი არ მი-ემართებოდეს მთავარი გმირის სახისაკენ და ამა თუ იმ ასპექტით არ ანათებდეს მის მონუმენტურ ფიგურას. მაგრამ ასე ერთთავად

„სხვისკენ“ მიპყრობილი გმირი მხოლოდ ანათებს, მხოლოდ გაუეგნულად ეხება ამ „სხვას“, არაფერს განაპირობებს და დააჩინს კვალს მის არსა და მოქმედების პრინციპში. ქართული ცხრატერაფიაში მეორეხარისხოვან პერსონაჟთა მთელი ანსამბლი — სუსტანციელის გარემოა, სადაც აირეკლება მთავარი გმირის ესა თუ ის ნიშან-თვისება.

რა მსოფლგანცდა უდევს საფუძვლად გმირის ასეთ აღქმას, ადამიანის სუბიექტურ მეში ჩაირვას, გარემომცველი სინამდვილის შესამჩნევ იგნორირებას.

ადამიანის ასეთ მხატვრულ ინტერპრეტაციას ქრისტიანული ფილოსოფია კვებავს, რომელსაც ადამიანის სიმძიმის ცენტრი მთლიანად მის შიგნით — სულში გადააქვს და გარემომცველი გრძნობად-მატერიალური სინამდვილის მნიშვნელობა არარაობამდე დაყავს. აქედან გამომდინარე, ადამიანის მხატვრული სახის მთელი შინაარსი თავმოყრილია სულის შინაგან ცხოვრებაში. ამ შინაარსის განმსაზღვრელი არა ბუნებრივი გარემო. მის ასპარეზს არც ოჯახურ, სამხედრო და სახელმწიფოებრივ სარბიელზე გმირობა ქმნის. «Бесконечную ценность обретает теперь действительный отдельный субъект в его внутренней жизненности...» ქრისტიანი ხელოვანის მსოფლაღში ორიენტირებულია სუბიექტზე, «...не столько желающем осуществлять цели и предприятия в мире и ради мира сего, сколько стремящемся иметь единственным существенным предприятием внутреннюю борьбу человека в себе и его примирение с богом»¹⁷.

სუბსტანციის ერთიანად სულში მკვრეტელი ხელოვნება ადამიანს განიხილავს, როგორც სუბიექტს, ცალკე პიროვნებას. ბუნებრივი და საზოგადოებრივი გარემო რეფლექსირებულია სუბიექტის სულში.

17 Гегель. Лекции по эстетике, т. XIII, стр. 90, 94.

ძირითადი დასპენები

აქ განხილული თვითეული საკითხი მხატვრული სახის ბუნებისა ქართულ ჰაგიოგრაფიაში ორგვარი მიმართების ცენტრში ექცევა. ერთი მხრივ, პოეტური ფაქტი სპეციფიური ესთეტიკური მსოფლ-ალქმის ნაყოფია, ხოლო, მეორე მხრივ, თავისებურების მიუხედა-ვად, იგი საერთო ეროვნული პოეტური კულტურის ნიშნებითაა აღ-ბეჭდილი. როცა დგინდება თავისებურებანი, იკვეთება საერთოო-ბაც.

სახეობრივ და ორასახეობრივ ნაკადთა ურთიერთმიმართების ბუნების გარკვევა ჰაგიოგრაფიული ტექსტის დასაბუთებულ კვალი-ფიქაციას ისახავს მიზნად. ჩვენ ვცადეთ მოგვეპოვებინა ისტორიუ-ლი და პოეტური ტექსტების გასამიჯნავი ლოგიკური კრიტერიუმე-ბი. ამით კი წყდება არა მხოლოდ ზოგადი საკითხი კვალიფიკაციისა, არამედ ვერკვევით ნაწარმოების ორგანიზაციის პრინციპში, მხატვ-რულ სისტემაში. ამ სისტემას თავისი კანონზომიერებანი ჰქონია, ლიტერატურის სინკრეტული ხასიათიდან გამომდინარე. კრიტერი-უმი ისტორიზმისა, ლიტურგიკული ფუნქცია, მისტიკური მიმართუ-ლება ძირითად ესთეტიკურ მიზანდასახულობას დაქვემდებარებუ-ლი, მაგრამ უცილობლად თანამდევი მოვლენებია ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებში. პოეტურ მონახაზს ჰაგიოგრაფის ნახელავში სხვაგვა-რი პლასტები მეზობლობენ და შეერევიან ხოლმე. ეს აძნელებს ჰაგიოგრაფიის მხატვრულ სამყაროში შესვლას, ეს საუნჯე ადვი-ლად არ გვიხსნის კარებს. იაკობ ბუცესის, იოანე საბანისძის, გიორ-გი მერჩულისა და სხვათა წინაშე მნიშვნელოვნად განსხვავებული და რთული ამოცანა იდგა: ისინი ქმნიდნენ არა მხოლოდ ხელოვნე-ბის ნიმუშს; მათ ნაშრომს ისტორიული ცნობისმოყვარეობაც უნდა დაექმაყოფილებინა, ლოთისმსახურებაშიც უნდა მოეხმარებინათ, იგი სახელმწიფო დოკუმენტიც იყო და საეკლესიოც. თანამედრო-ვე ხელოვანი თავისუფალია ამ უტილიტარული ფუნქციებისაგან.

იგი ხელოვნების ნაწარმოებს ქმნის. ჰაგიოგრაფი მწერლის კრებული და ძალა მრავალმხრივაა დაბანდებული.

გარკვეული საზომით აქედან გამომდინარეობს უცხოუკული ფანტაზიის როლი. ისტორიულ ფაქტებთან ნაწარმოებში შეიცავის ფანტაზია ნაკლებად ვი სიახლოვის უცილობლობის შესაბამისად ფანტაზია ნაკლებად ხელყოფს კონკრეტულ-ისტორიულ რეალიებს. მაგრამ ამ რეალიებისადმი საერთო ერთგულების შიგნით თავს იჩენს სილრმისეული, შეფარული, თავისებური მუშაობა წარმოსახვისა. ფაბულის მიღმა ფანტაზია თავისუფალია. ეს თავისუფლება შინაგან ხილვათა სფეროში ზღვარს აღწევს. წარმოსახვის ეს უსაზღვროება, პირველი ბიძგი რომ აპოკალიპსის ხილვებში აქვს, გიორგი მერჩულის, იოანე საბანისძის და, განსაკუთრებით, „მოქცევაი ქართლისაის“ ავტორის უმშვენიერესი სურათებიდან რუსთაველის, გურამიშვილის, ბარათაშვილისა და ვაეს პოეტურ ხილვებამდე მიგვიყვანს.

წიგნის მეოთხე თავი ჰაგიოგრაფული ნაწარმოებების სიუკუტის სფეროს მოიცავს. ადამიანისა და სამყაროს სიტყვაში გამოსახულის ზოგად-პოეტური პრინციპები ლიტერატურულად კარგა ხნის მოხმარებულ-დამუშავებული ჩანს ქართული პროზის უძველეს ძეგლებში. მოქმედება-მოძრაობის და საკუთრივ სულის მოძრაობის ბუნებრივობით „ზის“ პოეტური კონცეფცია, რომ მხატვრულ გემოვნებასა და აზროვნებას ამ ადრინდელ ეტაპზეც ატყვია კვალი სიმიზნებისა და სოლიდური ტრადიციისა. როგორც ვნახეთ, ჩვტორები შეუანიკის და აბო „წმებისა“, გრიგოლ ხანძთელის, ნინოსა და შიო მღვიმელის „ცხოვრებისა“ ადამიანის სულის მოძრაობის ისეთ შეფრთხებში შედიან, ესთეტიკური აბსტრაქციის ისეთ სიმაღლემდე სფეროებში კიდევ განვიხილოთ ისტორია, როგორც განვითარების გვაძლევს კიდევ განვიხილოთ ისტორია, როგორც განვითარების პროცესი, რაც საეჭვო ბიოლოგიური მეტაფორა იქნებოდა, არამედ გრძნობის მსგავს მომენტს გულისხმობს და ამდენად გმართლებულია ჰავარია მსგავს მსგავს მომენტის გულისხმობა: „...ყოველივე ეს ნებას არ ამიღვით ამგვარი მსჯელობა: ...“

რული სამყაროსი ამ სამყაროს ზოგადესთეტიკური ბუნების თვალ-
სამზერიდან დაგვენახა. ეს კი მხოლოდ ნაწილობრივ შროერადა. მა-
გალითად, ძნელი არ არის იმის შემჩენევა, რომ ნაშრომის შემთხვე
თავში ჩვენ ხშირად მხატვრული ფორმიდან ამოვლებიშველები და
ტურული ფაქტის აღქმისას ან ამ აღქმის შედეგი პირდაპირ წარმო-
აჩენს ფორმას. ეს შედეგები ერთ რიგში უნდა მოვაკციოთ, სპეცია-
ლურად გავიაზროთ, რათა ესა თუ ის აზრი შთაბეჭდილებიდან კა-
ნონზომიერებად იქცეს.

ნაშრომში დახასიათებულია მხატვრული სახის ბევრი სტრუქ-
ტურული ელემენტი, ფუმცა მხატვრული სახის შინაგანი სტრუქ-
ტურის შესახებ დასკვნების გაკეთება ნაჩერავედ ჩავთვალეთ. ის,
რაც ჩვენ აქ ნაწარმოების ორგანიზაციისა და მხატვრული სისტემის
შესახებ გვიწერია, ჰავიოგრაფიულ ნაწარმოებთა კომპოზიციის და-
სახასიათებლად გამოღვება. ალბათ უფრო გვიან ქართული ჰავიოგ-
რაფიული ლიტერატურის მხატვრული სტილის პრობლემა უნდა
დადგეს, ზოგიერთი სათანადო წანამძღვრის შესახებ კი უკვე გვქონ-
და საუბარი. უფრო გაძედული მსჯელობა ამ საკითხზე შესაძლებე-
ლი გახდება მას შემდეგაც, რაც საფუძვლიანად იქნება გათვალის-
წინებული სხვა ერთა ჰავიოგრაფიული მემკვიდრეობა და მათი შეს-
წავლის შედეგები, თუმცა საამისოდ რამდენიმე ზოგადი შთაბეჭდი-
ლება აქაც შეიძლებოდა გამოგვეთქვა.

რა პერსპექტივას გულისხმობს ქართული ჰავიოგრაფიული
ლიტერატურის პოეტიკის შესწავლა? ახლო წარსულში ამ ლიტერა-
ტურის საერთოდ შესწავლის უცილობლობა მოტივირებული იყო
ისტორიულ-შემეცნებითი ლირებულებით: მიუთითებდნენ, რომ ეს
მწერლობა ყურადღებას აქცევს თანამედროვეობისათვის საგულის-
ხმო ბევრ გარემოებას (პატრიოტიზმი, ქვეყნის მთლიანობა, კულტუ-
რული მშენებლობა, სწავლა-განათლება). დღეს უფრო წინ წაწევა
გვმართებს. „ძველი რუსული ლიტერატურის პოეტიკის“ ავტორი
დ. ლიხაჩევი ამბობს: „ძველ ხელოვნებასა და სხვა ხალხთა ხელოვ-
ნებასთან თანამედროვე ესთეტიკური ნორმების თვალსაზრისით მის-
ვლა, მარტო იმის ძებნა, რაც თვითონ ჩვენთვისაა მახლობელი, —
ნიშნავს უაღრესად გაღარიბებდეთ ესთეტიკურ მემკვიდრეობას“².
დღეს საეჭვო აღარ უნდა იყოს, რომ „საეჭვესი ლიტერატურულ-

² Д. С. Лихачев, Поэтика древнерусской литературы, Л., 1967, стр. 370.

მა სტილმა შეტად ძლიერი მხატვრული ნაკადი შეჰქმნა, რომლის
უარყოფა საერთოდ მსოფლიო ლიტერატურაში სტილის წარმოშო-
ბა-განვითარების ისტორიას გააყალბებდა, ქართულ ნიადაგზე და რეალი-
აუსსნერს დატოვებდა პოეტური მეტყველების განვითარებულ მუსიკურ
გარდა იმისა, რომ პაგიოგრაფთა ყურადღების ცენტრში ექცევა
თანამედროვეობისათვის საინტერესო მრავალი საკითხი, ამ ნაწარ-
მოებებს (და, საერთოდ, ქრისტიანულ ხელოვნებას) აქვს სხვა, თა-
ვისთავადი მნიშვნელობა — იგი ადამიანის სულის მწერლობაა. იგი
აფუძნებს პრინციპს: ადამიანის მთელი სიმძიმე და სილამაზე, რო-
გორც სულიერი და გონიერი არსებისა, სულშია. მართალია, სული-
ერი სამყარო აქ რელიგიურ-მისტიფიცირებული ფორმით გვივის-
ნება, მაგრამ იმაზე თვალის დახუჭვა შეუძლებელია, რომ ადამია-
ნური არსებობის ახალ, მაღალ ასპექტზეა მიპყრობილი მზერა. გამ-
ჭვირვალე რელიგიურ სამოსელს მიღმა არ შეიძლება არ ჩანდეს ადამი-
ანის სულიერი ახოვანების თავისთავადი ბუნება, შინაგანი სამყაროს
მოცულობა და შესაძლებლობანი. შუშანიეს, ევსტათი მცხეოლის,
აბო ტფილელის, გობრონის, გრიგოლ ხანძთელის, შიო მღვიმელის
და სხვათა რელიგიურ ექსტაზისა და ქედუხელობაში ცოცხლობს და
უნდა შევამჩნიოთ მოცულელი სწრაფვა ზნეობრივი მიზნისავენ,
მტკიცე ნება და ხასიათი, ძლიერი განცდის უნარი. მათ ისე განვი-
თარებული პიროვნული ცნობიერება აქვთ, რომელსაც უმეტესად
მოკლებული არიან შეა საუკუნეების საგმირო-საფალავნო თხზუ-
ლებების პერსონაჟები (მაგალითად, „ამირანდარეგანიანისა“. ეს სა-
კითხიც მომავალი ყურადღების საგანი უნდა გახდეს). თვლიან კი,
რომ „ჩვენივე მწვერვალი, გვირგვინი ჩვენი ორიგინალობისა —
არის არა ჩვენი ინდივიდუალობა, არამედ — პიროვნება“³. როცა
გმირის ასეთი შინაარსი და სტრუქტურა სხვაგვარი გავების სიბრ-
ტყეზე გადაინაცვლებს, ჩვენ მივალთ „ვეფხისტყაოსნის“ იდეალურ
პერსონაჟებთან, რომელთა მორალური რიგორიზმი, ხასიათის სიმძ-
ლავრე და მგრძნობიარე გული მიწიერ საქმეებში ღვთაებრივი ამაღ-
ლებულობის მიღწევას, ცისა და მიწის მორიგებას ესწრაფეს. ახო-
ვანი სული აქ ღონიერი მკლავითა შევსებული. იგივე ახოვანი სუ-

³ გ. იმ ე დ ა შ ვ ი ლ ი, ქართული კლასიკური საგალობლის პოეტური შეტყ-
ველების ზოგი საკითხი. კრებ. კ. კეისელიძის დაბადების 80 წლისთავის აღსანიშ-
ნავად, გვ. 150.

⁴ Пьер Тейяр де Шарден, Феномен Человека, М., 1965, стр. 258.

ლი, ოღონდ რელიგიურ საფარველ-გადაცლილი, პრინციპულურ ითვალია ახალი ხელოვნებისა. როგორც ერთხელ უკვე მოხმობით ვა-ტორიტეტული აზრი გვაუწყებს, ქრისტიანულმა ხელოვნებით და გვანახა შშენიერება სულის წვისა უძლურსა და უდიშისა მსჯელურ ში; მან გააფართოვა დიაპაზონი გრძნობებისა, რომლებიც „ადამიანურობის“ ცნებაში შედიან⁵.

ქართულმა ჰაგიოგრაფიამ საუკუნეთა მანძილზე ჩამოაყალიბა და სრულყო მხატვრული სახეების, სტილისა და ენის დახვეწილი ფორმები, რამაც ორგანული და უაღრესად ნაყოფიერი გავლენა მოახდინა საერო ლიტერატურის აღმოცენებასა და შემდგომ გავლითარებაზე, ხოლო ამ გზით ეროვნული მხატვრული ცნობიერების ფორმირებაზე, ზოგადად. ეს აზრი, რომელიც კარგა ხანია წამოაყენა კ. კეკელიძემ⁶, გაზიარებულია ქართული მწერლობის მკვლევართაგან. პროფ. ალ. ბარამიძე გარკვევით ამბობს: „ლიტერატურული ნიადაგი საერო მხატვრული მწერლობის წარმოშობისათვის უსათუოდ შემჩადდა ქართული საეკლესიო-სასულიერო მწერლობის წიაღში⁷. უკველია, რომ „უამრავი მოტივები, ეპიზოდები... ამჟამად რომ გვჩიბლავს თავისი გამოხატულობითი შშენიერებით საერო სტილში, ორგანული თანდათანობით მოდის ეკლესიური მეტყველებიდან⁸.

↗ ის ფაქტი, რომ ქართული ჰაგიოგრაფიის სფეროში თანამედროვეობისათვის საინტერესო საკითხებიც ხშირად ეცემა, ამ ნაწარმოებების შესწავლის საჭიროებაზე მიუთითებს მხოლოდ. უცილობობა ამ მწერლობის შესწავლისა, საერთოდ, და მხატვრული სამყაროსი, განსაკუთრებით, მისი თავისთვადი ესთეტიკური ფასეულობიდან გამომდინარეობს. ამას ემატება ის გარემოება, რომ ჰაგიოგრაფიის მხატვრულ ფორმებს გავლენა აქვს შემდგომიტერატურულ განვითარებაზე. ↘

ცხადი ხდება, რომ ის, რაც ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებში დღევანდელ მკითხველს უძლურებად თუ უმწიფრობად ეჩვენება,

5 Основы марксистско-ленинской эстетики, стр. 264.

6 იბ. მისი — ქართული ლიტერატურის ისტორია (ბევრი ლიტერატურა), II, 1958, გვ. 3—10. მისივე — ეტიუდები, II, გვ. 1—5 და სხვ.

7 ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, 1945, გვ. 7.

8 გ. იმედაშვილი, ქართული კლასიკური საგალობლის პოეტური შეტყველების ზოგი საკითხი. დასახ. კრებული, გვ. 150.

უმეტესწილად წარმოადგენს კარგად შეზომილ და წვდომილ პოეტურ მიზანდასახულობას. ამ სამყაროს ესთეტიკურ ბუნებასთან „გაშინაურების“ შემდგომ აქამდე უტყვი თუ უმნიშვნელო მურტიჭრულებიც ენას იდგამენ, ნიშანს იძლევიან, მხატვრული სტრუქტურისა და მიუცილებელ ელემენტად იქცევიან და აქამდე წარმოუდგენელ სილამაზით ანათებენ პოეტურ ნაგებობას შიგნიდან.

ჩვეულება ჰავიოვანიული ნაკადის სისხლხორცეული თანაზიარობა საერთო ქართულ პოეტურ კულტურასთან, ამ უკანასკნელის შინაგანი მთლიანობა და თავდაპირველი ძირების ცხოველყოფელობა განწყობილებათა და სტილთა ცვალებაღობის სიგრძეზე.

ସବୁରେଣୁ

ଶିଳ୍ପିଙ୍କରଣମା	3
I ତାଙ୍କ ଜୀବନକାନ୍ତରେ ଖେଳାବନ୍ଧରେ ଦିଲ୍ଲି ଦିଲ୍ଲିକାନ୍ତରେ ପାଇଁ ପାଇଁବନ୍ଧରେ	8
(ଶ୍ରେଷ୍ଠଶିଳ୍ପୀ)	
II ତାଙ୍କ ଅନ୍ତରେ ଓ ପାଇଁବନ୍ଧରେ ଶିଳ୍ପିଙ୍କରଣମାର୍ଗରେ ପାଇଁ ପାଇଁବନ୍ଧରେ	59
III ତାଙ୍କ ଅନ୍ତରେ ଓ ପାଇଁବନ୍ଧରେ ଶିଳ୍ପିଙ୍କରଣମାର୍ଗରେ	83
IV ତାଙ୍କ ଅନ୍ତରେ ଓ ପାଇଁବନ୍ଧରେ ଶିଳ୍ପିଙ୍କରଣମାର୍ଗରେ	135
V ତାଙ୍କ ଅନ୍ତରେ ଓ ପାଇଁବନ୍ଧରେ ଶିଳ୍ପିଙ୍କରଣମାର୍ଗରେ	181
VI ତାଙ୍କ ଅନ୍ତରେ ଓ ପାଇଁବନ୍ଧରେ ଶିଳ୍ପିଙ୍କରଣମାର୍ଗରେ	213
ଦିଲ୍ଲି ଦିଲ୍ଲିକାନ୍ତରେ ପାଇଁ ପାଇଁବନ୍ଧରେ	227

ს 8 № 2017

გამომცემლობის რედაქტორი ვ. პაიკიძე
მხატვრ. რედაქტორი ე.ლ. ქიშმარაია
გარეკანი ჭ. ფავლაშვილისა
ტექნიკური რედაქტორი ნ. დოგურაშვილი
უფრ. კორექტორი პ. დგუბუაძე
კორექტორი მ. ბაკურაძე
გამოშვები ქ. ნიკოლაშვილი

გადაეცა წარმოებას 12.11.82. ხელმოწერილია დასაბეჭდიდ 23.VIII.82.
ქაღალდის ზომა 84×108^{1/32}. საბეჭდი ქაღალდი № 1. ნაბეჭდითაბაზი 14,75.
პირობ. ნაბეჭდი თაბაზი 13,71. საღრიცხვო-საგამომცემლო თაბაზი 12,26.
ტირაჟი 2000 ფი 00494 შეკ. № 315
ფასი 60 კაპ.

გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5
Издательство «Ганатлеба», Тбилиси, ул. Марджанишвили № 5
1982

საქართველოს სსრ გამსახუმის თბილისის № 4 სტამბა
380060, მედეალაქის II კორპ.

Тбилисская типография № 4. Госкомиздата
Грузинской ССР. Тбилиси 380060. Медгородок II корп.



Гривер Григорьевич Парулава

К ПРИРОДЕ ХУДОЖЕСТВЕННОГО ОБРАЗА В
ДРЕВНЕГРУЗИНСКОЙ ПРОЗЕ

(На грузинском языке)



ეროვნული
ბიблиოთეკა